თავი V

1. ხელმისაწვდომი, ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

1.1. მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით;
- პროგრამის ფარგლებში მიზნობრივი სოციალური დახმარებით - საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები. ასევე, განხორციელდა მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა, ასევე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის შემწეობების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა;
- ხელი შეეწყო საქართველოში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შშმ პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

1.1.1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

- სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 708.1 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 708.6 ათასზე მეტი პირი, მარტში - 709.4 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 710.6 ათასზე მეტი პირი, მაისში - 711.5 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 713.0 ათასზე მეტი პირი, ივლისში – 714,2 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში – 716.3 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში – 717.8 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში – 719.3 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში – 719.8 ათასზე მეტი პირი, დეკემბერში – 720. 5 ათასზე მეტი პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარ-თებერვალში 20.7-20.7 ათასზე მეტ მიმღებზე, მარტში -20.8 ათასზე მეტ მიმღებზე, აპრილი-მაისში 20.9-20.9 ათასზე მეტ მიმღებზე, ივნისში -20.8 ათასზე მეტ მიმღებზე, ივლისი-სექტემბერში 20.9-20.9 ათასზე მეტ მიმღებზე, ოქტომბერი – დეკემბერში თითოეულ თვეში 21.0 ათასზე მეტ პირზე.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1 571.0 მლნ ლარი.

1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 35 02 02)

- საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობამ იანვარში შეადგინა 407.3 ათასზე მეტი, თებერვალში - 422.0 ათასზე მეტი, მარტში - 436.0 ათასზე მეტი, აპრილში - 446.6 ათასზე მეტი, მაისში - 457.2 ათასზე მეტი, ივნისში - 469.6 ათასზე მეტი, ივლისში – 474.3 ათასზე მეტი, აგვისტოში – 477.8 ათასზე მეტი, სექტემბერში – 480.7 ათასზე მეტი, ოქტომბერში – 484.1 ათასზე მეტი, ნოემბერში – 482.8 ათასზე მეტი, ხოლო დეკემბერში – 476.0 ათასზე მეტი;
- ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარება გაეწია იანვარში 981 პირს, თებერვალში - 1 004 პირს, მარტში – 1 294 პირს, აპრილში – 1 104 პირს, მაისში – 1 084 პირს, ივნისში – 984 პირს, ივლისში – 1 249 პირს, აგვისტოში – 1 175 პირს, სექტემბერში – 1 141 პირს, ოქტომბერში – 1 206 პირს, ნოემბერში – 1 319 პირს, ხოლო დეკემბერში – 1 189 პირს;
- დევნილთა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით იანვარში შემწეობით უზრუნველყოფილ იქნა 220.7 ათასზე მეტი პირი, თებერვალში - 227.3 ათასზე მეტი პირი, მარტში – 225.3 ათასზე მეტი პირი, აპრილში – 224.5 ათასზე მეტი პირი, მაისში – 221.7 ათასზე მეტი პირი, ივნისში – 225.0 ათასზე მეტი პირი, ივლისში – 224.0 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში – 223.7 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში – 224.2 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში – 224.8 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში – 224.7 ათასზე მეტი პირი, ხოლო დეკემბერში – 225.5 ათასზე მეტი პირი;
- რეინტეგრაციის შემწეობა იანვარში გაიცა 299 მიმღებზე, თებერვალში - 298 მიმღებზე, მარტში - 294 მიმღებზე, აპრილში - 296 მიმღებზე, მაისში - 297 მიმღებზე, ივნისში - 296 მიმღებზე, ივლისში – 300 მიმღებზე, აგვისტოში – 302 მიმღებზე, სექტემბერში – 307 მიმღებზე, ოქტომბერში – 309 ბავშვზე, ნოემბერში – 307 ბავშვზე, ხოლო დეკემბერში – 305 ბავშვზე;
- სოციალური პაკეტი იანვარში გაიცა 167.3 ათას მეტ მიმღებზე, თებერვალში - 167.3 ათას მეტ მიმღებზე, მარტში - 167.5 ათას მეტ მიმღებზე, აპრილში - 167.5 ათას მეტ მიმღებზე, მაისში - 167.3 ათას მეტ მიმღებზე, ივნისში - სექტემბერში თითოეულ თვეში 167.2 ათას მეტ მიმღებზე, ოქტომბერში - 167.0 ათასზე მეტ მიმღებზე, ნოემბერში - 166.8 ათასზე მეტ მიმღებზე, ხოლო დეკემბერში - 167.1 ათასზე მეტ მიმღებზე;
- საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებ პირთა რაოდენობამ მიმდინარე წლის იანვარში შეადგინა 30.5 ათასზე მეტი პირი, თებერვალში – 30.1 ათასზე მეტი პირი, მარტში – 29.9 ათასზე მეტი პირი, აპრილში – 29.7 ათასზე მეტი პირი, მაისში – 29.5 ათასზე მეტი პირი, ივნისში - 29.3 ათასზე მეტი პირი, ივლისში – 29.2 ათასზე მეტი პირი, აგვისტოში – 29.1 ათასზე მეტი პირი, სექტემბერში – 29.0 ათასზე მეტი პირი, ოქტომბერში – 28.9 ათასზე მეტი პირი, ნოემბერში – 28.7 ათასზე მეტი პირი, ხოლო დეკემბერში – 28.5 ათასზე მეტი პირი;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვია ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით იანვრის თვეში დახმარება მიიღო 995 პირმა, თებერვალში - 997 პირმა, მარტში - 984 პირმა, აპრილში - 1 077 პირმა, მაისში - 1 071 პირმა, ივნისში - 1 077 პირმა, ივლისში - 1 067 პირმა, აგვისტოში - 1 064 პირმა, სექტემბერში 1 074 პირმა, ოქტომბერში - 1 064 პირმა, ნოემბერში - 1 062 პირმა, ხოლო დეკემბერში - 1 055 პირმა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო გაიცემა ფულადი დახმარება, ასევე 2016 წლის 1 იანვრიდან ფულად დახმარებას იღებენ ბენეფიციარები, რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. აღნიშნული მიზნით ფულადი დახმარება მიიღო იანვარაში 5 571 პირმა, თებერვალში - 5 823 პირმა, მარტში - 6 354 პირმა, აპრილში - 6 935 პირმა, მაისში - 7 537 პირმა, ივნისში - 8 097 პირმა; ივლისში - 8 316 პირმა, აგვისტოში - 8 562 პირმა, სექტემბერში - 9 014 პირმა, ოქტომბერში - 9 447 პირმა, ნოემბერში - 9 874 პირმა, ხოლო დეკემბერში - 10 397 პირმა;

- „9 მაისის - ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 848 პირმა მიიღო ფულადი დახმარება 600 ლარის ოდენობით და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულმა 362 პირმა - 300 ლარის ოდენობით.

სულ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 648.4 მლნ ლარი.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში:

- „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამის'' ფარგლებში იანვარში მომსახურება გაეწია 773 ბენეფიციარს, თებერვალში - 905 ბენეფიციარს, მარტში-938 ბენეფიციარს, აპრილში - 929 ბენეფიციარს, მაისში - 996, ივნისში - 999 ბენეფიციარს; ივლისში - 1 185 ბენეფიციარს, აგვისტოში - 991 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 223 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 228 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1 026 ბენეფიციარს და დეკემბერში - 1 275 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 470 ბენეფიციარს, თებერვალში – 477 ბენეფიციარს, მარტში – 467 ბენეფიციარს, აპრილში – 470 ბენეფიციარს, მაისში - 495 ბენეფიციარს, ივნისში-ივლისში 502-502 ბენეფიციარს, აგვისტოში - 366 ბენეფიციარს, სექტემბერში - 523 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 529 ბენეფიციარს, ნოემბერში - 586 ბენეფიციარს და დეკემბერში - 594 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, მომსახურება გაეწია იანვარში 390 ბენეფიციარს, თებერვალში – 401 ბენეფიციარს, მარტში - 424 ბენეფიციარს, აპრილში - 498 ბენეფიციარს, მაისში - 505 ბენეფიციარს, ივნისში - 606 ბენეფიციარს, ივლისში - 510 ბენეფიციარს, აგვისტოში - 110 ბენეფიციარს, სექტემბერში - 617 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 642 ბენეფიციარს, ნოემბერში - 596 ბენეფიციარს და დეკემბერში - 945 ბენეფიციარს;
- „დღის ცენტრების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 1 486 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 509 ბენეფიციარს, მარტში – 1 555 ბენეფიციარს, აპრილში– 1 615 ბენეფიციარს, მაისში -1 607 ბენეფიციარს, ივნისში - 1 639 ბენეფიციარს, ივლისში - 1 517 ბენეფიციარს, აგვისტოში - 908 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 528 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 538 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1 554 ბენეფიციარს, დეკემბერში - 1 568 ბენეფიციარს, მათ შორის:
    - ✓ მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 460 ბენეფიციარს, თებერვალში – 504 ბენეფიციარს, მარტში – 505 ბენეფიციარს, აპრილში – 535 ბენეფიციარს, მაისში – 531 ბენეფიციარს, ივნისში – 534 ბენეფიციარს, ივლისში - 477 ბენეფიციარს, აგვისტოში - 174 ბენეფიციარს, სექტემბერში - 445 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 456 ბენეფიციარს, ნოემბერში - 479 ბენეფიციარს და დეკემბერში-482 ბენეფიციარს;
    - ✓ შშმ ბავშვების შემთხვევაში: იანვარში – 550 ბენეფიციარს, თებერვალში – 530 ბენეფიციარს, მარტში – 555 ბენეფიციარს, აპრილში – 562 ბენეფიციარს, მაისში– 557 ბენეფიციარს, ივნისში – 584 ბენეფიციარს, ივლისში- 551 ბენეფიციარს, აგვისტოში - 374 ბენეფიციარს, სექტემბერში - 578 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 574 ბენეფიციარს, ნოემბერში - 563 ბენეფიციარს და დეკემბერში - 569 ბენეფიციარს;
    - ✓ 18 წლისა და მეტი ასაკის შშმ პირების შემთხვევაში: იანვარში – 425 ბენეფიციარს, თებერვალში – 424 ბენეფიციარს, მარტში – 441 ბენეფიციარს, აპრილში – 464 ბენეფიციარს, მაისში – 465 ბენეფიციარს, ივნისში - 468 ბენეფიციარს, ივლისში - 442 ბენეფიციარს,

აგვისტოში -360 ბენეფიციარს, სექტემბერში - 456 ბენეფიციარს, ოქტომბერში-458 ბენეფიციარს, ნოემბერში - 463-ს და დეკემბერში-467 ბენეფიციარს;

- ✓ მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების შემთხვევაში: იანვარში - თებერვალში 51- 51 ბენეფიციარს, მარტში – მაისში თითოეულ თვეში 54 ბენეფიციარს, ივნისში 53 - ბენეფიციარს, ივლისში - 47 ბენეფიციარს, სექტემბერში - 49 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 50 ბენეფიციარს, ნოემბერში - 49-ს და დეკემბერში-50 ბენეფიციარს.

- „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურებათა შემთხვევების რაოდენობამ შეადგინა: იანვარში – 74, თებერვალში – 147, მარტში – 87, აპრილში – 300, მაისში– 353, ივნისში– 638, ივლისში - 625, აგვისტოში -357, სექტემბერში - 342, ოქტომბერში - 475, ნოემბერში - 278, დეკემბერში - 253, მათ შორის:
  - ✓ სავარძელ–ეტლებით (მექანიკური) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტის შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში – 20, თებერვალში - 21, მარტში - 4, აპრილში - 157, მაისში - 71, ივნისში - 53, ივლისში - 68, აგვისტოში - 70, სექტემბერში - 47, ოქტომბერში - 70, ნოემბერში - 39 და დეკემბერში - 32;
  - ✓ სავარძელ–ეტლებით (ელექტრო) უზუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტიის ფარგლებში ივნისში დაფიქსირდა - 5 შემთხვევა, აგვისტოში - 8 შემთხვევა, სექტემბერში-17 შემთხვევა, ოქტომბერში - 11 შემთხვევა და დეკემბერში - 24 შემთხვევა;
  - ✓ საპროთეზო–ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში – 17, თებერვალში - 77, მარტში -38 შემთხვევა, აპრილში - 104 შემთხვევა, მაისში - 148 შემთხვევა, ივნისში - 159, ივლისში - 165 შემთხვევა, აგვისტოში - 59 შემთხვევა, სექტემბერში - 32 შემთხვევა, ნოემბერში - 135 შემთხვევა და დეკემბერში - 42 შემთხვევა;
  - ✓ ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურებების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა იანვარში - 2, თებერვალში - 10, მარტში - 8, აპრილში - 12, მაისში - 4, ივნისში - 23, ივლისში - 7, აგვისტოში - 5, სექტემბერში - 8 შემთხვევა, ოქტომბერში - 4 შემთხვევა, ნოემბერში - 2 შემთხვევა და დეკემბერში - 14 შემთხვევა;
  - ✓ კოხლეარული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა: იანვარში - 35, თებერვალში - 39, მარტში - 37 შემთხვევა, აპრილში - 27 შემთხვევა, მაისში - 25 შემთხვევა, ივნისში - 48 შემთხვევა, ივლისში - 4 შემთხვევა, სექტემბერში - 4 შემთხვევა,ოქტომბერში - 2, ნოემბერში - 9 შემთხვევა და დეკემბერში - 6 შემთხვევა;
  - ✓ სმენის აპარატები გაცემული იქნა მაისში - 105 შემთხვევა, ივნისში - 350 შემთხვევა, ივლისში - 380, აგვისტოში - 215 შემთხვევა, სექტემბერში - 234 შემთხვევა, ოქტომბერში - 388 შემთხვევა, ნოემბერში - 93 და დეკემბერში - 135 შემთხვევა;

- „მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 325 ბენეფიციარს, თებერვალში – 325 ბენეფიციარს, მარტში – 324 ბენეფიციარს, აპრილში - 319 ბენეფიციარს, მაისში - 325 ბენეფიციარს, ივნისში - 334 ბენეფიციარს, ივლისში - 326 ბენეფიციარს, აგვისტოში - 324 ბენეფიციარს, სექტემბერში -328 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 323 ბენეფიციარს, ნოემბერში - 321 ბენეფიციარს და დეკემბერში - 320 ბენეფიციარს;
- „მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 1 247 ბენეფიციარს, თებერვალში – 1 262 ბენეფიციარს, მარტში – 1270 ბენეფიციარს, აპრილში - 1 282 ბენეფიციარს, მაისში - 1 282 ბენეფიციარს, ივნისში -1 314 ბენეფიციარს, ივლისში - 1 316 ბენეფიციარს, აგვისტოში -

1 343 ბენეფიციარს, სექტემბერში - 1 359 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 1 349 ბენეფიციარს, ნოემბერში - 1 350 და დეკემბერში - 1 354 ბენეფიციარს;

- „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 177 ბენეფიციარს, თებერვალში – 177 ბენეფიციარს, მარტში – 186 ბენეფიციარს, აპრილში - 201 ბენეფიციარს, მაისში - 200 ბენეფიციარს, ივნისში - 198 ბენეფიციარს, ივლისში - 202 ბენეფიციარს, აგვისტოში - 201 ბენეფიციარს, სექტემბერში - 204 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 208 ბენეფიციარს, ნოემბერში - 215 ბენეფიციარს და დეკემბერში - 217 ბენეფიციარს;
- „დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 59 ბენეფიციარს, თებერვალში - 59 ბენეფიციარს, მარტში - 67 ბენეფიციარს, აპრილში - 62 ბენეფიციარს, მაისში - 54 ბენეფიციარს, ივნისში - 61 ბენეფიციარს, ივლისში - 57 ბენეფიციარს, აგვისტოში - 59 ბენეფიციარს, სექტემბერში -53 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 50 ბენეფიციარს, ნოემბერში - 56 ბენეფიციარს და დეკემბერში - 55 ბენეფიციარს;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში 113 ბენეფიციარს, თებერვალში – 115 ბენეფიციარს, მარტში – 107 ბენეფიციარს, აპრილში – 136 ბენეფიციარს, მაისში – 128 ბენეფიციარს, ივნისში - 131 ბენეფიციარს, ივლისში - 124 ბენეფიციარს, აგვისტოში - 102 ბენეფიციარს, სექტემბერში-115 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 98 ბენეფიციარს, ნოემბერში - 101 ბენეფიციარს და დეკემბერში - 102 ბენეფიციარს;
- „მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამის“ ფარგლებში მომსახურება გაეწია იანვარში - 29 ბენეფიციარს, თებერვალში - 29 ბენეფიციარს, მარტში - 31 ბენეფიციარს, აპრილში - 31 ბენეფიციარს, მაისში - 32 ბენეფიციარს, ივნისში - 40 ბენეფიციარს, ივლისში - 39 ბენეფიციარს, აგვისტოში - 37 ბენეფიციარს, სექტემბერში - 39 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 38 ბენეფიციარს, ნოემბერ - დეკემბერში 40 - 40 ბენეფიციარს;
- „ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში იანვარი-მარტში ბენეფიციართა მომსახურება არ განხორციელებულა. აპრილში მომსახურება გაეწია -9 ბენეფიციარს, მაისში - 61-ს, ივნისში - 10 ბენეფიციარს, ივლისში - 12 ბენეფიციარს, აგვისტოში - 8 ბენეფიციარს, სექტემბერში -13 ბენეფიციარს, ოქტომბერში - 11 ბენეფიციარს, ნოემბერში - 10 ბენეფიციარს და 8 დეკემბერში;
- „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში საანგარიშო პერიოში 44.0 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება იქნა გაწეული.

1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 35 02 04)

- პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). პროგრამის ფარგლებში: სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა დანამატი მიიღო სექტემბერში 51.5 ათასამდე პირმა, ოქტომბერში 59.5 ათასამდე პირმა, ნოემბერში 61.9 ათასზე მეტმა პირმა, დეკემბერში 63.5 ათასამდე პირმა, ხოლო სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი სექტემბერში 10.1 ათასზე მეტმა პირმა, ოქტომბერში 11.0 ათასზე მეტმა პირმა, ნოემბერში 11.5 ათასამდე პირმა, დეკემბერში 11.7 ათასზე მეტმა პირმა;
  სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 10.6 მლნ ლარი.

1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ -„სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების 832.7 ათასამდე შემთხვევა, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების - 274.1 ათასზე მეტი, კარდიოქირურგიის - 3 845, მშობიარობისა და საკეისრო კვეთის 48.4 ათასზე მეტი, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის - 50.5 ათასზე მეტი შემთხვევა, გეგმური ამბულატორიის 3 307 შემთხვევა.

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 677.6 მლნ ლარი.

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებები.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

- „კიბოს სკრინინგის“ კომპონენტის ფარგლებში სხვადასხვა სახის სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 62.4 ათასამდე ბენეფიციარს. მათ შორის: ძუძუს კიბოს სკრინინგი - 23.4 ათასზე მეტ, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 25.7 ათასზე მეტ, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 4.8 ათასამდე, პროსტატის კიბოს სკრინინგი - 8.4 ათასზე მეტ, ხოლო კოლონოსკოპიური სკრინინგი - 186 ბენეფიციარს;
- „საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტის“ კომპონენტის ფარგლებში (პროგრამის მიმწოდებელი - ა(ა)იპ „კახეთი-იონი“, პილოტი ხორციელდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით) საანგარიშო პერიოდში სკრინინგი (Pap–ტესტი) ჩაუტარდა 845 ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი 1.1 ათასზე მეტ, ბენეფიციარს, საშვილოსნოს ყელის კოლპოსკოპიური სკრინინგი 187 ბენეფიციარს;
- „ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში კონსულტაცია გაეწია 1-6 წლის ასაკის 1 260 ბავშვს; მათ შორის ჩატარდა ნევროლოგის კონსულტაცია, ძილის დარღვევების კვლევა - 1 260,

ნეიროფსიქოლოგიური კვლევები - 1 249, ეპილეფტოლოგიური და ელექტროფიზიოლოგიური კვლევები - 80;

- „ეპილეფსიის ადრეული დიაგნოსტიკის და პრევენციის“ კომპონენტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში სულ გამოკვლეულ იქნა 2 625 პაციენტი, პირველადი სკრინინგი-ნევროლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 2 625 პაციენტს, 2 065-ს ჩაუტარდა პირველადი ეპილეფტოლოგიური სკრინინგი, 1 618-ს ელექტროენცეფალოგრაფიული სკრინინგი, 1 614-ს ნეიროფსიქოლოგიური ტესტირება, ხოლო 1 642-ს ეპილეპტოლოგიური დასკვნითი დიაგნოსტიკა.

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

- მოსახლეობის მართვადი ინფექციებისგან დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ (სამშობიარო–1 წლამდე ასაკი) 54.4 ათასზე მეტი აცრა, ჰეპატიტი „B“ საწინააღმდეგოდ (სამშობიარო–1 წლამდე ასაკი) 51.4 ათასზე მეტი აცრა, პოლიომიელიტის საწინააღმდეგოდ (2 თვე–15 წლამდე ასაკი) 99.6 ათასამდე აცრა, ჰექსა ვაქცინით (დყტ+ჰეპB+ჰიბ+იპ) (2 თვე–2 წლამდე ბავშვები) 156.0 ათასზე მეტი აცრა, დიფთერია, ტეტანუსის საწინააღმდეგოდ (1–6 წელი) ჩატარებულია 52.4 ათასზე მეტი აცრა, ტეტანუსი–დიფთერიის საწინააღმდეგოდ (7–14 წელი) 29.4 ათასზე მეტი აცრა, წითელა, წითურა, ყბაყურას საწინააღმდეგოდ (1–14 წელი და უფროსი) ჩატარებულია 110.1 ათასზე მეტი აცრა, როტას საწინააღმდეგოდ (12–24 კვირა) ჩატარებულია 84.1 ათასზე მეტი აცრა, პნევმოკოკური ვაქცინით (2 თვე-2 წლამდე) ჩატარებულია 146.2 ათასზე მეტი აცრა;
- საანგარიშო პერიოდში ანტიდიფთერიული შრატი–დახარჯულია 2 კომპლექტი, აღინიშნა დიფთერიის 1 შემთხვევა; ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატი (ადამიანის) – დახარჯულია 135ფლაკონი, აღინიშნა ტეტანუსის 5 შემთხვევა; გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი გახარჯულია 17 ფლაკონი; ანტიბოტულინური შრატი დახარჯულია: „A“ ტიპი – 20, „B“ ტიპი –20, „E“ ტიპი - 20 კომპლექტი, დაფიქსირებულია ბოტულიზმის 10 შემთხვევა; ანტირაბიული იმუნოგლობულინი მოხმარდა – 10.4 ათასზე მეტ ბენეფიციარს, რაზეც დაიხარჯა 24 229 ფლაკონი იმუნოგლობულინი. ანტირაბიული ვაქცინით აცრა ჩაუტარდა - 54.1 ათასზე მეტ ბენეფიციარს, დაიხარჯა 182 302 დოზა ვაქცინა, ცოფის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინა გაუკეთდა-691 ბენეფიციარს, დაიხარჯა 698 დოზა;
- სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილ იქნა მიღებული მედიკამენტების, შპრიცების, ვაქცინებისა და შრატების გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

- ცენტრის ლაბორატორიაში განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების რეგიონებიდან/რაიონებიდან შედეგების 15% გადამოწმება (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) და აგრეთვე პრეპარატების ხარისხის რეგულარული კონტროლი. სულ შემოსულია 226 პრეპარატი, ყველა მათგანის შედეგი იყო უარყოფითი; მალარიოგენულ ტერიტორიებზე ფუნციონირებადი სჯდ ცენტრების მიერ გამოკვლეულ იქნა მალარიაზე საეჭვო კლინიკური ნიშნების მქონე 1 560 ავადმყოფის სისხლი, დაავადებაზე დადებითი შემთხვევები არ გამოვლენილა; დაფიქსირდა მალარიის 7 შემთხვევა შემოტანილი აფრიკიდან;
- „მალარიისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკის და კონტროლის გაუმჯობესების“ კომპონენტის ფარგლებში, მალარიის კერებში გადამტანის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად, მალარიოგენული ტერიტორიების დამუშავების მიზნით, 14 მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გადაეცა ინსექტიციდები და

შესაბამის სეზონებში (I ეტაპი - მაისი-ივნისი; II ეტაპი - აგვისტო-სექტემბერი) განხორციელდა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დამუშავება. I- II ეტაპებზე დამუშავდა დასახული მიზნის 92%;

- ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 269 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა; „ვირუსული დიარეების კვლევის“ ფარგლებში სულ განხორციელდა მწვავე დიარეის დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ 0-14 წლის ბავშვთა 235 შემთხვევის ფეკალის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევა და შედეგად დადებითი გამოვლინდა: როტავირუსზე – 37 ნიმუში, ნოროვირუსზე - 28, ადენოვირუსზე - 7 ნიმუში. WHO-ს პროექტში ჩართული საყრდენი ბაზიდან მოწოდებული 613 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგად ნოროვირუსზე დადებითი გამოვლინდა 89, ხოლო ადენოვირუსზე - 17 ნიმუში.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

- პროგრამაში ჩართულ სისხლის ბანკებში განხორციელდა 80.5 ათასამდე დონაცია, მათგან 20.3 ათასზე მეტი იყო უანგარო დონორი. დონორული სისხლის ნიმუშების კვლევისას გამოვლინდა აივ-ინფექცია/შიდსზე სავარაუდო დადებითი 85 შემთხვევა, „C‘ ჰეპატიტზე სავარაუდო - 876, „B“ ჰეპატიტზე - 634, ხოლო სიფილისზე კვლევისას 352 სავარაუდო შემთხვევა.

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

- პროგრამის ფარგლებში 5 საწარმოებში ჩატარდა ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური კვლევები;

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

- პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში 19.6 ათას ბენეფიციარს გაეწია შესაბამისი მომსახურება, დაფინანსდა - 18.3 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

- საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 42.0 ათასზე მეტი ამბულატორიული მომსახურების შემთხვევა, მომსახურება გაეწია 21.0 ათასზე მეტ პაციენტს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია 2.1 ათასზე მეტ პირს და დაფიქსირდა 99.8 ათასზე მეტი შემთხვევა;
- ლაბორატორიული კონტროლის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 43.3 ათასამდე ბაქტერიოკოპული კვლევა; სადიაგნოსტიკო კვლევა 20.7 ათასზე მეტი, ხოლო ქიმიოკონტროლი - 22.5 ათასზე მეტი, ჩატარებული ბაქტერიოლოგიური (კულტურალური) კვლევების რაოდენობა - 14.6 ათასზე მეტი, ანტიბიოტიკომგრძნობელობა I რიგის - 3 332, ანტიბიოტიკომგრძნობელობა II რიგის 943.

1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურების 46.6 ათასამდე შემთხვევა და სტაციონარული მომსახურების 717 შემთხვევა. ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 3.6 ათასზე მეტმა პირმა, ხოლო სტაციონარულით - 534-მა პირმა;

- ჩატარდა 42.9 ათასამდე სკრინინგული გამოკვლევა, მათგან გამოვლინდა 868 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 750. ასევე ჩატარდა 32.1 ათასზე მეტი ტესტის წინა და 31.7 ათასამდე ტესტის შემდგომი კონსულტაცია, 853 კონფირმაციული კვლევა იმუნოფერმენტული (ELISA) და 85 კონფირმაციული კვლევა პოლიმერიზაციის ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდით.
- პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირების აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია და გამოკვლევა სკრინინგული მეთოდებით ჩაუტარდა 7 500 პატიმარს, მათგან გამოვლინდა აივ-ინფექციაზე საეჭვო 17 შემთხვევა და კონფირმაციული მეთოდით დადასტურდა 15 შემთხვევა.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობით გათვალისწინებული 158.7 ათასზე მეტი ვიზიტი;
- ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის კომპონენტის ფარგლებში გამოკვლეული იქნა 55.9 ათასზე მეტი ახალშობილი (57.5 ათასზე მეტი შემთხვევა);
- გენეტიკური პათოლოგიების გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 4.5 ათასზე მეტი ორსულის სკრინინგული გამოკვლევა;
- დაფიქსირდა მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის 2 482 შემთხვევა (2 183 ბენეფიციარი);
- B ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე სწრაფი-მარტივი ტესტ-სისტემებით გამოკვლეულ ორსულთა რაოდენობა შეადგენს 1.5 ათასზე მეტ ორსულს. ,,B“ ჰეპატიტზე დაკონფირმირდა 986 ორსულის სისხლის ნიმუში, ხოლო სიფილისზე - 587 ორსულის სისხლის ნიმუში. „B“ ჰეპატიტის იმუნოგლობულინი გაუკეთდა 799 ბენეფიციარს;
- ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში, ქ. თბილისის სამშობიარო სახლებში პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 23.0 ათასზე მეტ ახალშობილს. სმენის მეორადი სკრინინგი ჩაუტარდა 1 346 ახალშობილს, ასევე ტიმპანომეტრია ჩაუტარდა 1 346 ახალშობილს, კომპიუტერული აუდიომეტრული გამოკვლევა - 10 ახალშობილს.

1.2.2.10 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

- ჩანაცვლებითი თერაპიით მომსახურება გაეწია 4.4 ათასზე მეტ ბენეფიციარს, ხოლო სტაციონარული დეტოქსიკაციითა და რეაბილიტაციით ისარგებლა 441 პაციენტმა;
- ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურებით ისარგებლა 508-მა პირმა.

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

- განხორციელდა ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიისათვის (გადამზადდა 301 პჯდ სპეციალისტი); თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის დარღვევების იდენტიფიკაციასა და რეაგირებაზე პასუხისგებელი სტრუქტურების წარმომადგენლების ტრენინგი (გადამზადდა შსს-ს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 100-მდე წარმომადგენელი); თამბაქოს ცხელი ხაზის ოპერატორების ტრენინგი კონსულტირების თანამედროვე მეთოდოლოგიის შესახებ;
- განხორციელდა თამბაქოს მოხმარების აკრძალვის/შეზღუდვის განხორციელების ობსერვაცია შერჩევითი პრინციპით შერჩეულ დაწესებულებებსა (სამედიცინო, საგანმანათლებლო, საჯარო,

სახელმწიფო კერძო და სამასპინძლო დაწესებულებები) და სავაჭრო ობიექტებში თბილისსა და სხვადასხვა რეგიონის დიდ ქალაქებში

- დასრულდა ეროვნული რაოდენობრივი კვლევა (KAPS) თამბაქოსა და მასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების და ჯანმრთელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ. სულ, საქართველოს მასშტაბით გამოიკითხა 2,481 ადამიანი. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება შემდგომი ინტერვენციების დასაგეგმად მოსახლეობის ქცევითი ფაქტორების გავრცელების მოდიფიცირების მიზნით და საბაზისო მონაცემთა მისაღებად, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედება ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის (ან/და ნებისმიერი ინტერვენციის) შეფასების სისტემას კვლევის დროს ასევე განხორციელდა მასალების გავრცელება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულირიზაცია ქვეყნის მასშტაბით. კვლევის პირველადი ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობდა კვლევის ანგარიშის შემუშავება.
- მომზადდა ინტერაქტიული ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია ჯანმრთელობის ხელშეწყობის თემატიკაზე, რომლის მიზანია ჯანმრთელობის საკითხებზე და ჯანმრთელობის ქცევით რისკ-ფაქტორებზე საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ჯანმრთელობის ხელშეწყობის საკითხების და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. ინტერაქტიულ ვებ-გვერდზე, ასევე განთავსებული იქნება სხვადასხვა ლოგარითმები, საგანმანათლებლო ვიდეოები, საგანმანათლებლო მასალები და ა.შ.
- მომზადდა ანტენატალური მეთვალყურეობის მობილური აპლიკაცია;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაციისა და გაძლიერების კომპონენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის ქვეკომპონენტის ფარგლებში თბილისში ჩატარდა თვისობრივი კვლევა 13 ფოკუს ჯგუფში შემდეგ მიმართულებაზე ფოკუსირებით: დედათა და ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობა; მენტალურ ჯამრთელობასთან დაკავშირებული სტიგმის, დისკიმინაციისა და სოციალურ იზოლაციის დაძლევის ხელშეწყობა; მენტალური პრობლემების პრევენცია, დროული გამოვლენა და მართვა დარგის სპეციალისტებისა და პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ. მომზადდა თვისობრივი კვლევის საბოლოო ანგარიში რეკომენდაციებით. კვლევის შედეგები გამოყენებულ იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის საგანმანათლებლო კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

- საანგარიშო პერიოდში დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 21.7 ათასზე მეტმა პირმა, დაფიქსირდა 52.8 ათასზე მეტი შემთხვევა.
- სკრინინგული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში:
  - ✓ შესყიდულ იქნა 260.0 ათასი ცალი C ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო სწრაფი-მარტივი ტესტი და შესაბამისი ლაბორატორიული სახარჯი მასალა;
  - ✓ ხელშეკრულება გაფორმებული იქნა (ტესტები და სახარჯი მასალები გაიცა) - 542 სამედიცინო დაწესებულებასთან/ფიზიკურ პირთან;
  - ✓ დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა ცენტრის ლაბორატორიებისა და გამსვლელი ბრიგადებით - 70211 ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 12.8 ათასზე მეტი (18,3%);

- ✓ დასკრინულ ბენეფიციართა რაოდენობა დაკონტრაქტებული დაწესებულებების მიერ - 18.9 ათასი ბენეფიციარი, მათგან საეჭვო დადებითი აღმოჩნდა 1 405 (7.8%);
- 2016 წელს ჯამში მკურნალობაში ჩაერთო 25 000 მდე პაციენტი.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

- პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობა სპეციალიზებული დახმარებით; დიაბეტით დაავადებული პაციენტები მკურნალობითა და მედიკამენტებით; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტები დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით; ინკურაბელური პაციენტები მკურნალობითა და მედიკამენტებით; იშვიათი დაავადებები პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით; სასწრაფო სამედიცინო დახმარებით, სამედიცინო ტრანსპორტირებითა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით; რეფერალური დახმარებით; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმებით;
- არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო–გადაუდებელ შემთხვევებში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

- ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 433-მა ბავშვმა, ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 88-მა პაციენტმა, ხოლო ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურებით ისარგებლა 23.3 ათასზე მეტმა პაციენტმა, ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენციის კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაეწია 555 პაციენტს;
- ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების ფარგლებში მომსახურება ჩაუტარდა 5.2 ათასზე მეტ ბენეფიციარს, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტით ისარგებლა 111 პირმა, დაფიქსირდა 36 090 საწოლ/დღე.

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ 903 დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა, ხოლო სპეციალიზირებული ამბულატორიული დახმარებით ისარგებლა 5.4 ათასზე მეტმა პაციენტმა.

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების 17.1 ათასზე მეტი შემთხვევა, ისარგებლა 133-მა ბენეფიციარმა.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

- ჰემო და პერიტონეული დიალიზით მკურნალობის პროგრამაში ჩართული იყო 2.9 ათასამდე პაციენტი; მათ შორის ჰემოდიალიზით ისარგებლა 2 740 ბენეფიციარმა და დაფიქსირდა 320.9 ათასზე მეტი შემთხვევა; პერიტონეული დიალიზით ისარგებლა 120-მდე პაციენტმა და დაფიქსირდა 1.1 ათასზე მეტი შემთხვევა;
- დაფიქსირდა თირკმლის ტრანსპლანტაციის 22 შემთხვევა;
- განხორციელდა ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

- ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 17.4 ათასზე მეტი ვიზიტი, 895 პაციენტს გაეწია შესაბამისი მომსახურება;
- ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატური მზრუნველობის კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 9.3 ათასზე მეტი საწოლ-დღე, მომსახურება გაეწია 1007 პაციენტს.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

- ამბულატორიული მომსახურება გაეწია 193 ბავშვს;
- სტაციონარული მომსახურება გაეწია იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის 496 ბავშვს (732 შემთხვევა),
- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა გაეწია 211 პაციენტს, დაფიქსირდა 4.9 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.7 სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

- პროგრამის ფარგლებში სამედიცინო ტრანსპორტირების - რეფერალური დახმარება გაეწია 17.9 ათასზე მეტ პაციენტს. დაფიქსირდა 21.0 ათასამდე შემთხვევა;
- ცენტრის მართვაში არსებული ბრიგადების რაოდენობა 31 დეკემბრის მდგომარეობით 206 ერთეულს შეადგენდა (გარდა ბათუმი/ხელვაჩაურის 13 ბრიგადისა); ზაფხულის თვეებში, ზღვის სეზონთან დაკავშირებულ გამოძახებათა სიმრავლის გამო ქობულეთის რაიონს დაემატა 1 ბრიგადა და სეზონის დასრულების შემდეგ მოხდა მისი მოკლება. ამასთანავე, შპს მთის კურორტების განვითრების კომპანიის მომართვის საფუძველზე, 2016-2017 წლის ზამთრის სამთო-სათხილამურო სეზონის განმავლობაში, სამთო-სათხილამურო კურორტების სპეციფიკაციებისა და შესაძლო ტრავმების შემთხვევების გათვალისწინებით ბაკურიანის, სვანეთისა და გოდერძის კურორტებზე დეკემბრის

თვიდან მოხდა, ერთის მხრივ, სსდ ცენტრის ბრიგადების განთავსება და, მეორეს მხრივ, მომსახურების შესყიდვა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელი კომპანიისგან.

- ნოემბერში სასწრაფო გადაუდებელი დამარების პროგრამას დაემატა ახალი კომპონენტი „საგანგებო სიტუაციებისა და სპეციალური ოპერაციების დროს სასწრაფო სამედიცინო მოსმხურების მიწოდებისათვის მზაობის უზრუნველყოფა/შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი სამედიცინო ბრიგადი თანხლება და გადაუდებელი სამედიცინო დამხარების უზრუნველყოფა“;
- ივნისიდან მიმდინარეობდა ცენტრის ბრიგადის წევრთა (ექიმი, მედდა, მძღოლი) ტრენინგები, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების დროული და ხარისხიანი მომსახურების გასაუმჯობესებლად. გადამზადება გაიარა 566-მა ექიმმა: 1) 456 ექიმმა (ტრავმული პაციენტების სტაბილიზაცია და ტრანსპორტირება), 473 ექიმმა (გადაუდებელი კარდიოლოგიური დახმარება), 363-მა - ორივე კურსი, 190-მა ექთანმა (გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კურსი ექთნებისთვის) და 145-მა მძღოლმა (პირველადი სამედიცინო დახმარება);
- სასწრაფო სამედიცინო ავტომობილები და ბრიგადები აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით;
- საანგარიშო პერიოდში ცენტრმა მიიღო და შეასრულა 699 011 გამოძახება;

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

- სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილი არიან პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა). ასევე გათვალისწინებულია სპეცდაფინანსება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის;
- პროგრამის ფარგლებში კონტრაქტით აყვანილია 1 282 ექიმი და 1 542 ექთანი;

სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში გადარიცხულ იქნა 24.9 მლნ ლარი.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

- პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა სტიქიური უბედურებების, კატასროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და სხვა განსაზღვრულ შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების 10.6 ათასზე მეტი შემთხვევა, მომსახურება გაეწია 6.3 ათასამდე პაციენტს.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

- პროგრამის ფარგლებში ამბულატორიულიად გამოკვლეულ იქნა 16.1 ათასზე მეტი წვევამდელი. ჩატარდა 1 407 წვევამდელის დამატებითი სტაციონარული გამოკვლევა.

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

- პროგრამაში ჩართული 28 მაძიებელი აგრძელებს სწავლას პროგრამის ფარგლებში.

1.3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“.

1.3.1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 35 01 01)

- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება.

1.3.2 სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 02)

- მიმდინარეობდა სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი. პროგრამის ფარგლებში, მონიტორინგი ჩაუტარდა 70 სამედიცინო დაწესებულებას; შემოწმდა 482 სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხი. სამედიცინო დაწესებულებებში შესწავლილ იქნა სალიცენზიო, სანებართვო და ტექნიკური რეგლამენტის პირობები. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია გაცემულ იქნა 15 დაწესებულებაზე, სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზია გაიცა 1 დაწესებულებაზე;
- საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 181 სააკრედიტაციო განაცხადი; განხორციელდა 63 სააკრედიტაციო ვიზიტი, ადგილზე შესწავლილ იქნა 253 დაწესებულება, მათ შორის 211 აფილირებული დაწესებულება;
- გაცემულ იქნა 237 ნებართვა ავტორიზებულ აფთიაქზე და ფარმაცევტულ წარმოებაზე. რეალიზაციის უფლება მიეცა 1 566 აფთიაქს. გაუქმდა 323 ფარმაცევტული დაწესებულება;
- მომზადდა და გაიცა 268 წინასწარი შეთანხმების დოკუმენტი, მათ შორის ნარკოტიკულ საშუალებებზე - 29; ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე - 156 და ექსპორტზე - 8, პრეკურსორების იმპორტზე - 75, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების იმპორტზე - 1;
- ფარმაცევტული პროდუქტის ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია გაიარა 1 378-მა ფარმაცევტულმა პროდუქტმა. ეროვნული რეჟიმით რეგისტრაცია-აღნუსხვა გაიარა 573-მა პროდუქტმა. უარი ეთქვა 344 ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციას და/ან ცვლილებას. აღიარებითი რეჟიმით დარეგისტრირდა 600 პროდუქტი. გაკეთდა 1 606 განსხვავებული შეფუთვა-მარკირებით შემოტანის შეტყობინება. უარი ეთქვა შეფუთვა-მარკირებით შემოტანის 577 შეტყობინება;
- სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციით, შენიშვნა მიეცა 120 სამართალდამრღვევს, საქმე შეწყდა 17 შემთხვევაში, 32 შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს, დაჯარიმდა - 457 სამართალდამრღვევი;

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ლაბორატორიული ანალიზისთვის გადაეგზავნა 169 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი;
- კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთმეული იქნა 84.4 ათასზე მეტი ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევით არსებული ფარმაცევტული პროდუქტი;
- პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ განხილულ იქნა 123 ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი.

1.3.3 დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (პროგრამული კოდი 35 01 03)

- მიმდინარეობდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;
- უზრუნველყოფილია ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა;
- განხორციელდა ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა;
- მიმდინარეობდა იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და მისი განხორციელების ზედამხედველობა.

1.3.4 სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01 04)

- მიმდინარეობდა სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირება, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავება და მართვა;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სოციალური დახმარების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;
- მიმდინარეობდა ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად აყვანის, შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის წარმართვა და კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება.
- განხორციელდა მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.

1.3.5 სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 05)

- ტრეფიკინგის მსხვერპლებს გაეწიათ სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება, მათ შორის: ფსიქოლოგიური მომსახურება - 1 პირს, სამედიცინო - 1 პირს, კანონიერი ინტერესების დაცვა და წარმომადგენლობა - 6 პირს, პირადი კონსულტაცია გაეწია 2 პირს;
- ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის მოქმედებს ცხელი ხაზი, რომლის მომსახურებით ისარგებლა 123-მა მოქალაქემ.
- მიმდინარეობდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით მომსახურება:
    - ✓ თავშესაფრების მომსახურებით ისარგებლა ოჯახში ძალადობის 103-მა სრულწლოვანმა, 8 არასრულწლოვანმა და 149 დამოუკიდებელმა პირმა;

- ✓ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს გაეწიათ შემდეგი სახის დახმარებები: სამედიცინო – 140 ბენეფიციარს, ფსიქოლოგიური - 146 ბენეფიციარს, იურიდიული დახმარება – 94 ბენეფიციარს, ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 41 მოქალაქეს;
- ✓ სასამართლოში წარსადგენად მომზადდა 4 სარჩელი ქონებრივ დავასთან დაკავშირებით, 9 სარჩელი განქორწინებისა და ალიმენტის დანიშვნის თაობაზე, სისხლის სამართლის საქმეზე წარმომადგენლობა განხორციელდა - 5 ბენეფიციარზე;
- ✓ 24 საათიანი ცხელი ხაზის მომსახურებით ისარგებლა 1 419-მა მოქალაქემ.

- მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა; სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციონალური პატრონაჟი – მოვლა-პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღეღამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები. შესაბამისი მომსახურებით უზრუნველყოფილი იქნა 499 ბენეფიციარი;
- მიმდინარეობდა სისტემური შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან; სატელევიზიო და ბეჭდური მედიის გამოყენებით აქტიურად მიმდინარეობდა ტრეფიკინგის პრევენციული საქმიანობა, ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრებით და სხვა სერვისებით უზრუნველყოფა.

1.3.6 სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 01 06)

- მიმდინარეობდა მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა);
- ცენტრის სადისპეჩეროში დამონტაჟდა 20 ერთეული დამატებითი მონიტორი, ასევე, მოხდა სადისპეჩეროს აღჭურვა ორ ბარათიანი მობილური ტელეფონებით, კავშირის ალტერნატიული საშუალების არსებობისათვის;
- ცენტრისა და რაიონული სამსახურების ქსელური ინფრასტრუქტურის განვითარების, საქმიანობის გაუმჯობესებისა და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებით მოხდა სერვერებისა და ინფორმაციის მიღება-გაცემის საშუალებების (როუტერი) შესყიდვა;
- სეზონურად გავრცელებული გრიპის ვირუსის გამო, მოხდა გამოძახებათა მზარდი რაოდენობის (საშუალო ზრდა - 34%) ორგანიზებული მართვა.
- ცენტრის საკუთრებაში არსებულ ეროვნულ სასწრავლო სამედიცინო ცენტრს მიენიჭა აკრედიტაცია მედ-პერსონალისა და მძღოლებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის გადასამზადებელი პროგრამების განსახორციელებლად; მოხდა ტრენინგებისათვის საჭირო შესაბამისი სამედიცინო მოწყობილოებებისა და ინვენტარის შეძენა; ივლისიდან დაიწყო ცენტრის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამით ბრიგადების წევრთა გადამზადება;

1.4 სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- მიმდინარეობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა, პენსიონერთა და მათი ოჯახის წევრთა, დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ასევე, საჭიროების შემთხვევაში ხორციელდებოდა მათი ამბულატორიული და სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; ,,მოსამსახურეების" საბაზისო სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; ტარდებოდა პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი, ასევე შასაბამისი ღონისძიებები ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- სხვადასხვა რეაბილიტაციის ცენტრში 130 დაშავებულმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ თანხმლები პირებით (65 პირი) გაიარა რეაბილიტაციის კურსი. 3 დაშავებულ/ამპუტირებულ პირს ჩაუტარდა რეპროთეზირება;
- საქართველოს შეიარაღებული ძალების 187 სამხედრო მოსამსახურეს სამხედრო ქალაქში საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინები.
- საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით დაიწყო საპილოტე პროექტის განხორციელება ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. ამ ეტაპზე კურსში ჩართულია 12 დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურე. დაჭრილ/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლებისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის მიზნით 2 დაჭრილი სამხედრო მოსამსახურე ჩაერთო სსიპ „კიბერუსაფრთხოების ბიუროს" მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსში;
- ქალაქ ორლანდოში (აშშ) გაიმართა „ძლიერთა თამაშები" (INVICTUS GAMES 2016), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 14 დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ. იტალიაში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი პარაფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა სამხედრო მოსამსახურემ, ხოლო გერმანიაში გაიმართა რიოს ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო შეჯიბრება კანოე-კაიაკში, სადაც მონაწილეობა მიიღო ორმა დაჭრილმა სამხედრო მომსამსახურემ.
- ს

სამშენებლო სამუშაოები (ნაწილობრივი დაფინანსება), ასევე, დაბა-ხარაგაულისა და დაბა ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოების სამშენებლო სამუშაოები და საავადმყოფოს ფუნქციონირებისათის საჭირო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიაციების მოწყობა;

- მიმდინარეობს სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა;
- დასრულდა სს ,,ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის" ბავშვთა კორპუსის სამშენებლო სამუშაოები და საავადმყოფოს ფუნქციონირებისათის საჭირო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ტექნიკის და ავეჯის შესყიდვა;
- სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის შეძენილ იქნა სატვირთო (დახურული ტიპის) მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანა; ასევე, მაღალი გამავლობის ავტომანქანა გადაკეთდა რეანიმობილად და შეძენილ იქნა აღჭურვისათვის საჭირო აპარატურა.
- შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ფუნქციონირებისათვის შეძენილ იქნა სამედიცინო მოწყობილობები;
- დაფინანსდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის (EMERGENCY) მშენებლობისა და ცენტრისათვის შესყიდულ იქნა ავეჯი (საოფისე), საოჯახო ტექნიკა და ინვენტარი, გარე კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები;
- დაფინანსდა ქ. ზუგდიდში სკრინინგ-ცენტრის მშენებლობის საპროექტო, სამშენებლო სამუშაოები და ავეჯის, საოჯახო ტექნიკისა და ინვენტარის, ასევე, საოფისე ავეჯის შესყიდვა და გარე კომუნიკაციების მოწყობა;
- განხორციელდა სს ,,ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრის" ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობებით აღჭურვა.

1.6 სსიპ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (პროგრამული კოდი 54 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური;

- ორგანიზება გაეწია ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას.
- გატარებულ იქნა ღონისძიებები ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით.
- შემუშავდა და განხორციელდა ჰოსპიტალური და რეაბილიტაციის პროგრამები. გაიმართა შეხვედრები საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით.
- მოძიებულ და შეგროვებულ იქნა შესაბამისი მასალები სამსახურის ვებ გვერდისა და ბროშურა „ვეტერანი“-სთვის.
- პატრიოტულ თემაზე მოეწყო ლექციები ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს დაწესებულებებში.
- თბილისის მერიის, მთავრობის კანცელარიისა და ვეტერანების სამსახურის ორგანიზებით ფაშიზმზე გამარჯვების 71-ე წლისთავის აღსანიშნავად გამარჯვების პარკში გაიმართა შესაბამისი ღონისძიებები.
- გატარდა რიგი ღონისძიებები ვეტერანების რეგისტრაციის ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღრიცხვიანობის გაუმჯობესების მიზნით.

- გაფორმდა მემორანდუმები სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების შეღავათიანი პირობებით მომსახურებაზე.

1.7 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- განხორციელდა სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობისი ინსპექტირება. შრომის ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მიერ შემოწმდა 96 კომპანიის 187 ობიექტი. შემოწმების შედეგად დამსაქმებლებს მიეცათ წერილობითი რეკომენდაციები გამოვლენილი დარღვევების აღკვეთასთან დაკავშირებით.
- მიმდინარეობდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა და ამ დაწესებულებების მიერ განხორციელებადი მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების რეესტრის“ პროექტზე მუშაობა;
- მომზადდა შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-პორტალის ნიმუში, რომელიც წლის ბოლომდე დასრულდება;
- შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემაში worknet.gov.ge.-ზე დარეგისტრირებულია 70 123 სამუშაოს მაძიებელი;
- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ცენტრების მიერ ინდივიდუალური კონსულტაცია გაეწია 3 072 სამუშაოს მაძიებელს. ჯგუფური კონსულტაციებში პირველადი მონაცემებით მონაწილეობა მიიღო 1 277 სამუშაოს მაძიებელმა: მათ შორის შშმ პირი - 4, იძულებით გადაადგილებული პირი - 430, პრობაციონერი – 9;
- საშუამავლო მომსახურების გაწევის მიზნით 597 დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილ იქნა 3 980 (მათ შორის სისტემაში დარეგისტირებულია 2312) სამუშაო ადგილი. ვაკანსიების ფარგლებში შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2 899 სამუშაოს მაძიებელი. სულ საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმდა 216 პირი;

1.8. შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

- გაწეულ იქნა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაჭრილი მოსამსახურეების მკურნალობა, მათი ჯანმრთელობის რეაბილიტაცია, აგრეთვე სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირების მიზნით ხორცილედებოდა ბენეფიციართა (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა) დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება;

- დადგენილი წესით ჩატარებულ იქნა სამხედრო-საექიმო კომისიები.
- ექიმებთან მიღება გაიარა 83 826 პაციენტმა, სტომატოლოგიური მკურნალობა ჩაუტარდა 6 739 პაციენტს, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 3 759 გამოკვლევა, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის კაბინეტში ჩატარდა 5 467 გამოკვლევა, ფიზიოთერაპიულ კაბინეტში ჩატარებულ იქნა 15 574 პროცედურა, რენტგენოლოგიურ კაბინეტში მიღებულ იქნა 15 920 პაციენტი, ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარდა 36 089 პაციენტს, საინექციო კაბინეტში ჩატარდა 3 638 პროცედურა, მასაჟის კაბინეტში მიღებულ იქნა 4 750 პაციენტი, სულ კომისია გაიარა 3 851 პირმა, სტაციონარული სამედიცინო მკურნალობა გაიარა 1 306-მა პირმა.

1.9 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 57 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

- საანგარიშო პერიოდში სოლიდარობის ფონდმა ფინანსური მხარდაჭერა გაუწია სიმსივნით დაავადებული და სისხლმბადი სისტემის იშვიათი დაავადებების მქონე 22 წლამდე ასაკის 225 ბავშვსა და ახალგაზრდას. აღნიშნული მხარდაჭერა მოიცავდა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტის ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის დაფინანსებას საქართველოში 119 შემთხვევაში, ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურებას საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში და ასევე ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსებას როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ 106 შემთხვევაში.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2.1. საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია

  - მიმდინარეობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი და სხვა სამსახურების მიერ გამოვლენილი დანაშაულისა თუ სამართალდარღვევების ცენტრალიზებული აღრიცხვა, ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი;
  - სისტემატიურად გაიცემოდა სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციები სხვადასხვა სამსახურებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად. პერმანენტულად მიმდინარეობდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაგროვება და ანალიზი ოჯახურ კონფლიქტებთან და ძალადობებთან, საგზაო - სატრანსპორტო შემთხვევებთან, ნარკოდანაშაულთან ბრძოლასთან დაკავშირებით და სხვა. სტატისტიკისა და კრიმინალური სოციოლოგიის განყოფილებაში აღირიცხა 1 217 542

ადმინისტრაციული ოქმი, საკადრო შემოწმება გაიარა 91 546 პირმა, გაიცა ცნობა ნასამართლეობაზე – 128 990, ნასამართლეობაზე შემოწმდა და ოპერატიული შემოწმება გაიარა 81 300 პირმა, განხორციელდა 34 878 პირის იდენტიფიცირება, ინფორმაციულ ბაზასთან მიმართებაში ჩატარებულია 5 500-მდე სხვადასხვა ოპერაცია, ასევე სისტემატურად ხორციელდებოდა მონაცემთა ბაზაში არსებული შეცდომების აღმოჩენა და სათანადო დანაყოფებისთვის გადაგზავნა შემდგომი რეაგირების მიზნით;

- გაციცა ერთჯერადი პაროლის გენერაციის მოწყობილობები (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამსახურებრივ რესურსებზე წვდომის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით) – 1 863 ერთეული;
- საერთაშორსიო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ევროპის სხადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან;
- საზოგადეობის ცნობიერების ამაღლების და დანაშაულის პრევენციის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებები;
- სამინისტროს შესაძლებლობების შემდგომი განვითარების მიზნით შეიქმნა - ერთობლივი ოპერაციების ცენტრი;
- პოლიციის საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა დნმ ბანკის შექმნასთან დაკავშირებით. შსს საექსპერტო–კრიმინალისტიკური დეპარტამენტის თანამშრომლები სასწავლო ვიზიტებით იმყოფებოდნენ ბელორუსის და ლატვიის საექსპერტო დაწესებულებების დნმ ლაბორატორიებში. ვიზიტის მიზანი იყო საუკეთესო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი დამაგეგმარებელი სამუშაოების წარმოება;
- პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერების კონცეეფციის შემუშავების მიზნით მომზადდა აღნიშნული კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმის პროექტი და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელი;
- ორმხრივი ხელშეკრულებებისა და ნაცვალგების პრინციპის საფუძველზე პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან და პოლიციის ატაშეებთან განხორციელდა სამუშაო შეხვედრები, რომლის დროსაც გაიწერა სასწავლო პროგრამები და დაიგეგმა ვიზიტები;
- მიმდინარეობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მაქსიმალური კონტროლი და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოვლენა და აღკვეთა;
- ხელი შეეწყო სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას, მცურავი საშუალებების მეშვეობით ტარდებოდა საქართველოს საზღვაო სივრცეში სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი, სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;
- უზრუნველყოფილ იქნა საქართველოსა და უცხო ქვეყნის გემების საქმიანობის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოება, განხორციელდა ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციები, ნავსადგურის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი, ზღვის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების დაცვა;
- რთული მეტეოპირობების მიუხედავად სრულყოფილად ტარდებოდა სამძებრო-სამაშველო ოპერაციები დღისით და ღამით;
- რეაბილიტირებულ იქნა ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობები , ასევე მიმდინარეობდა ახალი შენობების მშენებლობა, შესაბამისი ღონისძიებები იყო გატარებული ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად.
- „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პროექტი“-ს ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონიძიებები, მათ შორის საგზაოშორის ონიძიებებირთხოების პროექტი“-ს ფარგლებში განხორციელდა ის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნადა

საინფორმაციოონიძიებებირთ და გამოცხადებულ იყო იყოცხადებულბში იებებირთხოების პროექტი“-ს ფარგლებში განხორცილედა ის მონიტორინგი, ზღარასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მოზარდთა ცნობიერების განვითარების მიზნით როგორც თბილისის, ისე რეგიონების საჯარო და კერძო სკოლებში მიმდინარეობდა საგანმანათლებლო პროექტი „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის".

2.2. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების მხარდაჭერა და შესაძლებლობების განვითარება (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

- შემუშავდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმა 2016-2017;
- დამტკიცდა თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო, რომლის მიზანია განსაზღვროს მითითებები და რეკომენდაციები პროგრამის კოორდინატორებისა და მენეჯერებისათვის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტის ეფექტიანი შემუშავების მიზნით;
- მიმდინარეობდა მუშაობა დაზვერვის დოქტრინებზე;
- ჩატარდა სადაზვერვო ქვედანაყოფების სიტუაციური საველე სწავლების საწყისი დაგეგმვის კონფერენცია;
- დამტკიცდა „საველე არტილერიის განვითარების კონცეფცია“. მიმდინარეობდა საარტილერიო სისტემების მოდერნიზაციისა და მიზნის აღმოჩენის სისტემების გეგმის შემუშავება;
- შემუშავდა ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარების კონცეფციის და ჯავშანსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების შესაძლებლობებისა და ტაქტიკის გაუმჯობესების განვითარების გეგმის პროექტები;
- შემუშავდა საჰაერო თავდაცვის კონცეფციის პროექტი. მიმდინარეობდა მუშაობა საჰაერო თავდაცვის განვითარებისა და მოდერნიზაციის გეგმაზე;
- განხორციელდა თურქი და ჰოლანდიელი ექსპერტების ვიზიტები და აქტიური კონსულტაციები NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, საავიაციო შესაძლებლობათა ინიციატივის განხორციელების მიზნით;
- შემუშავდა და მომზადდა დასამტკიცებლად ავიაციის განვითარების კონცეფცია;
- საინჟინრო ბრიგადაში მობილურობისა და კონტრმობილურობის გასაუმჯობესებლად ჩატარდა შესაბამისი სწავლებები და სავალე სწავლებები;
- დასრულდა სამხედრო პოლიციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით.
- მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგ ლოგისტიკურ სახელმძღვანელოებზე: ,,JP 4-0 - ერთობლივი ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფის დოქტრინა”, ,,FM-55-1 - ტრანსპორტირების ოპერაციები", ,,FM-55-10 - გადაადგილების მართვა" ;

- შემუშავდა და ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სპეციალური ოპერაციების ძალებსა და აშშ-ს ევროპის გაერთიანებული ოპერაციების დაჯგუფებას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ;
- ჩატარდა აღმოსავლეთ სარდლობას დაქვემდებარებული საარტილერიო ბატალიონების საველე სწავლებები და შეფასება. ასევე, ბატალიონებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სწავლებებში „AGILE SPIRIT 16“ და „NOBEL PARTNER 16“;
- დასავლეთ სარდლობას დაქვემდებარებულ დანაყოფებში გაიარეს სხვადასხვა სწავლებები და გადამზადების კურსები. დაინიშნა 160 რეკრუტი, რომლებმაც დაამთავრეს საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი;
- მიმდინარეობდა მუშაობა ,,სპეციალური ოპერაციების ძალების განვითარების სტრატეგია 2015-2020“-ს განხორციელების გეგმაზე;
- აშშ-ს ევროპის გაერთიანებული ოპერაციების დაჯგუფებასთან შემდგომი თანამშრომლობის გასაგრძელებლად შემუშავდა ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- აშშ-ს ევროპის გაერთიანებული ოპერაციების დაჯგუფების სპეციალური ოპერაციების კომპონენტის წარმომადგენელთა მიერ განხორციელდა ასეულის დონის სპეციალური კურსი სპეციალური ოპერაციების ძალების სპეციალური დანიშნულების ბატალიონისა და რეინჯერთა ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებისათვის;
- საქართველო-აშშ სპეციალური ოპერაციების სარდლობების ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, აშშ-ის სპეციალური ოპერაციების ევროპული სარდლობის წარმომადგენლების მიერ (US SOCEUR) საქართველოში განხორციელდა ტაქტიკური ერთობლივი კომბინირებული გაცვლითი წვრთნები ("JCET") საქართველოს სოძ-ის სპეციალური დანიშნულების ასეულთან, ასევე ჩატარდა სოძ-ის შტაბის წევრებისათვის ლიდერების განვითარების სწავლება.
- ნატო-ს სპეციალური ოპერაციების სარდლობის ("NSHQ") წარმომადგენელთა მიერ ჩატარდა სპეციალური ოპერაციების სამედიცინო ლიდერის კურსი საქართველოში, როგორც სოძ-ის, ასევე შეიარაღებული ძალების სხვა სამედიცინო სპეციალისტებისათვის.
- საქართველო-თურქეთის სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომლობის ფარგლებში, რეინჯერთა ბატალიონის ოცეულმა მონაწილეობა მიიღო მრავალეროვნულ „COMANDO-ს“ სწავლებაში თურქეთში;
- სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფმა მონაწილეობა მიიღეს ლიტვის, ესტონეთის, რუმინეთის და თურქეთის რესპუბლიკაში გამართულ სპეციალური ოპერაციების მრავალეროვნულ სწავლებაში;
- მიმდინარეობდა მუშაობა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის, ასევე აღმოსავლეთ და დასავლეთ ბატალიონების ოპტიმიზაციის მიზნით;
- სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფმა მონაწილეობა მიიღო მრავალეროვნულ სწავლებაში „ღირსეული პარტნიორი-2016“;
- დამტკიცდა თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობისა და გაეროს უშიშროების საბჭოს და თანმდევი რეზოლუციების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- გენდერის საკითხებში ცნობიერების ამაღლების მიზნით შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებში ჩატარდა ლექციები;
- გაიმართა ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული საფრთხეების შემცირების ეროვნული სტრატეგიის 2015-2019 წლების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით უწყებათშორისი

საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც თავდაცვის სამინისტრომ წარადგინა ანგარიში მასში გაწერილი ღონისძიებების შესახებ, გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე;

- თავდაცვის სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო „ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაქტიულ და ბირთვულ საფრთხეებსა და მათი მავნე ზემოქმედების მართვის საკითხებზე“ (CSCM – World Congress on CBRNe Science & Consequence Management) მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელ საორგანიზაციო საკითხებში;
- ნატო-საქართველოს თანამშრომლობაზე და ნატო-საქართველოს არსებით პაკეტზე მომზადდა თავდაცვის სამინისტროს „გზავნილების დოკუმენტი“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. დოკუმენტი გაიგზავნა საზღვარგარეთ აკრედიტებულ ქართველი სამხედრო ატაშეებთან, შესაბამისს სახელმწიფო სტრუქტურებში და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან;
- შემუშავდა 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP 2016) თავდაცვის ნაწილი, რომელშიც განისაზღვრა 2016 წელს განსახორციელებელი ღონისძიებები. დოკუმენტი გაიგზავნა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში და ნატოს შტაბ-ბინაში. დოკუმენტის განხილვა და შეფასება მოხდება ნატოს შტაბ-ბინაში ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ;
- ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (Substantial NATO-Georgia Package, SNGP) ფარგლებში მიმდინარეობდა მუშაობა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის პროექტების წარმატებით განხორციელების მიზნით, განხორციელდა ნატოს ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო ვიზიტები;
- თავდაცვის სამინისტრომ უმასპინძლა სამხედრო პარტნიორობის კოორდინაციის ყოველწლიურ სამუშაო შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ნატოს, ასევე პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებმა;
- ნატოს პარტნიორობა მშვიდობისთვის ნდობის ფონდის ფარგლებში მიმდინარეობდა პროექტი „საქართველო IV“-ის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს შეიარაღებული ძალების საინჟინრო ბრიგადის EOD ასეულის გაწვრთნას საერთაშორისო განაღმვის სტანდარტების შესაბამისად და „სკრა-ს“ ყოფილი სამხედრო საცავის გაწმენდას ფეთქებადსაშიში ნივთიერებებისაგან;
- დამტკიცდა და ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აისახა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს მიერ 2016 წელს აღებული ვალდებულებები. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიეწოდა აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში თავდაცვის სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულებების ანგარიში.

2.3. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

- პენიტენციური სისტემის სრულყოფისათვის და საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით, მიმდინარეობს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ამავე მიზნით გრძელდება ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2.3.1. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 01)

- პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 1 342 მონაწილე, მათ შორის 88 არასრულწლოვანი და 177 ქალი მსჯავრდებული;
- ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 1 466 მონაწილე, მათ შორის 142 არასრულწლოვანი და 286 ქალი მსჯავრდებული;
- კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში, ინტელექტუალურ და შემეცნებით შეხვედრებში და კონკურსებში დაფიქსირდა 1 016 მონაწილე, მათ შორის 246 არასრულწლოვანი და 111 ქალი მსჯავრდებული;
- დასაქმდა 726 მსჯავრდებული, მათ შორის 79 ქალი;
- პენიტენციური დეპარტამენტის, პენიტენციური დაწესებულებების სპეციალური წოდების მქონე, სოციალური სამსახურის თანამშრომელთა და სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა 100% უზრუნველყოფილ იქნა სამედიცინო დაზღვევით, მათი სოციალური დაცულობის გაუმჯობესების მიზნით;
- მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით შექმნილ საზოგადოებრივ მისაღებებში საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა 198.4 ათას მომსახურებაზე მეტი;
- 2016 წელს ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი გაიარა 513-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის არასრულწოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების გათვალისწინებით;
- პენიტენციური სისტემაში უზრუნველყოფილია განახლებული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები და ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმები, რომელიც 12 განსხვავებულ რაციონს აწესებს სხვადასხვა საჭიროების მქონე პატიმართა ჯგუფებისთვის 3-ჯერადი კვებით.

2.3.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 02)

- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შესაბამისი რეკომენდაციის არსებობისას პენიტენციურ სისტემაში მიმდინარეობდა პაციენტების უზრუნველყოფა შესაბამისი კონსულტაციით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 43 კონსულტაცია/კონსილიუმი;
- ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 57.6 ათასზე მეტი სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის 2 928 ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულებზე და 197 არასრულწლოვნებზე. “DOTS”, “DOTS+” მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა 90, მათ შორის ქალი - 2, ხოლო არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა;
- აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 14 ახალი პაციენტი. აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 7.8 ათასზე მეტი სკრინინგი (მათ შორის ქალი - 339, არასრულწლოვანი - 28). აღნიშნულ დაავადებებზე დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია;
- C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 6.5 ათასამდე სკრინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 970 ბრალდებულ/მსჯავრდებული, მათ შორის, 13 ქალი;

- საანგარიშო პერიოდში 42.3 ათასზე მეტ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს გაეწიათ კონსულტაცია სხვადასხვა პროფილის მოწვეული ექიმ-სპეციალისტების მიერ, სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების 3.6 ათასზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, ხოლო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სამედიცინო მომსახურების 3.1 ათასამდე შემთხვევა;
- მიმდინარეობდა პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურების მომარაგება მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით.

2.3.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 03)

- პენიტენციურ სისტემაში არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი დაწესებულებების შექმნის მიზნით:
  - ✓ მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო - სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა და შესაბამისი მანქანა-დანადგარებით აღიჭურვა 12 პენიტენციური დაწესებულება და მათ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები;
- ✓ ექსპლუატაციაში შევიდა №6 პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება; N8 და N14 დაწესებულებებში აშენდა პურის საცხობი; N15 და N16 დაწესებულებებში კი შეიქმნა პურის საცხობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- ✓ დასრულდა ახალი სასაწყობე შენობის და სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის მისაღების არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები და №14 დაწესებულების მისაღების მშენებლობა;
- ✓ პენიტენციური სისტემის ხუთი დაწესებულება აღიჭურვა სხვადასხვა ტიპის სკანერებითა და მეტალო-დეტექტორებით, მათ შორის №5 ქალთა სპეციალური დაწესებულება;
  - ✓ გრძელდებოდა 2012 წელს დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში;
  - ✓ დასრულდა 14-21 წლამდე მსჯავრდებულთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის ახალი დაწესებულების კომპლექსის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;
  - ✓ ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული გრანტის ფარგლებში პენიტენციური დაწესებულებებისთვის შეძენილ იქნა სამედიცინო აპარატურა.

2.4 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პროგრამული კოდი 60 00)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა, უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;
- გრძელდებოდა კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი;
- ხორციელდებოდა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ტერორიზმთან ბრძოლა და ქვეყნის საგარეო საფრთხეებისაგან დაცვა.

2.5. სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

- სააგანრიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით;
- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის, რეაგირებისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობდა ზოგიერთი საქმიანობის ორგანიზება, ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება;
- სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით განხორცილედა მთელი რიგი ღონისძიებები;
- აშენდა დაბა სტეფანწმინდაში და დაბა ჩაქვში სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შენობები და მცხეთა-მთიანეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს, დუშეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილების, კოჯრის და ქ. თბილისი ისანი-სამგორის სახანძრო-სამაშველო სამსახურის შენობები, ასევე აშენდა ანგარი თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე;
- გარემონტდა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სახანძრო სამაშველო სამსახურის N1 განყოფილების, გორის, ახალციხის, ბაკურიანის, ჭიათურის განყოფილების, ქობულეთის, ქედის, ამბროლაურის და იმერეთის რეგიონის 7 ქალაქის სახანძრო-სამაშველო შენობები;
- შეძენილ იქნა სამთო-სამაშველო უნიფორმა - 12, საბრძოლო უნიფორმის კომპლექტი - 2 400, წყალზე მაშველის უნიფორმა - 900 კომპლექტი, ჯოხ კიბე - 20, საიერიშო კიბე - 20, სამუხლა კიბე - 20, სახანძრო სახელოები (სხვადასხვა ზომის) - 250, გადამყვანები - 300, სამკაპი - 100, გამაფრქვეველი ლულები (სხვადასხვა ზომის) - 200, ელევატორი - 530, ჰიდრანტის სვეტი გასაღებით - 2, გადამყვანი - 35, დიელექტრიკული საჭრელი მაკრატელი - 54, სახანძრო ქაფი - 40 000 ლიტრი, შემწოვი ბადეები (სხვადასხვა ზომის) - 65, საშ. ჯერადობის ქაფის გენერატორი ჩამკეტი ონკანით - 43, ქაფშემრევი დოზის მარეგულირებლით - 43, მეხანძრის ჩაფხუტი - 2 100, ინტეგრირებული ბენზინის ძრავიანი აგრეგატი - 17, ჰიდრავლიკური ხელსაწყოები - 85, საწარმოო დანიშნულების პრეფერატორები - 20, გადასატანი განათების სისტემა სადგამით - 3, ჭუჭყიანი წყლის საქაჩი პომპები - 35, წყალქვეშა პომპა - 2, ხის საჭრელი ბენზოხერხები - 75, ლითონის საჭრელი კუთხმჭრელები - 3, მაშველის ჩაფხუტი - 300, გასაბერი ნავი - 3, ტივტივა „მალიბუ“ – 50, ტივტივა სამაშველო რგოლი - 50. სამაშველო ჟილეტი - 3, მზის სათვალე- 100, წყლის სათვალე - 30, მზისგან დამცავი ქოლგა - 150, მეგაფონი - 30.

2.6 საერთაშორისო თანამშრომლობა (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- „გადამწყვეტი მხარდაჭერის მისიის“ (RSM) ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ ქართულმა ქვედანაყოფებმა ავღანეთში გამგზავრების წინ გაიარეს გადასროლისწინა სპეციალური მომზადებები, როგორც საქართველოში (ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) ბაზაზე), ასევე გერმანიის ფედერციულ რესპუბლიკაში (ქ. ჰოჰენფელსი).
- ✓ ორჯერ განხორციელდა ეროვნული გვარდიისა და სამხედრო პოლიციის ოცეულებით გაძლიერებული ქვეითი ბატალიონებისა (GDP RSM – under US Command) და სადაზვერვო ასეულების (QRF COY, GDP RSM – under DEU Command) როტაცია;
- ✓ ნატოს რეაგირების ძალების (NRF) შემადგენლობაში იმყოფებოდა მე-12 ბატალიონის პირველი ქვეითი ასეული, ხოლო მე-12 ბატალიონის მესამე ასეული მონაწილეობდა ოპრატიულ შესაძლებლობათა კონცეფციის შეფასებისა და ანალიზის (OCC E&F) პროგრამაში და წარმატებით გაიარა ნატოს პირველი დონის (NEL-1) შეფასება. ყველა შეფასების წარმატები გავლის შემდეგ, 2018 წელს მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს რის შემდეგაც, 2019 წლიდან შეძლებს ნატოს რეაგირების ძალების (NRF) შემადგენლობაში მყოფი მე-12 ბატალიონის პირველი ქვეითი ასეულის ჩანაცვლებას;

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა მისიებში:
  - ✓ ცენტრალურ აფრიკაში (ქ. ბანგი) ევროკავშირის სამხედრო მრჩეველთა მისიაში (EUMAM RCA) სწრაფი რეაგირების ჯგუფში (IRT);
  - ✓ მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM Mali);
  - ✓ უკრაინაში ევროკავშირის მრჩეველთა მისიის ეგიდით (EUAM UKR) ერთობლივი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში (CSDP);
  - ✓ ავღანეთში გაეროს მხარდაჭერის მისიის ფარგლებში (UNAMA).
- ჩატარდა ნატოს სამხედრო პარტნიორობს ყოველწლიური საკოორდინაციო სამუშაო შეხვედრა (Military Partnership Coordination Workshop - MPCWS-16). შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 30-მდე ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნის და ასევე ნატოს სხვადასხვა დონის შტაბების 180-მდე წარმომადგენელი;
- გაიმართა საქართველოს თავდაცვის და უსაფრთხოების რიგით მე-10 კონფერენცია (GDSC), სადაც განხილულ იქნა ოთხი სხვადასხვა ინტერაქტიული თემატიკა;
- საერთაშორისო ხელშეკრულების ღონისძიებების კუთხით, განხორციელდა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების წევრი ქვეყნების და ვენის 2016 წლის დოკუმენტით (ღია ცის ხელშეკრულება) გათვალისწინებული ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების დელეგაციების 8 ისპენქცია/ვიზიტი პასიური კვოტით და 4 ინსპექცია/ვიზიტი კვოტის ზემოთ. ასევე განხორციელდა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე 4 ინსპექცია/ვიზიტი აქტიური კვოტით;

2.7. გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა

- განრიდებულ იქნა 462 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე ასაკის პირი), 18-დან 21 წლამდე ასაკის 322 და 1 599 სრულწლოვანი (21 წლიდან ზემოთ ასაკის) პირი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ საქართველოს მასშტაბით მომსახურება გაეწია 8 573 პირს (2 099 დაზარალებულს, 1 557 მოწმეს, 1 058 ბრალდებულს, 3 036 განმცხადებელსა და 823 სხვა პირს);
- „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში, ჩატარდა 178 ღონისძიება, მათ შორის, 149 – საგანმანათლებო-ინტელექტუალური, 7 - კულტურული, 10 - სოციალური, ხოლო 12 – სპორტული სახის ღონისძიება, მონაწილეობა მიიღო 6 166 პირმა;
- წარმოდგენილი იქნა 2014-2015 წლებში პროკურატურის მიერ ძალადობის (მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მკვლელობების) წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გაწეული მუშაობის ანგარიში და კრიმინოლოგიური კვლევა, აღნიშნულ დანაშაულთა გამოძიების შედეგები, მოძალადეთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკა და დანაშაულის პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებები;
- მომზადდა ანალიზი სასამართლოს მიერ კონკრეტულ დანაშაულებზე გამოყენებული სასჯელების შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავდა და მოქმედებს რეკომენდაციები კონკრეტული გარემოებების არსებობისას საპროცესო შეთანხმებისას გამოსაყენებელი სარეკომენდაციო პირობების შესახებ;
- განხორციელდა საერთაშორისო დონის შეხვედრებში/კონფერენციებში ჩართვა შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და სასწავლო პროგრამებში მათი სათანადო ასახვა; რეგიონული დიალოგი სასამართლო რეფორმაზე; მოწმეთა და დაზარალებულთა დახმარების სისტემა (თეორიული ინფორმაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მიღება); სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებული საზოგადოებისა და გარშემომყოფთათვის საფრთხის შემცველ მსჯავრდებულთა მართვასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები; გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების, ომის დროს ჩადენილი დანაშაულების და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიება და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა; ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა – ფულის გათეთრება და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და სხვა;
- მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ახალ წესთან დაკავშირებით გადამზადდა საქართველოს პროკურატურის 429 პროკურორი და გამომძიებელი. ტრენინგებში ჩართული იყვნენ როგორც რიგითი, ისე მენეჯერულ პოზიციაზე დასაქმებული პირები. ტრენინგი სამართლებრივ საკითხებს მოიცავდა და მიზნად ისახავდა კანონმდებლობის პრაქტიკაში სწორი იმპლემენტაციის ხელშეწყობას. განხილული იყო განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მომზადებული რეკომენდაციები და გამოკითხვის/დაკითხვის მეთოდოლოგია; დაკითხვის/გამოკითხვის უნარების კუთხით გადამზადება გაიარეს პროკურორებმა და სისტემის გამომძიებლებმა, რომელიც განხორციელდა „INL“-თან თანამშრომლობით (6 ტრენინგი). ასევე, ჩატარდა 5 ტრენინგი არასათანადო მოპყრობის შემთხვევებისთვის სწორი კვალიფიკაციის თემაზე, რომელიც მოიცავდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის განხილვას. ტრენინგი განხორციელდა ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე სპეციალური სწავლება გაიარეს პროკურატურის სისტემის სხვადასხვა ტერიტორიული ორგანოების მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებმა. განხილულ იქნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, კანონმდებლობაში დანერგილი სიახლეები, საერთაშორისო სტანდარტები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური ასპექტები, მათ შორის: ბავშვის განვითარების თავისებურებები, არასრულწლოვანთა დაკითხვა/გამოკითხვის ტექნიკები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. პროექტები ევროკავშირისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელდა. სწავლების მიზანია, ხელი შეუწყოს

პროკურორების კვალიფიკაციის ამაღლებასა და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ სწორ იმპლემენტაციას. ასევე, „UNICEF“-თან, ევროკავშირსა და სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრთან“ თანამშრომლობით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებულ პროკურორებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და განრიდება/მედიაციის საკითხებზე;

- სამართლიანი სასამართლოს თემაზე განხორციელდა 3 ტრენინგი. მოწვეულმა საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა პროკურორებს და სისტემის გამომძიებლებს გააცნეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და მისი მთავარი ასპექტები, მათ შორის, უდანაშაულობის პრეზუმფცია, დაცვის უფლება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. აქცენტი გაკეთდა აღნიშნული მუხლის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, ევროსაბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა 2 ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპული სტანდარტების თემაზე. ტრენინგის ფარგლებში მომხსენებლებად მოწვეულები იყვნენ ევროპის საბჭოს საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტები, რომლებმაც ტრენინგის მონაწილეებს გააცნეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპული სტანდარტები და ევროკონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებული საკითხები;
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების თემაზე პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლებისათვის განხორციელდა 2 ტრენინგი. სასწავლო პროცესს ქართველ ექსპერტთან ერთად უძღვებოდნენ ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წარმომადგენლები. ტრენინგები განხორციელდა „სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის მხარდაჭერის“ პროექტის ფარგლებში;
- სასამართლო უნარ-ჩვევებისა და ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე ჩატარდა 9 ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შესავალი და დასკვნითი სიტყვის, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვის, დარწმუნების ფსიქოლოგიის, არგუმენტაციის ტექნიკებისა და არავერბალური კომუნიკაციის მიმართულებებით, რომელიც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით ხორციელდება;
- ეფექტური კომუნიკაციისა და საჯარო გამოსვლის თემაზე განხორციელდა 9 ტრენინგი, რომელთა მიზანი იყო პროკურორებისათვის დამარწმუნებელი კომუნიკაციის, ეფექტიანი საჯარო გამოსვლისა და მედიასთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება, ასევე, ევროსაბჭოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობით განხორციელდა ტრენინგი სამართლებრივი წერის თემაზე;
- განხორციელდა სტაჟირების კონკურსი, რომელიც 781-მა აპლიკანტმა გაიარა. 3-ეტაპიანი შერჩევის შედეგად გამოვლინდა 62 წარმატებული კანდიდატი;
- საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის შიდა რესურსის გამოყენებითა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით განხორციელდა 173 სასწავლო ღონისძიება, სადაც 2 181 მსმენელი მონაწილეობდა;

2.8. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა";
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

- გრძელდებოდა მუშაობა შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღებისა და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზებისა და აღდგენის კუთხით;

- ჩატარდა ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხება, შეფასება, უტილიზაცია, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავება და ასევე, ჰუმანიტარული განაღმვითი სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების საცეცხლე წერტილების მოდერნიზაციის სამუშაოები; დაემატა სეტყვასაწინააღმდეგო სისტემების 5 (ხუთი) საცეცხლე წერტილი; დამუშავდა 44 600 კვ^2 სეტყვასაშიში ღრუბელი და გაიხარჯა 1 262 სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტა;
- დამზადდა სამედიცინო-საევაკუაციო ჯავშანმანქანები ,,მედევაკი". აღნიშნული მანქანა განკუთვნილია დაჭრილი ჯარისკაცების უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების ზონიდან უსაფრთო ტერიტორიაზე გადასაყვანად და ტრანსპორტირების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად. ასევე დამზადდა საგუშაგო ჯიხურები, ჯავშაჩაფხუტები, ჯავშანჟილეტები, საინკასაციო შეჯავშნული მანქანა, 120 მმ-იანი მობილური ნაღმტყორცნები, გაკეთდა სიმონოვის თვითდამტენი კარაბინების ქრომირება;

2.9 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

- მიმდინარეობა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ეკონომიკური დანაშაულის პრევენციის მიზნით.
- საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი მიწვეულ იყვნენ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში ფინეთის საჯარო მართვის ინსტიტუტის (HAUS) ორგანიზებით დაგეგმილ სასწავლო პროექტში მონაწილეობის მისაღებად გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე მონაწილეობა მიიღეს ქ. რომში „ევროს გაყალბების შესახებ" დაგეგმილ სემინარზე. მაისში ჰააგაში გაგზავნილი იქნა თანამშრომელთა გარკვეული ჯგუფი გადასახადებისაგან თავის არიდების და კიბერდანაშაულის გამოძიების კუთხით, გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში OLAF-ის მიერ ორგანიზებულ AFCOS-ის წლიურ შეხვედრაზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატ და პოტენციურ კანდიდატ ქვეყნებთან თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით გამომძიებელთა გარკვეულმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა.
- ყირგიზეთის რესპუბლიკაში გამართულ დსთ-ს წევრი ქვეყნების საგადასახადო საგამოძიებო ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს მე-18 ყრილობაზე მიწვეულები იყვნენ სამსახურის წარმომადგენლები;
- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე, რამაც ხელი შეუწყო სამსახურის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და მნიშვნელოვნად აამაღლა გამოძიების ხარისხი;

2.10 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 51 ობიექტზე, სამშენებლო სამუშაოები - 15 ობიექტზე. სამუშაოები დამთავრდა 18 ობიექტზე.

2.11. ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

- სააგანრიშო პერიოდში მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საპატრიარქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა ასევე მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ტვირთების დაცვა-გაცილება და ინკასაცია;
- მიმდინარეობდა სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
- საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა თანამშრომელთა აღჭურვილობის განახლება, შეძენილ იქნა სხვადასხვა სპეც. საშუალებები და უნიფორმა, დასაცავი ობიეტებისთვის შეძენილ იქნა სხვადასხვა სპეც. საშუალებები და 22 ერთეული სპეც. ტრანსპორტი
- განახლდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ავტოპარკი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა ქ. ბათუმის დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა, დაიწყო და გრდძელდება დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულის ნაწილის სარემონტო სამუშაოები, ასევე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლისში საქართველოს შინაგნ საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტისთვის ახალი ადმინისტრაციული შენობის და სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოპერატიული რეაგირების ჯგუფისთვის ახალი ადმინისტრაციული შენობის სამშენებლო სამუშაოები, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 197 საგუშაგო ჯიხურს.

2.12. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში ფსიქო-სარეაბილიტაციო პროგრამა გაიარა 4 821-მა, ხოლო პროფესიული გადამზადებისა და საგანმანათლებლო პროგრამები - 240-მა პრობაციონერმა. საზოგადოებრივ–კულტურულ საქმიანობაში მონაწილეობდა 878 პრობაციონერი, ხოლო დასაქმდა 156 პირობით მსჯავრდებული;
- პირობით მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და დასაქმების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან. ასევე, ფსიქოლოგიის სფეროში თანამშრომლობის განმტკიცების მიზნით, გაფორმდა ერთობლივი მემორანდუმი შემდეგ უწყებებთან: საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო

ცენტრი, სსიპ - იუსტიციის სასწავლო ცენტრი, სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;

- 1 მარტიდან სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკები, სასჯელის შეფარდების სტადიაზე, ჩაერთვნენ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების მომზადების პროცესში (მოსამართლისთვის მზადდება ანგარი, რომელსაც სარეკომენდაციო ხასიათი აქვს);
- საანგარიშო პერიოდში თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გაიხსნა პურის საცხობის საწარმო, რომელშიც წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შერჩეული 15 თავისუფლებაშეზღუდული პირი დასაქმდა.
- გარემონტდა და გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი (ქ. რუსთავში) ქვემო ქართლის და ასევე კახეთის პრობაციიის ბიუროს (გურჯაანის) ოფისები. ახალ ოფისებში ფუნქციონირებს პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ოფიცერთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქოლოგის კაბინეტები. ვიდეოპაემნის საშუალებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ, დაამყარონ პირდაპირი ვიზუალური და ხმოვანი კავშირი პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან;
- ვიდეოპაემნის სერვისის ქსელი ხელმისაწვდომი გახდა პრობაციის 8 ბიუროში (თბილისი, ქუთაისი, გორი, რუსთავი, ბათუმი, ახალციხე, ზუგდიდი და თელავი), საიდანაც დაკავშირება შესაძლებელია 5 პენიტენციურ დაწესებულებასთან, ამასთან საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ვიდეოპაემნის სერვისი და პრობაციონერთა დროებითი რეგისტრაცია სხვა ბიუროს ტერიტორიაზე გახდა უფასო;
- საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, ეწეოდეს ინდივიდუალურ საქმიანობას, ჰქონდეს ამისთვის საჭირო ინვენტარი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ხელშეწყობით დამზადებული ნივთის რეალიზაცია განახორციელოს. რეალიზაციის წესი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით არის განსაზღვრული. სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე www.online.moc.gov.ge თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ტერიტორიაზე მოქმედ ხის საამქროში დამზადებული პროდუქციის ვიზუალური მასალაა განთავსებული ფასის მითითებით.

2.13 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- განხორციელდა კიბერუსაფრთხოების ბიუროს ინტერნეტ ქსელის კომპიუტერული პარკის ოპერაციული სისტემის Windows ლიცენზირება;
- ყოველდღიურ რეჟიმში მოქმედებდა კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფი 24/7;
- დაგეგმა და საპილოტე პროექტის სახით გაეშვა Crypto Mail სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შიდა და ინტერნეტ ქსელების ელექტრონული ფოსტის მომხმარებლებისათვის დაშიფრული ელექტრონული ფოსტით სარგებლობას OpenPGP გასაღებების საშუალებით;

- ბიუროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა სწავლებებში „ინფო 2016“, „Locked Shields 2016; ნატოს სწავლება „Cyber Coalition 2016“-ში.
- ბიურომ მიიღო დაშვება ნატოს გონივრული თავდაცვის ორ პროექტზე: Multinational Malware Information Sharing Platform – Cyber Defence MISP-სა და Multinational Cyber Defence Education and Training Programme MNCD E&T-ში;
- დასრულდა სამინისტროს სასაქონლო მარაგების სისტემური ელექტრონული ლექსიკონის შედგენა;
- განხორციელდა დამატებით ხუთი ქვედანაყოფის ობიექტების უზრუნველყოფა ინტერნეტის ქსელით; სამი ქვედანაყოფის ლოკალური ქსელის მოწყობა და აპარატურის მონტაჟი, დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალის აღდგენა, ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურის მონტაჟი;
- განხორციელდა დისტანციური სწავლების ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის Ilias-ის სრული ლოკალიზაცია/თარგმნა ქართულ ენაზე. აღნიშნული ელექტრონული სისტემა პროფესიული განვითარების ცენტრს (PDC) და თავდაცვის ეროვნულ აკადემიას საშუალებას აძლევს შექმნას სასწავლო მოდულები ელექტრონულად, ვიდეო-აუდიო გაკვეთილები, დავალებები, ტესტები, ფორუმები და სხვა სასწავლო–საინფორმაციო საშუალებები.სისტემა გაშვებულია სამუშაო რეჟიმში.
- დაინარეგა სხვადასხვა სახის ელექტრონული პროგრამები: კვებით უზრუნველყოფის ელექტრონული მართვის სისტემა, პროექტების მართვის ელექტრონული პროგრამა, სასაქონლო მარაგების ელექტრონული ლექსიკონები, რაც უზრუნველყოფს სამინისტროს ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას.

2.14. საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში ,,გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამუშაოები საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობის, ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების, აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით.

2.16. დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

- სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ხელშეწყობით დასაქმდა 23 ბენეფიციარი, ხოლო სარეაბილიტაციო კურსის გავლის შედეგად, დამოუკიდებლად დასაქმდა 24 ბენეფიციარი; ტატუირებების მოცილების საგრანტრო პროგრამაში ჩაერთო 27 ბენეფიციარი, მათგან 20 ბენეფიციარმა მიიღო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურება; ცხელ ხაზზე შემოვიდა 1 074 ზარი; სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართული იყო 108 მონაწილე; უფასო სამგზავრო ბარათი დაუმზადდა პროგრამაში ჩართულ 72 ბენეფიციარს; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიზნესინიციატივების ხელშემწყობ პროგრამაში მცირე ბიზნესის დაფინანდა 57 ბიზნესიდეა; ინგლისური ენის შემსწავლელ კურსში ჩაერთო 66 ბენეფიციარი და მათი ოჯახის წევრი;
- ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის ფარგლებში შემოვიდა 582 მომართვა. ამჟამად პროგრამაში ჩართულია 317 ბენეფიციარი, რომელთაგან 52 ქალია, 2 – არასრულწლოვანი და 2 – ყოფილი პოლიტპატიმარი;
- იურიდიული მომსახურებით ისარგებლა 141 ბენეფიციარმა: პროგრამის იურისტის მიერ 119 ბენეფიციარმა მიიღო იურიდიული კონსულტაცია, ხოლო გარე სერვისების გამოყენებით იურიდიული წარმომადგენლობის სერვისით ისარგებლა 22 ბენეფიციარმა;
- ფსიქოლოგის მომსახურებით ისარგებლა 42 ბენეფიციარმა, მათ შორის: 30 ბენეფიციარმა – პროგრამის ფსიქოლოგის მეშვეობით, ხოლო 12 ბენეფიციარმა – გარე სერვისების მეშვეობით;
- ჯანმრთელობის სერვისით ისარგებლა 144 ბენეფიციარმა; კინოკლუბის სესიებს დაესწრო 14 ბენეფიციარი; საგანმანათლებლო სასწავლო კურსები გაიარა 47 ბენეფიციარმა; დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა 329 ბენეფიციარმა; სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა 293 ბენეფიციარმა;
- დაინერგა ახალი პროექტი „მოხალისე ტრენერები დანაშაულის პრევენციისთვის“. სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები ჩატარდა სკოლებში, გამგეობებსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივ ცენტრებში. მოხალისე ტრენერების მიერ ჩატარდა 15 ტრენინგი, რომლებშიც 348 უნიკალური მონაწილე ჩაერთო;
- ბულინგის (ფსიქოლოგიური ტერორი) შესახებ ტრენინგები ჩატარდა დმანისისა და კარალეთის სკოლებში, აგრეთვე, ნუკრიანის საზოგადოებრივ ცენტრში, რომელსაც 87 მოსწავლე, 18 პედაგოგი და 22 მშობელი დაესწრო;
- პროექტ „ლიდერთა სახლის“ ფარგლებში ქ. თბილისში სხვადასხვა აქტივობაში („წიგნის კლუბი“, „მხატვრული ფილმების კინოკლუბი“, „სწავლება დოკუმენტური ფილმებით“, საკვირაო სკოლა) ჩაერთო 863 უნიკალური მონაწილე;
- დანაშაულის პირველი დონის პრევენციის პროექტ „პროფესიული არჩევანის“ ფარგლებში გაიმართა საზოგადოებისთვის ცნობილ და წარმატებულ პირებთან შეხვედრა, რომლებმაც ისაუბრეს თავიანთ პროფესიაზე, წარმატების მიღწევის საშუალებებზე, სკოლის მოსწავლეებს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება. ტრენინგებში, სამართლის სკოლებსა და სხვა აქტივობებში უნიკალურ მონაწილეთა რაოდენობამ შეადგინა 203;
- ხორციელდებოდა პროექტები „ორი თაობა“ (ჩართული იყო 204 უნიკალური მონაწილე) და „მოხალისე“ (ჩართული იყო 112 უნიკალური მონაწილე);
- დანაშაულის მეორე დონის პრევენციის მიმართულებით სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ მოემსახურა სულ 415 არასრულწლოვანს (225 გოგო და 190 ბიჭი), საიდანაც 89 მიუსაფარი ბავშვი იყო. ამასთან, სერვისი მიიღო 28 მშობელმა და განათლების სისტემაში დასაქმებულმა ბავშვებთან მომუშავე 282 პროფესიონალმა და რეგიონებში მცხოვრებმა 81-მა ბენეფიციარმა.
- განხორციელდა შემდეგი პროექტები:
    - ✓ „მშობელთა სკოლა“ – ტრენინგი ორიენტირებულია ბენეფიციართა გაძლიერებაზე და მშობლის უნარების გაუმჯობესებაზე. ჩატარდა ექვსი ტრენინგი, მონაწილეობდა 28 მშობელი;
    - ✓ „ზღაპართერაპია“ – განკუთვნილია იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 14 წელი ან/და მათი გონებრივი განვითარება ჩამორჩება მათ ბიოლოგიურ ასაკს. ჩართული იყო 46 ბენეფიციარი;

- ✓ „გოგონათა კლუბი“ – განკუთვნილია ცხოვრებისეული სირთულეების მქონე მოზარდი გოგონებისთვის, კლუბში ჩართული იყო 30 ბენეფიციარი;
- ✓ „არტთერაპია მოზარდთათვის“ – საგრანტო პროგრამის ფარგლებში გრანტი მიიღო ა(ა)იპ „მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა“, რომელმაც რთული ქცევის მქონე 40 ბენეფიციარი ჩართო თერაპიულ პროგრამაში;
- ✓ „პიროვნული განვითარების ტრენინგი მოზარდებისათვის“ - ჩართული იყო 35 მოზარდი;
- ✓ „გახდი აქტიური ახალგაზრდა“ - ჩართულ მოზარდებს სხვადასხვა მნიშვნელოვან და მათთვის პრობლემურ და აქტუალურ საკითხზე მიეწოდებათ ინფორმაცია, მიღებული ცოდნის გამოყენებით დადგეს და მონაწილეობა მიიღეს ფორუმთეატრში. პროექტში ჩართული იყო 72 არასრულწლოვანი;
- ✓ „კარიერის დაგეგმვა“ – მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები ცდილობენ გააკეთონ გააზრებული არჩევანი საკუთარი მომავლის დაგეგმვის კუთხით. ჩართული იყო 33 არასრულწლოვანი;
- ✓ „ადამიანის უფლებათა თვე“ – მიზანია, ბავშვებს მიაწოდოს მეტი ინფორმაცია თავიანთი უფლებების შესახებ და ისეთი უნარებით აღჭურვოს, რომ მათ საკუთარი უფლებებისა და პოზიციის დაცვა შეძლონ. ჩართული იყო 17 არასრულწლოვანი;
- ✓ „დანაშაულის პრევენცია განათლების სისტემაში“ – ჩართული იყო 84 ფსიქოლოგი და 198 სკოლის დირექტორი.

- კაჭრეთში, შილდაში, ჭალადიდსა და მესტიაში „ახალგაზრდული კლუბის“ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგს ბავშვთა უფლებების შესახებ ესწრებოდა ადგილობრივი სკოლების 203 მოსწავლე. მათ ბავშვთა უფლებები სხვადასხვა სავარჯიშოსა და კონკრეტული ქეისების მეშვეობით აითვისეს;
- განრიდებულ იქნა 784 პირი, აქედან 462 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 332 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). მათგან 287-ის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაციის კომპონენტი და შედგა 222 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2.17. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

  - სააგანრიშო პერიოდში ჩატარდა გეგმიური და საკონტროლო შემოწმებები სახელმწიფო რეზერვში რიცხული იმ მატერიალური ფასეულობებისა, რომლებიც ჩაწყობილია სხვადასხვა ორგანიზაციებსა და უწყებებში;
  - მიმდინარეობდა მუშობა პოლონეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით;
  - განხორციელდა სასაწყობე მეურნეობის სარემონტო სამუშაოები;
  - მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავებაზე.

3. რეგიონული განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მიმდინარეობდა არსებული გზების და ხიდების რეკონსტრუქცია;
- განხორციელდა არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლების-მოდერნიზაციის, მოვლა-შენახვის და ზოგ შემთხვევაში ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების სამშენებლ-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

3.1.1საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი - 25 02 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტი

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სასვტომობილი გზების მშნებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 25 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

- „გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია“:
  - ✓ 40 გარდამავალ ობიექტზე (2015-2016 წლები) დასრულდა სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები;
  - ✓ 43 ახალ ობიექტზე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა ახალი ასფალტობეტონის საფარის მოწყობა, ხიდებისა და სხვა ხელოვნული ნაგებობების რეაბილიტაცია;
  - ✓ რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 172 კმ, ხიდი - 25, გვირაბი - 1, „აივანი“ - 1, სელედუკი - 1;
  - ✓ აშენებული 6 ახალი ხიდი.
- „გზების მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში“:
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, საავტომობილო გზის სავალი ნაწილის, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო სისტემისა და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების კეთილმოწყობის სამუშაოები;
  - ✓ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 6 000 კმ-მდე საავტომობილო გზებზე მიმდინარეობდა ზამთრის მოვლა-შენახვის სამუშაოები.
- „სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები“:
  - ✓ დასრულდა სამუშაოები 10 გარდამავალ (2015-2016 წლები) და 13 ახალ ობიექტზე;
  - ✓ მიმდინარეობდა სამუშაოები 3 გარდამავალ ობიექტზე (2015-2016 წლები);
- „სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები“:
  - ✓ დასრულდა სამუშაოები 3 გარდამავალ ობიექტზე (2015-2016 წლები);
  - ✓ დასრულდა ნაპირსამაგრი სამუშაოები 7 ახალ ობიექტზე;
  - ✓ 10 ობიექტზე მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.

- „თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალი საავტომობილო გზის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები“:
    - ✓ მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის და მიწის ვაკისის, წყალგამტარი მილების, რკინა-ბეტონის ზედა საყრდენი კედლების, საგზაო ნიშნების, შემოფარგვლის და ავტოპავილიონების მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ დასრულდა 9 კმ-იანი ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ აშენდა 2 ახალი ხიდი;
- „ქ. ქუთაისი (ნიკეას ქუჩა) - გეგუთის კვანძის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია“:
    - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის, რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების, საგზაო სამოსზე ქვესაგები ფენის, ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და მიერთებების მოწყობის სამუშაოები.
    - ✓ დასრულდა რკინა-ბეტონის კოჭების მონტაჟი და მალის ნაშენის გამაერთიანებელი რკინა-ბეტონის ფილის და საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ აშენდა 1 ახალი ხიდი;
- „სტეფანწმინდა-სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობა“ მიმდინარეობდა განსახლების სამოქმედო გეგმის განახლება.

  „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (WB)“:
    - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 2 გარდამავალ ობიექტზე (2015-2016 წლები);
    - ✓ დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თბილისი-თიანეთის საავტომობილო გზის კმ39-კმ51 მონაკვეთზე დრენაჟის, საყრდენი კედლების, საკომუნიკაციო ხაზებისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები;
    - ✓ დასრულდა 2 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
    - ✓ „PBC“ ობიექტებზე გაფორმდა ხელშეკრულება;
    - ✓ დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.
- „შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (WB)“:
    - ✓ მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 7 გარდამავალ (2015-2016 წლები) და 10 ახალ ობიექტზე;
    - ✓ დასრულდა 49 კმ საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
    - ✓ გაფორმდა ხელშეკრულება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-თელავი-ბაკურციხის (გურჯაანის შემოვლითი) საავტომობილო გზაზე.

3.1.3. ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი 25 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი III (რუისი-აგარა) დამატებითი დაფინანსება (WB)“:
    - ✓ მიმდინარეობდა კონტრაქტით განსაზღვრული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
    - ✓ ადგილობრივი საავტომობილო გზების მოწყობის მიზნით: დასრულდა სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები, მიწის ვაკისის, სადრენაჟე არხების, წყალგამტარი მილების მოწყობის სამუშაოები და 3.5 კმ-იანი საავტომობილო გზა.
- „აღმოსავლეთ-დასავლეთის სატრანზიტო მაგისტრალი IV (WB)“:

- ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის და ცემენტობეტონის საფარის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა 7 კმ-იანი საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია;
- ✓ მიმდინარეობდა ნაპირსამაგრი და კომუნიკაციების (გაზის მილები) გადატანის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების, სადრენაჟე სისტემის, გრუნტისა და ბეტონის კიუვეტების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა რკინა-ბეტონის ხიმინჯების, როსტვერკების, განაპირა და შუალედური ბურჯების, რიგელების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ დასრულდა რკინა-ბეტონის კოჭების დამზადებისა და მონტაჟის სამუშაოები;
- ✓ აშენდა 6 ახალი ხიდი.

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის დერეფნის გაუმჯობესების პროექტი (ზემო ოსიაური-რიკოთი) (WB)“მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- „ქ. ქობულეთის ახალი შემოვლითი გზა (ADB)“:
  - ✓ ხიდებზე მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების, რიგელებისა, მალის ნაშენის და ასფალტობეტონის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა N1 გვირაბის ექსკავაციისა და ტორკრეტირების, რკინა-ბეტონის თაღისა და უკუთაღის მოკეთების სამუშაოები;
  - ✓ N2 გვირაბზე მიმდინარეობდა მიწის ექსკავაციის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები და განხორციელდა 13 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია;
  - ✓ აშენდა 9 ახალი ხიდი.
- „ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB)“ დასრულდა განსახლების სამოქმედო გეგმის განახლება.

- „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია (JICA)“:
  - ✓ ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ17.3 ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის საავტომობილო გზის კმ0-კმ24 მონაკვეთზე დასრულდა კონტრაქტით განსაზღვრული დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი;
  - ✓ ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი საავტომობილო გზის კმ0-კმ15.2 მონაკვეთზე მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასავლელებისა და სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ ხიდებზე მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების, რიგელებისა და მალის ნაშენის მოწყობის სამუშაოები, ასევე ხიდების მალის ნაშენისათვის რკინა-ბეტონის კოჭების მონტაჟის სამუშაოები;
  - ✓ მიმდინარეობდა გამყოფი ზოლის შემოფარგვლის და ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ განხორციელდა 10 კმ-იანი საავტომობილო გზის მშენებლობა-რეკონსტრუქცია;
  - ✓ აშენდა 8 ახალი ხიდი.

- „სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა (EIB, EU)“:
  - ✓ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ0-კმ11.5 მონაკვეთზე (ლოტი 1) მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დასრულდა მიწის ვაკისის მზიდუნარიანობის გასაძლიერებელი ღონისძიებები (ვერტიკალური დრენაჟებისა და გეოგრიდების საშუალებით);

- ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ხიდებზე მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯების, როსტვერკების, კოლონების, განაპირა ბურჯებისა და რიგელების მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა ასფალტობეტონის საფარისათვის საფუძვლის და ქვესაფუძვლის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ განხორციელდა 2 კმ საავტომობილო გზის მოდერნიზაცია-მშენებლობა.
- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ11.5-კმ30 მონაკვეთზე (ლოტი 2) დასრულდა სამობილიზაციო და მოსამზადებელი სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მზიდუნარიანობის გასაძლიერებელი ღონისძიებები (ქვის სვეტების საშუალებით) და მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილებისა და მიწისქვეშა გასასვლელების მოწყობის სამუშაოები.
- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ30-კმ42 მონაკვეთზე (ლოტი 3) მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები.
- ✓ სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ42-კმ51.6 მონაკვეთზე (ლოტი 4) მიმდინარეობდა ჰუმუსოვანი ფენის მოხსნისა და დასაწყობების სამუშაოები;
- ✓ მიმდინარეობდა მიწის ვაკისის მზიდუნარიანობის გასაძლიერებელი ღონისძიებები (ვერტიკალური დრენაჟებისა და გეოგრიდების საშუალებით), რკინა-ბეტონის წყალგამტარი მილების, მიწისქვეშა გასასვლელების და მიწის ვაკისის მოწყობის სამუშაოები.

3.2. რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“
- ✓ შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

- მიმდინარეობდა, როგორც 2016 წლამდე დაწყებული პროექტების განხორციელება, ასევე 2016 წელს დაწყებული ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში სხვადასხვა მუნიციპალური და კულტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების, ნაპირსამაგრი, კულტურული, ტურისტული, საყოფაცხოვრებო და სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის (WB), აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

3.2.1 საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 25 03 01)

- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის დასრულდა ქ. თბილისში 300 ადგილიანი თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდენტური საერთო საცხოვრებლის სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში (დიდი ხურვალეთი, გუგუტიანთკარი, კოშკა, დიცი, ქვეში და ზარდიანთკარი), ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელში (წაღვლი) და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ატოცი და კნოლევი) ელექტროენერგიით მომარაგებისა და მაგისტრალური და წყალგამანაწილებელი ქსელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კლინიკის სამშენებლო სამუშაოები, ამასთან, დასრულდა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, აღნიშნული კლინიკის საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობების, გამყვანი კოლექტორისა და წყალმომარაგების ახალი ჭაბურღილის მოწყობისათვის;
- დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის ადგილობრივი მნიშვნელობის 0.7 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- ქ. გორის მუნიციპალიტეტის „ვერხვების“ დევნილთა დასახლებაში სანიაღვრე ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში, დასრულდა ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი 0.4 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა დაზიანებული შიდა საუბნო ქუჩების სამშენებლო სამუშაოები, წილკანის დევნილთა დასახლებაში;
- მიმდინარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტში როშკა-არხოტის უღელტეხილი-სოფელ ამღას საავტომობილო გზის მონაკვეთისა და სოფლების ახიელი-ჭიმღას დამაკავშირებელი 28 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ როშკაში მომსახურების ცენტრის „სოფლის სახლის“ შენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჟებოტაში მდებარე შუა საუკუნეების ამაღლების სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის 0.5 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა დაბა თიანეთში, ბეწუკელის ქუჩისა და ფიროსმანის ქუჩის მონაკვეთიდან ვაჟა-ფშაველას სახელობის პარკამდე მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის 1.3 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და გარე განათების მოწყობა;
- დასრულდა თბილისი (გლდანი)-თიანეთის საავტომობილო გზიდან არჩილის მონასტერთან და ჟებოტის ამაღლების კომპლექსთან მისასვლელი საავტომობილო გზების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- დასრულდა ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტში, გმირის და სამხედროს ქუჩების რეაბილიტაცია;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწამურში, დასრულდა ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა;
- დასრულდა დიდგორის მემორიალური კომპლექსის რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა, საჩხერის მუნიციპალიტეტში, საჩხერე-საირხე-ჭორვილა-გორისის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციოდ;
- დასრულდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, შ-55 საავტომობილო გზიდან მარელის ტყე-პარკის კოტეჯამდე ადგილობრივი მნიშვნელობის 3.6 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- მიმდინარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ტაბაკინის წმინდა გიორგის მამათა მონასტერთან მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან „გეგუთის მეფეთა სასახლის კომპლექს“-თან მისასვლელი 1.5 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სათაფლიის აღკვეთილის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად სამშენებლო სამუშაოებო;
- დასრულდა თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩხარი-ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის 1.2 კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ცაგერის მუნიციპალიტეტის ქ. ცაგერში, ლესელიძისა და ნინოშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მნიშვნელობის ლენტეხი-ფაყი-სკალდის საავტომობილო გზის გაწმენდისა და მდინარე ლასკადურას ბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა;
- დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ნიკორწმინდა“-ს ტაძრის რესტავრაციისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიკორწმინდის ცენტრის კეთილმოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის „ხობის მონასტერი“-ს სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის ჭაბურღილის და ქსელის მოწყობა;
- დასრულდა განმუხურში ელექტროენერგიის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთებისათვის საჭირო საფასურის გადახდა, დასასვენებელი კომპლექსის მოსაწყობად;
- დასრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში გაზმომარაგების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- მიმდინარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში, სასტუმრო „NEXT LEAGUE PVT“ კომპლექსის წყალარინების გარე სისტემის მშენებლობა;
- მიმდინარეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში, წყალარინების სისტემის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში, ზვიად გამსახურდიას ქუჩა N225-ში მდებარე 30 536 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვა;
- მიმდინარეობდა მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში არსებული ქუჩების რეაბილიტაცია;
- დასრულდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუა ამაღლებაში უდაბნოს მონასტერთან მისასვლელი 0.3 კმ-იანი საავტომობილო გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის (ოზურგეთის წარმომადგენლობა) ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;
- დასრულდა (შავი ზღვის შენაკად მდინარეში) ნატანებში არსებული ატივნარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობის მონტაჟი;
- მიმდინარეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში არსებული ქუჩების (ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო „ოაზისამდე“ 2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების სანიაღვრე სისტემის მოწყობა) რეაბილიტაცია;
- დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტში, „ვანის ქვაბების“ მამათა მონასტერსა და წუნდის ტაძართან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის 1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში ქუჩების და ტროტუარების რეაბილიტაცია;

- მიმდინარეობდა ასურეთში XIX საუკუნის გერმანული მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულების ეკლესიისა და სამი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქ. სიღნაღში „ორმილას“ დასახლებასთან მისასვლელი 1.3 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან „ხირსის წმინდა სტეფანეს მონასტერ“-თან და სოფელ ტიბაანის სასაფლაოსთან მისასვლელი 1.1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში, ნიკო ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე არსებული მე-19 საუკუნის საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის 1.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ასურეთში, სტალინის ქუჩის რეაბილიტაციის და საკანალიზაციო სისტემის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ასევე 9 აპრილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში (ნორიო, მარტყოფი, ახალსოფელი, ვაზიანი და ახალი სამგორი) წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ შილდაში მდებარე შალოშვილის ღვინის მარანთან მისასვლელი 0.3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაკურციხეში წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის სახლ-მუზეუმის მშენებლობა;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან „გურჯაანის ყოვლადწმინდის მონასტერ“-თან არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის წყალმომარაგების სისტემის მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოში, დასრულდა სპორტული დარბაზის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

3.2.2 მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა (ADB) (პროგრამული კოდი - 25 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა თბილისი-რუსთავის მონაკვეთი თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის მონაკვეთის I (4 კმ) და III (6.6 კმ) სექციის მოდერნიზაცია;
- მიმდინარეობდა თბილისი-რუსთავის მონაკვეთი თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის II (6.8 კმ) მონაკვეთის მოდერნიზაცია;
- მიმდინარეობდა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული განსახლების ხარჯების გაცემა;

- მიმდინარეობდა თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთის ზედამხედველობა;
- ჩატარდა თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის კმ4+000-კმ10+800 მონაკვეთზე არქეოლოგიური კვლევა;
- მიმდინარეობდა ქ. თბილისში მეტროპოლიტენის მეორე ხაზის გაგრძელება და მეტროსადგური „უნივერსიტეტის“ მშენებლობა და მშენებლობის ზედამხედველობა;
- მიმდინარეობდა ანაკლიის ნაპირდაცვის (პირველი ფაზა) პროექტის განხორციელება;
- დასრულდა ანაკლიის ნაპირდამცავი ნაგებობის მშენებლობის II ფაზა;
- მიმდინარეობდა ანაკლიის და ბათუმის ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ზედამხედველობა;
- მიმდინარეობდა ქ. ბათუმის ნაპირდაცვისა და სანაპირო ზოლის მოწყობის პროექტის განხორციელება.

3.2.3 რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ძველი შუამთა, ახალი შუამთა, იყალთო);
- დასრულდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ძველი შუამთა, ახალი შუამთა, იყალთო და ყოვლადწმინდა) და იყალთოს ეკლესიის საკონსერვაციო სამუშაოები (ფაზა 2);
- მიმდინარეობდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნინოწმინდისა და დავით გარეჯის რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (ფაზა 2);
- დასრულდა უჯარმის, გურჯაანისა და ხირსას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობისა და ქ. გურჯაანში კურორტ ახტალის სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტების აღმოფხვრა;
- იყალთოში, დასრულდა ქვევრის სკოლა-სახელოსნოს მშენებლობა;
- მიმდინარეობდა ქ. თელავში ბატონის ციხის რეაბილიტაცია (მუზეუმი და ტერიტორია) (ფაზა 2);
- დასრულდა ქ. თელავში ბატონის ციხის (სასახლე) რესტავრაცია (ფაზა 2);
- დასრულდა თელავის შესასვლელში, სოფელ ვარდისუბანთან სამშენებლო ნარჩენების საყრელის ტერიტორიის გასუფთავება და აღდგენა;
- დასრულდა თუშეთის საავტომობილო გზის უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელება;
- მიმდინარეობდა სოფელ დართლოში და თუშეთის სხვა სოფლებში შენობების რეაბილიტაცია და ტურისტული ზონის მოწყობა (ფაზა 2);
- დაიწყო სოფელ ომალოში კანალიზაციის, წყალსადენისა და გამწმენდი სისტემის პროექტირება;
- კახეთის რეგიონში დასრულდა ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების საკონსულტაციო მომსახურება. ამასთან, მიმდინარეობდა ტურისტული სექტორის შეფასებისა და მონიტორინგის საკონსულტაციო მომსახურება;
- მიმდინარეობდა მიმდინარე პროექტების საინჟინრო ზედამხედველობა.

3.2.4 რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ვანის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქციის (ფაზა 3) მიზნით, მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები;
- მიმდინარეობდა არქეოლოგიური სამარხების გადახურვითი სამუშაოები;
- ვანის მუზეუმის რეზერვაციისთვის და ვანის არქეოლოგიური მუზეუმისთვის დასრულდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება,;
- შესყიდულ იყო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრისათვის კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე ავეჯი;
- მიმდინარეობდა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა უბისას, გელათის და კაცხის მონასტერთან. ასევე მიმდინარეობდა მონასტრების სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები საპროექტო სამუშაოების შესრულებაზე „მოწამეთა“-ს სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით;
- იმერეთის რეგიონში დასრულდა ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის საჭირო ტრეინინგები.

3.2.5 რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) (WB) (პროგრამული კოდი - 25 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა საფარას მონასტერთან მისასვლელი 7 კმ-იანი სავტომობილო გზის რეაბილიტაცია, სამონასტრო კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ვანის ქვაბების კომპლექსის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის და ძეგლზე უსაფრთხოების ზომების მოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ხერთვისის ციხის და ვარძიის კომპლექსთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ გოგაშენთან მისასვლელი 7.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია და უსაფრთხოების ზომების მოწყობა;
- მიმდინარეობდა ბაკურიანის დასასვენებელი ტყე-პარკის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა დაბა ბაკურიანში, წრიული გზის მიმდებარედ საფეხმავლო ბილიკის მოწყობის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა დაბა აბასთუმნის ისტორიული განაშენიანების რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორის ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის რეკონსტრუქციის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა სატენდერო პროცედურები დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის (კომპლექსი) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად;
- მიმდინარეობდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გერგეთში მისასვლელი 1.8 კმ-იანი საავტომობილო გზის და გერგეთის სამებასთან მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია;

- დასრულდა დუშეთის ცენტრალური პარკისა და მიმდებარე ისტორიული განაშენიანების რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- მიმდინარეობდა დარიალის მონასტერთან ავტოსადგომის მოწყობა და მონასტრის რეზიდენციამდე მისასვლელი 0.5 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში ტურიზმის განვითარების, სტრატეგიული გარემოსდაცვის, კულტურული მემკვიდრეობის, სოციალური შეფასებისა და უსაფრთხოების ჩარჩო დოკუმენტის მომზადება.

3.2.6 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II (WB, WB-TF) (პროგრამული კოდი - 25 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში სოფლების ბოდბისა და ბოდბისხევის დამაკავშირებელი 5.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. გურჯაანში (ბესიკის, ბარათაშვილის და ჭავჭავაძის ქუჩები) 3.3 კმ-იანი და სოფელ მირზაანში შიდა ასფალტის საფარიანი 1.1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფელ ჩალაუბნის 3.7 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში სოფელ ცოდნისკარი-თელა-პატარაგორი-კაბალის 6.1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა თეთრიწყაროს შიდა 3.4 კმ-იანი საავტომობილო გზის და 3 ხიდის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. ქუთაისში 3.3 კმ-იანი ნიკეას ქუჩის რეაბილიტაცია;
- მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ მულახში დასრულდა ილიკო გაბლიანის სახელობის სპორტ-სკოლის (სათემო ცენტრი) რეკონსტრუქცია;
- დასრულდა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ფახულანის თემის ცენტრიდან საბერიოს საზღვრამდე არსებული 3.9 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მარტვილში, დასრულდა თამარ მეფის ქუჩის და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი 3.3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. კასპში სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფლებში (სალხინო-ლეცავე-ბალდა) დასრულდა 6.6 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საბავშო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია;
- დასრულდა სოფელ ბაკურციხის კულტურის კლუბის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ასპინძის N1 და N2 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია;
- ქ. მარნეულში, 26 მაისის სახელობის ქუჩაზე დასრულდა N3 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. ქუთაისში დონეცკის ქუჩის რეაბილიტაცია;
- დასრულდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში სოფელ მუხროვანის 3.3 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა გორის რაიონის სოფ. ზემო და ქვემო ნიქოზის და ზემო ხვითის წყალმომარაგება;
- დასრულდა 4 ერთეული B ტიპის სანაპირო ზოლის გამწმენდი აღჭურვილობის მიწოდება ოზურგეთის, ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებისათვის;
- დასრულდა 1 ერთეული A ტიპის სანაპირო ზოლის გამწმენდი აღჭურვილობის მიწოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის;
- დასრულდა 2 ერთეული თვითმცლელი მისაბმელის მიწოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის;

- დასრულდა (სანაპირო ზოლის გამწმენდი აღჭურვილობა) 6 ერთეული ტრაქტორის მიწოდება ოზურგეთის, ფოთის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებისათვის;
- მიმდინარეობდა თელავის საკანალიზაციო კოლექტორების რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ მეორე სვირისა და სვირის სადგურის დამაკავშირებელი 7.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დაბა მესტიაში, მიმდინარეობდა ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრის რეაბილიტაცია;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა 3 ხიდის რეაბილიტაცია და 1 მშენებლობა;
- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა;

3.2.7 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი - 25 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

- დასრულდა ქ. ზესტაფონის, ქ. გურჯაანის, ქ. მარტვილის, ქ. წალკის, დაბა მანგლისის დაბა ბაკურიანის ქ. ბორჯომის ნაგავსაყრელის დახურვისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ნაპირდაცვა (ბერმის მოწყობა);
- დასრულდა ქ. ჩოხატაურის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და ნაპირდაცვა (ბერმის მოწყობა);
- დაბა ურეკის ნაგავსაყრელის დახურვის და გადამტვირთი სადგურის მოწყობის მიზნით, დასრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- შეძენილ იქნა 8 ერთეული ბულდოზერი, 2 ერთეული მძიმე ტექნიკა (დამტვირთველები) 2 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანები;
- დასრულდა ნაგავსაყრელების დახურვისა და კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა გადამტვირთი სადგურების მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;
- დასრულდა ქ. რუსთავის, ქ. ცაგერის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები (ძველი უჯრედის დახურვა და ახალი უჯრედის მოწყობა ევროსტანდარტების შესაბამისად);
- დასრულდა ქ. დედოფლიწყაროს არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის პოლიგონის მავთულხლართებით შემოღობვის სამუშაოები;
- დაბა მანგლისში, დაბა მესტიაში და ქ. ბორჯომში, დასრულდა გადამტვირთი სადგურის მოწყობისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა ქ. ტყიბულის ნაგავსაყრელის კეთილმოწყობისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა სატენდერო პროცედურები გადამტვირთი სადგურის კონტეინერებისა და ნაგავმზიდების შეძენაზე.

3.2.8 ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი (EU, KFW) (პროგრამული კოდი - 25 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

- მომზადდა დეტალური საინჟინრო დოკუმენტი (პროექტი), შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. პროექტში ჩართული მხარეებისთვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით და მომზადდა კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია.

3.2.9 ქვემო ქართვლის ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD, SIDA)“ (პროგრამული კოდი - 25 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ შპს ,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

- მომზადდა ახალი ნაგავსაყრელის კონცეპტუალური დიზაინი; შემუშავდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში; 4 პროექტში ჩართული მხარეებისთვის ჩატარდა ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით.

3.2.10 ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტი (Government of France) (პროგრამული კოდი - 25 03 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში გონდოლებიანი საბაგიროების დასაწყობებისათვის საჭირო სასაწყობო შენობა-ნაგებობის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული ძველი საბაგირო სადგურებისა და საბაგირო-სატრანსპორტო სისტემების სადემონტაჟო სამუშაოებისა და ახალი რევერსიული გონდოლებიანი საბაგიროს სამონტაჟო და შესაბამისი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები;
- დასრულდა ჭიათურის მუნიციპალიტეტში არსებული ძველი საბაგირო სადგურების, ხაზებისა და საყრდენი სვეტების სადემონტაჟო სამუშაოებისთვის საჭირო დეტალური საინჟინრო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3.2.11 „სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები“ (პროგრამული კოდი - 25 03 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
- ✓ შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“

- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში (ე.წ. ხახუტაშვილების უბანში) მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები.

3.2.19 საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი - 25 03 19)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- ქ. თბილისში „მზიურის“ ტერიტორიაზე, მიმდინარეობდა მდინარე ვერეს ნაპირსამაგრი საყრდენი კედლის მშენებლობა;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ როდინაულის 15 კმ-იანი სასოფლო გზის რეაბილიტაცია;
- საჩხერის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელ ჭორვილა-საირხის 6.9 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ხონის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ივანდიდი-პატარა ჯიხაიშის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ღორეშა-ბაზალეთის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის თემში, ბაძგნარის უბანში, რკინიგზის გადასასვლელი ხიდიდან სოფელ იანეთის ცენტრალურ გზამდე მიმდინარეობდა საავტომოვილო გზის რეაბილიტაცია;
- ჭიათურის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ჭიათურა-სკინდორის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ჭაქვინჯი-ნარაზენის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- აბაშის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა სოფელი წყემის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ონოღია-ნაჯახაოს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სერგიეთში მიმდინარეობდა საფეხბურთო სკოლის რეკონსტრუქცია;
- ქ. ხობის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა „თუთარჩელა“-ს შენობის რეაბილიტაცია;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა ასკანა-მშვიდობაური-ბახვის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ასპინძის მუნიციპალიტეტში, დასრულდა რაგბის სტადიონთან მისასვლელი 2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ადიგენის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ზანავი-გომაროს 2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ახალციხის ქუჩების გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია;
- ქ. თეთრიწყაროში, დასრულდა თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლის ქუჩების რეაბილიტაცია;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ბოლოკიანი-კართუბნის, ნაწისქვილარი-კართუბნის და სოფელ ნაწისქვილარის შიდა სასოფლო 3.2 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- დასრულდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩეთში შიდა 2.1 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაზისუბანში, მიმდინარეობდა საუბნო 1.7 კმ-იანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;
- ქ. თელავში, მიმდინარეობდა არსებული თელავის ხევის რეაბილიტაცია და უსახელო ხევის მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- თიანეთის მუნიციპალიტეტში, მიმდინარეობდა არჩილის მონასტერთან და ჟებოტის ამაღლების კომპლექსთან მისასვლელი 7.5 კმ-იან საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში, მიმდინარეობდა წმინდა გიორგის უბანში საბავშვო ბაღის მშენებლობა;
- ქ. გორში, მიმდინარეობდა რკინიგზის სადგურის დასახლებაში არსებული ქუჩების და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია.

3.2.20 საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტი (EBRD) (პროგრამული კოდი - 25 03 20)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა 102 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და 400 მყარი ნარჩენების კონტეინერების შეძენა და გადაცემა მუნიციპალიტეტებისათვის.

3.3. წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტრო;
✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
✓ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

- მიმდინარეობდა, როგორც 2016 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე, 2016 წელში დაწყებული ახალი პროექტის განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგების, კანალიზაციის, წყალარინების და მასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციას. აღნიშნული სამუშაოები მიზნად ისახავდა რეგიონული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. ქვეპროექტების დაფინანსება ხორციელდება ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ჰოლანდიის მთავრობის (ORET), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან

3.3.1. ქობულეთის წყალარინების პროექტი (EBRD, ORET) (პროგრამული კოდი - 25 04 01)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- მიმდინარეობდა ქობულეთის საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
- დასრულდა გამწმენდი ნაგებობის დანადგარების მონტაჟი.

3.3.2. წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი (EIB) (პროგრამული კოდი - 25 04 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- დასრულდა ქ. თერჯოლის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- შეძენილ იქნა 1 ერთეული ციცხვიანი კარიერული მტვირთავი მანქანა.

3.3.3. წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II (EIB, EU) (პროგრამული კოდი - 25 04 03)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა:
- დასრულდა ქ. ონის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. ოზურგეთის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა სენაკის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ქ. ხობის ქ. ზესტაფონის ქ. ტყიბულის, ქ. წალკის, ქ. ბოლნისის, ქ. გურჯაანის, ქ. სიღნაღის, ქ. ლაგოდეხის, ქ. საგარეჯოს, ქ. ახმეტის, ქ. დუშეთის, ქ. ქარელის ქ. თელავი - სოფელ კურდღელაურის, დაბა წნორის წყალსადენის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. აბაშის და ქ. თეთრიწყაროს წყალსადენის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ახალციხისა და ასპინძის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა ლიკანისა და წაღვერის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა სამშენებლო ობიექტებზე საინჟინრო-საკონსულტაციო ზედამხედველობა.

3.3.4. საკანალიზაციო სისტემების მდგრადი მართვის პროექტი (SIDA) (პროგრამული კოდი - 25 04 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

- მიმდინარეობდა ქ. თელავის და ქ. წყალტუბოს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (პროექტირება-მშენებლობა);
- მიმდინარეობდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება წყალტუბოსა და თელავის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციისა და ოპერირებისათვის.

3.3.5. ურბანული მომსახურების გაუმჯობესების პროგრამა (წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორი) (ADB) (პროგრამული კოდი - 25 04 05)

პროგრამის განმახორციელებელი:
შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“

- პროექტი REG-01 ფარგლებში, დასრულდა სამშენებლო სამუშაოები ფოთსა და ქუთაისში. მიმდინარეობდა ხარვეზების გამოსწორების 1 წლიანი პერიოდი. ასევე, მიმდინარეობდა ნოსირის 7 ჭაბურღილის გაწმენდითი სამუშაოები;
- პროექტი REG-02 ფარგლებში, მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები მესტიასა და ანაკლიაში: მესტია - ლანჩვალის რეზევუარზე დასრულდა საძირკველის სამუშაოები, მიმდინარეობდა გამაგრებითი სამუშაოები, მაგისტრალის მშენებლობა. ზარგაშზე დასრულდა წყლის გამწმენდი ნაგებობის საძირკველის სამუშაოები. მიმდინარეობდა გამაგრებითი სამუშაოები. შგედის

ტერიტორიაზე დასრულდა ექსკავაციის სამუშაოები; ანაკლია - დასრულდა აერირებული ავზის შენობის მშენებლობა. ასევე, დასრულდა ადმინისტრაციული შენობის და საოპერატორო შენობების მშენებლობა. მიმდინარეობდა საფილტრი ნაგებობების მშენებლობა;

- პროექტი URE-01 და URE-02 ფარგლებში, ურეკში მიმდინარეობდა წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მშენებლობა, რომელიც მოიცავს რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენის, გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;;
- პროექტი KUT-01 ფარგლებში (II ფაზა), მიმდინარეობდა ქ. ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;
- პროექტი ZUG-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა ქ. ზუგდიდის სასმელი წყლის მშენებლობა, მათ შორის: რეზერვუარის და სატუმბი სადგურის მშენებლობა, ასევე მიმდინარეობდა სამუშაოები გამანაწილებელ ქსელზე;
- პროექტი POT-01 ფარგლებში, ქ. ფოთში მიმდინარეობდა კანალიზაციის ქსელების მშენებლობა;
- პროექტი TBI-01 ფარგლებში, მიმდინარეობდა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათაო ოფისის სამშენებლო სამუშაოები.

3.4 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.1 რეგიონული ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- 500/220/110კვ „ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში დაწყებული ქვესადგურის ტესტირება დასრულდა საანგარიშო წლის ნოემბერში, ხოლო დარჩენილი 110 კვ მოწყობილობების მოწოდება, განხორციელდა დეკემბერში. ქვესადგურის საექსპლუატაციოდ მზადყოფნის სერთიფიკატი გაიცა 2016 წლის 23 დეკემბერს. ქვესადგური ჩართულია და ფუნქციონირებს სრული დატვირთვით.
- 220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგურის გაფართოება 500კვ ფრთით დასრულდა, განხორციელდა ქვესადგურის ტესტირება და გაიცა საექსპლუატაციოდ მზადყოფნის სერთიფიკატი.
- 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა - პროექტი დასრულდა. 2016 წლის ივნისში გაიცა პროექტის დასრულების სერთიფიკატი.

3.4.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა
(პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

3.4.2.1 500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02 01)

- ელექტროგადამცემი ხაზის ტრასა პირობითად დაიყო 5 მონაკვეთად რათა შემჭიდროებული ვადის გამო ოპერატიულად განხორციელებულიყო შესაბამისი ნებართვების აღება და მშენებლობის დაწყება. მიღებულია პირველი ეტაპის მშენებლობის ნებართვა, გაიგზავნა დოკუმენტაცია მეორე ეტაპის მშენებლობის ნებართვის მისაღებად. ობიექტზე მუშაობა დაწყებულია, სამუშაოები მიმდინარეობდა სულ 23 ფუნდამეტზე. კონტრაქტორმა წარმოადგინა ხის ჭრის გეგმა. მიმდინარეობდა ტერიტორიების ბუჩქებისგან გასუფთავების სამუშაოები.
- დასრულებულია ხაზის დეტალური პროექტირება და წარმოდგენილია ანძების საბოლოო კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის. წარმოდგენილია ტოპოგრაფიული და საკადასტრო გეგმები 180-248 მონაკვეთისთვის.
- მომზადდა და დამტკიცდა განსახლების სამოქმედო გეგმა 0-20კმ და 20-40კმ მონაკვეთებისთვის. 40-60 კმ მონაკვეთზე მიღებულია განსახლების თანხმობა გერმანიის განვითარების ბანკიდან.

3.4.2.2 ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 02 02)

- პროექტის ფარგლებში:
  - 2X8 კმ სიგრძის 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონის“ შეჭრით.
  - 60 კმ სიგრძის 220 კვ - ის ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჯვრიდან ხორგამდე.
  - ახალი 500/220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა ჯვრიდან ხორგამდე.
- დიზაინი განხილული და შეთანხმებულია. განხორციელდა 220 კვ და 500 კვ ფუნდამენტების მოწყობა. 220 კვ და 500 კვ ნაწილისთვის მიმდინარეობდა მისასვლელი გზების მშენებლობა. განსახლების სამოქმედო გეგმა 3 მონაკვეთისათვის (220 კვ 0-20 კმ და 40-60 კმ 500 კვ 0-8 კმ) მომზადდა და დამტკიცდა საქართველოს მთავრობის, აგრეთვე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ. კონტრაქტორმა შპს ,,ენერგოტრანსის“ წარმომადგენლებთან ერთად დაიწყო სამოქმედო გეგმის განხორციელება.
- დასრულდა მუშაობა პროექტის დიზაინზე. განხორციელდა თითქმის ყველა ფუნდამენტის მოწყობა/მონტაჟის პროცესი. დასრულდა 220 კვ და 500 კვ მოწყობილობებისა და ლითონ - კონსტრუქციების მონტაჟი. დასრულდა მუშაობა საკონტროლო შენობის კარკასსა და ფასადზე, მიმდინარეობდა შიდა სამუშაოები. სამივე რეაქტორი ჩამოტანილი და განთავსებულია. მიმდინარეობდა სადრენაჟო სისტემის მოწყობა. დამთავრდა ძალოვანი მოწყობილობების საქარხნო ტესტირება, დაწყებულია სამონტაჟო - გაწყობითი სამუშაოები. დასრულდა დამიწების ქსელის მონტაჟი, კონტეინერის ფუნდამენტის მოწყობაზე მუშაობა. მიმდინარეობდა ქვესადგურის ღობის მონტაჟი და შიდა გზების მოპირკეთება. დასრულდა მუშაობა საკაბელო არხებზე.

3.4.3 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) (პროგრამული კოდი 36 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

- 145 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმი“ მშენებლობა (ახალციხედან შუახევის ჰესამდე ერთჯაჭვა ხაზის, ხოლო ბათუმამდე ორჯაჭვა ხაზის მშენებლობა) - დასრულებულია 77 ანძის ფუნდამენტის მშენებლობა, გეოლოგიური კვლევა პირველი ფაზის (ბათუმი-შუახევი) 141 წერტილიდან ჩატარებულია 110-ზე, პირველი ფაზის 141 მისასვლელი გზიდან, მოწყობილია 112 გზა,

უკვე მოპოვებულია მერქნული რესურსის (ხე-ტყის), მ.შ. წითელი ნუსხის ჯიშების მოჭრის ნებართვა სამშენებლო ტერიტორიის გარკვეული ნაწილისთვის, გამოგზავნილია და განბაჟებულია ანძის კონსტრუქციული ნაწილები და სადენები. პროექტის პროგრესი: 61% (პირველი ფაზა დამეორე ფაზების ჯამი).

3.5. ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მოცემულია აღნიშნული პროგრამის ცალკეული ქვეპროგრამების მიხედვით, კერძოდ: 36 01 01 - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება; 36 01 02 – მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება; 36 01 03 – ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება;

3.5.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

- გამართულ იქნა შეხვედრები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ, როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ კომპანიების წარმომადგენბლებთან. განხილულ იქნა ინვესტორი კომპანიების მხრიდან პოტენციური ელექტროსადგურების საინვესტიციო წინადადებები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები. ასევე, მომზადდა რეკომენდაციები მემორანდუმების გასაფორმებლად (30 პროექტზე).
- შეფასებულ იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები (78 პროექტზე).
- მომზადდა ეროვნული ენერგეტიკული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი.
- განხორციელდა ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში გაცემული საქმიანობის ლიცენზიების პირობების შესრულების მონიტორინგი.
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე შემდეგ კომპანიებთან:
    - შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ - მაგანა და ლექარდე ჰესების კასკადი;
    - შპს „ალტ ენერჯი“ - გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური;
    - სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“ - ცენტრალური ქარის ელექტროსადგურები;
    - სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“ - ნიგოზას ქარის ელექტროსადგური.
    - შპს „მზის ენერგიის კომპანია“ - მზის ელექტროსადგური;

- სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ - ქართლი 2 ქარის ელექტროსადგური.
- შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ - ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესები;
- შპს „ფერი“ - სამყურისწყალი 1 ჰესი;
- სს „სუფსა ენერჯი“ - ბარამიძე ჰესი;
- შპს „ხეორიჰესი“ - ხეორი ჰესი;
- შპს „ალაზანი ენერჯი“ - ხადორი 3 ჰესი;
- შპს „ენერგო-არაგვი“ - არაგვი 2 ჰესი;
- შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ - საშუალა 1 და საშუალა 2 ჰესები;
- შპს „ჯეო ფაუერ“ - ბაისუბანი ჰესი და ახალსოფელი ჰესი;
- შპს „ჰიდრო ენერჯი“ - ახალქალაქი ჰესი;
- შპს „ეკოჰიდროპლიუსი“ - ლუხრა ჰესი;
- შპს „ეკოჰიდრო“ - ნაკრა 1 და ნაკრა 2 ჰესები;
- შპს „ჰიდროლეა“ - თბილისი ჰესი;
- შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ“ - ბახვი 2 ჰესი;
- შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“ - კამარა ჰესი;
- შპს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ - უდაბნოს მზის ელექტროსადგური;
- შპს „გრინენერჯი“ - ანდეზიტ ჰესი;
- შპს „ხრამი კასკადი“ - ხრამი 3, ხრამი 4 და ხრამი 5 ჰესები;
- შპს „პირველი“ - პირველი და პირველი 1 ქარის ელექტროსადგურები;
- შპს “AEGEAN” - სააკაძის და ზემო ქარის ელექროსადგურები;
- შპს „დვზ-ენერჯი“ - მაშავერა-2015 ჰესი.

- გაიცა გენერაციის ლიცენზია და ექსპლუატაციაში შევიდა ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგური, რომლის დადგმული სიმძლავრე 13.2 მგვტ-ია.
- საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში ჩაერთო შიდა ქართლში „შაქშაქეთი ჰესი“ - დადგმული სიმძლავრე 1.5 მგვტ და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში „საგურამო ჰესი“ - დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ.
- გაიცა გენერაციის ლიცენზია ქართლის ქარის ელექტროსადგურსა (შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 20.7 მგვტ) და დარიალი ჰესზე (შპს „დარიალი ენერჯი“ - 108 მგვტ).
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად ჩატარებულ ინტერესთა გამოხატვებზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანიები:
  - სნოსწყალი ჰესი (22.2 მგვტ) - შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“;
  - აწყური ჰესი (10.4 მგვტ) - შპს „მტ გრიინ ენერჯი“;
  - საყუნეთი ჰესი (10.4 მგვტ) - შპს „მტ გრიინ ენერჯი“;
  - დვირი ჰესი (10.4 მგვტ) - შპს „მტ გრიინ ენერჯი“;
- გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას და შპს „ხვამლი“-ს შორის „ჟონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ.
- ხელი მოეწერება ,,ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს“, რომლის მიხედვითაც შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ, საქართველო „ენერგეტიკული გაერთიანების“ ოფიციალური და სრულუფლებიანი წევრი გახდება.
- ხელი მოეწერა სახელმწიფოსა და „Vectra Peptroleum Limited“-ს შორის VIIB სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების დამატება №1-ს; მიმდინარეობდა ცვლილებების შემუშავება H სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების დამატება №3-ზე.

- გაგრძელდა „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიაზე“ გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოქმედების ვადა. კომპანიებისგან მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე მიმდინარეობდა ხელშეკრულების პირობების ზედამხედველობა და ანალიზი. ასევე, მიმდინარეობდა სააგენტოს მიერ გაცემული საქმიანობის ლიცენზიების პირობების შესრულების მონირტორინგი. განხორციელდა შპს „გლობუსის“, შპს „ზდ ნავთობის კომპანიის“, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ შემოწმება.
- XIB სალიცენზიო ბლოკზე ჩატარდა არსებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების, ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტების, აჯგდ-ების (ავტომატური ჯგუფური გამზომი დანადგარების) და ნავთობსადენებზე ფლუიდის ამოღების, მოგროვების, ტრანსპორტირებისა და მომზადების მონიტორინგი. დათვალიერებულ იქნა გაზის მომპოვებელი სამგორის 120 ჭაბურღილი და მისი ინფრასტრუქტურა. დამტკიცებულ იქნა განაცხადი XIB ბლოკის თელეთის თაღზე №37 ჭაბურღილში ნავთობისა და გაზის ნარჩენების ჩაჭირხვნაზე.
- ნავთობისა და გაზის ოპერაციების კონტროლის მიზნით განხორციელდა შპს „ჯინდალ პეტროლეუმ ლიმიტედის“, შპს „კანარგო ჟორჯიას“, შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“, შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“ ობიექტების შემოწმება.
- გაზსაცავის მოწყობის ლიცენზიის შემოღებასთან დაკავშირებით დაიწყო ცვლილებების შემუშავება საქართველოს კანონში „ნავთობისა და გაზის შესახებ“.
- დასრულდა მუშაობა სსიპ - ,,ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ნორმატიული აქტის პროექტზე „ნავთობის შენახვისას ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობებისა და მათი დადგენის წესის თაობაზე", რომლის მიხედვითაც დადგინდება ნავთობის დანაკარგებთან დაკავშირებული ნორმატივები, რომელსაც ადგილი აქვს ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის შეგროვების, მომზადების, შენახვის და გადამუშავების დროს განსაზღვრული საქმიანობის პროცესში.
- ნავთობისა და გაზის ოპერაციების კონტროლის მიზნით განხორციელდა შპს „ვი პი ჯორჯიას“ ობიექტების შემოწმება.
- მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მოლაპარაკებები სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან XIB სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების განახლებული ვერსიის შესაქმნელად.
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ჯინდალ პეტროლეუმ ჯორჯია ლიმიტედთან, გაზსაცავის მოწყობის მიზნით სამგორი სამხრეთი თაღის გადაცემის და ამავე ბლოკზე გაფორმებულ პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.
- ბლოკებზე არსებული ნავთობის შემკრები პუნქტებისა და სათაო ნაგებობების ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიებს ჩასატარებელი აქვთ სამუშაოები გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის კუთხით. გამოვლენილი დარღვევების ხასიათის და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის მიხედვით, კომპანებს განესაზღვრათ შესაბამისი ვადები დარღვევების გამოსასწორებლად.
- საანგარიშო წლის ბოლოსათვის უკვე მომზადებულია სატენდერო პაკეტები ხმელეთის V,VIA, VIB და XIV და შავი ზღვის II^B, II^D, და III სალიცენზიო ბლოკებისთვის.
- მომზადდა დამატებები 3 პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებისთვის. მათ შორის ერთი, VII სალიცენზიო ბლოკის პროდუქციის წილობრივი განაწილების დამატება ითვალისწინებს ახალი ინვესტორის შემოსვლას.

3.5.2 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- ,,საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ'' 2016 წლის 25 თებერვლის N303; 25 მარტის N511 და 7 ივნისის N1362 საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, მიმდინარეობდა მუშაობა ზესტაფონის, გურჯაანის, ზუგდიდის, ახმეტის, კასპის, გარდაბნის, წყალტუბოს, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ტყიბულის, გორის, მცხეთის, ბაღდათის, ლაგოდეხის, ხარაგაულის, ჩხოროწყუს, ვანის, მარტვილის, თეთრიწყაროს და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების სოფლების გაზიფიცირებისათვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე. აღნიშნული სამუშაოების განხორციელებისთვის პროექტები მომზადების ეტაპზეა 41 სოფელზე, მიმდინარეობს სამუშაოები 7 სოფელში, ხოლო სამუშაოები დასრულდა 50 სოფელში. აღნიშნულის სამუშაოების განხორციელების შემდეგ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 10 ათასამდე აბონენტს.
- დასრულდა ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ბავარი, მანანაური, ცხუმალდი, ხაჩეში.
- დასრულდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანის მოსახლეობის ელექტრომომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები;
- დასრულდა და ესქპლუატაციაში მიღებულ იქნა, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუცოში 100 კვტ.-იანი სიმძლავრის მცირე ჰესის და შიდა გამანაწილებელი ქსელის სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელუბანის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შროშას ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები.
- დასრულდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახაშენის ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები.

3.5.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2015 წლის დეკემბერის, 2016 წლის იანვარ-მაისის და ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება 4.1 მლნ ლარის ოდენობით. მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 10.0 მლნ $მ^3$ შეადგინა.

3.6. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ საქართველო წარმოდგენილი იყო შემდეგ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში: „New York Times Travel Show 2016“ (ნიუ-იორკი); „FITUR 2016“ (მადრიდი); „EMITT 2016“ (სტამბოლი); „Balttour 2016“ (რიგა); „IMTM 2016“ (თელ-ავივი); „ITB 2016“ (ბერლინი); „UITT 2016“ (კიევი); „AITF 2016“ (ბაქო); „COTTM 2016“ (პეკინი); „CTF 2016“(თბილისი); „IMEX 2016“ (ფრანკფურტი); „KITF 2016“ (ალმა-ატა); „ATM 2016“ (დუბაი); „ExpoBatumi“ (ბათუმი); „KOTFA 2016“ (სეული); „JATA 2016“(ტოკიო); „ASTA Global Convention“ (აშშ, ქ. რენო); „OTDYKH 2016” (რუსეთი, ქ. მოსკოვი) „OTDYKH 2016“; WTM (ლონდონი); „TT Warsaw“ (ვარშავა);TTG (იტალია, ქ. რიმინი); IBTM (ბარსელონა)
  - ✓ მოეწყო 106 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისათვის;
  - ✓ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებების წარმოჩენის მიზნით მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ბერლინში გამართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საერთაშორისო გამოფენაში ,,მწვანე კვირეული“ და ქ. ვენაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის მუშაობაში;
  - ✓ ქ. პარიზში გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია. ქვეყნის პრეზენტაციები გაიმართა ისრაელში, ქ. ვილნიუსსა და ქ. პარიზში;
- განხორციელდა: მარკეტინგული კამპანია „AirBaltic"-თან თანამშრომლობით, რომელიც ითვალისწინებს საბორტო ჟურნალში სტატიების განთავსებას ქვეყნის სხვადასხვა კურორტების შესახებ; ზაფხულისა და ზამთრის ტურისტული სეზონის სატელევიზიო კამპანიები ბელორუსის ტელეარხზე („Belarus 1“, „TNT“), რუსეთის ფედერაციის ტელეარხებზე („Моя Планета“, „STB“, „CTC“, „Russia1“ და „Пятница“ (სატელევიზიო გადაცემა), უკრაინის ტელეარხებზე („1+1“, „Inter“) და ყაზახეთის ტელეარხ „KTK“-ზე; ზამთრის ტურისტული სეზონის ინტერნეტ-კამპანია 12 ქვეყანაში (რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, სომხეთი, ბელორუსი, ყაზახეთი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, თურქეთის რესპუბლიკა, იტალიის რესპუბლიკა, გერმანია, ისრაელი და პოლონეთი); ზაფხულის ინტერნეტ-კამპანია 16 ქვეყანაში; Facebook კამპანია „Georgia and Travel“, თემატური ჰოსტინგი და ტურისტებთან ინტეგრაცია; ინსტაგრამ კამპანია „Georgia Travel Moments“; სარეკლამო კამპანია „TripAdvisor“-ის მეშვეობით 10 მიზნობრივ ქვეყანაში, სადაც საქართველო წარმოდგენილია პრემიუმ პარტნიორის სახით და გულისხმობს ქვეყნის შესახებ შესაბამისი კონტენტის ინტეგრირებას;
- ორგანიზებულ იქნა ქართული და უცხოური ტურ-ოპერატორების (რუსეთი, ბელორუსი, ყატარი, ყაზახეთი და სხვა) შეხვედრა „B2B“ ფორმატში.
- ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობების განხორციელებისა და საქართველოს ცნობადობის გაზრდის მიზნით გაიმართა შეხვედრა ტურისტული კომპანიების, ავიაკომპანიების და ბრენდი სასტუმროების მარკეტინგის მენეჯერებთან;
- გაიმართა შეხვედრა სასტუმროებისა და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან ტურიზმის სფეროში არსებული პრობლემების, მათი მოგვარებისა და თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით. ხოლო „გადაიღე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა სასტუმროების გენერალურ მენეჯერებთან, რომელიც მიზნად ისახავდა აღმოსავლეთ ევროპაში საქართველოს გადაქცევას მიმზიდველ გადასაღებ ცენტრად;
- „Welcome to Georgia! National Tourism Awards” –ის ფარგლებში გაიმართა ტურიზმისა და მასპინძლობის ფორუმი, სადაც განიხილებოდა დაჯილდოების ცერემონიალის დეტალები, ჩატარდა ახალი გაუმჯობესებული სარეგისტრაციო პორტალის პრეზენტაცია და გამოვლინდა ტურიზმის სფეროში მოღვაწე გამარჯვებული კომპანიები;
- ჩატარდა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგები: „სასტუმრო საქმისა და საბაზისო ინგლისური ენის ტრენინგი"; „სამთო გამყოლის საზვავე უსაფრთხოება"; „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება"; „სასტუმროს საქმე და მომსახურების უნარ-ჩვევები“; „პირველადი სამედიცინო დახმარება“; „ღვინო როგორც ტურისტული პროდუქტი“; „გამყოლობის ტექნიკა და მეთოდიკა

კომბინირებულ ალპინისტურ მარშრუტებზე“; „მარკეტინგის და გაყიდვების მხარდაჭერა“; „საოჯახო სასტუმროს მართვა“ და „საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ანგარიშგება“; „საფეხმავლო სათავგადასავლო მარშრუტებზე ადგილობრივი გამყოლების მომზადების კურსები“;

- 24 საათიანი ონ-ლაინ სასაუბროს (ჩათი) და უფასო ცხელი ხაზის მეშვეობით მიმდინარეობდა ტურისტების ინფორმირება, რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით;
- წლის განმავლობაში პრობლემური საკითხების გამოვლენის მიზნით, უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა როგორც ადმინისტრაციის ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელის (Facebook), ასევე Feedback ელ-ფოსტის და სხვა სოციალური მედიისა და ვებ-გვერდების მონიტორინგი. გარდა ამისა, შეიქმნა Viber-ის ნომერი, რომლის მეშვეობით ტურისტებს ეძლევათ ინფორმაციის მოწოდების საშუალება საქართველოში მოგზაურობისას შექმნილი პრობლემების შესახებ;
- „Mystery Shopper Project“ პრიექტის ფარგლებში უცხოური კომპანიების მეშვეობით განხორციელდა საქართველოს როგორც ტურისტული პოტენციალის მქონე ქვეყნის კვლევა;
- „გაიცანი საქართველო” პროექტის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში ქართველი ჟურნალისტებისთვის მოეწყო პრეს ტურები (სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, გურია და თუშეთი) და მომზადდა „გაიცანი საქართველო“-ს 29 წუთიანი ვიდეო რგოლი, რომელიც სოციალური რეკლამის სახით გაეშვა ადგილობრივ ტელევიზიებში;
- დაბა ბაკურიანში გაიმართა ფოტო-ტური, სადაც მონაწილეობა მიიღო 12-მა ქართველმა და უცხოელმა ფოტოგრაფმა;
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის დახმარებით გაიმართა ღონისძიება „წირა სკი-ქროსი 2016" სვანეთში თეთნულდის სათხილამურო ტრასაზე, დაბა გუდაურში ზამთრის სპორტული ღონისძიება „Jump and Freeze”, 2016 წლის სალაშქრო სეზონის გახსნის ღონისძიება კურორტ საწირეს ტერიტორიაზე, საქართველოს ფოლკლორის ეროვნულ ფესტივალი, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩითახევში შეჯიბრება ჯომარდობაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება თბილისში და საქართველოში აკრედიტებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეებისთვის დიპ-ტური;
- კახეთის რეგიონში, ლოპოტას ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩატარდა ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება და მოეწყო სპორტული მარათონი „Wings for Life World Run";
- ადმინისტრაციამ უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მრჩეველთა ტექნიკური საბჭოს მე-5 სხდომას;
- ზამთრის კურორტების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაბა მესტიასა და ბაკურიანში გაიმართა ღონისძიება „ზამთრის სეზონის გახსნა“;
- განხორციელდა ბრენდირებული სასტუმროების სტატისტიკური ინდიკატორების შესყიდვა, მომზადდა ტურიზმის სტატისტიკის საიტის დეტალური გეგმა და პრეზენტაცია ავიაციის სუბსიდირების პროგრამის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ვიზიტორის შემოსვლის წახალისებას საქართველოში და აგრეთვე, მომზადდა საერთაშორისო ბაზრის ანალიზი (მათ შორის რუსეთის, ჩინეთის და გალფის ქვეყნების გამყვანი ტურიზმის მახასიათებლები);
- შიდა ტურიზმის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, შიდა ტურიზმის ძირითადი პრობლემების აღმოსაჩენად ჩატარდა ონლაინ გამოკითხვა, რაც ხელს შეუწყობს გამყვანი ტურიზმის შიდა ტურიზმით ჩანაცვლებას;
- განხორციელდა ზამთრის კურორტებზე განთავსების საშუალებების კვლევა. ბაკურიანში, მესტიაში, გუდაურსა და გოდერძის კურორტზე გამოიკითხა განთავსების საშუალებების მენეჯერები და მომზადდა აღნიშნული კვლევის წინასწარი ანგარიში;
- მომზადდა 2015 წლის მეოთხე კვარტლის და 2016 წლის შიდა ტურიზმის წლიური ანგარიში, 2015 წლის სტატისტიკური მიმოხილვა, განხორციელდა არაორგანიზებული მოგზაურების კვლევა და განხორციელდა „Maroon 5"-ის კონცერტის ეკონომიკური ეფექტების კვლევა;

- ჩატარდება კონფერენცია თემაზე „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება“;
- მიმდინარე წლის მაისში საქართველო გახდა ამერიკის ტურ-აგენტების საზოგადოების (ASTA) ოფიციალური წევრი;
- საქმიანი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით:
  - ✓ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა ახალი დანაყოფი „საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიურო“, შეიქმნა ბიუროს ლოგოტიპი, მისი გამოყენების სახელმძღვანელო და ქვეყნის საქმიანი ტურიზმის სლოგანი. ბიუროს შუამდგომლობით გაიმართა წამახალისებელი ტური ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დაკომპლექტებული 80 კაციანი ჯგუფისათვის. საცდელ რეჟიმში ამოქმედდა ბიუროს ოფიციალური ვებ-გვერდი (MeetGeorgia.ge), რომელიც მსოფლიოს მასშტაბით იძლევა საქართველოს საქმიანი ტურიზმის პოტენციალის გაცნობის საშუალებას. ასევე შეიქმნა „Facebook”-ისა და „LinkedIn”-ის გვერდები;
  - ✓ ქ. სანქტ-პეტერბურგში, ქ. ვლადიკავკაზში და აგერთვე, ბაჰრეინსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (ბიუროსა და ავიაკომპანია „ფლაი დუბაის“ ინიციატივით) ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის გაიმართა პრეზენტაციები საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და საქმიანი ტურიზმის შესაძლებლობების შესახებ;
- მონაწილეობა იქნა მიღებული: ესპანეთის ქ. მალაგაში გამართულ მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის აღმასრულებელი საბჭოს 103-ე სხდომის მუშაობაში; გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციისა და ჩინეთის ტურიზმის ადმინისტრაციის ორგანიზებით ქ. პეკინში გამართულ მაღალი რანგის კონფერენციაში „First World Conference on Tourism for Development”;
- გაიმართა: შეხვედრები ქუვეითში ტურისტული კომპანიების წარმომადგენელებთან; ორი პრეზენტაცია ქ. კიშინოვში, რომელსაც ესწრებოდნენ ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები და მაღალი რანგის სტუმრები; პრეზენტაციები და შეხვედრები ქ. მოსკოვში საქართველოს ტურისტული შესაძლებლობებისა და ტენდენციების წარდგენის მიზნით, კომპანია „აეროფლოტთან“ ერთად ქ. მოსკოვში პრეზენტაცია წამყვანი ტურ-კომპანიებისათვის და ქ. თეირანში პრეზენტაცია ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისთვის;
- ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში გაიმართა საქართველოს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ოფიციალური წარდგენის ცერემონია, რომელსაც დაესწრო 150-მდე კერძო სექტორის წარმომადგენელი. არნიშნული ბიუროს შუამდგომლობით ქვეყანას ეწვია 92 კაციანი ჯგუფი Google-ის პოლონეთის ოფისიდან;
- „Buying Business Travel Awards 2016”-ის დაჯილდოების ცერემონიაზე საქართველო დაასახელეს საუკეთესო საქმიანი ტურიზმის (MICE) დანიშნულების ადგილად;
- ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელდა ტურისტული ნაკადების მონიტორინგი. გარდა ამისა, მიმდინარეობდა საქართელოს მასშტაბით არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრების მონიტორინგი;
- სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებისა და ტელე-რადიო არხების საშუალებით შიდა და საერთაშორისო ტურისტებს მიეწოდებოდა ინფორმაცია ადმინისტრაციის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
- დაბა ბაკურიანში გაიხსნა ახალი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი;
- შესყიდულ იქნა რეგიონების განახლებული რუკების ციფრული ფაილები, მომზადდა რუკაზე დასატანი ინფორმაციის ტექნიკური დავალება. ქუთაისის, ახალციხის, ყვარელის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ორმხრივი მანათობელი საინფორმაციო/საორიენტაციო შინაარსის სარეკლამო კონსტრუქციების მონტაჟი, რომელზეც დატანილია რუკა ადგილმდებარეობის მინიშნებით და ასევე, რეკომენდირებული სანახავი ობიექტების სია;
- ახალი პროდუქტის განვითარების პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა გერმანული მემკვიდრეობის თემატური ბროშურის (საქართველოში გერმანული დასახლებების (კოლონიების)

შესახებ), კახეთის სასკოლო ტურების კატალოგისა და ასევე, სამკურნალო კურორტების სარეკლამო ბროშურის დასაბეჭდად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები;

- ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა იმ ღვინის მარნებისა და საწარმოების აღწერა, რომლებიც ანხორციელებენ ტურისტების მიღებას და აგრეთვე, მომზადდა ტექნიკური დავალება საგზაო და საინფორმაციო მანიშნებლების საპროექტო სამუშაოების შესასყიდად;
- მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში კურორტ წყალტუბოს ცენტრალურ პარკსა და შემოგარენში შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ჩატარდა საპროექტო სამუშაოები, ხოლო მცხეთის ისტორიული ძეგლების შშმ პირთათვის ადაპტირების სამუშაოების ფარგლებში გასულ წელს მომზადებული პროექტის თანახმად (სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, დედათა მონასტერი, შიო მღვიმე, ანტიოქია, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი) დასრულდა ადაპტირების სამუშაოები;
- არქიტექტურულ-საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში განხორციელდა 3 სახის მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის კონცეფცია (სასურათე ჩარჩო, სათხილამურო მთის სტელა და ღვინის სტელა);
- განხორციელდა იმერეთისა და გურიის რეგიონების სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტის სამთო საფეხმავლო მარშრუტების კვლევა და მარკირების პროექტი და აგრეთვე, ზემო სვანეთის სამთო-საფეხმავლო ბილიკების მარკირება (მოინიშნა 7 ბილიკი, 200 კმ-მდე);
- გარემონტდა და დასუფთავდა თბილისის ორმხრივი მანათობელი კონსტრუქციები;
- მომზადდა და მთავრობის მიერ რეგლამენტის სახით დამტკიცდა პირველი ეროვნული სამთო-საფეხმავლო ბილიკების მონიშვნის წესი, რომელიც პრეზენტაციის სახით წარედგინა კერძო, სახელმწიფო და დონორ ორგანიზაციებს;
- საქართველომ უმასპინძლა გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის ღვინის ტურიზმის პირველ გლობალურ კონფერენციას, რომელსაც დაესწრო 42 ქვეყნის 250-მდე წარმომადგენელი. კონფერენციის ფარგლებში ღონისძიებები ჩატარდა თბილისში, ყვარელსა და „შატო მუხრანში“;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ATTA-ს „Travel World Summit 2016”-ში (ATTA ორიენტირებულია სხვადასხვა ქვეყნებში სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობაზე).
- საქართველო - ბელარუსის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში ხელი მოეწერა ბელარუსსა და საქართველოს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის პროექტს 2017-2018 წლებისთვის;
- ქ. რინოში (ნევადას შტატი) გამართულ ASTA-ს კონფერენციის ფარგლებში, 100-მდე ტურისტული კომპანიის წარმომადგენლისათვის მოეწყო პრეზენტაცია საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ მონაწილეობა მიიღო კონფერენციის ფარგლებში გამართულ გამოფენა-ბაზრობაზე.

3.7 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი - 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

- განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში

დაფინანსებული იქნა 524 ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, წყალმომარაგების სისტემების, საბავშვო ბაღების და ა.შ. მშენებლობა-რეაბილიტაცია.

- შემუშავებული იქნა საქართველოს კანონების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების და საქართველოს მთავრობის განკარგულებების პროექტები;
- განხილულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში, ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შემუშავდა წინადადებები;
- სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში მიმდინარეობდა დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფის მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები;
- მიმდინარეობდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია;
- კომპეტენციის ფარგლებში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის ხელშეწყობა;
- მიმდინარეობდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;
- განხორციელდა საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის ღონისძიებების კოორდინაცია;
- მიმდინარეობდა საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღება;
- უფლებამოსილების ფარგლებში სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, განხორციელდა საჭირო ღონისძიებების ხელშეწყობა.

3.8 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ შპს ენგურჰესი

ელექტრომექანიკური სამუშაოების კონტრაქტის ფარგლებში:

- ➢ დასრულდა ვარდნილჰესის სამივე აგრეგატის რეაბილიტაცია, 220 და 110 კვ ღია გამანაწილებელი სადგურის რეაბილიტაცია და კომისირების სამუშაოები;
- ➢ მიმდინარეობდა საბოლოო ხარვეზების აღმოფხვრა/გასწორების სამუშაოები.

ჰიდრომექანიკური სამუშაოების კონტრაქტის ფარგლებში:

- დასრულდა სამივე სადაწნეო მილსადენების რეაბილიტაცია;
- დასრულდა სიღრმული წყალსაშვის, გამყვანი არხის, უქმი წყალსაშვისა და წყალმიმღები ფარების, ამწეებისა და სხვა ჰირდომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია;
- მიმდინარეობდა საბოლოო ხარვეზების აღმოფხვრა/გასწორების სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტის ფარგლებში:

- დასრულდა სიღრმული წყალსაშვის მშენებლობა;
- შესრულდა უქმი წყალსაშვის რეაბილიტაციის 75%;
- მისასვლელი 4კმ ბეტონის საფარიანი ახალი გზის მშენებლობა მთლიანად დასრულდა;
- მიმდინარეობდა გამყვანი არხის გაწმენდა/რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის ობიექტის მომზადება (ჯებირის მშენებლობა - წყლის ამოტუმბვა).

3.9 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- გრძელდებოდა მუშაობა საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაზე, მათ შორის:
  - ✓ „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტისა და მეტროლოგიის სფეროში საკანონმდებლო რეფორმის და ტექნიკური რეგლამენტების მიღების სამთავრობო პროგრამის დამტკიცების შესახებ" პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებების ფარგლებში ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივებთან შესაბამისი ეროვნული ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე;
  - ✓ შემუშავდა შემდეგი სტანდარტების პროექტები: ,,ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ" და ,,კარიერების უსაფრთხოების წესები";
- სააგენტოში დაინერგა ინტერაქციის ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა, რომლის მეშვეობით სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვების გაცემა შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით. გამომდინარე აქედან მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტები;
- ევროკავშირის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შორის საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებზე ბაზარზე ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების მიზნით;
- შემოწმდა შემდეგი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტები: 51 ამწე მოწყობილობა; 734 ლიფტი; 14 ესკალატორი; 6 საბაგირო მოწყობილობა; 6 ატრაქციონი; 3 შახტი; 64 კარიერი; 89 აირსავსი და აირგასამართი სადგური; 19 წნევის ქვეშ მომუშავე ჭურჭელი; 1 ფუნიკულიორი; 11 მაღარო; 2 მაგისტრალური გაზსადენი; 1 ნავთობბაზა; 24 იარაღითა და საბრძოლო მასალებით ვაჭრობისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობა;
- განხილულ იქნა: 62 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების და ობიექტების გაზომომარაგების ტექნოლოგიური ნაწილის პირველი და მეორე სტადიის პროექტი; 11 აირგასამართი და აირსავსები სადგურების მშენებლობის პროექტები; 4 ნავთობის ბაზის მშნებლობის პროექტი; 1 მაგისტრალური გაზსადენის პროექტი;

- გაცემულ იქნა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 15 ნებართვა;
- ტექნიკური ინსპექტირების შედეგად უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის დაჯარიმდა 85 ობიექტი;
- სამშენებლო კუთხით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: გაიცა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების 94 ნებართვა (მათ შორის 10 მშენებლობის თაობაზე შეთანხმება); შეთანხმდა 325 IV კლასის ობიექტი; ზედამხედველობა განხორციელდა 82 ობიეტზე; არქიტექტურულ – სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევების გამო დაჯარიმდა 37 ობიექტი; ექსპლუატაციაში იქნა მიღებული 42 ობიექტი;
- დასრულდა გეოინფორმაციული სისტემების დანერგვის პირველი და მეორე ეტაპები, შეიქმნა სერვერული გეოინფორმაციული ბაზა და მომხმარებლისთვის შიდა გის პორტალი (ინტერაქტიული რუკა) და მიმდინარეობდა ზემო აღნიშნული გეოინფორმაციული ბაზის ყოვედღიური განახლება სააგენტოში შემოსული სივრცითი მონაცემების მიხედვით, რომელიც ავტომატურ რეჟიმში აისახება გის პორტალზე;
- დასრულდა ინტერაქციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ინსტალაცია, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვების გაცემასთან დაკავშირებით, ასევე სანებართვო პირობების შესრულების ზედამხედველობის კუთხით.
- მიმდინარეობდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივი რეესტრის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პორტალის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აღნიშნული ობიექტების ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირება და შესაბამისად თითოეულ ასეთ ობიექტზე ინფორმაციული სივრცის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოების მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ მონაცემების, ასევე ობიექტების მიმართ გატარებული სანქციების შესახებ ინფორმაციის ატვირთვა-შეგროვება.

3.10 ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

- ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შეუფერხებელი მიმდინარეობისათვის განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული და ამავდროულად პროექტისათვის აუცილებელი მიწების გამოსყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

4. განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

4.1 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;

- ✓ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ/ა(ა)იპ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - საჯარო სკოლები.

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი ფინანსური რესურსებით;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად განხორციელდა მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის სახელფასო ზრდა, ასევე სქემის ეფექტიანი დანერგვის, საქართველოს საგანმანათლებლო და სამუშაო სექტორში ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართვის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში უზრუნველყოფილ იქნა მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემო;
- მულტიდისციპლინური გუნდის მიერ თბილისსა და რეგიონებში განხორციელდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების და პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის მსურველ ბენეფიციართა იდენტიფიკაცია და შეფასება, საჭიროების შემთხვევაში დამხმარე სპეციალისტების მომსახურება;
- საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეები და კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნენ სასკოლო სახელმძღვანელოებით;
- სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულთა მიეცათ ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების, ექსტერნატის ფორმით სასკოლო გამოცდების ჩაბარებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობებისა და იმ მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს/დაბებს შორის შესამჩნევია;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს მიეცათ ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა;

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

- ქვეყნის მასშტაბით დაფინანსდა 2 082 საჯარო და 237 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა;

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

- ,,მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების (ტრენინგების) პროგრამის“ ფარგლებში სამიზნე ჯგუფების უხარვეზო რეგისტრირების მიზნით, შემუშავდა და დაინერგა პროფესიული განვითარების ღონისძიებაზე რეგისტრაციის სისტემა, სხვადასხვა მიმართულებით ჩატარდა პროფესიული განვითარების ტრენინგები (გადამზადდა 8 268 ბენეფიციარი), განხორციელდა გერმანული,

ინგლისური და ფრანგული ენის 41 და ფიზიკის 12 მასწავლებლის სტაჟირება, ჩატარდა მასწავლებელთა მეოთხე ეროვნული კონფერენცია (მონაწილეობდა 100 მასწავლებელი);

- ,,ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად პროგრამის“ ფარგლებში 2015-2016 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში დასაქმებული იყო 24 ინგლისურენოვანი, ერთი ფრანგულენოვანი, 16 ჩინურენოვანი და 90 ადგილობრივი უცხოური ენის მოხალისე პედაგოგი, 2016-2017 სასწავლო წლის პირველ სემსეტრში პროგრამაში ჩაერთო 22 ინგლისურენოვანი, 1 ფრანგულენოვანი, 1 გერმანულენოვანი, 16 ჩინურენოვანი მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც განაწილებულნი იქნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 41 სკოლაში (8 რეგიონი: შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, იმერეთი, სამეგრელო - ზემო სვანეთი, აჭარა, გურია, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, თბილისი), თანამშრომლობენ 79 ადგილობრივ უცხოური ენის მასწავლებელთან და 5 000-მდე მოსწავლესთან;
- პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში ჩართული იყო 193 კონსულტანტ-მასწავლებელი, მაგისტრატურაში სწავლის საფასური დაუფინანსდა პროგრამის კურსდამთავრებულ მონაწილეებს (2016 წლის გაზაფხულის სემესტრი - 18 მონაწილე, შემოდგომის სემესტრი - 6 მონაწილე);
- ,,არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში კონკურსის წესით შეირჩა აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი 23 საგნობრივი ტრენერი. პროგრამის სამიზნე სკოლებში ჩართული იყო მასწავლებელთა სამი ჯგუფი: ქართულის, როგორც მეორე ენის 114 კონსულტანტ-მასწავლებელი, ქართულის, როგორც მეორე ენის და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების (ისტორია და გეოგრაფია) 136 დამხმარე მასწავლებელი (ადგილობრივ მასწავლებლებს ეხმარებოდნენ საგაკვეთილო პროცესის წარმართვაში); 28 ბილინგვალი დამხმარე მასწავლებელი (ერთენოვანი დამხმარე მასწავლებლებისგან განსხვავებით, ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად მუშაობენ ეროვნული სასწავლო გეგმის ნებისმიერ სასკოლო დისციპლინაში). სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების 646 მასწავლებლს ჩაუტარდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები, ენის კურსში ინტეგრირებული იქნა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების საჭიროებებზე მორგებული პროფესიული უნარ-ჩვევების ტრენინგი;
- ,,სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus) პროგრამის“ ფარგლებში eTwinning Plus ონლაინ სისტემაში ჩართულ იქნა 188 სკოლის 350 მასწავლებელი;
- ,,პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის შედეგების გათვალისწინებით ჩატარდა ტრენინგები: „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“, ,,მოდულური სწავლების საკითხები პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის“, „საერთაშორისო მობილობა“, „ინკლუზიური განათლება“ და ტრენინგები საწარმოში (გადამზადდა 1 785 მონაწილე);
- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის“ ფარგლებში მასწავლებელთა ზოგადპროფესიული უნარების კურსის პირველი მოდულის - „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები" მიხედვით ტრენინგი გაიარა 7 189-მა მასწავლებელმა; „ლიდერობის აკადემია ერთის“ ფარგლებში გადამზადდა საჯარო სკოლის 1 703 ქართულენოვანი დირექტორი, „ლიდერობის აკადემია ორის“ პირველი და მეორე მოდულის მიხედვით გადამზადნენ საჯარო სკოლის ქართულენოვანი დირექტორები და ფასილიტატორები (1 603 მონაწილე);
- ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის, დანერგვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში უფროს მასწავლებლებს დამატებითი

აქტივობის სფეროში მიენიჭათ კრედიტქულები, მასწავლებლის შიდა შეფასების ჯგუფებისათვის განხორციელდა ტრენინგები: „სკოლის შედა შეფასების პროცესის მონიტორინგის დაგეგმვა და განხორციელება“ (1 806 დირექტორი), „პროფესიული საქაღალდის შეფასება“ (6 888 მონაწილე), „სამოდელო გაკვეთილის დაგეგმვა და შეფასება“ (14 499 მონაწილე), „პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება“ (11 082 მონაწილე). სქემაში ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგებისათვის ჩატარდა ტრენინგები: „თანამედროვე მიდგომები სწავლებასა და შეფასებაში“ (1 762 მონაწილე), „ინკლუზიური განათლება“ (1 249 მონაწილე), „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისა და შეფასების მეთოდები“ (41 მონაწილე), „მასწავლებლის მიერ შექმნილი ეფექტური და ეფექტიანი რესურსის მნიშვნელობა სწავლება-სწავლის პროცესში“ (87 მონაწილე);

- მომზადდა და საგანმანათლებლო რესურცენტრებს დაურიგდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლევის II ნაწილი;
- ,,პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომზადდა და დამტკიცდა სხვადასხვა მიმართულების 7 სატრენინგო პროგრამა, რომელიც მოიცავს 164 მოდულს, შემუშავდა სატრენინგო მოდულები უცხოური ენების მიმართულებით (გერმანული, ფრანგული, რუსული), მომზადდა ქართული ენის დისტანციური სკოლის საპილოტე მოდელი და ჩატარდა 10 ონლაინგაკვეთილი;
- ,,ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) ტრენინგების პროგრამის“ ფარგლებში გადამზადდა - 339 მასწავლებელი, მეორე კლასის დამრიგებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „შებრუნებული საკლასო ოთახი" (გადამზადდა 3 665 მასწავლებელი), ხელმისაწვდომი გახდა ისტ-ის სასწავლო პროცესში გამოყენების ციფრული რესურსები, შეიქმნა ვიდეოგაიდები და განთავსდა პორტალზე (ict.tpdc.ge), ჩატარდა საგანმანათლებლო ტექნოლოგიების კონფერენცია;
- Intel-ის ძირითადი კურსის „პროექტებით სწავლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრირება“ ფარგლებში მომზადება გაიარა 3 243-მა მასწავლებელმა;
- ,,საბაზო კურსი სკოლის ბიბლიოთეკარებისთვის“ ფარგლებში გადამზადდა 123 ბიბლიოთეკარი, კონსულტირება გაეწია (ქოუჩინგის მეთოდით) 595 პირველ და მეორე კლასის დამრიგებელს;
- გამოიცა ჟურნალ „მასწავლებელის“ ექვსი ნომერი, რეფერირებადი ჟურნალი „განათლების მეცნიერება“, მასწავლებლის ბიბლიოთეკის სერიის ორი წიგნი: „ინტერაქტიური მეთოდები პრაქტიკაში“ და „შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო“;
- ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა ჟესტური ენის სასწავლო კურსი (მეორე და მესამე დონე), ჟესტური ენის თარჯიმანთა მოსამზადებელი კურსი (მეორე დონე), ჟესტური ენის სწავლება მცირე ასაკის ბავშვებისთვის (მეორე დონე), ორიენტაცია-მობილობის ინსტრუქტორის მოსამზადებელი კურსი (მეორე დონე);
- შემუშავდა და დამტკიცდა ტრენინგ მოდულები „სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლის სტრატეგიები“, „ინდივიდუალური მიდგომები სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტთა განათლებისას და პროფესიული ტესტირება“ (მეორე დონე), „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერითი დასაქმება“, „ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი სმენის დარღვევის მქონე პირებისთვის, „გარემო და შეზღუდული შესაძლებლობა - ტრენინგ მოდული სატრანსპორტო კომპანიის წარმომადგენელთათვის“, „მასმედია და შეზღუდული შესაძლებლობა“, პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის მომზადდა მოდული ინკლუზიური განათლების საკითხებზე;
- შეიქმნა ჟესტური ენის 13 მოკლე სასწავლო ფილმი - ვიდეო მასალა და შემუშავდა უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეებისთვის რიტმიკის სწავლების მეთოდოლოგიური გზამკვლევი;

- სტრატეგიული კვლევებისა და ანალიზის პროგრამის ფარგლებში მომზადდა სტატისტიკური ანალიზი დეფიციტური საგნების და მიმართულებების დასადგენად, ჩატარდა „მასწავლებელთა თვითშეფასების პროცესის კვლევა“ და „პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგებთან დაკავშირებით საწარმოების დამოკიდებულებების კვლევა“. საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის დახმარებით განხორციელდა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ დანერგვის შეფასებითი კვლევა.

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

- საანგარიშო პერიოდში საგნმანათლებლო დაწესებულების 1 275 მანდატური ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე უზრუნველყოფდა საზოგადოებრივ წესრიგს და უსაფრთხოების დაცვას. მანდატურები გადანაწილებულნი იყვნენ 445 საჯარო და 3 კერძო სკოლაში, 3 პროფესიულ სასწავლებელსა და ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო უნივერსიტეტში, მათ შორის, განხორციელდა მანდატურების შეყვანა კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონების იმ 26 საჯარო სკოლაში, სადაც ისინი არ იყვნენ წარმოდგენილები;
- შსს აკადემიაში მანდატურობის საბაზისო კურსი გაიარა 22-მა მანდატურობის კანდიდატმა, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში გადამზადდა 592 მანდატური, რომლებიც სამოქალაქო უსაფრთხოების და საგანგებო სიტუაციების მართვის თეორიულ/პრაქტიკულ საკითხებს დაეუფლნენ;
- შსს აკადემიის სპეციალური მომზადების კურსის წარმატებით გავლის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურობის კანდიდატებისათვის ჩატარდა ტრენინგ-კურსი თემებზე: ბავშვის განვითარების ეტაპები, კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა და მედიაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესი, ფსიქოლოგიური ტრავმა და ძალადობა, ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის იდენტიფიკაცია და გადამისამართების პროცედურები (გადამზადდა 215 მანდატურობის კანდიდატი);
- სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა და აშშ-ის სკოლის მანდატურთა ეროვნულმა ასოციაციამ (NASRO) ჩაატარეს ერთობლივი კონფერენცია თემაზე: ,,უსაფრთხო სკოლა'', აგრეთვე აშშ-ის სკოლის მანდატურთა ეროვნული ასოციაციის (NASRO) წარმომადგენლებმა მანდატურის სამსახურის თანამშრომლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებისთვის ჩაატარეს ტრენინგები (გადამზადება გაირა 100-მა პირმა);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების გაძლიერების, საგანგებო სიტუაციებში მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის ქცევის მართვის მიზნით 442 საჯარო სკოლაში შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბები, მათ შორის საქართველოს რეგიონების 144 საჯარო სკოლაში;
- სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი, ფოთი, გორი, რუსთავი) რეფერირებული იყო 1 592 ბენეფიციარი. ჩატარდა ჯგუფური ფსიქო-კორექციული მუშაობა სხვადასხვა ასაკის ბავშვებთან/მოზარდებთან (124 ჯგუფი) და მშობლებთან (12 ჯგუფი), სულ 414 ბენეფიციარი;
- ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტის მიერ განხორციელდა ბენეფიციართა გადამისამართება ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოში (23 ბენეფიციარი), სოციალური მომსახურების სააგენტოში (5 ბენეფიციარი), ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ცენტრში (22 ბენეფიციარი), ფსიქიატრიულ დისპანსერში (12 ბენეფიციარი), ენდოკრინოლოგთან (8 ბენეფიციარი), პოლიციაში გაიგზავნა შეტყობინება 2 ბენეფიციართან დაკავშირებით. ადგილზე დახმარება გაეწია

(ველზე გასვლა) 58 ბენეფიციარს. სოციალურმა მუშაკებმა სატელეფონო კონსულტაცია გაუწიეს 61 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს;

- პროგრამის „ბავშვთა მიმართ ძალადობა - გადამისამართების პროცედურები ბავშვის დაცვის საჭიროების შემთხვევებში“ ფარგლებში ჩატარდა სატრენინგო კურსი, რომლის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ მანდატურები მთელი საქართველოს მასშტაბით და სკოლის, რომელსაც არ ჰყავს მანდატურები, წარმომადგენლები (გადამზადდა საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა მანდატური და საჯარო სკოლების 763 წარმომადგენელი);
- „ძალადობრივი და დესტრუქციული ქცევის ამოცნობისა და პრევენციის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარდა კვლევა, მომზადდა ტრენინგ-მოდული და ტრენინგ-მოდულის შეფასების და ხარვეზების გამოვლენის მიზნით ერთი სკოლის 12 პედაგოგს ჩაუტარდა ტრენინგი;
- ჩატარდა სპეციალური ტრენინგი „ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამაში ჩართული პედაგოგებისათვის (გადამზადდა 22 პედაგოგი);
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგვმის საპილოტე პროგრამა მიმდინარეობდა 1 500 საჯარო სკოლის მე-9 და მე-11 კლასებში;
- პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის 106-მა სპეციალისტმა გაიარა გადამზადება, განხორციელდა 1 837 პროფორიენატაციის პედაგოგის გადამზადება.
- მე-9 და მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის მოეწყო სასწავლო ექსკურსიები საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და დასაქმების ობიექტებში, ჩატარდა გაფართოებული შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან;
- პროგრამის „სამართლებრივი კულტურის საწყისები" ფარგლებში შედგა 300-მდე შეხვედრა, კლასის დამრიგებელთან ერთად 30-მა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურმა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 30 საჯარო სკოლაში ჩაატარა საგაკვეთილო კურსი ,,სამართლებრივი კულტურის საწყისები“, პროგრამა მიმდინარეობდა რეგიონებში და ჩართული იყო 1 000-მდე მოსწავლე.

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

- ჩატარდა 2015-2016 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადების პირველი, მეორე და მესამე ტურები. გამოვლინდა 121 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. წამახალისებელი სიგელებით დაჯილდოვდა 1 200-ზე მეტი მოსწავლე და 29 სკოლა;
- საერთაშორისო ოლიმპიადების ფარგლებში შესარჩევი ტურების შედეგად დაკომპლექტდა საქართველოს 5 ნაკრები გუნდი (ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ინფორმატიკასა და ბიოლოგიაში), რომლებმაც გაიარეს შესაბამისი მომზადება, მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ოლიმპიადებში და მოიპოვეს 1 ვერცხლის, 4 ბრინჯაოს მედალი და 6 საპატიო სიგელი;
- სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა სასკოლო კონკურსები: ეროვნული ტურნირი ინფორმატიკაში, გუნდური კონკურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ევროპის კვირეულისადმი მიძღვნილი ვიდეოსიუჟეტების კონკურსი „ნაბიჯი ევროპისკენ“, ესეების კონკურსი არაქართულენოვანი სკოლების და მაღალმთიან რეგიონებში მდებარე სკოლების მოსწავლეებისთვის „როგორ ვხედავ ჩემი მხარის მომავალს“, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშრებული კონკურსი „წარსულით შექმნილი მომავალი“;

- ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში ჩატარდა სლოგანების, ფლეშმობების (სასკოლო წარმოდგენები) და კონცეფციების კონკურსი - „ნაბიჯი თანადგომისკენ“;
- ჩატარდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი ესეების და ილუსტრაციების კონკურსი, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ფარგლებში ჩატარდა ინტერვიუების/რეპორტაჟების კონკურსი;
- ჩატარდა ქართული ლიტერატურის თეატრალური ფესტივალი;
- წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის ფარგლებში გამოვლინდა 1 856 ოქროს და 991 ვერცხლის მედალოსანი.

4.1.5 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (პროგრამული კოდი 32 02 05)

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენის მიზნით სკოლების მოთხოვნისა და მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლის გამოსაშვები გამოცდების, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების მიზნით, ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრების მიერ შეფასებულია 2 247 პირი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში 111 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი უზრუნველყოფილ იქნა 59 სხვადასხვა მიმართულების დამხმარე სპეციალისტის მომსახურებით, ასევე 18 სსსმ სტუდენტი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და უკან, ტრანსპორტირებისათვის 16 გადაადგილების მხარდამჭერის მომსახურებით;
- განხორციელდა წინა პროფესიული უნარების განვითარების მეთოდოლოგიის პილოტირება და 20 მოზარდისთვის (მათ შორის 12 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდი) წინაპროფესიული უნარების გაძლიერების და პროფესიული ორიენტაციის სერვისის მიწოდება;
- ჟესტურ ენაზე განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, I-III კლასებისთვის ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივი პროგრამების ფარგლებში იდენტიფიცირებული და ელექტრონული ვებ-გვერდის საშუალებით გავრცელებულია 1500 ჟესტი;
- იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებულ ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებს მიეწოდათ საგანმანათლებლო სერვისი ქალაქ თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგების მიერ;
- სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლაში სმენის პრობლემების მქონე მოსწავლეებისათვის, ხოლო სსიპ - ქალაქ თბილისის №166 საჯარო სკოლაში, სსიპ - მიხეილ გრუშევსკის სახელობის ქალაქ თბილისის №41 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №72 საჯარო სკოლაში, სსიპ - ქალაქ რუსთავის №21 საჯარო სკოლაში, სსიპ - თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, სსიპ - ქალაქ თბილისის №132 საჯარო სკოლასა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №13 საჯარო სკოლაში აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თბილისის №214 საჯარო სკოლაში საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის, სსიპ - ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლაში სხვადასხვა ტიპის დარღვევების მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებდა ინტეგრირებული კლასები. აღნიშნული მომსახურებით ისარგებლა 92 მოსწავლემ;
- პროგრამის ბენეფიციარებისა და საჯარო სკოლების მოსწავლეების სოციალიზაციის მიზნით, კულტურული ღონისძიებების განსახორციელებლად დაფინანსდა 6 საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი პროექტი;

- სპეციალურ საგანმანთლებლო დაწესებულებებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იყვნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდა მათ განვითარებაზე ზრუნვა;
- „სკოლის გაძლიერების“ პროექტის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდა მიუსაფარი ბავშვების 40-მდე საჯარო სკოლის 150 მასწავლებელს და საინფორმაციო კამპანია მიუსაფარი ბავშვების კლასელების მშობლებისთვის გაიმართა 20 საჯარო სკოლაში, მონაწილეობდა 1 000 მოსწავლის მშობელი;
- ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის განხორციელდა მიუსაფარ ბავშვთა ექვს სერვისში (ქ. თბილისი, ქ. რუსთავი, ქ. ქუთაისი) და მასში ჩართული იყო ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 80-მდე ბავშვი, 21 ბენეფიციარი ჩაირიცხა სკოლაში, 4 ბენეფიციარი ჩაერთო პროფესიული გადამზადების პროგრამაში.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

- შეძენილ იქნა 2 365.9 ათასი ცალი სახელმძღვანელო და რვეული, რომელიც მოთხოვნის შესაბამისად დაურიგდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებს, ახალგორის მუნიციპალიტეტის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული იმ სკოლების მოსწავლეებს, სადაც სწავლება ხორციელდება ქართულ ენაზე, ოკუპირებული გალის რაიონის მოსაზღვრე 9 სკოლისა და ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში აღდგენილი და ფუნქციონირებადი ოცი სკოლის მოსწავლეს.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

- ,,ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ ღონისძიების ფარგლებში შეირჩა 600 მოსწავლე, რომლებიც გაემგზავრნენ დაბა წყნეთში და აიმაღლეს ცოდნა ინგლისურ ენაში, ხოლო 36 მოსწავლე გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში და დაესწრო ორკვირიან ინგლისური ენის საზაფხულო კურსს;
- „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლის“ ღონისძიების ფარგლებში საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში საუკეთესო შედეგების მქონე 75 მოსწავლე;
- „მულტიკულტურული საზაფხულო სკოლა“ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ესეების კონკურსის „როგორ ვხედავ ჩემი მხარის მომავალს“ საფუძველზე შეირჩა 50 მოსწავლე და 50 მასწავლებელი, რომლებიც გაემგზავრნენ დაბა ბაკურიანში.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

- მიმდინარეობდა კონფლიქტის ზონებში მცხოვრები პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისათვის ფინანსური დახმარების გაწევა.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

- პროგრამის ფარგლებში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფ 150-მდე არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს შესაძლებლობა ჰქონდა სპეციფიურ გარემოში შეესწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნები;
- პენიტენციურ დაწესებულებაში მომუშავე პედაგოგებს ჩაუტარდათ 10 დღიანი სპეციალური გადამზადების კურსი/ტრენინგი;
- ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნების, ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებისათვის ექსტერნად დარეგისტრირდა N11 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო, N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის, N15 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი ბრალდებული/მსჯავრდებული პირები, გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 22-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა პირმა, რომლებმაც დასძლიეს პროგრამის სხვადასხვა კლასისა და საფეხურის დონე
- 2015-2016 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ის და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდებში მონაწილეობა მიიღო და დაძლია აღნიშნული გამოცდები ერთმა არასრულწლოვანმა ბრალდებულმა მოსწავლემ;
- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 15-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა 2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვებ გამოცდებში და გამოცდა დაძლია 9 პატიმარმა მოსწავლემ;
- ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 14 ბრალდებული/მსჯავრდებული პირი, მონაწილეობა მიიღო 10-მა. ამასთან, გამოცდა წარმატებით დაძლია და მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2-მა ბრალდებული/მსჯავრდებული პირმა;
- ,,მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლებაშეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დაფინანსება მიიღო 10-მა სსიპ/ა(ა)იპ - საზოგადოებრივმა/პროფესიულმა კოლეჯმა (მომზადება გაიარა 1 004-მა ბენეფიციარმა).

4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

- გადამუშავდა საბაზო საფეხურის საგნობრივი სასწავლო გეგმები, ჩატარდა ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი საშუალო საფეხურზე თბილისის სკოლებში, მომზადდა საშუალო საფეხურის გადამუშავებული სტანდარტების პირველადი სამუშაო ვერსიები;
- ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით მომზადდა დაწყებითი საფეხურის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და

კონცეპტუალური ნაწილი, საგნობრივი სასწავლო გეგმების საბეჭდი ვერსიები (ელექტრონულ ფორმატში) და საინფორმაციო პოსტერების ელექტრონული ვერსიები;

- მომზადდა სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის მონიტორინგის კონცეპტუალური ჩარჩო, შეიქმნა მონიტორინგის ინსტრუმენტის ჩარჩო.

4.1.11 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 11)

- სამინისტრომ უზრუნველყო 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრში 1 172 საჯარო სკოლის 69 190 მოსწავლის, ხოლო, 2016-2017 წლის პირველ სემესტრში უზრუნველყო 1 163 საჯარო სკოლის 65 806 მოსწავლის, უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.

4.1.12 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობის ფარგლებში სსიპ - ქალაქ თბილისის N81 საჯარო სკოლაში ჩაირიცხა 68 ბენეფიციარი და შეირჩა 7 კვალიფიციური პედაგოგი, პროგრამა წარმატებით დაასრულა (ტესტირება, გასაუბრება) 31-მა ბენეფიციარმა;
- ,,სასკოლო ინიციატივების წახალისების“ ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 41 პროექტი და ,,სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების“ ფარგლებში - 32 პროექტი;
- გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წრთვნის მიზნით ზუგდიდში მივლენილ იქნა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც დაატრენინგეს 46 მასწავლებელი; გალის რაიონიდან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 205 აბიტურიენტი, სდუდენტი გახდა 84 პირი;
- მშობელთა განათლებისა და ჩართულობის ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა 11 საჯარო შეხვედრა იმ რეგიონებში მცხოვრებ მშობლებთან, სადაც ყველაზე მეტად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები (საგარეჯოს, ბოლნისი, გარდაბნის, დმანისის მუნიციპალიტეტები);
- დაიბეჭდა 38 010 ცალი საკლასო ჟურნალი, რომელიც გადაეცათ საგანმანთლებლო რესურცენტრებს ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებებისთვის გადაცემის მიზნით;
- „გაიცანი საქართველო“ და „საერთაშორისო საგანმანათლებო ექსკურსიების“ ფარგლებში მოწყობილ საგანმანათლებლო ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო 44 საჯარო სკოლის მოსწავლემ;
- ,,საერთაშორისო საგანმანათლებლო ექსკურსიების“ ფარგლებში „ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლის“ გამარჯვებული 12 მოსწავლე და მათი 2 მასწავლებელი გაემგზავრა შვეიცარიაში, ცერნში საგანმანათლებლო ექსკურსიით, ხოლო 18 გამარჯვებული მოსწავლე და მათი 4 მასწავლებელი გაემგზავრა პოლონეთში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში;
- „საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი ქვეპროგრამის“ ფარგლებში საქართველოს 24 მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის სკოლების მე-8 - მე-11, კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა პირველი ეტაპის კონკურსები (ტესტირებების სახით). სკოლების ჩართულობის საერთო მაჩვენებელმა შეადგინა 94,4%. მეორე ეტაპზე გადასული მოსწავლეების მონაწილეობით სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქებში გაიმართა ინტელექტუალური კონკურსები,

გამოვლინდა და დიპლომებით დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის/თვითმმართველი ქალაქის წარმატებული მოსწავლეები.

4.2 უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი.

- შესაბამისი ღონისძიებები გატარდა ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებლის საგნის, 2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები და პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩასატარებლად;
- სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ სწავლის დაფინანსებით, წარჩინებულმა სტუდენტებმა მიიღეს სტიპენდიები;
- პროგრამის ,,ცოდნის კარის" ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასურით და/ან სტიპენდიით/საყოფაცხოვრებო ხარჯებისათვის საჭირო თანხით უზრუნველყოფილია პროგრამის ბენეფიციარები;
- საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლება დაუფინანსდათ სხვადასხა სოციალური კატეგორიის მქონე სტუდენტებსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს;
- ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების მიზნით, მომზადებულია სხვადასხვა დონეებისათვის სახელმძღვანელოები, რომლებიც განთავსდა ვებგვერდზე (geofl.ge) და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის;
- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით.

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

- ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები და საერთო სამაგისტრო გამოცდები. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 27 785-მა აბიტურიენტმა, ხოლო სახელმწიფო დაფინანსება გამოცდების შედეგების მიხედვით მოიპოვა 6 741 - მა. საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად სახელმწიფო სამაგისტრო გრანტი მოიპოვა 895-მა აპლიკანტმა;
- სტუდენტთა საგრანტო კორკურსის ფარგლებში ჩატარდა გამოცდა და გრანტი მოიპოვა/გაიუმჯობესა 230-მა სტუდენტმა;
- ჩატარდა პრაქტიკოს მასწავლებელთა ზამთრის და ზაფხულის საგნის გამოცდები, გამოცდაზე ზღვარი გადალახა 4 747-მა მასწავლებელმა;
- ჩატარდა 2016 წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდები, მე-12 კლასის მოსწავლეებს გამოცდები

ჩაუტარდა 4 საგანში (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენები, ისტორია, მათემატიკა) და მინიმალური ზღვარი გადალახა 34 107-მა მოსწავლემ, ხოლო მე-11 კლასის მოსწავლეებს გამოცდები ჩაუტარდა 4 საგანში (ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ფიზიკა) ყველა გამოცდა ჩააბარა 32 619-მა მოსწავლემ;

- 2016 წლის ჩატარდა პროფესიული ტესტირების საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებისათვის ტესტირება და სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 11 124-მა აპლიკანტმა;
- მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის The Program for International Student Assessment (PISA) ფარგლებში ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა მოსწავლის, მშობლის და დირექტორის კითხვარები, ტესტური დავალებები მათემატიკაში, კითხვაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებსა და ფინანსურ წიგნიერებაში;
- წიგნიერების საერთაშორისო კვლევა Progress in International Reading Literacy Study (PIRLS) ფარგლებში ტრენინგი ჩაუტარდა 200 სკოლის, მათ შორის 34 აზერბაიჯანულენოვანი სკოლის კოორდინატორს. ასევე, ტრენინგი ჩაუტარდა ePIRLS ადმინისტრატორებს და დაქირავებულ პირებს. ძირითად კვლევაში მონაწილეობას იღებდა 200 სკოლის 6 000-მდე მოსწავლე, მოსწავლეების მშობლები, მშობლიური ენის მასწავლებლები და დირექტორები;
- სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო გამოკითხვა Teaching and Learning International Survey (TALIS) ფარგლებში მომზადდა კვლევის ანგარიშის (სკოლის დირექტორები, მათი საქმიანობა, პროფესიული განვითარება და შეფასება) საბოლოო ბეჭდური ვერსია, მომზადდა საბოლოო ანგარიშის ინგლისურენოვანი ანოტაცია და დასრულდა რედაქტირება. დასრულდა კვლევის ინსტრუმენტების ქართულ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე ადაპტაცია, თარგმნა და ონლაინ სისტემაში შეყვანა;
- მომზადდა სახელმწიფო შეფასება მათემატიკაში კვლევის პირველადი ანგარიში, მოხდა შედეგების ანალიზი სტატისტიკური ანალიზის Hierarchical Linear Modeling (HLM) მეთოდოლოგიის მიხედვით;
- სახელმწიფო შეფასება ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიაში (მე-9 კლასი) და ქართულში, როგორც მეორე ენა (მე-7 კლასი) ფარგლებში შეიქმნა შეფასების ჩარჩო, შეიქმნა და დარედაქტირდა ტესტური დავალებები, ჩატარდა საცდელი ტესტირება და მის შედეგებზე დაყრდნობით შეირჩა ძირითადი ტესტირებებისთვის ტესტური დავალებები, შეიქმნა მოსწავლის, მასწავლებლის, დირექტორისა და მშობლის კითხვარები, ქართული, როგორც მეორე ენა სახელმწიფო შეფასებისთვის კითხვარები ითარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, ჩატარდა ძირითადი კვლევა (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და ქართული, როგორც მეორე ენა), რომელშიც მონაწილეობდა 19 000 მოსწავლე მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები.

4.2.2. სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 02)

- განხორციელდა სახელმწიფო სასწავლო და სახელმწიფო სამაგისტრო გრანტების მფლობელი სტუდენტების სწავლის დაფინანსება.
- პროგრამის ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ფარგლებში პრეზიდენტის სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით გამოეყო საქართველოს ათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700 -მდე სტუდენტს;

- პროგრამის ,,ცოდნის კარის" ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების, დოქტურანტურისა და სხვა სასწავლო პროგრამებით სწავლების საფასური დაუფინანსდა საქართველოში მყოფ 53 უცხოელ და ორ ქართველ სტუდენტს საზღვარგარეთ, ,,ფულბრაიტის" აკადემიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში.
- სოციალური პროგრამების ფარგლებში 2016-2017 სასწავლო წელს სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტი მოიპოვა 1 382-მა ბაკალავრმა და 69 მაგისტრანტმა.
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შემდეგ, სწავლა დაუფინანსდა 4 სტუდენტს;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო გრანტის გაცემის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა უცხო ქვეყნის 25 მოქალაქემ;
- პროგრამის „მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა" ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 276 ბენეფიციარი;
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გაცემის სპეციალური სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა უცხო ქვეყნის 13-მა მოქალაქემ.

4.2.3 უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა (32 04 03)

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით პილოტირებისათვის შეირჩა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

4.2.4 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 04)

- დასრულდა A2+ და B2 დონის სახელმძღვანელო „აღმართის" კომპლექტზე და ადაპტირებულ საკითხავ წიგნზე (B2 დონე) მუშაობა, დაიწერა 18 თემა (შემსწავლელის წიგნი, სამუშაო რვეული, მასწავლებლის წიგნი);
- დასრულდა მუშაობა A1 და A2 დონის სალექსიკონო მასალის შექმნაზე, დასრულებულია 1300 ლექსიკური ერთეული;
- ვებგვერდზე (geofl.ge) აიტვირთა შემსწავლელის თვითშეფასება (A1, A2, B1. B2. C1, C2 დონეები), მომზადდა თვითშეფასების სკალები ქართულის, როგორც უცხო ენის, მასწავლებლებისთვის.
- ქართულის, როგორც უცხო ენის შემსწავლელების საჭიროებიდან გამომდინარე მომზადდა ქართული ენის ფუნქციური გრამატიკა და ქართული ენის მოკლე გრამატიკა;
- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ ქვეპროგრამაში ჩაბმული საწარმოების/ორგანიზაციების მიერ პირადი მოხმარების საქონელსა და მომსახურეობის გაწევაზე შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით;
- „ევროსტუდენტი VI"-ის ეროვნული პროექტის ფარგლებში დასრულდა „ევროსტუდენტი VI"-ის ეროვნული კვლევის საველე სამუშაოების ეტაპი, 20 უმაღლეს საგანმანათლებლო

დაწესებულებაში ჩატარდა მონიტორინგი და მომზადდა კვლევის საველე სამუშაოს განხორციელების მონიტორინგის ანგარიშები;

- „ევროსტუდენტი VI“-ის ეროვნული კვლევის ფარგლებში მონაცემების მიღების მიზნით გამოიკითხა 7 591 სტუდენტი, განხორციელდა აღნიშნული ინფორმაციის გაწმენდა და შეწონილი მონაცემების მიღება, სტანდარტის და დაწესებული განრიგის მიხედვით მონაცემები აიტვირთა „ევროსტუდენტის“ კონსორციუმის საერთაშორისო ონლაინ ბაზაში;

4.3 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

- საჯარო სკოლები, საჯარო სკოლის პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილი არიან კომპიუტერებითა და პორტაბელური კომპიუტერებით;
- წარჩინებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკით;
- დასრულდა ახალი საჯარო სკოლების მშენებლობა და რეაბილიტაცია, რიგი საჯარო სკოლები აღიჭურვა სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით, სკოლებს გადაეცათ ექიმის კაბინეტებისათვის სამედიცინო ინვენტარი;
- პროფესიულ კოლეჯებში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რიგ კოლეჯებს გადაეცათ სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და აღჭურვილობა;
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიიღეს დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით;
- დასრულდა ზოგიერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეაბილიტაცია.

4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 06 01)

- 54 611 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი დაურიგდა საქართველოს საჯარო სკოლებში რეგისტრირებულ პირველკლასელ მოსწავლეებს და პირველკლასელი მოსწავლეების 2 093 დამრიგებელს;
- შეძენილია და საჯარო სკოლებს გადაეცა 90 ერთეული სტანდარტული კომპიუტერი;
- 2 390 წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა პორტაბელური კომპიუტერით;

4.3.2 საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06 02)

- დასრულდა 5 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა და რიგი საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- განხორციელდა ზოგიერთი საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები;
- რიგი საჯარო სკოლები აღიჭურვა სასკოლო ავეჯითა და ინვენტარით, სკოლებს გადაეცათ ექიმის კაბინეტებისათვის სამედიცინო ინვენტარი;

- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რიგ კოლეჯებს გადაეცათ სხვადასხვა ტიპის ინვენტარი და აღჭურვილობა;
- 5-მა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო დაფინანსება სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის და ერთმა - სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით;
- დასრულდა 10 საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის რეაბილიტაცია.

4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06 02 01)

- დასრულებულია 5 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა (სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუღანლოს საჯარო სკოლა, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლა, სსიპ - მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალი დიოკნისის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ თბილისის №103 საჯარო სკოლა, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცის საჯარო სკოლა);
- დასრულებულია 256 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები, მათ შორის, MCC-ის პროგრამის ფარგლებში 2 საჯარო სკოლის (სოფელ ძეგვის, სოფელ ტინისხიდის) რეაბილიტაცია, ხოლო გორის N5 საჯარო სკოლაში მიმდინარეობდა ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- დაფინანსდა 216 საჯარო სკოლა, სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის;
- განხორციელდა 532-მდე საჯარო სკოლის აზომვითი სამუშაოები და მომზადდა შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
- მომზადდა 15 საჯარო სკოლის სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები (სსიპ - ქალაქ თბილისის №2 საჯარო სკოლა მე-2 კორპუსი, სსიპ - ქალაქ ტყიბულის №7 საჯარო სკოლა, სსიპ - ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ოსიაურის საჯარო სკოლა, სოსო ღვინიაშვილის სახელობის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო კაჭრეთის საჯარო სკოლა, სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა, სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბიწმენდის საჯარო სკოლა, სსიპ - მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგებერაოს საჯარო სკოლა, კალისტრატე სალიას სახელობის წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის თემის საჯარო სკოლა (შერწყმული კანთის სკოლა), სსიპ - ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქვალონის №1 საჯარო სკოლა, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ორგორის საჯარო სკოლა, სსიპ - ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ პტენის საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ მარნეულის №1 საჯარო სკოლა, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა, სსიპ - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლევის საჯარო სკოლა);
- საანგარიშო პერიოდში 1 630 საჯარო სკოლას გადაეცა 125 341 ერთეული მერხი და 1 327 საჯარო სკოლას 14 426 დაფა;
- 28 საჯარო სკოლისთვის შეძენილი და გადაცემულია 4 540 ერთეულის სხვადასხვა ტიპის ავეჯი;
- 172 საჯარო სკოლას გადაეცა 172 კომპლექტი ექიმის კაბინეტის სამედიცინო ინვენტარის აღჭურვილობა.

4.3.2.2 პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06 02 02)

- 12 პროფესიულ კოლეჯში დასრულდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები: სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ „ოპიზარის“ შენობის გამაგრებითი სამუშაოები, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ღობის მოწყობის სამუშაოები, დაბა

სტეფანწმინდისა და დაბა თიანეთის პროფესიული განყოფილებების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადის“ ეზოს კეთილმოწყობა და ლიფტების მშენებლობა, სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „მოდუსში” კედლების, იატაკის, ჭერის, გათბობის, ვენტილაციის, კანალიზაციის შეკეთება და სხვა გამაგრებითი სამუშაოები, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული განყოფილების სახელოსნოების რეაბილიტაცია; სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,აისის“ ლიფტის მოწყობის, მეფუტკრის სახელოსნოს და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღის“ ლიფტის მშენებლობის და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოჯიხევის პროფესიული განყოფილების ორ სართულიანი შენობის სრული რეაბილიტაცია და ოთხ სარულიანი შენობის ფასადისა და სარინელის მოწყობის სამუშაოები, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „მერმისის“ რეაბილიტაცია;

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვნენ სხვადასხვა სახის ინვენტარით: ცხრა პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 1 731 ერთეული მერხი, 3 პროფესიულ სასწავლებელს - ავეჯი, 14 პროფესიულ სასწავლებელს - პროექტორი და ინტერაქტიული დაფები, ასევე სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები, 9 პროფესიულ სასწავლებელს გადაეცა 602 ერთეული პერსონალური კომპიუტერი;
- სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯ ,,ახალი ტალღისთვის'' და სსიპ - შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის შეძენილი და გადაცემულია საოჯახო ტექნიკა;
- განხორციელდა 16 პროფესიული სასწავლებლის დაფინანსება სხვადასხვა სარებილიტაციო სამუშაოების შესრულების და აღჭურვის მიზნით.

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06 02 03)

- სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით დაფინანსდა სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსი, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის, პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის და რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი);
- სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შეძენის მიზნით დაფინანსდა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

4.3.2.4 განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 06 02 04)

- დასრულდა 10 (საჩხერე, მცხეთა, ზესტაფონი, წალენჯიხა, ქუთაისი, სამტრედია, ძველი თბილისი, ისანი-სამგორი, ლენტეხი და ონი) საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სარეაბილიტაციო სამუშაოები.
- განხორციელდა სსიპ - ახალციხის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (მასწავლებელთა სახლის), რუსთავისა და ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტების პროექტირება.

4.4 ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველო (MCA - GEORGIA)

- დასრულდა 12 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. (სოფელ ბებნისის, გორის N5, სოფელ ზერტის, თიანეთის N1, სოფელ ოკამის, სოფელ საქაშეთის, სოფელ სკრის, სოფელ ტინისხიდის, სოფელ ტყვიავის, სოფელ ფხვენისის, სოფელ ძეგვისა და სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლები);
- მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 18 საჯარო სკოლაში (ონის, ხელედის, ოყურეშის, განძის, კარტიკამის, ახალციხის N1, სათხეს, ვალეს, ახალქალაქის N4, გორის N2, გორის N9, შინდისის, ხელთუბანის, საღოლაშენის, კეხიჯვარის, კავთისხევის, ხაშურის N9, წაღვერის საჯარო სკოლები);
- მომავალი წლის სარეაბილიტციო სეზონისთვის შემუშავდა დამატებით 32 საჯარო სკოლის საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაცია, ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები დამონტაჟდა 13 საჯარო სკოლაში (ძეგვის, ტინისხიდის, ფხვენისის, ხიდისთავის, სკრის, ოკამის, ტყვიავის, ბებნისის, განძის N1-ის, კარტიკამის, საღოლაშენის, ხელთუბანის და ხელედის საჯარო სკოლები).
- სასკოლო ლაბორატორიები დამონტაჟდა რეაბილიტირებულ 12 სკოლაში (ბებნისის, გორის N5, ზერტის, თიანეთის N1, ოკამის, საქაშეთის, სკრის, ტინისხიდის, ტყვიავის, ფხვენისის, ძეგვისა და ხიდისთავის საჯარო სკოლები);
- განხორციელდა ყველა ქართულენოვანი საჯარო სკოლის დირექტორების ტრენინგები თბილისში, კახეთსა და იმერეთში (ტრენინგი გაიარა 9 000-მა მასწავლებელმა, 1 698-მა საჯარო სკოლის დირექტორმა და 1 300-მა საჯარო სკოლების ბაზაზე მოქმედმა პროფესიული განვითარების ფასილიტატორმა);
- განხორციელდა საქართველოს მასშტაბით არსებული სახელმწიფო და კერძო პროფესიული სასწავლებლების დაფინანსება (შეირჩა და დაფინანსდა 10 გამარჯვებული პროექტი, რომლებიც 45-მდე პროფესიული განათლების პროგრამას შეიმუშავებენ და განავითარებენ შემდეგ დარგებში: საზღვაო საქმე, ინჟინერია, რკინიგზა, მეთევზეობა, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მართვა, ტურიზმი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, ავიაცია და სოფლის მეურნეობა);
- ჩატარდა მცირე საგრანტო კონკურსი (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, STPP) და დაფინანსდა 7 პროექტი
- ჩატარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ოთხი STEM აკადემია, რომლის ფარგლებში საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო დარგებით დაინტერესებული 200-მდე აბიტურიენტი გაეცნო ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და ინჟინერიის სფეროს უახლეს აღმოჩენებსა და მიღწევებს, აშშ-ის უმაღლესი განათლების სისტემას, საერთაშორისო აკრედიტაციის მნიშვნელობასა და სხვა თემებს;
- შეირჩა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის 7 პირველკურსელი სტუდენტი, რომელნიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლიან სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში;
- ჩატარდა ჩატარდა დასაქმებისა და სტაჟირების ფორუმი და ათასწლეულის ინოვაციის მეორე კონკურსი;

- ფონდის მხარდაჭერით შეიქმნა კერძო და საჯარო სექტორთან პარტნიორობის ფონდი (Public-Private Partnership Fund - PPPF).
- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი 7 სხვადასხვა ორგანიზაციასთან და მოეწყო ბიზნესისა და განათლების სექტორის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები.

4.5 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- ✓ სსიპ - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ საქართელოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი.

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაიცა სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- ჩატარდა საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავების მიზნით ჩატარდა ერთობლივი საგრანტო კონკურსები;
- ორგანიზებულია და ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, საიუბილეო დღეები და სხვადასხვა ღონისძიებები.
- შემუშავებულია სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები, გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემულია სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალები;
- ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენის, სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების პოპულარიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ჩატარდა მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალი.

4.5.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)

- „გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 112, 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 141 და 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 64 პროექტი;
- ,,ერთობლივი კვლევები უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 12, 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 12 და 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 11 პროექტი;
- „სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის ფარგლებში“ დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 13 და 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 6 პროექტი;

- „მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 128 და 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 38 მეცნიერი;
- ,,საკონფერენციო გრანტების“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 11, საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ერთი და 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 5 პროექტი;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა ორი პროექტი;
- ,,ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტი“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 26 და 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 34 პროექტი;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით, „სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირება უცხოეთში“ ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 25, 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 11 და 2014 წლის კონკურსში გამარჯვებული 7 პროექტი;
- დოქტორანტურის სამეცნიერო პროექტების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 76 პროექტი, 2014 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 64 ახალგაზრდა მეცნიერი და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 5 პროექტი;
- მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2016 წლის კონკურსში გამარჯვებული 58 და 2015 წლის კონკურსში გამარჯვებული 30 პროექტი;
- საგრანტო კონკურსის ,,საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ ფარგლებში დაფინანსდა 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 6 პროექტი;
- განხორციელდა სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის (JÜLICH) კვლევითი ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული ერთობლივი 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ორი, 2014-2015 წლის საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული სამ-სამი და 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 ახალგაზრდა მეცნიერის დაფინანსება;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრის უკრაინაში (STCU) ერთობლივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2014 წლის გამარჯვებული 10 და 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 11 პროექტი;
- ერთობლივი კონკურსი ევროპული და რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში - დაფინანსდა საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრისა (CNRS) და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის პროექტის“ (The International Scientific Cooperation Project - PICS) გამარჯვებული ერთი და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF -Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის 2014 წლის ერთობლივ კონკურსში გამარჯვებული 3 პროექტი;
- საერთაშორისო კვლევითი ჯგუფი - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები სამხრეთ კავკასიაში - კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 2014 წლის გამარჯვებული 1 პროექტი;

- ქართული ელექტრონული ლექსიკონის შექმნის მიზნით სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 2013 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 2 პროექტი;
- მოსწავლე გამომგონებელთა და მკვლევართა კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ ფარგლებში გამოვლინდა ერთი გრან-პრის მფლობელი და სამი გამარჯვებული პრიზიორი;
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდო „წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის“ - გამოვლინდა და ფულადი ჯილდო გადაეცა ქართველოლოგიის დარგში წლის საუკეთესო მეცნიერს, 2016 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერს, 2016 წლის საუკეთესო მეცნიერს, 2016 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ჯგუფს.

4.5.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)

- სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 51 სტატია უცხოურ და 31 სტატია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, 56 სამეცნიერო თეზისი საერთაშორისო ფორუმებში და 8 თეზისი საქართველოში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისათვის;
- ჩატარდა აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის დაბადების 131 წლისთავისადმი მიძღვნილი სხდომა, სხვადასხვა სამეცნიერო კომფერენციები, სხდომები, საჯარო ლექციები;
- გამომცემლობა ,,Nova Science Publisher'' მიერ ნიუ იორკში გამოქვეყნდა ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის შრომათა კრებული, რომელშიც გამოქვეყნებულია 28 სამეცნიერო პუბლიკაცია;
- მეცნიერებისა და ინოვაციების 2016 წლის თბილისის ფესტივალის ფარგლებში ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მიერ ჩატარდა ღონისძიება ,,სახალისო მეცნიერება პატარებს'' და ღია კარის დღე, გამოფენა – კონკურსი „ბავშვის თვალით დანახული მეცნიერების სამყარო“;
- სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის მიერ განხორციელდა კვლევები სამკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების შემადგენლობაში არსებული ფაგების მოლეკულურ-ბიოლოგიური, იმუნოლოგიური და ბიოქიმიური შემადგელობის შესახებ, ასევე ადამიანისა და ცხოველების სხვადასხვა ინფექციის, მათ შორის ანტიბიოტიკების მიმართ ბაქტერიული შტამებით გამოწვეული ჰოსპიტალური ინფექციების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლის კუთხით;
- სსიპ - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობდა დაცული ხელნაწერების, საარქივო მასალების, ისტორიული დოკუმენტებისა და საბიბლიოთეკო წიგნების დიგიტალური ვერსიების დამზადება, მათი დაცვისა და შენახვის მიზნით საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები, ფონდების სისტემატიზაცია-კატალოგიზაცია, ახალი ფონდებით შევსება, სხვადასხვა ტიპის ელექტრონული კატალოგების მომზადება;
- ჩატარდა „გიორგი კვინიტაძე და საქართველო (1918-1921 წლების ქრონიკები)“ კვირეული, სხვადასხვა გამოფენები: „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ტექნიკურ უნივერსიტეტში“, „ისტორიის მწვანე ფურცლები“, „რეფერენდუმიდან დამოუკიდებლობამდე“, „დედა ენისკენ“, „ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა“,

- გაიმართა წიგნების პრეზენტაციები: „შუა საუკუნეების ქართული ტორევტიკა“, „პროკლე დიადოხოსი“, „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, „იოანე პეტრიწის თარგმანი და განმარტება“, „ქართული ენა, დამწერლობა, ხელნაწერები“;
- შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, განხორციელდა პროექტი „გადაწერე ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი“, გაიმართა სხვადასხვა გამოფენები, საჯარო ლექციები და საიუბილეო ღონისძიებები როგორც საქართველოს ფარგლებში ისე მის გარეთ
- გაიმართა გამოფენები: „ერთად მოვუაროთ ხელნაწერებს“, „უწყვეტი მრავალფეროვნება“ და „დავით აღმაშენებლის ანდერძი და შუა საუკუნეების საგანძური“, ასევე გამოფენა მოეწყო ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 155 წლის იუბილესა და ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილესთან დაკავშირებით;
- ჩატარდა საჯარო ლექცია „სახელმწიფო მართვის ისტორიიდან - შუა საუკუნეების საქართველოში“ და ლექცია თემაზე „ხატების სახელოვნებო და საღვთისმეტყველო ენა“, ასევე ახალგაზრდული კონფერენცია „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკა, გამოწვევები დღეს“.

4.5.3 მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პროგრამების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)

- გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალის ,,საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბის“ 2016 წლის პირველი,მეორე და მესამე ტომები, საქართველოს მათემატიკური ჟურნალის 23-ე ტომის პირველი და მეორე ნომრები, ჟურნალი ,,მემუარები დიფერენცირებულ განტოლებებსა და მათემატიკურ ფიზიკაში“ 67-ე ტომი;
- მომზადდა ,,მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის სერიის პირველი და მეორე ნომრები, „მაცნეს“ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების სერიის პირველი, მეორე და მესამე ნომრები, ,,საქართველო“ მეოთხე ტომი და ,,საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლების აღწერილობის“ მეხუთე ტომი;
- პროგრამის ,,ქართული ენის თესალონუსი“ ფარგლებში მომზადდა ლექსიკონის ელექტრონული ვერსია, ქართული წერილობითი წყაროების სანდო ტექსტური კორპუსი, ლემატიზაციის სპეციალური პროგრამა და კომპიუტერული საძიებო სისტემა, ქრონობიბლიოგრაფია, სანდო ბაზა ისტორიულ - ეტიმილოგიური და სხვა ლექსიკონებისათვის;
- აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა: ,,შვედურ-ქართული საერთაშორისო კონფერენცია ანალიზსა და დინამიურ სისტემაში”, საერთაშორისო კონფერენცია ,,არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები“, ქართულ-გერმანული სამეცნიერო სემინარი ,,ბიბლიური ფასეულობები და თანამედროვეობა“, ქართულ-გერმანული საერთაშორისო კონფერენცია ,,ქრისტიანობა და ევროპული ცივილიზაცია“.

4.5.4 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

- აკადემიამ უზრუნველყო სამეცნიერო შეხვედრები მრგვალი მაგიდის ფორმატით თემებზე: კვლევა და სწავლება ნიადაგისა და წყლის რესურსების მართვაში, ვეტერინარიის დარგში არსებული მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ, პრებიოტიკ ,,რემიფოსის“ მეცნიერულად

დასაბუთებული გამოყენების ეფექტურობის შესახებ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვებაში, IFOAM-ის ორგანული სტანდარტების შესახებ, აგრარული მეცნიერების და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიმართულებით არსებული მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ, მსხვილი რქოსანი პირუტყვის სასაკლაოების არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაცია, კოოპერირება და ნედლეულის წარმოების შესახებ, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენები და მათი უტილიზაციის შესახებ. საქართველოში სურსათის უვნებლობის სისტემების განვითარების შესახებ, მეჩაიეობის დარგის განვითარების პროგრამის განხორციელების შესახებ, ,,სასოფლო სამეურნეო მელიორაციის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში“;

- აკადემიამ მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო კონფერენციაში თემით ,,კლიმატის ცვლილების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში“ და „საქართველოს ფიტოგენეტიკური რესურსი და მისი გაუმჯობესების ინოვაციური ტექნოლოგიები“;
- ჩატარდა ნიადაგების მსოფლიო საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ფარგლებში წაკითხული იქნა მოსხენება ,,პლანეტის ჩუმი კრიზისი-სასურსათო კრიზისის საფრთხე“.

4.5.5 მეცნიერების აღდგენა და განვითარება (პროგრამული კოდი 32 05 05)

- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ,,მეცნიერების პოპულარიზაციის“ ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა მეცნიერების და ინოვაცების თბილისის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა ორგანიზაციამ. მონაწილეებს შორის იყვნენ საქართველოსა და უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრები, უცხო ქვეყნის საელჩოები, მოწვეული სტუმრები. ფესტივალის ფარგლებში გაიმართა 150-ზე მეტი ღონისძიება (ინოვაციების გამოფენა, სახალისო მეცნიერება სკოლის მოსწავლეებისათვის – ბრიტანული სამეცნიერო შოუ, სახალისო ექსპერიმენტები, თამაშები, ვიქტორინები და სხვა მრავალი შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, “ცერნი დღეს“ და LHC ინტერაქტიული გვირაბი“ – ცერნის ბირთვული კვლევების ევროპული ცენტრის მოძრავი გამოფენა სკოლის მოსწავლეებისათვის, საქართველო-იაპონიის მეცნიერების დღე, საქართველო-გერმანიის მეცნიერების დღე, აშშ მეცნიერების დღე „NASA-ს პრეზენტაცია“, საერთაშორისო კოსმოსური სადგური „არსებობისა და კოსმოსში მუშაობის 15 წელი“, ქართველი მხატვრების გამოფენა „მომავლის ჯაშუში”, არქეოლოგიური სამეცნიერო-პოპულარული ექსკურსია გრაკლიანზე და გათხრებში მონაწილეობა, საჯარო ლექციები და პრეზენტაციები).
- ჩატარდა ქიმიის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 67 ქვეყნის 515 დელეგატმა.

4.6 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა;
- ✓ სსიპ - პროფესიული/საზოგადოებრივი კოლეჯები;
- ✓ ა(ა)იპ - პროფესიული კოლეჯები;
- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;

- მიმდინარეობდა პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;
- ხორციელდებოდა პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები;
- გაიზარდა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადების მიზნით ჩატარდა ტრენინგები;
- დაინერგა ერთიანი საინფორმაციო სისტემა (მათ შორის, საჯარო სკოლებში), ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდები, შეიქმნა თანამედროვე სასწავლო გარემო, შესაბამისი ინტერნეტკავშირის უზრუნველყოფით.

4.6.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს მონაწილეობით დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები უზრუნველყოფილია მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით;
- ,,ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში ჩართულ ბენეფიციართა პროფესიული მომზადების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 3 სსიპ/ა(ა)იპ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯის მოკლევადიანი (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის ფარგლებში გადამზადება გაიარა 16 ბენეფიციარმა.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარეობდა ახალი შეფასების სტანდარტებითა და პროფესიული პროგრამებით სწავლება, დამტკიცდა 39 შეფასების სტანდარტი, გადამუშავდა და მომზადდა - 59;
- გადამზადებულია პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების 2 228 მასწავლებელი;
- შშმ/სსმ პირებისათვის სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით, უნივერსალური დიზაინის პრინციპებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას;
- MCA-ის დახმარებით შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების წესი და განხორციელდა პილოტირება სამი კოლეჯის ბაზაზე სოფლის მეურნეობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით;

- დაარსდა ა(ა)იპ - სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა, ავტორიზაცია გაიარეს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივმა და ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯებმა. სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ორ განყოფილებაში (სტეფან წმინდა, თიანეთი). აგარის საჯარო სკოლამ მოიპოვა ავტორიზაცია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებაზე.

4.6.2 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 02)

- გაიხსნა ადმინისტრირების სკოლის 2 ახალი რეგიონული სასწავლო ცენტრი ლაგოდეხსა და ახმეტაში;
- პროგრამის ,,საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება" ფარგლებში სწავლა დაასრულა 191-მა მსმენელმა;
- შემუშავდა და დაინერგა ახალი დარგობრივი მიმართულება „ინფრასტრუქტურული პროექტების ტქნიკური ზედამხედველობა" და დაინერგა პროგრამის კრედიტებით გაანგარიშების სისტემა;
- ,,სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის" ფარგლებში სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთის რეგიონი) გადამზადება გაიარა 3 193-მა მსმენელმა;
- ,,სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის" ფარგლებში 67 სოფელში შეიქმნა 165 მობილური ჯგუფი, რომლებმაც რაიონული ცენტრიდან მოშორებული სოფლების მაცხოვრებელთათვის ადგილზე განახორციელეს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა;
- შემუშავდა ახალი ტრენინგ კურსი „საქართველო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია", რომელიც განხორციელდა 2 რეგიონში (სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი) და მონაწილეობა მიიღო 201-მა მსმენელმა, ასევე შემუშავდა ახალი ტრენინგ კურსი „გენდერული ბიუჯეტირება" რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 17 საჯარო მოსამსახურე;
- სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში ჩატარდა „საქმისწარმოებისა და ელექტრონული მმართველობის" სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებში გადამზადება გაირა 92-მა საჯარო სამსახურში დასაქმებულმა პირმა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიების შემსწავლელი საბაზისო პროგრამის ფარგლებში მარნეულის, გარდაბნის, ახალქალქისა და დმანისის რეგიონულ ცენტრებში სწავლა დაასრულა 220-მა მსმენელმა.

4.6.3 განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (პროგრამული კოდი 32 03 03)

- ერთიანი საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელის ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა ქსელის ტოპოლოგიის განახლება, სარეზერვო მონაცემთა ცენტრის ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები. ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო-საკომუნიკაციო ქსელში, გაიზარდა ინტერნეტ სიჩქარე. უსადენო ინტერნეტის დანერგვის მიზნით მიმდინარეობდა სამუშაოები და უსადენო ინტერნეტის პილოტური პროექტის ფარგლებში ინტერნეტის ქსელი მოეწყო რიგ სკოლებში;
- განხორციედა დისტანციური სწავლების პროექტის პილოტირება Office 365-ის გამოყენებით (Skype for Business, Microsoft Classroom, OneNote), რომლის ფარგლებშიც უცხოეთში მყოფ ქართველ ბავშვებს საქართველოდან ჩაუტარდათ ქართული ენის გაკვეთილები (პირველი ეტაპი 12 ბავშვი და 2 მასწავლებელი);

- სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ უზრუნველყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ექსტერნის ფორმით გამოცდების, სკოლის საატესტატო გამოცდების (CAT), VI-IX და VIII-X კლასების მოსწავლეთათვის ორგანიზებული გამოცდებისა და 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფესიული ტესტირების და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის პროფორიენტაციის სპეციალისტების შესარჩევი კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გამოცდების/ტესტირების ტექნიკური მხარდაჭერა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარების ფარგლებში განხორციელდა მოდულების („სახელმძღვანელოების არჩევა“ „ვარგისიანობის შეფასება“) მოდიფიცირება;
- გაგრძელდა საჯარო სკოლებში პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) განვითარების ფარგლებში, პროფესიული განათლების მხარდაჭერისა და დასაქმების რეფორმის პროექტის გათვალისწინებით შემუშავდა ახალი საინფორმაციო სისტემის კონცეფცია და შესაბამისი ტექნიკური დავალება. განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eVET), პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალ-ტექნიკური ბაზისა და სასწავლო სახარჯის მასალის აღრიცხვის უზრუნვესაყოფად განსაზღვრული მოდულის მოდიფიცირება და პროცესის ადმინისტრირება, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომ საფეხურებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია და 2016 წლის საგაზაფხულო/საშემოდგომო მიღებისა და ჩარიცხვების უზრუნვესაყოფად საჭირო პროცესების კოორდინაცია.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUNI) შემუშავების ფარგლებში განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, საგანმანათლებლო პროგრამების, პერსონალური ინფორმაციის და მომხმარებლების მართვის მოდულების დეველოპინგი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების 2016 წლის მობილობის პროგრამული უზრუნველყოფა და პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა;
- წარიმართა მოდულური პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული პროცედურები და შესაბამისად ავტორიზებული იქნა 3 მოდულური პროგრამა: ვებ ინტერფეისის დიზაინერი; კომპიუტერული ქსელის ადნისტრატორი და სამგანზომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი);
- ინფორმაციული ტექნოლოგიების 6 მიმართულებაზე ჩაირიცხა 369 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 17 პირი. 2016 წელს საწარმოო პრაქტიკა გაიარა და სწავლა წარმატებით დაასრულა 2015 წელს ჩარიცხულმა 156-მა სტუდენტმა, რომელთა შორის 136-ი სტუდენტი დასაქმდა.
- პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თემაზე „კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“, შედეგად შემუშავდა ინსტრუმენტის ახალი ფორმა. ასევე, მასწავლებლებს ჩაუტარდათ ტრენინგი ორ მოდულურ პროგრამაზე: „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერა“.

4.7. სამხედრო წვრთნა და განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- ✓ ა(ა)იპ სპორტული კლუბი არმია

- კადეტთა სწავლება ხორციელდებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. კადეტები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა სასწავლო ტურებსა და ოლიმპიადებში. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ჩატარებული იქნა საატესტატო გამოცდები. წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კადეტების მომზადება ერთიანი ეროვნული ახალი შევსებით მიღებული იქნა 126 კადეტი, მათ შორის 118 ვაჟი და 8 გოგონა.
- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის შენობა ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი;
- სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში დაიხვეწა მოქმედი და ახალი საგანმანათლებლო პროგრამები; აკრედიტაცია მიენიჭა საბაკალავრო და სამაგისტროს პროგრამებს; განხორციელდა წლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის საველე და გასვლითი სწავლებები;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბიბლიოთეკის ფონდს შეემატა დარგობრივი სახელმძღვანელოები, პერიოდული გამოცემები და ელექტრონული წიგნები, ასევე განხორციელდა ელექტრონულ ბიბლიოთეკაზე „EBSCO- Military and Government Collection“ წვდომის უფლების შეძენა; ითარგმნა 27 სახელმძღვანელო დოკუმენტი და გამოიცა 10 სახელმძღვანელო დოკუმენტი; განხორციელდა სარეკლამო ვიდეორგოლის დამზადება და სატელევიზიო ეთერში განთავსება;
- ჩატარდა საერთაშორისო კვირეული, რომელშიც მონაწილეობას მიიღო 9 სხვადასხვა ქვეყნის 10-მა სამხედრო სასწავლებელმა, კვირეულის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები;
- ჩატარდა სამეთაურო-საშტაბო კურსის 2015-2016 სასწავლო წლის გამოშვების ცერემონია, კურსის წარმატებით დასრულების დიპლომი გადაეცა 32 ოფიცერს;
- აკადემიის პირველი კურსის 4 იუნკერი სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა კანადის სამეფო სამხედრო კოლეჯში; იუნკერებმა ასევე მონაწილეობა მიიღეს ამერიკის სამხედრო აკადემიის (WEST POINT) ორგანიზებულ მოკლევადიან გაცვლით პროგრამასა და საჰაერო იერიშის სწავლებაში.
- მიმდინარეობდა ISAF-ის მისიაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების ენობრივი მომზადება (მეკავშირე ოფიცრები, მთარგმნელ - თარჯიმანი);
- დასრულდა ეროვნული თავდაცვის აკადემიის უმცროს ოფიცერთა სკოლის ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსი;
- შეიქმნა თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა, მიმდინარეობდა მუშაობა მისი განვითარების 4 წლიანი სტრატეგიის შემუშავებაზე;
- ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმიას რაგბის და კალათბურთის გუნდებმა, რომელიც დაფუძნებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ, მონაწილეობა მიიღეს ეროვნულ ჩემპიონატში, ამასთან კალათბურთის გუნდებმა (14, 16 და 18 წლამდელები) მონაწილეობა მიიღეს თბილისის

ჩემპიონატში. კლუბი უზრუნველყოფილ იქნა საჭირო სპორტული აღჭურვილობით და სპორტული ფორმებით;

- სამხედრო სწავლების პროგრამის ფარგლებში 2016 წლის I კვარტალში ჩატარდა სპეციალიზაციის 6 კურსი, II კვარტალში - 17 კურსი; III კვარტალში - 19 კურსი, ხოლო IV კვარტალში - 7 კურსი. ამასთანავე, 2016 წლის განმავლობაში ჩატარდა 11 სამხედრო სწავლება.

4.8 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები

- ხელი შეეწყო:
- ✓ სსიპ - თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის 9 სტუდენტის პროფესიულ პროგრამებზე, სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 7 სტუდენტს სამაგისტრო და 7 სტუდენტის უცხოეთის წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის დაფინანსებას;
- ✓ 5 განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ ახალგაზრდის მონაწილეობის მიღებას პროექტში „კამერტონი - საქართველო“;
- ✓ სსიპ - ევ. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის „ნიჭიერთა ათწლედის“ ახალგაზრდა შემსრულებელთა მეორე ეროვნულ კონკურსში მონაწილეობას და ამავე სასწავლებლის მოსწავლეების ქ. ვილნიუსის დვორიონასის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა მე-11 საერთაშორისო კონკურსსა და ქ. სოფიის მე-12 საერთაშორისო კონკურსში „ახალგაზრდა ვირტუოზები“ მონაწილეობას.
- ✓ სსიპ - უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების 183 სტუდენტისა და მოსწავლის მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და მასტერკლასებში, კონცერტებში მათი პროფესიული ზრდა-დაოსტატების მიზნით.

4.9 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსცენტრები;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

- განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მიერ აღნიშნულ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;
- მიმდინარეობდა მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სრულყოფის, ასევე მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით;

- განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით დაიხვეწა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, შემუშავდა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის წესი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცედურების დახვეწის მიზნით, მომზადდა შესაბამისი სახელმძღვანელო;
- მომზადდა და შევიდა ცვლილებები „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებაში“.
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ევროსაბჭოს მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია: „ცვლილებები უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში - განვითარებასა და შედეგზე ორიენტირებული მექანიზმების ხელშეწყობა“.
- 2016 წელს ჩატარდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საბჭოს სხდომები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 157 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 120 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, უარი ეთქვა შვიდ დაწესებულებას, ავტორიზაცია გაუუქმდა ორ დაწესებულებას, კონტინგენტი გაეზარდა 14 დაწესებულებას, კონტინგენტის გაზრდაზე უარი ეთქვა სამს, წარმოება შეწყდა რვა დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით, ცვლილება შევიდა ორ გადაწყვეტილებაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მოიპოვა ერთმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 52 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა 15 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა ოთხს და ავტორიზაცია გაუუქმდა ერთ დაწესებულებას, წარმოება შეწყდა ათ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით და პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა 22 გადაწყვეტილება.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ მიიღო 36 გადაწყვეტილება, მათ შორის: ავტორიზაცია მიენიჭა სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, ავტორიზაციაზე უარი ეთქვა ერთს, საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკაშირებით მიღებულ იქნა 13 გადაწყვეტილება, წარმოება შეწყდა რვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით; სტუდენტთა ზღვრული ოდენობა გაეზარდა რვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას; სამ დაწესებულებას მიეცა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება.
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ მიიღო 140 გადაწყვეტილება, მათ შორის: აკრედიტაცია მიენიჭა 121 საგანმანათლებლო პროგრამას და აკრედიტაციაზე უარი ეთქვა 19 საგანმანათლებლო პროგრამას.
- ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში შევიდა 10-მდე პროფესიული სპეციალიზაცია;
- შემუშავდა არაფორმალური განათლების აღიარების სახელმძღვანელო და არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის მონიტორინგის მეთოდოლოგია;
- განხორციელდა არაფორმალური განათლების ახალი მეთოდოლოგიის პილოტირება.

- საქართველოში გაცემულ საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურების თაობაზე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იქნა 3 900 დოკუმენტი, 3 700 დოკუმენტთან დაკავშირებით დასრულდა ადმინისტრაციული წარმოება;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოში გაცემული ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციასა და აპოსტილით დამოწმებასთან დაკავშირებით, ლეგალიზებულ იქნა/აპოსტილით დამოწმდა 8 000-ზე მეტი დოკუმენტი;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსახილველად შესული განცხადებების საფუძველზე ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად, მომზადდა: 7 800-ზე მეტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი; განათლების მიღების ფაქტის დადასტურების თაობაზე მომზადდა 523 გადაწყვეტილება, ლიცენზირებულ რეჟიმში მიღებული განათლების აღიარების თაობაზე 14 ბრძანება, უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესახებ 558 ცნობა და 5 ბრძანება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების შესახებ;
- განხორციელდა პროფესიული სტანდარტის, ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის შემუშავების მეთოდოლოგიის გადამუშავება და შრომის ბაზრის კვლევების ანალიზი, დამტკიცდა გასულ წლებში შემუშავებული 26 ჩარჩო დოკუმენტი, 2015 წელს დამტკიცებულ 54 ჩარჩო დოკუმენტში ინტეგრირდა „ქართული ენის“ მოდულები, შესრულდა 44 პროფესიული სტანდარტის ანალიზი, რის საფუძველზეც პირველ ეტაპზე შემუშავდა-გადამუშავდა 17 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი 26 მისანიჭებელი კვალიფიკაციით, ხოლო მეორე ეტაპზე 31 პროფესიული სტანდარტის ანალიზის საფუძველზე 12 ჩარჩო დოკუმენტი; მომზადდა 28 პროფესიული სტუდენტის სახელმძღვანელო და 10 მასწავლებლის გზამკვლევი;

4.11 სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- სპეციალური პროფესიული პროგრამების ბაზაზე სამინისტროში მომზადება/გადამზადება გაიარეს მისაღებმა და მოქმედმა თანამშრომლებმა;
- განახლდა არსებული ინფარსტრუქტურა და გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე დაემატა ახალი ობიექტები, გარემონტდა სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო ოთახი, სასადილო შენობის დარბაზი, სპორტდარბაზი, ადმინისტრაციული შენობის აუდიტორიები, სველი წერტილები, საერთო საცხოვრებელში მოწყობილი საშრობი, აკადემიის შიდა ტერიტორიაზე აშენებული სარბენი ბილიკი და ბარიერების ზოლი, გადაიხურა სასწავლო სავარჯიშო ღია მოედანი;
- მიმდინარეობდა სწავლებები სამაგისტრო პროგრამების „საპოლიციო რეგულირების სამართალი“-სა და „პოლიციის მაგისტრის“ ფარგლებში;
- მიმდინარეობდა საბაკალავრო პროგრამები;
- განხორციელდა საარქივო მასალის დამუშავება და სკანირება (522.0 ათასზე მეტი გვერდი), ფონდების დეტალური აღწერილობის მონაცემთა ბაზაში შეყვანა, საარქივო მასალების რესტავრაცია;

- დაინერგა თანამედროვე სწავლების პროგრამა -Rosetta Stone;
- შეძენილ იქნა მერხები - 204 ერთეული, სკამები - 185, კომპიუტერები - 36, ლაზერული პრინტერები - 20, პროექტორები - 10, სპეციალური ტანსაცმელი/უნიფორმები - 2119.

4.12 სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი (პროგრამული კოდი 58 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი

- დიდი ბრიტანეთის, იტალიის, ჩეხეთის, ავსტრიის, იაპონიის, ესტონეთის, ლიტვის, უნგრეთის, ისრაელის, გერმანიის, პოლონეთის, აშშ-ს, ნიდერლანდების, შვეიცარიის, საფრანგეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლა დაუფინანსდა 152 სტუდენტს;
- პროგრამის „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“ პროგრამის ფარგლებში შერჩეულ იქნა საზღვარგარეთ მცხოვრები რვა ქართველი ახალგაზრდა, რომლებმაც მოიპოვეს ერთწლიანი მანდატი და გახდნენ „საქართველოს ახალგაზრდა ელჩები“ თურქეთში, აშშ-ში, შვედეთში, საფრანგეთში, ბელგიის სამეფოში, პოლონეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ნიდერლანდების სამეფოში. პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდა ელჩები ადგილსამყოფელ ქვეყნებში ახორციელებენ კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებს.

4.13. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

- ჩატარდა სოციალური უნარების, იურიდიული, ფინანსური და ინფორმაციული მიმართულებების ტრენინგები. ჩართული იყო სხვადასხვა სამსახურის/ორგანიზაციის სულ 5 560 წარმომადგენელი. მონაწილეთა 85%-ზე მეტის მიერ დაფიქსირდა ტრენინგების დადებითი შეფასება. ასევე, ჩატარდა:
  - ✓ საჯარო ლექცია/დისკუსია – „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პოლიტიკა და საჯარო სამსახურის რეფორმა“;
  - ✓ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული პროცესი;
  - ✓ ეროვნული შეჯიბრი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში;
  - ✓ წიგნის და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია;
  - ✓ ინსტიტუციური სასწავლო ვიზიტი იუსტიციის სასწავლო ცენტრსა და საკანონმდებლო მაცნეში;
  - ✓ საზაფხულო სკოლა თემაზე „ადამიანის უფლებები“;
  - ✓ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ლექციათა ციკლი;
  - ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ზამთრის სკოლა;
  - ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკვირაო სემინარები;

- ✓ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის ფარგლებში გამართული ანტიკორუფციული საბჭოს მოდელირება;
- ✓ გიორგი მარგიანის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე.

- ტესტირება გაიარა 9 290 პირმა, (თვითმმართველმა ორგანოები, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი ორგანიზაციები), შემუშავდა 3 395 ტესტური დავალება, რომლის შექმნასა და გადამოწმებაზე იმუშავა შესაბამისი სფეროს 45 ექსპერტმა;
- ყვარელში განხორციელდა 69 სხვადასხვა სახის პროექტი. სტუმართა რაოდენობა იყო 2 042;

4.15. საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

- ფინანსთა სამინისტროს სისტემაში პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება, ჩატარებული ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროექტების განხორციელება, თანამდებობრივი ტრენინგებისა და კარიერის განვითარებაზე მიმართული სასწავლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება;
- სისტემაში პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით მსოფლიოს წამყვან სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო და ტრენინგ-პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში;
- ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის, ასევე, სხვა ორგანიზაციებისთვის ახალი კადრების შერჩევის ხელშეწყობა;
- სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარების, ასევე, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებისკენ მიმართული რეფორმების აქტიური მხარდაჭერა სხვადასხვა სახის სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელების გზით.

4.16. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტრენინგის საჭიროებების კვლევა სპეციალური კითხვარის მეშვეობით. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, პენიტენციური დაწესებულებების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შედგა კვარტალურად გაწერილი 2016 წლის სასწავლო გეგმა.
- სამუშაო ჯგუფებმა განახორციელეს ახალი სასწავლო პროგრამების მომზადება და არსებული სასწავლო პროგრამების რევიზია. ახალი და განახლებული სასწავლო პროგრამების მიხედვით ხორციელდებოდა სხვადასხვა ტრენინგები;

- სასწავლო ცენტრში ჩატარებული სერტიფიცირების პროცესში მონაწილეობა მიიღო 2 483-მა მოსამსახურემ. თანამდებობაზე უკონკურსოდ, არაუმეტეს ექვსთვიანი გამოსაცდელი ვადით დანიშნული პირებისათვის განკუთვნილი პირველადი მომზადების სასწავლო კურსის ფარგლებში მომზადება გაიარა 300-მა მოსამსახურემ;
- სასწავლო ცენტრმა საანგარიშო პერიოდში მოამზადა და განახორციელა 171 სასწავლო ღონისძიება/ტრენინგი. სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში. აღნიშნულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში მომუშავე 3900-მა მსმენელმა, კერძოდ: სამინისტროს აპარატის და პენიტენციური დაწესებულებების 3 513 და სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 374-მა და სხვა უწყებების 13-მა წარმომადგენელმა;
- საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 30 885 კაც/ტრენინგ/დღე, ხოლო ტესტირებაში მონაწილეთა საერთო რაოდენობის 93%-მა გადალახა საგამოცდო ბარიერი.

4.18. მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

- პროგრამის ფარგლებში ჩატარდა გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა, საჯარო ლექციები, მოკლევადიანი სასწავლო და უცხო ენის შემსწავლელი კურსები, ასევე, ქართული ენის კურსი უცხოელი დიპლომატებისათვის;
- სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში ცენტრი აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;
- გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან;
- შეიქმნა და ამუშავდა ცენტრის ვებ და Facebook გვერდები;

4.19 სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე მომზადდა და წარედგინა აკრედიტაციისათვის 3 ახალი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა;
- გაიხსნა ახალი სასწავლო კლასები (სანავიგაციო ხიდურისა და გემბანის საწყისი ცნებების აუდიტორია) და მარლენსის (MARLINS) აღიარებული ტესტირების/სერტიფიკაციის ცენტრი, სადაც განხორციელდა პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება;

- პროფეციული განათლების ცენტრში განხორციელდა პირველი ჩარიცხვა მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე (კომპიუტერული გრაფიკის ინჟინერი), ჩატარდა ორი ტრეინინგი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პედაგოგებისათვის;
- განხორციელდა პროფესიულ მომზადების ცენტრისათვის გამოყოფილი ახალი სასწავლო ფართი რემონტი და გაიხსნა ორი სპეცკლასი;
- მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრისათვის შეძენილ იქნა მაღალი ძაბვის ლაბორატორია, სადაც განხორციელდება ახალი მოკლევადიანი საწვრთნელი კურსი. მოკლევადიანი კურსებისათვის შეძენილ იქნა ახალი სამაშველო აღჭურვილობა;
- საწვრთნელ ცენტრს დაემატა სამი ახალი სასწავლო აუდიტორია. განხორციელდა ცენტრის ინსტრუქტორებს გადამზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და კომპანია „ტრანზასის“ მიერ განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის ათვისების მიზნით;
- მიმდინარეობდა სტუდენტების სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა;
- „კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სტაჟირების“ პროგრამის ფარგლებში, აკადემიის 5-მა თანამშრომელმა ლატვიის საზღვაო აკადემიაში გაირა ტრეინინგები შემდეგი მიმართულებებით: „სწავლებისა და სწავლის ფორმატისა და მეთოდების, სასწავლო მასალის დროში განაწილების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსების სტრუქტურის, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების მეთოდიკა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა“.

5. მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

5.1. ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (პროგრამული კოდი 24 01)

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო;
- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო;
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო

- მომზადდა 2015-2016 წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის/მაჩვენებლების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტები, რომელებიც მოიცავს: ზოგად ეკონომიკურ მიმოხილვას, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკისა და პოტენციური დონის შეფასებას; ინფლაციის მიმოხილვას;
- კანონის პროექტების შედეგების შეფასების მიზნით მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი შემდეგ კანონპროექტებზე: „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე".
- უზრუნველყოფილ იქნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ შეფასება და ანგარიშის მომზადება;
- მომზადდა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის რეიტინგის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება" მიმოხილვა და ანალიზი;
- ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ხელი მოეწერა შემდეგ ორმხრივ შეთანხმებებს: „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ”, „საქართველოს მთავრობასა და სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის

შესახებ“ (უნგრეთის, ისლანდიის რესპუბლიკა, რუმინეთის რესპუბლიკა, სან-მარინო, სლოვენიამ, ბელარუსის რესპუბლიკა), „გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ“ (შვეიცარიის კონფედერაცია) და „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ (ხორვატია, ბოსნია);

- 2016 წელს მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ხელი მოეწერა შემდეგ ორმხრივ შეთანხმებებს: „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“; „საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“;
- ქ. ბრიუსელში გამართულ „ენერგეტიკული გაერთიანების მუდმივმოქმედი მაღალი დონის სამუშაო ჯგუფის" (PHLC) შეხვედრაზე მოხდა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე საქართველოს შეერთების შესახებ" ოქმის პარაფირება;
- მიმდინარეობდა მუშაობა დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (DANIDA - Danish International Development Agency) პროექტზე „ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით შემუშავდება და დაინერგება: სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო კოდექსის შესაბამისად საქართველოს მთავრობის დადგენილება „შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“ და საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემა;
- დაინერგა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული დირექტივები, კერძოდ:
    - ✓ „ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე“ 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივა (Directive 2009/16/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2009 on Port State Control);
    - ✓ 2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/EC დირექტივა „სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ“;
    - ✓ 2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა.
- „საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი" წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში;
- დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“;
- ქ. სტამბულში გამართულ გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციის მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) 26-ე კონგრესზე (ესწრებოდა 192 წევრი სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაცია) საქართველო პირველად იქნა არჩეული UPU-ს ორივე მუდმივმოქმედი საბჭოს წევრ სახელმწიფოდ;
- დასრულდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი, რომლის განხორციელება თბილისში დაიწყო 2013 წლიდან, ხოლო რეგიონებში - 2015 წლის მარტიდან. პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად თბილისში აღმოჩენილია 972 აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი, ხოლო აღმოჩენილმა მიწის ფართობმა შეადგინა 734 ჰა. რეგიონებში აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს 6 739.2 ჰა-ს, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (საძოვრების გათვალისწინებით) - 653 575 ჰა-ს და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი - 20 346 ჰა-ს;
- გამოცხადდა 1 582 აუქციონი, საიდანაც შედგა 928 აუქციონი, ჩაიშალა 580 და შეწყდა 19 აუქციონი;
- 391 სახელმწიფო უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 1 368 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს მიეცათ თანხმობა 545 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;

- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2 874 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, ხოლო 472 უძრავი ქონება - ეკომიგრანტების ოჯახებს;
- „ქართული ჩაის“ პროგრამის ფარგლებში ქონება დროებით სარგებლობაში (25 წლის ვადით) გადაეცა 3 ბენეფიციარს;
- პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 79 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე, მათ შორის 15 ბენეფიციარ კომპანიასთან სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით; აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკიდან გაცემული სესხის მოცულობამ შეადგინა 83.4 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან დეკლარირებული ჯამური ინვესტიციის მოცულობა 2016 წელს აღემატება 153 მლნ ლარს. სერთო ჯამში აღნიშნული კომპანიების მეშვეობით შეიქმნება 3 400-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი;
- 2016 წლის იანავარში ოფიციალურად გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო საქართველოში პირველმა ტექნოლოგიურმა პარკმა და ასევე, ამოქმედდა ტექნოპარკის ბიზნეს ინკუბატორი. გარდა აღნიშნულისა 2016 წლის ოქტომბერში გაიხსნა ზუგდიდის ტექნოპარკი;
- სააგენტოს მხარდაჭერით ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა და ფუნქციონირება დაიწყო 3-მა ინოვაციების ცენტრმა (დაბა ხარაგაულში, სოფ. ჭოპორტში და ქ. ბაღდათში);
- „საქართველოში 40 000 აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალსიტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით" პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში სააგენტოს მიერ უკრაინულ ტრენინგ-ცენტრ „Skill Up"-თან ერთად გადამზადდა 82 ტრენერი და ტრენინგი გაიარა 800-ზე მეტმა დამწყები დონის IT სპეციალისტმა საქართველოს საჯარო სკოლების, უნივერსიტეტებისა და ტექნოპარკების ბაზაზე (ტრენინგები ჩატარდა ასევე რეგიონებშიც (ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ხაშური, მცხეთა, ქსანი და სამტრედია)).

5.1.1 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- მომზადდა 2015-2016 წლების საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის/მაჩვენებლების ამსახველი ანალიტიკური დოკუმენტები, რომელებიც მოიცავს: ზოგად ეკონომიკურ მიმოხილვას - რეგიონში განვითარებული ეკონომიკური შოკების და გლობალური ეკონომიკური ზრდის შენელების ფონზე; მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკისა და პოტენციური დონის შეფასებას; რეალური ზრდის დეკომპოზიციას დანახარჯების მიხედვით; ქვეყნის წინაშე არსებული რისკებისა და შესაძლებლობების შეფასებას; ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და შეფასებას; პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზს; ექსპორტ-იმპორტის დეკომპოზიციას; დასაქმების დეკომპოზიციას და უმუშევრობის ანალიზს;ინფლაციის მიმოხილვას; სიღარიბის დონის ანალიზს; ტურიზმის სექტორის ანალიზს;
- ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციების შესახებ მომზადდა რეგულარული (ყოველთვიური) პრეზენტაციები ინვესტორებისთვის, ბიზნესის წარმომადგენლებისთვის, ფართო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის;
- შემუშავდა მეთოდოლოგიები სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორის დეტალური გაანალიზების მიმართულებით, კერძოდ: მშპ გეპის დაანგარიშების მეთოდოლოგია; რეალურ ზრდაში მშპ-ს კომპონენტების წვლილის დაანგარიშების მეთოდოლოგია; ექსპორტ-იმპორტის რეალური და ფასისმიერი ცვლილების დაანგარიშების მეთოდოლოგია; იმპორტის ცვლილებაში საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის ცვლილების წვლილის დაანგარიშების მეთოდოლოგია; უმუშევრობის ციკლურობის კომპონენტის დაანგარიშების მეთოდოლოგია

- მიმდინარეობდა მუშაობა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტზე საერთაშორისო ექსპერტებისა და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- გამოიცა გაზეთი „საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2016“;
- საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების მიზნით მოხდა ქვეყნის არსებული მდგომარეობის შეფასება და პრობლემების იდენტიფიცირება. რეიტინგებში პოზიციების გაუმჯობესების მიზნით მომზადდა საკანონდებლო ცვლილებები;
- კანონის პროექტების შედეგების შეფასების მიზნით მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი შემდეგ კანონპროექტებზე: „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსზე".
- შეფასდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ და მომზადდა ანგარიში;
- მომზადდა: საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის რეიტინგის „მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლება” მიმოხილვა და ანალიზი და აგრეთვე, „ფინანსებზე ხელმისაწვდომობის არსებული მდგომარეობის ანალიზი, შეფასება და შემუშავება შესაბამისი რეკომენდაციები;
- მიმდინარეობდა მუშაობა გადახდისუუნარობის ახალ კანონმდებლობაზე, რომელიც ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისკენაა მიმართული;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის (2016-2020 წლების) და სამოქმედო გეგმის (2016-2017 წლების) შემუშავება. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა პროექტი ,,საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2020 წლებისთვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- მიმდინარეობდა სტრატეგიის სამოქმედო გეგმით 2016 წლისთვის განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების მონიტორინგი. შესაბამისად, შემუშავდა და მთავრობას წარედგინა 2016-2020 წლებისთვის საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის წლიური (2016 წ.) ანგარიში;
- კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის და სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, შეიქმნა კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობის საკონსულტაციო საბჭო. აღნიშნული საბჭოს ფარგლებში განხორციელდა შეხვედრების ორგანიზება/ჩატარება, პრობლემური საკითხების განხილვა და შემდგომი რეაგირება;
- განხორციელდა სასესხო შეთანხმებების პროექტების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნების მომზადება და შესაბამის მოლაპარაკებებში მონაწილეობა;
- ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პრინციპებთან დაკავშირებით, საჯარო და კერძო სექტორის ცნობიერების ამაღლების მიზნით, OECD-თან თანამშრომლობით ორგანიზება გაეწია და ჩატარება კონფერენცია „Promoting Responsible Business Conduct in Georgia”;
- მიმდინარეობდა:
  - ✓ საქართველოს შესახებ OECD-ის 2016 წლის განახლებული ანგარიშის „Responsible Business Conduct in Georgia” განხილვა და შენიშვნების მომზადება;
  - ✓ მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული „ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის“ (RBC) პოპულარიზაციისათვის გასატარებელი ღონისძიებების განხილვის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაცია „CIDA“-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზება და შესაბამისი საკითხების განხილვა;
  - ✓ საქართველო-OECD-ის გლობალური ფორუმისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის კუთხით სამომავლო თანამშრომლობის სფეროების შესახებ პრეზენტაციის მომზადება/გაკეთება;

- ✓ სოფლის განვითარების სტრატეგიის პროექტის განხილვა და შესაბამისი შენიშვნების მომზადება;
- ✓ მიგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული „მიგრაცია და განვითარება“-ის ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის პროექტზე შენიშვნების მომზადება;
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) რეკომენდაციის შესაბამისად, „არაფორმალურიდან ფორმალურ ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ" სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მომზადება;

- აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ ქუვეიტის და ბაჰრეინის ოფიციალური პირებისთვის ორგანიზებულ კონფერენციაზე გაკეთდა პრეზენტაცია „მცირე და საშულაო ბიზნესის განვითარების შესახებ";
- მონაწილეობა იქნა მიღებული „Economic Reforms to Unleash SME Potential: Implementing the Principles of the Small Business Act for Europe in Eastern Partner Countries" ევროკავშირთან არაფორმალური და ღია დიალოგის ფორუმში და ასევე, „Support to EU-Georgia DCFTA and SMEs" მმართველი საბჭოს შეხვედრაში;
- კომპეტენციის ფარგლებში მომზადდა NATO-ს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) 2016 წლის თვითშეფასების დოკუმენტი;
- მომზადდა DCFTA-ის 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და ასევე, მომზადდა და დამტკიცდა DCFTA-ის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა;
- გაიმართა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისიის ორი შეხვედრა და DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის სამი შეხვედრა;
- ქ. ბრიუსელში გამართულ ვაჭრობის საკითხებზე ასოცირების კომიტეტის მე-3 სხდომაზე, ევროპულმა მხარემ დადებითად შეაფასა DCFTA-ის იმპლემენტაციის მიზნით საქართვლოს მიერ განხორციელებული რეფორმები;
- ხელი მოეწერა:
  - ✓ საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებას, რომლის ამოქმედების შემდგომ საქართველოს გაეხსნება 14 მილიონიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე სამომხმარებლო ბაზარი;
  - ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომერციის სამინისტროს შორის საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დასრულების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ამოქმედების შემდგომ საქართველოს გაეხსნება 1.4 მილიარდიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე სამომხმარებლო ბაზარი
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები:
  - ✓ საქართველოსა და ჩინეთის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონს ჰონგ-კონგს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. გაიმართა მოლაპარაკებების ორი რაუნდი. შეთანხმების ამოქმედების შემდგომ საქართველოს გაეხსნება 7.3 მილიონიანი თავისუფალი ვაჭრობის მქონე სამომხმარებლო ბაზარი;
  - ✓ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით, კერძოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ტარიფების შემდგომი ლიბერალიზაციასა და შეთანხმებაში მომსახურებით ვაჭრობის დამატების შესახებ (გაიმართა ერთობლივი კომიტეტის მე-7 და მე-8 სხდომა);
- ხელი მოეწერა გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში დიაგონალური კუმულაციის შესახებ ცვლილებების შეტანას. მხარეების მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შემდეგ (ასევე შესაბამისი ცვლილება უნდა

განხორციელდეს DCFTA-ში) შესაძლებელი იქნება დიაგონალური კუმულაციის განხორციელება საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის, რაც დამატებით იმპულსს მისცემს ჩვენს შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას;

- ჩატარდა საქართველოს სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭო TAG-ის ორი შეხვედრა;
- მომზადდა აზია-აფრიკის რეგიონის ქვეყნებთან ექსპორტის ზრდისა და საექსპორტო პროდუქციის დივერსიფიკაციის მიზნით საექსპორტო ბაზრების ანალიზი;
- „საქართველოს მთავრობასა და კატარის სახელმწიფოს მთავრობას შორის ინვესტიციების ორმხრივად ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების გაფორმების მიზნით გაიმართა მოლაპარაკებების ორი რაუნდი. მხარეებმა მოლაპარაკებების შედეგად, შეთანხმების ტექსტთან მიმართებაში მიაღწიეს შეთანხმებას და მოხდა მისი პარაფირება;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები: „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის მიზნით. შეჯერდა საქართველოს დაინტერესებული უწყებების შენიშვნების შესაბამისად გადამუშავებული პროექტის ტექსტი; „საქართველოს მთავრობასა და არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობას შორის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების გაფორმების მიზნით. შეთანხმების პროექტმა გაიარა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და განსახილველად გადაეცა ემირატების მხარეს;
- ევროკავშირის წევრ და ევროპის სხვა ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერობების გაღრმავების მიზნით, გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიების მორიგი სხდომები: საქართველოსა და ჩეხეთს შორის და აგრეთვე, საქართველოსა და ლიტვის რესპუბლიკას შორის.
- ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნებთან ხელი მოეწერა შემდეგ ორმხრივ შეთანხმებებს:
  - ✓ „საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და ურთიერთდაცვის შესახებ” განახლებულ შეთანხმებას;
  - ✓ „საქართველოს მთავრობასა და სლოვენიის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას
- მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირისა და ევროპის სხვა ქვეყნებთან და აგრეთვე, მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან შემდეგ ორმხრივ შეთანხმებების პროექტებზე:
  - ✓ „ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ” (უნგრეთი, ისლანდიის რესპუბლიკა, რუმინეთის რესპუბლიკა, სან-მარინო, სლოვენია და ბელარუსი);
  - ✓ „გეოგრაფიული აღნიშვნების ურთიერთაღიარებისა და დაცვის შესახებ” (შვეიცარიის კონფედერაცია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყირგიზეთი, ყაზახეთი);
  - ✓ „სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ” (ხორვატია და ბოსნია);
  - ✓ „სტანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ” (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, ყირგიზეთი და უზბეკეთი);
  - ✓ „ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ” (ყირგიზეთი);
  - ✓ „ერთობლივი მთავრობათაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიის დაფუძნების შესახებ” (მოლდოვა)
- მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერობების გაღრმავების მიზნით გაიმართა ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიები: საქართველოსა და ყირგიზეთის რესპუბლიკას შორის; საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის და ასევე, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას შორის;
- მეზობელ ქვეყნებთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ხელი მოეწერა შემდეგ ორმხრივ შეთანხმებებს: „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სტანდარტების, მეტროლოგიისა და შესაბამისობის შეფასების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ და

„საქართველოს მთავრობასა და ყირგიზეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“;

- მიმდინარეობდა მუშაობა კანადური მხარის მიერ შემოთავაზებულ „კანადასა და საქართველოს შორის ინვესტიციების ხელშეწყობისა და დაცვის შესახებ" შეთანხმების პროექტზე და აგრევე, კოლუმბიის მხარის მიერ შემოთავაზებულ „საქართველოსა და კოლუმბიის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ვაჭრობისა და ინვესტიციების გაძლიერების შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტზე;
- „საქართველოსა და OPEC-ის საერთაშორისო განვითარების ფონდს (OFID) შორის ინვესტიციების წახალისებისა და დაცვის შესახებ“ შეთანხმების პროექტის განხილვის მიზნით გაიმართა უწყებათაშორისი შეხვედრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, იუსტიციის, ფინანსთა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მონაწილეობით და აგრევე, ჩატარდა ვიდეო კონფერენცია OFID-ის წარმომადგენლებთან;
- აშშ-ში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები აშშ–ის სახელმწიფო დეპარტამენტში, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციაში (MCC), აშშ–ის კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციაში (OPIC), აშშ–ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოში (USAID), სხვა სახელმწიფო უწყებებში, ბიზნეს–გაერთიანებებსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებში. აღნიშნულის შედეგად განისაზღვრა ორმხრივი თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები და განვითარების შესაძლებლობები;
- მომზადდა სხვადასხვა ქვეყნების (აშშ, კანადა, მექსიკა, ბრაზილია, არგენტინა, კოლუმბია, ეკვადორი, პერუ და ურუგვაი) საიმპორტო ბაზრების პირველადი ანალიზი იმ პროდუქციის გამოვლენის მიზნით, რომლის ექსპორტის ზრდა/შეთავაზება შესაძლებელია საქართველოს მხრიდან;
- გრძელდებოდა აქტიური თანამშრომლობა აღმოსავლეთ პარტნიორობის გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილებების პანელის (EaP Panel on Environment and Climate Change) მიერ ინიცირებულ აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-2 პლატფორმის ,,ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენციის” (Platform on Economic Integration and Convergence) ფარგლებში მიმდინარე პროექტთან „აღმოსავლეთ სამეზობლო ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარება” (EaP – Green);
- მონაწილეობა იქნა მიღებული: „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკის ეკოლოგიზაცია“ (EaP GREEN) პროექტის საკოორდინაციო კომიტეტის მე-5 სხდომაში (ქ. ბრიუსელი); „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა“ (EaP Green) პროგრამის ფარგლებში, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ქ. კიშინიოვში გამართულ ექსპერტთა რეგიონული კონფერენციის მუშაობაში; „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ პროგრამის (Greening Economies in Eastern Partnership Countries - EaP GREEN) კომპონენტის „რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების სადემონსტრაციო პროექტის“ ფარგლებში გამართულ ფორუმის მუშაობაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული მსოფლიო ბანკის და ენერგეტიკული თანამეგობრობის ორგანიზებით ქ. ვენაში გამართულ ვორქშოფში, სადაც განხილული იყო ენერგოეფექტურობის დირექტივის დაფინანსების, განხორციელების გზები და მაგალითები დასავლეთ ბაკლანეთის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის და ასევე, ნაჩვენები იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების მაგალითები;
- მიმდინარეობდა მუშაობა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) და ფინურ კომპანია „ვითითი“-სთან თანამშრომლობით საყოფაცხოვრებო სექტორის სამართლებრივი ბაზის დახვეწის მიმართულებით; EBRD-ს ტექნიკური დახმარების ფარგლებში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე (NEEAP); გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) ერთად „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტზე;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებზე (SDG), კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის განკუთვნილი ინდიკატორების განსაზღვრასა და მათ კოორდინაციაზე;

- აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს EC-LEDS პროექტის ფარგლებში გრძელდებოდა მუშაობა დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე;
- მონაწილეობა იქნა მიღებული შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციისა და კონრად ადენაუერის ფონდის ორგანიზებით ქ.კიევში გამართული სემინარის „მცირე და საშუალო მეწარმეობა და მწვანე ეკონომიკა“ მუშაობაში, სადაც გაკეთდა პრეზენტაცია თემაზე „საქართველოს მწვანე განვითარების გზა“;
- საქართველოში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის პრინციპების ეტაპობრივად დამკვიდრების მიზნით, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ OECD-თან ერთად ორგანიზებულ იქნა სემინარი თემაზე „საქართველოში ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) ხელშეწყობა“;
- მიმდინარეობდა მუშაობა დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (DANIDA) პროექტზე „ენერგოეფექტურობისა და მდგრადი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის დირექტივების გათვალისწინებით შემუშავდება და დაინერგება: სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო კოდექსის შესაბამისად საქართველოს მთავრობის დადგენილება „შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“ და საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემა;
- საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავდა „შემთხვევის მოკვლევისთვის მომკვლევთა მომზადების სახელმძღვანელო“ და „საჰაერო ხომალდის საავიაციო შემთხვევის მომკვლევთა შერჩევა-მომზადების სახელმძღვანელო“;
- აზიის განვითარების ბანკის მიერ ტექნიკური დახმარების (გრანტი) პროექტის ფარგლებში მომზადდა ტრანსპორტის პოლიტიკის დოკუმენტი და მისი სამოქმედო გეგმა;
- ქ. ბათუმში გამართულ პირველ საერთაშორისო საზღვაო ფორუმზე „Georgia international Maritime Forum” (GIMF2016), რომელსაც ესწრებოდა 40-ზე მეტი ქვეყნიდან მოწვეული 300-მდე დელეგატი, ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და მალტის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ“;
- ქ. ვაშინგტონში გამართულ გლობალურ ინფრატსტრუქტურულ ფორუმზე (Global Infrastructure Leadership Forum) წარდგენილ იქნა საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი მსხვილი სატრანსპორტიო ინფრასტრუქტურული პროექტები. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტი ფორუმის ორგანიზატორების მიერ დასახელდა წლის ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პროექტად;
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და განვითარების პროექტის ფარგლებში სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილებით ინვესტორად შერჩეულ იქნა ქართულ-ამერიკული კომპანია შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმი“ და ხელი მოეწერა შეთანხმებას;
- სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ შექმნა „საქართველოს გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი“;
- საქართველოს ყველა ნავსადგურში დაინერგა საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო (VTS) სისტემა;
- ინიცირებულ იქნა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები ,,საქართველოს მთავრობასა და სინგაპურის რესპუბლიკის მთავრობას შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ” და „საქართველოს მთავრობასა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს შორის საზღვაო სავაჭრო ნაოსნობის შესახებ” შეთანხმების პროექტებზე და აგრეთვე, „სარეგისტრაციო მოსაკრებლებლების შესახებ“ და „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონების ცვლილებები;

- დაინერგა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდეგი დირექტივები: 2009 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/16/EC დირექტივა „ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლის თაობაზე“, 2003 წლის 14 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2003/25/EC დირექტივა „სამგზავრო გემების სტაბილურობის სპეციფიკური მოთხოვნების შესახებ“ და 2002 წლის 27 ივნისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/59/EC დირექტივა;
- დამტკიცდა „საქართველოს ტერიტორიულ ზღვასა და ნავსადგურის აკვატორიაში გემების მოძრაობის მონიტორინგისა და საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების წესი“. გარდა ამისა, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები საზღვაო ტრანსპორტის სფეროში („მეზღვაურთა სერტიფიკატების ფორმების, მათი გაცემისა და გამოყენების წესი”, „მეზღვაურის წიგნაკის ფორმის, მისი დამზადების, გაცემისა და გამოყენების წესი“, „გემის სახელმწიფო რეგისტრაციისა და საზღვაო იპოთეკის აღრიცხვის წესები“; „ნავსადგურსა და მის მიმდებარე წყლებში თევზჭერის აკრძალვის წესი“ და სხვა ნორმატიული აქტები);
- ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით დამტკიცდა „საქართველოს საჰაერო სივრცის სტრუქტურა და კლასიფიკაცია“;
- დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები „საქართველოს მთავრობასა და ისლანდიის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“, ხოლო „Bahrain International Air Show”-ს ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას „საქართველოს მთავრობასა და ბაჰრეინის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ", რაც ხელს შეუწყობს პირდაპირი საჰაერო რეგულარული მიმოსვლის დაწყების შესაძლებლობას, ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და ტურიზმის განვითარებას;
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიმწოდებლების, მათი უფლება-მოვალეობების და ჰაერსანაოსნო მონაცემების და ჰაერსანაოსნო ინფორმაციის მიწოდების წესი.“
- საქართველოსა და თურქმენეთს შორის რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განხორციელების, თავისუფალი კონკურენციის განვითარების, მომსახურების პირობების ამაღლების და ტურიზმის განვითარების მიზნით მომზადდა „საქართველოს მთავრობასა და თურქმენეთის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ” ახალი შეთანხმების პროექტი. გარდა ამისა, მოლაპარაკებების გამართვის მიზნით, მომზადებულ იქნა „საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმების პროექტი სეიშელთან;
- „თვლიანი სატრანსპორტო საშუალებებისათვის და იმ მოწყობილობების და ნაწილების საგნებისათვის, რომლებიც შესაძლებელია დაყენდეს ან/და გამოყენებულ იქნეს თვლიან სატრანსპორტო საშუალებებზე, ერთგვაროვანი ტექნიკური მიწერილობების მიღების და ამ მიწერილობების საფუძველზე გაცემული ოფიციალური დამტკიცების ურთიერთაღიარების პირობების შესახებ შეთანხმების“ მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისათვის კომპეტენტურ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და დამტკიცდა შეთანხმების იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა;
- ქ. თბილისში გაიმართა ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზის პროექტის სამმხრივი საკოორდინაციო საბჭოს მე-7 სხდომა და ორმხრივი საკოორდინაციო საბჭოს 24-ე სხდომა, სადაც განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში მიღწეული პროგრესი;
- ქ. როტერდამში გამართული ტრანს-ევროპული ქსელის (TEN-T) მინისტერიალის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობასა და ბოსნია და ჰერცეგოვინას მინისტრთა საბჭოს შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებას;
- ხელი მოეწერა „თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო კომბინირებული ტვირთების გადაზიდვის შესახებ შეთანხმებას“.
- 2016 წლის 19 სექტემბრიდან საქართველო გახდა სახიფათო ტვირთების საერთაშორისო საგზაო გადაზიდვების შესახებ ევროპული შეთანხმების (ADR) წევრი ქვეყანა;

- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია და შეიქმნა საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიით გათვალისწინებული საგზაო უსაფრთხოების უწყებათაშორისი კომისია და ეროვნული საგზაო უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფი და დამტკიცდა მათი დებულება. ასევე დამტკიცდა საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
- ბალტიის ზღვა - შავ ზღვას შორის სატვირთო გადაზიდვების მოცულობებისა და ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, მიმდინარეობდა მუშაობა უკრაინის მხარის მიერ მომზადებულ შეთანხმების პროექტზე „ბალტიის ზღვა - შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს მხარეებს შორის სატვირთო გადაზიდვებთან დაკავშირებული სამართლებრივი და სატარიფო საკითხების დარეგულირებას;
- საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით მიმდინარეობდა მუშაობა ცენტრალური აზიის რეგიონალური ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამაში (CAREC) საქართველოს გაწევრიანების საკითხებზე. ისლამაბადში (პაკისტანი) გამართულ CAREC-ის 25-ე მინისტერიალზე საქართველო გაწევრიანდა აღნიშნულ პროგრამაში;
- მიმდინარეობდა მუშაობა ,,საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი"-ს პროექტზე, რომელიც წარდგენილ იქნა საქართველოს პარლამენტში;
- სამშენებლო სფეროს კანონმდებლობის ევროპულ და საერთაშორისო ნორმებთან დაახლოების მიზნით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ“ და მიმდინარეობდა სამუშაოები ევროკოდების თარგმნა/რედაქტირებასთან დაკავშირებით (ევროკოდი „ზემოქმედებები კონსტრუქციებზე“, ევროკოდი „ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება“ და ევროკოდი „ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება“);
- შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) დახმარებით განხორციელდა საბინაო სექტორის ბაზრის შეფასება საქართველოში. პროექტის ფარგლებში გაანალიზებული იქნა საბინაო სექტორის მდგომარეობა. EBRD-ის მიერ განხორციელდა პირველი ფაზით გათვალისწინებულ საცხოვრისი სექტორის ანალიზი და შემუშავდა ეროვნული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია;
- შეთანხმდა ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული დოკუმენტაცია;
- ჩატარდა ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"-ს 34 სხდომა და განხილულ იქნა 427 პროექტი;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, ბახმაროს სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის, მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის, ახმეტის მუნიციპალიტეტისა და თუშეთის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის, ბაკურიანისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციისა და იყალთოს ხევის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავებისათვის კომპანიების/კონსორციუმების შერჩევის საკითხებზე;
- საპენსიო რეფორმის ფარგლებში შემუშავდა საპენსიო კანონის პროექტი და მიმდინარეობდა მუშაობა IT ინფრასტრუქტურის დიზაინის შექმნის კუთხით;
- კაპიტალის ბაზარის განვითარების მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა ფინანსური ინსტრუმენტების დაბეგვრის ადმინისტრირების გამარტივების კუთხით და საინვესტიციო ფონდების კანონმდებლობის დახვეწაზე;
- მომზადდა ახალი საინვესტიციო კანონპროექტის საბოლოო ვარიანტი, რომელშიც ასახულია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისა (IFC) და იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციები;
- მომზადდა საინვესტიციო შეთავაზება გონიოში სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიზნით;

- მიმდინარეობდა მუშაობა ქ. თბილისში მულტიფუნქციური გასართობი პარკის განვითარების მიმართულებით;
- საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევისათვის შემუშავდა ინდიკატორები და სამუშაოს აღწერილობა კონსულტანტი კომპანიისათვის, რომელიც განახორციელებს სექტორის შესწავლას;
- ჟურნალ „FORBES GEORGIA"-სა და ყაზახურ „FORBES KZ"-ს ორგანიზებით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანაორგანიზებით ჩატარდა საქართველო-ყაზახეთის საინვესტიციო/ბიზნეს ფორუმი, ხოლო ქ. ბათუმში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) ორგანიზებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანაორგანიზებით - საერთაშორისო კონფერენცია „Investment Policy and Promotion";
- დუბაიში „Annual Investment Meeting 2016"-ის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან საქართველოს საინვესტიციო გარემოს, უძრავი ქონებისა და ტურიზმის მიმართულებით კონკრეტული პროექტების გაცნობის მიზნით;
- გაიმართა შეხვედრები/მოლაპარაკებები 150-მდე პოტენციურ ინვესტორთან საქართველოში სხვადასხვა სფეროში/სექტორში (ტურიზმის, სასტუმრო ინდუსტრიის, წარმოების, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ენერგეტიკის (ძირითადად განახლებადი ენერგიების), IT ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით) ინვესტირებასთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკება ჩეხურ კომპანიასთან „PIVOVAR SVIJANY" ქ. თბილისში ლუდის ქარხნის განვითარებასთან დაკავშირებით და კომპანიასთან „CITY LOFT" ყაზბეგში სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტთან დაკავშირებით. შედგა შეხვედრა ჩინურ კომპანიასთან „BEIJING ZHONGYE INVESTMENT CO LTD" წყალტუბოს განვითარების პროექტთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა:
  - ✓ კომპანია „ხარება"-სთან, რომელიც გეგმავს 25 მლნ-იანი პროექტის განვითარებას სოფელ წეროვანში (ხორცის გადამამუშავებელი კომბინატის მშენებლობა). პროექტი გადავიდა დასკვნით ეტაპზე და შეირჩეულია შესაბამისი მიწის ნაკვეთი;
  - ✓ იტალიურ კომპანია „Dolceamaro Srl Group"-თან, რომელიც გეგმავს საქართველოში ნუშის კულტივირებას. პირველ ეტაპზე იგეგმება 1 000 ჰა მიწის ნაკვეთზე შესაბამისი ღონისძიებების გატარება;
  - ✓ კომპანია „Hualing Group"-თან: საქართვლოში ჩაის ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებით. პროექტი ითვალისწინებს კულტივაციისა და გადამუშავების ხუთ ძირითად ფაზას; საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების განვითარებასთან დაკავშირებით. ჩინურ მხარეს მიეწოდა შესაბამისი საპრივატიზაციო ობიექტები;
  - ✓ ყაზახურ კომპანიებთან (შპს „თამარა" და შპს „რამ ინვესტ") ქ. ქობულეთში თავისუფალ ტურისტული ზონაში სასტუმროების მშენებლობასთან დაკავშირებით
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზაბით ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი „Ad Black Sea";
- საქართველოსა და ჩინეთის სავაჭრო პალატების ორგანიზებით ქ. თბილისში ჩატარდა საექსპორტო პროდუქციის გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო 80-მდე ჩინური კომპანიის ტექსტილის, სოფლის მეურნეობის, სამედიცინო და სხვა სახის პროდუქცია;
- წარმატებით დასრულდა მუშაობა შპს „აჭარა ტექსტილე"-თან ქ. ფოთში სამკერვალო საწარმოს გახსნასთან დაკავშირებით (დასაქმდება 1 500 ადამიანი, კომპანია საწარმოს შექმნისა და წარმოების დაწყების მიზნით განახორციელებს 9 მლნ ლარის ინვესტიციას) და კომაპანია „სი ი ეფ სი"-თან ქ. თბილისში (დ. აღმაშენებლის გამზ. N138-ში მდებარე უძრავი ქონება) ევრაზიული ქვეყნების საინვესტიციო და თანამშრომლობის სათაო ოფისის მოწყობასთან დაკავშირებით, სადაც განთავსდება ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრი;

- მიმდინარეობდა მუშაობა: „ელექტრონული კომერციის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავებაზე; „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის (HDM)“ პროექტზე; კანონპროექტებზე ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ'' და ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონებში შესატან ცვლილებებზე; „საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო თანამგზავრული ორგანიზაციის (ITSO) შეთანხმებაში“ შესატან ცვლილებებზე; პროექტზე „უსაფრთხო ინტერნეტი ბავშვებისთვის“; USAID-ის „მმათრველობა განვითარებისთვის (G4G)“ პროექტის დახმარებით კანონის პროექტის „ელექტრონული კომერციის შესახებ“ შემუშავებაზე და სხვა;
- მიმდინარეობდა რეგიონალური ინტერნეტ მმართველობის ფორუმის (IGF TBILISI 2016) მოსამზადებელი სამუშაოები;
- „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ციფრული მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ძირითადი ქსელის ამოქმედების შემდეგ, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის სატელევიზიო სიგნალის გავრცელების ჩრდილოვან ზონებში აღმოჩენილი დასახლებული პუნქტების ციფრული მაუწყებლობით უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 დეკემბერის №2639 განკარგულებით დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით შპს „საქართველოს ტელერადიოცენტრის” და შპს „ვეზირის” მიერ ტესტურ რეჟიმში გაეშვა ციფრული რეტრანსლატორები შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ატენი, ბრეძა, ზღუდერი, კნოლევი,პატარა ონი, სადმელი, ზიკილია, ახალდაბა, ქვაბისხევი, სოფელი ქობულეთი, ჯოჭო, ღუ-ორბელი, ჭართალი, ანანური, ქვეშეთი, ბოსლევი, ბიღა ქვაციხე, კაცხი, ღვითორი, ხრეითი, პერევი, ნაბახტევი, ბორითი, ქროლი-ბაზალეთი, მუხლი, გუდაური, სიონთგორა,წიფორი;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ქუვეითში ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) განვითარების ბიუროს (BDT) ორგანიზებით გამართულ „საგანგებო სიტუაციებში ტელეკომუნიკაციების ფუნქციონირების მე-2 გლობალური ფორუმის (GET-2016)” მუშაობაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული: ITU-ს მიერ ონლაინ რეჟიმში ორგანიზებულ ღია საკონსულტაციო შეხვედრაში „ACCESS TO THE INTERNET FOR PERSONS WITH DISABILITIES AND SPECIFIC NEEDS“; კანონპროექტებში ,,ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ'' და ,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონებში ცვლილებების შეტანასთან და ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირების პრობლემემატურ საკითხებთან დაკავშირებით კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გამართულ შეხვედრებში; საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფის „უსაფრთხო ინტერნეტი ბავშვებისათვის“ შეხვედრებში;
- მომზადდა დადებითი პოზიცია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს აუდიოვიზუალურ ობსერვატორიაში საქართველოს გაწევრიანების შესახებ, რის შედეგად საქართველო გაწევრიანდა აღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციაში;
- მიმდინარეობდა მუშაობა ადგილობრივი საეთერო მაუწყებელების, ადგილობრივი ციფრული მიწისზედა სამაუწყებლო ქსელის/მულტიპლექს პლატფორმის ფორმირების პრობლემებატურ საკითხებზე. მომზადდა და მოწონებულ იქნა „ანალოგური მიწისზედა საეთერო ტელემაუწყებლობიდან ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლის სამოქმედო გეგმის და შესაბამისი რეკომენდაციების“ II ეტაპის დოკუმენტის პროექტი;
- კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად მიმდინარეობდა მუშაოება „GEO 259“ და „ARM 285“ მიწისზედა საეთერო სატელევიზიო მაუწყებლობის ზონაში 23-ე სატელევიზიო არხის ფუნქციონირების საკითხთან დაკავშირებით;
- მიმდინარეობდა მუშაობა და მომზადდა პოზიციები შემდეგ ნორმატიულ აქტებზე: „მაღალი გარჩევადობის ფორმატის განსაზღვრისა და ღია საეთერო მულტიპლექსპლატფორმებთან მაუწყებელთა დაშვების წესის დამტკიცების თაობაზე“; „საქართველოს საგადახდო კოდექსში

ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომელიც შეეხება საფოსტო გზავნილებზე რაოდენობრივი შეზღუდვების საკითხს; „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ'' საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ; „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ;

- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. ჟენევაში გამართულ საინფორმაციო საზოგადოების მსოფლიო სამიტის ფორუმში „WSIS FORUM 2016“, სადაც ქართულმა სამეცნიერო პროექტმა გაიმარჯვა ფორუმის საპრიზო კონკურსის ერთ-ერთ კატეგორიაში;
- მიმდინარეობდა მუშაობა EBRD-ს წარმომადგენელთან ფოსტის სფეროს საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შემუშავებასა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მოდერნიზაციის საკითხებზე, ToR1 და ToR2 ტექნიკური დავალებების შესაბამისად;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უმასპინძლა საფოსტო რეგულაციების ევროპის კომიტეტის (CERP) 51-ე პლენარულ სხდომას (მონაწილეობდნენ ევროპის 21 ქვეყნის ფოსტის სფეროზე პასუხისმგებელი სამინისტროები, PostEurop-ის წარმომადგენლები და სხვები), სადაც განხილული იქნა ფოსტის სფეროს ფუნქციონირების და განვითარების მნიშვნელოვანი საკითხები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. სტამბულში გამართულ გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციის მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) 26-ე კონგრესის მუშაობაში (ესწრებოდა 192 წევრი სახელმწიფოს ოფიციალური დელეგაცია), სადაც საქართველო პირველად იქნა არჩეული UPU-ს ორივე მუდმივმოქმედი საბჭოს წევრ სახელმწიფოდ.

5.1.2. სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2016 წლის ბოლოს დასრულდა სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტი, რომლის განხორციელება თბილისში დაიწყო 2013 წლიდან, ხოლო რეგიონებში - 2015 წლის მარტიდან. პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად თბილისში აღმოჩენილია 972 აღურიცხავი სახელმწიფო ობიექტი, ხოლო აღმოჩენილმა მიწის ფართობმა შეადგინა 734 ჰა. რეგიონებში აღმოჩენილი მიწის ფართობი შეადგენს 6 739.2 ჰა-ს, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი (საძოვრების გათვალისწინებით) - 653 575 ჰა-ს და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი - 20 346 ჰა-ს;
- გამოცხადდა 1 582 აუქციონი, საიდანაც შედგა 928 აუქციონი, ჩაიშალა 580 და შეწყდა 19 აუქციონი;
- გაიშვა სააგენტოს ახალი ვებ-გვერდი, სადაც მთავარი აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლისათვის საჭირო ინფორმაციულ მოდულებზე;
- საქმიანობის სრულყოფის მიზნით მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და განკარგვის ერთიანი ელექტრონული პორტალის შექმნაზე და რეალურ რეჟიმში ამოქმედდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის მოდული;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების რაოდენობის ოპტიმიზაციის მიზნით დასრულდა გაკოტრების საქმის წარმოება 18 საწარმოზე, განხორციელდა 35 საწარმოს შერწყმა და 8 საწარმოს მართვის უფლებით გადაცემა.
- მიწის მიკუთვნებისა და საკუთრების ზედდების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება იქნა მიღებული 292 საკითხზე;
- 391 სახელმწიფო უძრავი ქონება გადაეცა სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, ხოლო 1 368 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს. ადგილობრივ თვითმმართველ

ერთეულებს მიეცათ თანხმობა 545 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;

- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2 874 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს, ხოლო 472 უძრავი ქონება - ეკომიგრანტების ოჯახებს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ქონებით უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა 79 ბენეფიციარიასთვის უძრავი ქონების გადაცემა, რის შედეგადაც მოსალოდნელი ინვესტიციების ოდენობა შეადგენს 117.2 მლნ ლარს;
- „ქართული ჩაის“ პროგრამის ფარგლებში ქონება დროებით სარგებლობაში (25 წლის ვადით) გადაეცა 3 ბენეფიციარს;
- განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, „სოფლიდან გაუსვლელად“ პროგრამის ფარგლებში, სოფლებსა და გამგეობებში, სააგენტოს რეგიონულ მომსახურების ცენტრებში და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონულ ცენტრში გავრცელდა 96 450 ბუკლეტი გამოცხადებული აუქციონების შესახებ;
- უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის/დაცვის ღონისძიებები, მათ შორის საქართველოს მასშტაბით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა.
- მიმდინარეობდა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია.

5.1.3. მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 79 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე, მათ შორის 15 ბენეფიციარ კომპანიასთან სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით;
  - ✓ განხორციელდა პროგრამის ინდუსტრიული მიმართულების შესახებ პარტნიორი კომერციული ბანკების თანამშრომლების დატრენინგება;
  - ✓ პროგრამის ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში, მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით წელს პირველად განხორციელდა ქართველ მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც მოიცავდა გერმანიაში ვიზიტს, ტრეინინგებს და ინდივიდუალურ შეხვედრებს გერმანიაში მოქმედ კომპანიებთან. ღონისძიების ფარგლებში ქართველ მეწარმეებს (კვების პროდუქტების, ღვინის წარმოების, სოფლის მეურნეობის, ფარმაცევტული და ტექსტილის მწარმოებელი კომპანიებიდან) საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ გერმანელ კერძო მეწარმეთა სამუშაო პირობებს და სამომავლო თანამშრომლობის მიზნით დაემყარებინათ კონტაქტები მათთვის საინტერესო კომპანიებთან;
  - ✓ მეწარმეობის განვითარების სააგენტომ უმასპინძლა პირველ B2B ფორუმს, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მოღვაწე კომპანიები (200-მდე კომპანია სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სავაჭრო სექტორებიდან). ღონისძიების ფარგლებში, აუდიტორიას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ შედეგებს, სახელმწიფო შესყიდვის პროცედურებს, ექსპორტის ხელშეწყობის მექანიზმებს, შესაძლებლობებს DCFTA-ის ფარგლებში თუ სხვა იმ მექანიზმებს, რაც ხელშემწყობი იქნება ბიზნესის განვითარებისა და გაფართოებისათვის;

- ✓ განხორციელდა პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის I და II ეტაპის ბენეფიციარების ტრეინინგები (სულ - 6 834 ბენეფიციარი) და გამარჯვებული ბენეფიციარებისათვის თანადაფინანსების თანხების ჩარიცხვა (სულ 2 102 პროექტი, 3 198 ბენეფიციარი);
- ✓ პროგრამის „მიკრო გრანტები მთის განვითარებისათვის" პროექტის ფარგლებში (ამოქმედდა 27 ივნისს), განხორციელდა შეხვედრები და გაიმართა პრეზენტაციები (20 სხვადასხვა მუნიციპალიტეტში) საქართველოს მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან პროგრამაზე ცნობიერების ამაღლების კუთხით. პროექტის ფარგლებში ტრენინგი გაიარა 2 046 პოტენციურმა ბენეფიციარმა და მიმდინარეობდა გამარჯვებული ბენეფიციარების დაფინანსება;
- ✓ გამოვლინდა პროგრამის მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის კომპონენტის სამივე ეტაპის (I, II და მთის ეტაპი) გამარჯვებული ბენეფიციარები, რომელთა დაფინანსების პროცესი დასრულდა 2016 წლის ნოემბერში. 2016 წელს დაფინანსდა 2 597 პროექტი (3 964 ბენეფიციარი), ხოლო 2015-2016 წლებში დაფინანსდა სულ 3 204 პროექტი (4 910 ბენეფიციარი);
- ✓ სსიპ - ტურიზმის ეროვნულ სააგენტოსთან მოლაპარაკებების საფუძველზე, სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ გადაცემულ იქნა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსებული საოჯახო ტიპის სასტუმროების მონაცემები, რომელიც მიზნად ისახავ შემდგომში ბენეფიციარების დამატებით ხელშეწყობასა და ტურიზმის სფეროს მხარდაჭერას;

- ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენის მიზნით სააგენტომ ორგანიზება გაუწია 4 საერთაშორისო გამოფენაზე (საკვები პროდუქტების გამოფენა „Gulfood 2016" (პარიზი), „SIAL Paris 2016" (პარიზი), ფარმაცევტული გამოფენა „Duphat 2016" (დუბაი) და „CPhI worldwide 2016" (ბარსელონა)) მონაწილეობას და აგრეთვე, სავაჭრო მისიების გამგზავრებას ბალტიისპირეთსა და პოლონეთში. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 34-მა ქართულმა კომპანიამ;
- ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საექსპორტო პროცედურებსა და სპეციფიკებზე კონსულტაცია გაეწია 500-ზე მეტ ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიასა და ფიზიკურ პირს, მოხდა სამკერვალო და მოდის ინდუსტრიის წარმომადგენლების შეხვედრის ორგანიზება ქსოვილების მწარმოებელ თურქულ კომპანიასთან და ჩატარდა სემინარი „Market Entry Strategy". გარდა ამისა, ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით ორგანიზება გაეწია საქართველოში სავაჭრო მისიების ვიზიტს კალინინგრადის ოლქიდან და ინდონეზიიდან (35 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა);
- მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და დუბაის სავაჭრო სამრეწველო პალატის ორგანიზებით, საქართველოში განხორციელდა სავაჭრო მისია, რომლის მეშვეობითაც 25-მდე ქართულ კომპანიას მიეცა საშუალება გაემართა შეხვედრები დუბაის საცალო, თუ საბითუმო ქსელის წარმომადგენლებთან და განეხილათ სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები;
- სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) ვიზიტი კახეთისა და ჯავახეთის რეგიონებში, იაპონური მხარისათვის საქართველოს რეგიონების პოტენციალის გაცნობის მიზნით, ხოლო JICA-ს „Business management for agri-business for CIS and Mongolia" პროექტის ფარგლებში პროფესიული უნარების/გამოცდილების ამაღლების მიზნით იაპონიაში გაიგზავნა ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიის წარმომადგენელი;
- მომზადდა 2016 წლის ექსპორტის კატალოგი;
- ორგანიზება გაეწია კავკასიის უნივერსიტეტის ექსპორტის მენეჯერთა სასერტიფიკატო კურსს, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 26 კომპანიის 33 ექსპორტის მენეჯერი;
- ეროვნული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, GIZ-თან თანამშრომლობით, ტურიზმისა და ქაღალდის წარმოების მიმართულებით ბიზნესის საჭიროებების გამოსავლენად განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები ბათუმისა და თბილისის მასშტაბით. გარდა ამისა, GIZ-ის მხარდაჭერით მიმდინარეობდა მუშაობა ექსპორტის

გრძელვადიან განვითარების სტრატეგიასა და საქართველოში ინტერნეტ კომერციის (E-commerce) განვითარებაზე;

- ერთი წლის ვადით შესყიდულ იქნა „Euromonitor International”-ის კვლევებისა და ანალიზების მომსახურება, რაც სტრატეგიულ ბაზრებზე/კონკრეტულ პროდუქტებზე იძლევა დეტალური ინფორმაციის მიღების საშუალებას;
- ქართველი დიზაინერების პროდუქციის პოპულარიზაციის/ცნობადობის ამაღლებისა და მოდის ინდუსტრიის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ: კომპანია „მალატის" მხარდაჭერა ნიუ-იორკის მოდის კვირეულის ფარგლებში და სააგენტოს თანადაფინანსებით ნიუ-იორკსა და ლონდონში ქართველი დიზაინერების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვები. გარდა ამისა, 2016 წლის განმავლობაში მეწარმეობის განვითარების სააგენტომ აქტიურად ითანამშრომლა თბილისის და მერსედეს ბენცის მოდის კვირეულებთან, რომლის ფარგლებში საქართველოში მოწვეული იყო 30-მდე საერთაშორისო დიზაინერული სამოსის შემსყიდველი (ე.წ ბაიერი);
- ტრადიციული რეწვის პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, მხარი დაეჭირა ჩატარებულ ტრადიციულ რეწვისა და დიზაინის თბილისის I საერთაშორისო სამიტს;
- „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის ორი ახალი კომპონენტის (კინოინდუსტრიის წახალისებისა და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტები) საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით გაიმართა მათი პრეზენტაციები;
- „აწარმოე საქართველოში" სახელმწიფო პროგრამის კინოინდუსტრიის წახალისების („გადაიღე საქართველოში") ნაწილის ფარგლებში:
  - ✓ კომპონენტის საერთაშორისო პოპულარიზაციისა და კინოპროდიუსერებისათვის გაცნობის მიზნით დაიგეგმა ლოს-ანჯელესში პროგრამის წარდგენა, რისთვისაც მომზადდა ე.წ „Location Book" და მონაწილეობა იქნა მიღებული ლოს-ანჯელესის წამყვან ლოკაციის შოუში „AFCI Locations and Finance Show";
  - ✓ დაიწყო საქართველოს სხვადასხვა ლოკაციაზე ფილმების გადაღებების აქტიური წარმოება და კინომწარმოებლებისათვის ნებართვების აღების გამარტივების მიზნით შეიქმნა აპლიკაცია „One stop shop";
  - ✓ ჰოლივუდისა და ბოლივუდის კინომწარმოებლებისთვის მოეწყო გაცნობითი ტური, რისი საშუალებითაც ამერიკის წამყვანმა ლოკაციის მენეჯერებმა და ინდური კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმა შეისწავლეს საქართველოს პოტენციალი კინოგადაღებების კუთხით;
  - ✓ დასრულდა 5 (3 ინდური, 1 გერმანულ-ფრანგული-ქართული) სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება და მიმდინარეობდა 1 (ამერიკული) ფილმის გადაღება (აღნიშნული პროექტების ღირებულება შეადგენს 7.3 მლნ ლარს, ხოლო დასაქმებულების რაოდენობა - 650 ადამიანს);
  - ✓ განხორციელდა კინოინდუსტრიის წამახალისებელი კომპონენტის წარდგენა ბათუმის საერთაშორისო რეკლამისა და კინოფესტივალებზე;

5.1.4. საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ 2016 წლის იანვარში ოფიციალურად გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო ტექნოპარკმა, ხოლო 2016 წლის ოქტომბერში-ზუგდიდის ტექნოპარკმა;

- ✓ სააგენტოს მხარდაჭერით ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა და ფუნქციონირება დაიწყო 3-მა ინოვაციების ცენტრმა (დაბა ხარაგაულში, სოფ, ჭოპორტში და ქ. ბაღდათში);
- ✓ განხორციელდა ინოვაციების ცენტრების საპილოტე პროექტების ტექნიკური სპეციალისტების გადამზადება 3 განზომილებიან ბეჭდვასა და ასაწყობი ინსტრუქტორების/რობოტების დაპროგრამების მიმართულლებით;
- ✓ ინოვაციების ცენტრების ბაზაზე გაიმართა ტრენინგ-კურსები („Google-ის შექმნის ისტორია", „თამაშების ინდუსტრია", „ბლოგების წერა და მართვა" და სხვა), ჩატარდა შემეცნებითი შეხვედრები („Little Bits-ის ვორქშოფი"; „Code.org"-ის ვორქშოფი; „Lego Robotics"-ის ვორქშოფი; „როგორ მუშაობს ფაბ-ლაბი"; „როგორ შევქმნათ სტარტაპი"; „ინტელექტუალური საკუთრება"; „რა არის ციფრული მარკეტინგი" და სხვა) და ასევე, რეგიონებში ფუნქციონირებად ინოვაციების ცენტრების და ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე განხორციელდა სასწავლო პროგრამა „ინიციატივების მართვა" რეგიონებში ახალგაზრდების გააქტიურების მიზნით;
- ✓ გაიხსნა მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზებზე;
- ✓ 11 სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის (fablab) თანამშრომლებისათვის, ფაბლაბის მაღალტექნოლოგიური დანადგარების გამოყენების სწავლების მიზნით, ჩატარდა 2 ტრენინგ-კურსი. საქართველოს მასშტაბით ტრენინგების შედეგად აღნიშნული დანადგარების გამოყენება შეისწავლა 233 პირმა (მათ შორის ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში)

- განხორციელდა პროექტის „დაიწყე ბიზნესი ფაბლაბთან ერთად“ მესამე და მეოთხე ეტაპები, რომელშიც გაიმარჯვა 42-მა გუნდმა. პროექტში მონაწილეობის და საკუთარი პროტოტიპის დამზადების შედეგად 6 გუნდი ჩამოყალიბდა სტარტაპად.
- ტექნოპარკის სამრეწველო ლაბორატორიაში დამზადდა 252 პროდუქტის პროტოტიპი, ხოლო 5 მოქმედ ფაბლაბში - 400-ზე მეტი;
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ სხვადასხა სექტორების წარმომადგენლების აქტიური ჩართულობითა და ამერიკის შეერთებული შტატების „Bayh-Dole Act"- ზე დაყრდნობით შეიმუშავა კანონპროექტი ინოვაციების შესახებ. საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ" მიიღებულ იქნა პარლამენტის მიერ 2016 წლის 22 ივნისს, რომელიც IDFI-მა დაასახელა როგორც წლის ყველაზე ინოვაციური კანონპროექტი;
- „საქართველოში 40 000 აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალსიტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით" პროგრამის მეორე ეტაპის ფარგლებში სააგენტოს მიერ უკრაინულ ტრენინგ-ცენტრ „Skill Up"-თან ერთად გადამზადდა 82 ტრენერი და ტრენინგი გაიარა 800-ზე მეტმა დამწყები დონის IT სპეციალისტმა საქართველოს საჯარო სკოლების, უნივერსიტეტებისა და ტექნოპარკების ბაზაზე (ტრენინგები ჩატარდა ასევე რეგიონებშიც (ოზურგეთი, ზუგდიდი, გორი, ხაშური, მცხეთა, ქსანი და სამტრედია)).
- საგრანტო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა 175 საგრანტო განცხადება, საიდანაც დაფინანსდა 84 საგრანტო პროექტი (5 000 ლარამდე). მათ შორის 48 პროექტი დაფინანსდა პროტოტიპირების ხელშეწყობის სხვადასხვა მიმართულებით: „სოფლის მეურნეობის ნარჩენებისგან გლუკოზის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგია“; „კიბოს ავთვისებიანი სიმსივნის ადრეული დიაგნოსტიკა სისხლის პლაზმის შრატის დსმ კვლევის საფუძველზე“; „Pawwwn-ონლაინ პლატფორმა“; „Educare Global ვებ-დეველოპმენტი“; მობილურის აპლიკაცია „უკვე“; მობილურის აპლიკაცია „Tbilisi 360“. გარდა ამისა, შეიქმნა მოწყობილობის პროტოტიპი „ანტიბრაკონიერი", რომელიც საქართველოს გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაეხმარება ბრაკიონიერობაზე ზედამხედველობის განხორციელებაში;

- ✓ დაფინანსდა ინოვაციების ხელშემწყობის 12 პროექტი, რომლებიც მოიცავენ 14 ღონისძიების ორგანიზებას თბილისსა და რეგიონებში („სოციალური ინოვაციების ჰაკათონი-უსაფრთხო ქალაქი"; „ედუჰაკი"; „Google I/O Extended 2016"; „Seedstarstbilisi 2016"; „ATSUHACK"; „F-creathon"; „კრეათონი - სამაგიდო თამაშიდან ბიზნესამდე"; „საახალწლო თემატიკაზე არქიტექტურული ინსტალაციების მეიქათონი" ქ. ზუგდიდში; „Junkthon" კავკასიის უნივერსიტეტში; გამოფენა-გაყიდვა ,,FabShop"; საპრეზენტაციო კუთხე ინვესტორებთან შეხვედრის ღონისძიებისათვის „IMMARU CONCEPT" (ინოვაციური განათება; იდეების კრეათონი თელავში, ქუთაისში და ახალციხეში));
- ✓ სამოგზაურო გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 20 ბენეფიციარი, რომლებმაც აიმაღლეს კვალიფიკაცია ხვადასხვა სახის საერთაშორისო კონფერენციებზე, მიიღეს მონაწილეობა კონკურსებსა და შეჯიბრებებში;
- ✓ სტარტაპ საქართველო პროგრამის მაღალტექნოლოგიური კომპონენტის ფარგლებში მიღებული 150 განაცხადიდან, კონკურსის წესით შეირჩა და დაფინანსდა 100 000 ლარის ოდენობით 20 სტარტაპი
- ✓ დაფინანსდა ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიების ორგანიზებისთვის 12 პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 14 ღონისძიების განხორციელებას თბილისსა და რეგიონებში. ჩატარდა ჰაკათონის (Hackathons), კრეათონის/მეიქათონის (Makeathons) და სხვა ტიპის 12 ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო საერთო ჯამში 500-მდე ადამიანმა

- საქართველოში პირველ ტექნოლოგიურ პარკში მიმდინარეობდა/გაიმართა შემდეგი ღონისძიებები:
  - ✓ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის ტექნოპარკში გაიმართა ტრენინგები (კვირაში ორჯერ) სხვადასხვა მიმართულებებით, მათ შორის: „ლეგო რობოტიკის" ვორქშოფი, „3D დიზაინის“ ტრენინგი, „Code.org"-ის ვორქშოფი, „Arduino"-ს შემსწავლელი 2 დღიანი ვორქშოფი, „Little Bits"-ის ელექტრონული კონსტრუქტორის ვორქშოფი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის სპეციალისტების გადასამზადებელი ტრენინგი;
  - ✓ ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცეში განსათავსებლად კონკურსის გზით შეირჩა ტექნოლოგიურ და კრეატიულ ინდუსტრიებში მომუშავე 5 კომპანია. გარდა ამისა, ტექნოპარკის საერთო სამუშაო სივრცეს და მის ფარგლებში არსებულ ე.წ. შოურუმებს წლის განმავლობაში იყენებდა 25-მდე სტარტაპი;
  - ✓ „ბიზნეს-ინკუბატორის" პროექტის ფარგლებში ინოვაციური ბიზნესიდეის მქონე 19-მა გუნდმა გაიარა ინკუბაციის პროგრამა, შემდგომში გლობალურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტისა და კომპანიების შექმნის მიზნით;
  - ✓ სააგენტოს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა მენტორთა ქსელი, სადაც 100-მდე პროფესიონალი საკუთარ გამოცდილებას უზიარებს ინოვაციების სფეროში მომუშავე სტარტაპ კომპანიებს. შეიქმნა ქსელის ონლაინ პორტალი, რომელიც განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნულის მეშვეობით განხორციელდა 30-მდე სტარტაპის დაკავშირება შესაბამის მენტორებთან. მენტორთა ქსელისა და ტექნოპარკის სხვა წევრების ერთიანი საზოგადოების ჩამოყალიბების/განვითარების მიზნით, მენტორთა ქსელის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ ტექნოპარკში გამართულ ღონისძიებებში .
  - ✓ ტექნოპარკმა უმასპინძლა სხვადასხვა თემატიკის 300-ზე მეტ ღონისძიებას, მათ შორის მეწარმეობის ხელშეწყობის, შემეცნებით და ბიზნეს ფორუმებს, სადაც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 15 000-მა ადამიანმა.
- ა(ა)იპ - ოუფენ ნეტის მიერ მიმდინარეობდა საქართველოში ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები.

5.2 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

- საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების ტექნიკური დახმარებით, შემუშავდა და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა „საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი შესრულების სტრატეგია“, რომლის მიზანია გადასახადის გადამხდელების მიმართ კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვის გზით გადასახადის გადამხდელთა კანონმორჩილების წახალისება და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა;
- აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების სამსახურის ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ იქნა და 2016 წელს დაინერგა საგადასახადო შემოწმების აქტის ახალი ფორმა, რაც საშუალებას აძლევს გადასახადის გადამხდელს შემოსავლების სამსახურის აუდიტორებთან დეტალურად გაიარონ ყველა საკითხი შემოწმების აქტის გამოშვებამდე;
- გადამხდელთა ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა ღია კარის დღეები შემდეგ რეგიონებში: რუსთავი, დმანისი, ბოლნისი, დუშეთი, ყაზბეგი, ლენტეხი, ცაგერი, თელავი, გურჯაანი, ლაგოდეხი, ყვარელი, ახმეტა, სიღნაღი, გორი, მცხეთა, ნინოწმინდა, ბორჯომი ხაშური, საჩხერე, ჭიათურა და ახალციხე.
- შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ გვერდზე შეიქმნა 2 ახალი განცხადება აქციზური მარკების გამცემი კერძო კომპანიის მინაცემთა ბაზაში ორგანიზაციების რეგისტრაციის და მონაცემთა ბაზებში ცვლილებების/დამატებების შესახებ;
- ქ. ბათუმში გაიმართა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საბაჟო ქვე-კომიტეტის მეორე სხდომა. სხდომის ფარგლებში მოხდა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ საქართველოს შორის“ ასოცირების შესახებ შეთანხმებით და მისი ტექნიკური ნაწილის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი სავაჭროს სივრცის შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესრულების საკითხების შეფასება: საბაჟო კანონმდებლობის დაახლოების პროცესი (დანართიXIII); „საბაჟო სფეროში თანამშრომლობის სტრატეგიული ჩარჩო-ფორმატი ევროკავშირსა და საქართველოს შორის“; უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორი; ტრანზიტის საერთო კონვენცია; რისკების მართვა; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა საზღვარზე; საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება; წარმოშობის წესები; საქართველოს პანევროპულ–ხმელთაშუაზღვის (Pan-Euro–Med-ის PEM) კონვენციასთან მიერთების პროცესი;
- ევროკავშირის შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაახლოების მიზნით მომზადდა საბაჟო კოდექსის სამუშაო ვერსია. მოცემულ ეტაპზე, მიმდინარეობს დოკუმენტის განხილვა, როგორც სახელმწიფო უწყებების დონეზე, ასევე კერძო სექტორთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან დიალოგის წარმოების პროცესში;
- საქართველოს კანონმდებლობისა და დღგ-ის ევროპული დირექტივის (2006 წლის 28 ნოემბრის საბჭოს 2006/112/EC დირექტივის (დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) საერთო სისტემის შესახებ) დაახლოვების პროცესის ფარგლებში მიმდინარეობს განხილვები დამატებული ღირებულების გადასახადის საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით. ასევე მიმდინარეობს მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად შემოსავლების სამსახურში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;

- მიმდინარეობს მუშაობა „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 12 ივნისის №608/2013/EUOFE რეგულაცია;
- საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) დახმარებით განხორციელდა საბაჟო რისკების მოდერნიზაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც კომპანია „KGH group“-ის ექსპერტების დახმარებით, ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პრაქტიკაზე დაყრდნობითა და საერთაშორისოდ აღიარებული და აპრობირებული საბაჟო რისკების მართვის პრინციპების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა საბაჟო რისკების მართვის განხორციელების წესი;
- წარმატებით იქნა გავლილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გლობალ ფორუმის მეორე ფაზა, რის შედეგადაც საქართველომ მიიღო შეფასება „მეტწილად შესაბამისი“. ამასთან, აღიარებულ იქნა, რომ საქართველოში საგადასახადო მიზნებისთვის ინფორმაციის გაცვლის კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას;
- ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ინტეგრირებული საზღვრის მართვის საპილოტე პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტს „სადახლო“-ს სატვირთო მანქანების შემოწმებისათვის განკუთვნილი სკანერი გადაეცა. 1.5 მილიონი დოლარის ღირებულების სკანერის შეძენა-გადმოცემის პროექტი განხორციელდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივის ფარგლებში, რომლის მიზანია საზღვრის ერთიანი მართვის პრინციპების დანერგვა სამხრეთ კავკასიაში.

5.3 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

- თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდა ფისკალური სექტორის მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტი 2016-2020 წლებისთვის, რომელიც დაერთო „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს და მოიცავს მაკროეკონომიკური რისკების ანალიზს, ასევე ფისკალური რისკებისათვის მნიშვნელოვან სახელმწიფო საწარმოთა ანალიზს;
- შემუშავდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დამტკიცდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა;
- მომზადდა და კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარედგინა საქართველოს 2015 წლის წლიური, 2016 წლის 3,6 და 9 თვის შესრულების ანგარიშები; 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის დოკუმენტი დანართის სახით დაემატა საქართველოს 2016 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს. აღნიშნული გააუმჯობესებს ღია ბიუჯეტის კვლევის შედეგად ქვეყნის ინდექსის მაჩვენებელს;
- საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარედგინა 2016-2019 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი;
- საქართველოს მთავრობას წარედგინა ინფორმაცია 2017-2020 წლების ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ;

- განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ მოგების გადასახადის რეფორმის განხორციელების, საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის სრულყოფის და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდგომი დაახლოების მიზნით;
- 2016 წლის თებერვალში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში გლობალური ფორუმის მიერ დამტკიცებული იქნა საქართველოს შეფასების მეორე ფაზის ანგარიში. მეორე ფაზის შედეგად, აღიარებულ იქნა, რომ გამჭვირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის სფეროში საქართველოში არსებული პრაქტიკა უმეტესწილად შეესაბამება (largely compliant) საერთაშორისო სტანდარტებს;
- „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში წარედგინა მთავრობას მიმდინარე წლის 30 მარტს. წლიურ ანგარიშთან ერთად გაგზავნილ იქნა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ასევე მომზადდა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 სექტემბრის N1823 განკარგულებით დამტკიცდა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა“;
- საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროექტის ფარგლებში პროგრამული ბიუჯეტირებისა და სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების ხელშეწყობის კუთხით. მიმდინარე წლის აპრილის თვიდან ინტენსიურად გაიმართა შეხვედრები სამინისტროებთან, განხილულ იქნა მათ მიერ მომზადებული 2017-2020 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და პროგრამული ბიუჯეტის მომზადებასთან დაკავშირებული სირთულეები და არსებული გამოწვევები; 2016 წლის 17 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა სამინისტროების 2017-2020 წლების პროგრამული ბიუჯეტის განსახილველად. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტები, რომლებიც დახმარებას უწევდნენ სამინისტროებს პროგრამული ბიუჯეტის დახვეწაში, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სხვა სამინისტროების წარმომადგენლები. განხილული იქნა არსებული გამოწვევები, გაიცა რეკომენდაციები პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი დახვეწის მიზნით, ყველა მხარის წარმომადგენლის მხრიდან მომავალში აღნიშნული პროცესის სწორი კოორდინაციისა და წარმართვისათვის;
- საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამინისტროებმა, ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით, გადაამუშავეს დეტალური საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები 2017 წლის წლიური ბიუჯეტის კანონისა და 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შესაბამისად;
- შემუშავდა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი, რომელიც ითვალისწინებს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრავს მათი მართვის წესებს და პროცედურებს, მონაწილე მხარეების როლებსა და პასუხისმგებლობებს საინვესტიციო პროექტების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის (პროექტების წინასწარი შერჩევა, პროექტის შეფასება, პროექტის შერჩევა/ბიუჯეტის შედგენა, პროექტის განხორციელება, პროექტის მონიტორინგი და პროექტის შესრულების შემდგომი შეფასება). აღნიშნული გზამკვლევის საფუძველზე მომზადდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა საინვესტიციო პროექტების მართვის დეტალური მეთოდოლოგია და გახდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის ნაწილი;

- შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა კვიპროსთან, ლიხტენშტაინთან და სამხრეთ კორეასთან;
- გაიმართა მოლაპარაკებები და ხელი მოეწერა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას ყირგიზეთის რესპუბლიკასთან;
- შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის გაიმართა მოლაპარაკებების მეორე რაუნდი და მოხდა შეთანხმების ტექსტის პარაფირება;
- საქართველოს კანონმდებლობის 2011 წლის 21 ივნისის საბჭოს 2011/64/EU დირექტივასთან (წარმოებული თამბაქოს აქციზის გადასახადის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ) დაახლოვების მიზნით 2016 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა საგადასახადო კოდექსში ცვლილება და თამბაქოზე (ფილტრიან და უფილტრო სიგარეტზე) გაიზარდა აქციზის გადასახადის, როგორც ფიქსირებული ასევე ადვალური განაკვეთი;
- გაგრძელდა თანამშრომლობა საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან „Standard&Poor's", „Fitch" და „Moody's". Standard&Poor's და „Fitch" სარეიტინგო სააგენტოების შეუნარჩუნდა „BB-" სტაბილური რეიტინგი, ხოლო Moody's-ის მეთოდოლოგიით - „Ba3" (რაც BB- ანალოგია) პოზიტიური;
- მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან შეღავათიანი ფინანსური რესურსის მისაღებად;
- გაფორმდა 51 ხელშეკრულება, მათ შორის: 17 სასესხო, 5 საგრანტო, 4 ქვესასესხო და 25 სხვა სახის;
- ჩატარდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 41 აუქციონი;
- საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, დარიცხვის მეთოდის შესაბამისი სტანდარტების (IPSAS 13, IPSAS 19, IPSAS 22-24) მოთხოვნების გათვალისწინებით აღრიცხვა - ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შეტანილ იქნა ცვლილებები. გარდა ამისა, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა IPSAS დეტალური სამოქმედო გეგმა (2017-2020), რითიც განისაზღვრა თითოეული სტანდარტის დანერგვის პერიოდულობა წლების მიხედვით. ამავე პროექტის ფარგლებში, IPSAS სტანდარტებში ჩატარდა ტრენინგები როგორც მხარჯავი დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის, ასევე, სახაზინო სამსახურის ანგარიშგების და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის. მიმდინარეობს 2017 წლიდან დასანერგი სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36 და IPSAS 37) შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით;
- შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ფარგლებში დამტკიცდა შიდა აუდიტის მეთოდოლოგია და სისტემური აუდიტის სახელმძღვანელო, ჩატარდა 8 ეფექტიანობის აუდიტი, 12 სამინისტროში ჩატარებულია 2 ფინანსური ან შესაბამისობის აუდიტი, შემუშავდა შიდა აუდიტის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები;
- განხორციელდა პროფესიული ორგანიზაციის მიერ 5 აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სიტემის მონიტორინგი;
- მომზადდა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე და წლიური ბიუჯეტის კანონზე მოქალაქის გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- განახლდა საქართველოს ფისკალური პოლიტიკისა და მართვის და ევროკავშირის პრაქტიკასთან მისი თავსებადობის ანალიზის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა და განთავსდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე ქართულად და ინგლისურად;

5.4 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- eBudget ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა - დაემატა ბიუჯეტის ბალანსის ავტომატური კონტროლის მექანიზმი და შეიქმნა საკონტროლო სავალიდაციო ანგარიშგებები. ჩატარდა უფლებების ჩატვირთვის პროცედურის ოპტიმიზაცია. განხორციელდა მონაცემთა ბაზის მოდიფიცირება. ახალ ტექნოლოგიაზე (HTML, AnguladJS) გადაიწერა გადასახდელების მოდულის ფუნქციონალი. ჩატარდა ნორმატიული აქტების მოდულის ფუნქციონალის რეფორმა, რის შედეგადაც შეიქმნა ნორმატიული აქტების ცვლილებებისა და ისტორიის მართვის, ასევე, წინა წლის ნაშთების ადმინისტრირების ახალი ფუნქციონალი.
- eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა- დაემატა: მიმდინარე სამუშაო პერიოდის ვალდებულებების დაკავშირება წინა პერიოდის ვალდებულებებთან; ორგანიზაციის შექმნის თარიღის რედაქტირება და ხელშეკრულებაში CPV კოდების დამატება; მესამე პირის გადახდების განხორციელების შესაძლებლობა. ბექ-ოფისის ნაწილს დაემატა „ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების“ და „თანხის გადატანის“ ოპერაციები და საბიუჯეტო კოდების სიმრავლის ადმინისტრირების ფუნქციონალი. შესაძლებელი გახდა ერთ ჩარიცხვაზე რამდენიმე მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულების განსაზღვრა. მწვანე დერეფანს დაემატა დაფარვის წყაროების და მივლინებების გლობალური პირობები. შემოსავლების მოდულს დაემატა ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის მომსახურების ქვემოდული. შესაძლებელი გახდა შიდა ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის ექსპორტი.
- eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა - გაუმჯობესდა და დაიხვეწა სისტემის ფუნქციონალი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი. განხორციელდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან სახელფასო უწყისის ფაილის მომზადების კუთხით და სინქრონიზაცია დასწრების აღრიცხვის სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ სისტემებთან. განახლდა შვებულების მართვის და სამუშაო აღწერილობის ფუნქციონალები. დაემატა სიახლეების მართვისა და სტრუქტურაში ორგანიზაციების ძიების ფუნქციონალები. განხორციელდა სისტემის რეფაქტორინგი. განახლდა კლასიფიკატორების მართვის სქემა და თანამშრომლის პირადი ბარათი. დასრულდა ლოკალიზაციის ამოცანა - სისტემა ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე.
- eDMS სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა - შემუშავდა ახალი ვერსია შემუშავება. დასრულდა და სამუშაო გარემოში განთავსდა ფასიანი ქაღალდების აუქციონების ძირითადი თანხის მომსახურების ავტომატიზაციის ფუნქციონალი, რის ფარგლებშიც მოხდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან. სტაბილიზაციის ფაზაშია გეგმიური კალენდრის ანალიტიკური მოდულის შემუშავების ამოცანა. დაემატა „ფულადი ნაკადების“, „პორტფელის დინამიკის“ და „კვარტალური კალენდრის“ ანგარიშგებები. განხორციელდა კლიენტის ნაწილის პროგრამული კოდის სრული რეფაქტორინგი. სისტემის მოძველებული (Silverlight) ტექნოლოგია შეიცვალა ახლით (AngularJS). დაემატა გეგმიური კალენდრის ანალიტიკური მოდული. განხორციელდა ინტეგრაცია eTreasury სისტემასთან. განხორციელდა სისტემის კლიენტის ნაწილის კოდის სრული რეფაქტორინგი.
- ფინანსთა სამინისტროს ICT ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა - დაინერგა ITIL სტანდარტის ცვლილებების მართვის სისტემა მაიკროსოფტის სისტემ-ცენტრის ტექნიკურ პლატფორმაზე. განხორციელდა საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) სერვერების მიგრაცია დატვირთვის ბალანსერზე, რაც, როგორც დატვირთვის ბალანსირების, ისე სისტემის გამორთვის გარეშე ახალი სერვერების დამატების შესაძლებლობას იძლევა. გაძლიერდა ინფორმაციული უსაფრთხოება ვებაპლიკაციებზე არასანქცირებული შეღწევისგან დაცვის მხრივ. შესწავლილი და აღმოფხვრილი იქნა არსებული ვებაპლიკაციების სისუსტეები და დაინერგა მათი დამცავი ფილტრი

გარე ინტერფეისებზე. განხორციელდა მონაცემთა შენახვის სისტემის მოცულობის და სიმძლავრის გაზრდა სწრაფი დისკური მასივის დამატების გზით. დაინერგა ხაზინისა და ბიუჯეტის მონაცემთა ბაზის ოპერირების ახალი ტექნოლოგია Always On, რაც საშუალებას იძლევა რეპორტების გენერაციისას ტრანზაქციული ბაზიდან მოიხსნას დატვირთვა. დაინერგა მოთხოვნებისა და ცვლილებების მართვის ახალი სისტემა.

- eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა - განხორციელდა სისტემის 5 მსხვილმასშტაბიანი განახლება. დაინერგა ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების 50-მდე მეტ ორგანიზაციაში. შემუშავდა სისტემის სრულიად ახალი ვერსია Angular ტექნოლოგიის გამოყენებით.
- eAuction ელექტრონული აუქციონი - განხორციელდა სისტემის 10-მდე ფუნქციონალის ოპტიმიზაცია. სისტემას დაემატა ახალი ვებსერვისები და ბანერები. დასრულდა ოპტიმიზაცია და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის შემდეგი კომპონენტები: პრობლემური გადახდების პრევენცია, ელექტრონული მაღაზიის, ელექტრონული ფოსტის გაგზავნის, კლონირების, ცნობარების მართვის, ანგარიშგებების მართვისა და ლოტების ადმინისტრირების ფუნქციონალები. შემუშავდა და რეალურ გარემოში განთავსდა სისტემის ექვსი ახალი ფუნქციონალი. ჩატარდა ოპტიმიზაცია. გაუმჯობესდა სისტემის ძიების ფუნქციონალი. დაემატა ანგარიშგების სხვადასხვა ფორმები და ჩატარდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ტექნიკური და პროგრამული სამუშაოები.
- ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:
    - ✓ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 49 ორგანიზაცია, 1068 მომხმარებელი;
    - ✓ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა eHRMS – 221 ორგანიზაცია, 562 მომხმარებელი, მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის 102 ორგანო, 232 მომხმარებელი;
    - ✓ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury – 197 მომხმარებელი;
    - ✓ საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა eGMC – 39 მომხმარებელი.

5.5 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- განხორციელდა: სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება; სტატისტიკური და მეთოდოლოგიური სტანდარტების შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, განხორციელება, მართვა და ადმინისტრირება; სამსახურის მართვის, სტატისტიკური კვლევების და მოსახლეობის საყოველთაო აღწერის სამუშაოების საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

5.6 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- დაიგეგმა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) და ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის, ასევე, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში და არაკომერციული ორგანიზაციების სექტორში მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზაცია, ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევა, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში, კერძო და

სახელმწიფო სექტორში, სამუშაო ძალის გამოკვლევის მოსამზადებელი სამუშაოები, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა, შინამეურნეობების შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება, სიღარიბის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სტატისტიკის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება, უცხოელ ვიზიტორთა კვლევისა და ადგილობრივი შინამეურნეობების ტურიზმის კვლევების ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და გამოქვეყნება, საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება; საწარმოებში და შინამეურნეობებში ინოვაციური აქტივობის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კვლევა.

5.7 სსიპ – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (პროგრამული კოდი 49 00)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

- მომზადდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო დოკუმენტაცია, რომლებსაც საფუძვლად დაედო საანგარიშო პერიოდამდე ჩატარებული კვლევები, მათ შორის:
  - ✓ საინვესტიციო პრეზენტაცია გონიოს ყოფილი სამხედრო პოლიგონის (315 ჰა) განვითარების კონცეფციის შესახებ, რომელიც მოიცავს საცხოვრებელი, ტურისტული, გასართობი, რეკრეაციული და კულტურული ცენტრების განვითარების პერსპექტივებს;
  - ✓ საინვესტიციო პრეზენტაცია წყალტუბოს საკურორტო ზონის განვითარების კონცეფციის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სასტუმრო, სამედიცინო და გამაჯანსაღებელი ცენტრების, საკონფერენციო და სავაჭრო ტერიტორიების მოწყობას;
  - ✓ BPO (ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი) და IT მომსახურების აუთსორსინგის საინვესტიციო შესაძლებლობების ამსახველი ახალი ბროშურა, რომელიც 2015 წლის ანგარიშისაგან განსხვავებით მოიცავს განახლებულ და უფრო დეტალურ ინფორმაციას საქართველოში არსებული კომპანიების საქმიანობისა და საქართველოს პოტენციალის შესახებ;
- დასრულდა საქართველოს ექსპორტის ანალიზი, რომელშიც განხილულია საქართველოს ექსპორტის ტენდენციები და საქართველოში ყველაზე მასშტაბურად ექსპორტირებადი პროდუქტების დახმარებით დამატებითი წარმოების ჯაჭვის შექმნის გზები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ პროდუქტებზე: თხილი, სუნელები, თევზი, ცხოველების საკვები, ფეროსილიკომანგანუმი, ძვირფასი ლითონები და სხვა;
- ჩატარდა სხვადასხვა სახის კვლევები, მომზადდა პრეზენტაციები და სხვა სახის საინფორმაციო დოკუმენტაცია, მათ შორის:
  - ✓ მომზადდა კვლევა სპა და გამაჯანსაღებელი კურორტების მსოფლიო ბაზრისა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების ტენდენციების შესახებ. აღნიშნული ტიპის მომსახურებებზე მზარდი მოთხოვნის გამო, ჩატარდა კვლევა სამკურნალო-ბალნეოლოგიური დანიშნულების მქონე, არალიცენზირებული თერმული წყლებისა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კურორტების შესახებ. საინვესტიციო პოტენციალისა და განვითარების პერსპექტივის შეფასებისა და კურორტებზე არსებული ვითარების შესწავლის მიზნით გაიმართა შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან;
  - ✓ პრეზენტაცია ვანის რაიონის სოფლების (ამაღლება და სულორში) სპა და ველნეს (Wellness) საინვესტიციო პოტენციალის შესახებ (უნიკალური სამკურნალო და თერმული წყლები), რომელიც წარედგინა პოტენციურ ინვესტორებს და საქართველოში არსებულ ტურ-ოპერატორებს;

- ✓ პრეზენტაცია პოტენციური ინვესტორებისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების შესახებ;
- ✓ ანგარიში საქართველოში ფარმაცევტული სექტორის საინვესტიციო პოტენციალთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ვაჭრობის, წარმოების, ძირითადი კომპანიებისა და სექტორის სხვა მახასიათებლების შესახებ;
- ✓ პრეზენტაციები აზოტოვანი სასუქების, საღებავებისა და პიგმენტების საქართველოში წარმოების საინვესტიციო პოტენციალის შესახებ;
- ✓ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის იმპორტის ანალიზი და მის საფუძველზე, პრეზენტაცია საინვესტიციოდ საინტერესო მიმართულებების შესახებ;
- ✓ ფეხსაცმელების წარმოების სექტორის მსოფლიო ბაზრის ანალიზი და საინვესტიციო პრეზენტაცია საქართველოში ფეხსაცმელების წარმოების შესახებ;
- ✓ პრეზენტაცია საქართველოში სამშენებლო მიმართულებით განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებზე, რომლის წარდგენა მოხდა „ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიასა“ და „დოკას“ ორგანიზებით გამართულ კონფერენციაზე „თანამედროვე გადაწყვეტილებები სამოქალაქო საინჟინრო და ბინათმშენებლობაში“;
- ✓ მოკლე პრეზენტაცია საქართველოში გატარებული და დაგეგმილი რეფორმების შესახებ, რომელიც მოიცავს მიმოხილვას საგადასახადო, საბაჟო, ნებართვებისა და ლიცენზიების კანონმდებლობაში გატარებული/დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და ასევე, ინფორმაციას მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს მდგომარეობის შესახებ;
- ✓ საქართველოში პრივატიზების პროცედურების გზამკვლევი, რომელიც დაინტერესებულ ინვესტორებს გააცნობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენის/ინვესტირების შესაძლებლობებს;

- შემუშავდა ახალი სამიზნე სექტორების (BPO (Business Process Outsourcing), IT მომსახურების აუთსორსინგი, სპორტული ტურიზმი (ე.წ. Professional training camps), ფარმაცევტული წარმოება და კლინიკური კვლევების აუთსორსინგი NCDC-ის (National Center for Disease Control and Public Health) ბაზაში, სპა კურორტები და სამედიცინო ტურიზმი) განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით/ჩართულობით გაიმართა 25-მდე საერთაშორისო ბიზნეს-ფორუმი (მათ შორის როუდ შოუ ამერიკის შეერთებულ შტატებში (ჩიკაგო, ბოსტონი, ნიუ-იორკი) და საინვესტიციო ფორუმი „Georgia Investor Day“ დიდ ბრიტანეთში (ქ. ლონდონი)) და მოეწყო პრეზენტაციები საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და შესაძლებლობების შესახებ, მათ შორის: ქ. ვენაში საქართველო-ავსტრიის ბიზნეს ფორუმზე, ქ. ტალინში, ქ. ბუდაპეშტსა და ქ. რიგაში გამართულ ბიზნეს-ფორუმებზე, ქ. ბრიუსელში გამართულ ბიზნეს კონფერენციაზე „Belgium-Georgia Partnerships: A promising Match", ქ. ბერლინში გამართულ საქართველო–გერმანიის ბიზნეს ფორუმზე „Trade and Business with Georgia” (მონაწილეობდა 100–ზე მეტი გერმანული და 30–ზე მეტი ქართული კომპანიის სხვადასხვა სექტორების (სატრანსპორტო გადაზიდვები და ლოგისტიკა, მშენებლობა, ტელეკომუნიკაციები, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, წარმოება, იურიდიული, ფინანსური და საბანკო მომსახურეობა) წარმომადგენელი, ქ. სტამბულში ჩატარებულ ბიზნეს ფორუმზე JETRO (Japan External Trade Organization) და სხვა;
- საქართველოს ეროვნულმა საინვესტიციო სააგენტომ გამართა შეხვედრები უცხოელ პოტენციურ ინვესტორებთან, გაუწია მათ კონსულტაციები მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით (სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება, საკანონმდებლო და საგადასახადო საკითხები) და აგრეთვე, გაუწია შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და კერძო ორგანიზაციებთან შესაბამისი ქონების/მიწის/პროექტის/ლიცენზიის/ნებართვის შესარჩევად/მისაღებად და სხვა;
- მომზადდა და გაეშვა ახალი ვებ-გვერდი www.georesearch.ge, სადაც განთავსდა საქართველოს შესახებ სოციალურ-ეკონომიკური და საინვესტიციო საკითხებზე არსებული კვლევები;

- ჟურნალ „The Financial”-ისთვის მომზადდა მასალა სტატიისათვის „Citizenship by Investment - Why Not in Georgia”, სადაც საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ბაზას, ვიზების, საცხოვრებელი ნებართვისა და მოქალაქეობის გაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- CRM-ის (Customers Relations Management) დანერგვის მიზნით დაიწყო კომპანიებისა და მათი პროგრამების შერჩევა. მიმდინარეობდა მოლაპარაკებები კომპანიებთან („Microsoft Dynamics CRM“, „Sugar CRM“, „ACT!“, „Salesforce“ და „Alcium Software“) და გაკეთდა მათი საცდელი ვერსიების ანალიზი.

5.8 სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (პროგრამული კოდი 56 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სავარაუდო შემთხვევებზე სამსახურში შემოსული ინფორმაციის ანალიზისა და სამსახურის მიერ მოძიებული სხვა ინფორმაციის დამუშავების შედეგად 118 საქმე გადაეცა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;
- კანონმდებლობის მოთხოვნების განმარტების მიზნით, გაიმართა ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე, ნოტარიუსებისა და აუდიტორებისათვის;
- მონიტორინგის განმახორციელებელი ცალკეული პირებისათვის შემუშავდა შესაბამისი სახელმძღვანელო-მეთოდოლოგიური მითითებები, სამსახურის მიერ მომზადდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტები;
- საქართველოში მოქმედი ფინანსური სექტორის წარმომადგენლებისთვის ტერორიზმის დაფინანსების გამოვლენის საკითხებზე მომზადდა სახელმძღვანელო;
- ყაზახეთის, მონტენეგროს და მონაკოს შესაბამის სამსახურებთან გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი;
- ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის ეგიდით მონაწილეობა იქნა მიღებული სლოვენიის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ეროვნული სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის შემოწმების მისიაში.

5.9 სსიპ - კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კონკურენციის სააგენტო

- სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი (დასრულდა 1);
- შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაცემულ იქნა 25 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ;
- მიმდინარეობდა შეტყობინებების განხილვები მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე, განცხადებების განხილვა განხორციელებული კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარების თაობაზე;

- მონაწილეობა იქნა მიღებული 12 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 4 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;
- კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა 8 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით;
- სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 15 ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რის შედეგადაც გადამზადდა 30-მდე თანამშრომელი.

5.10 საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 52 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა

- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით ჩატარდა 29 ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ (მათ შორის: ესტონეთი, ბელარუსი, უნგრეთი, ლატვია, ავსტრია, კატარი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 100-ზე მეტმა კომპანიამ. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ბიზნეს-სუბიექტებს შორის კავშირების დამყარების მიზნით;
- გაიმართა რეგიონალური შეხვედრები ქვეყნის მასშტაბით (9 რეგიონში), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 450 მცირე და საშუალო რეგიონული ბიზნესის წარმომადგენელმა;
- შეიქმნა პალატის ახალი ვებ პორტალი, შემუშავდა პალატის ელექტრონული სერვისები და განხორციელდა მათი უმეტესი ნაწილის დანერგვა;
- საქართველოში მოეწყო ჩინეთის საექსპორტო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ბელარუსის ნაციონალური გამოფენა-გაყიდვა.

5.11 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

- CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში დასრულდა სააგენტოს შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები, ხოლო მე-II ეტაპის ფარგლებში სრულად განახლდა ლაბორატორიების ეტალონური ბაზა (გეომეტრიული გაზომვები; წნევა და ძალა; ტემპერატურა და ტენიანობის გაზომვები; დიდი მასები და მცირე მოცულობები; რადიოფიზიკა, დრო და სიხშირე, ოპტიკა და აკუსტიკა; ფიზიკო-ქიმიური გაზომვები; ვიბრაცია, ნივთიერებათა ხარჯი, რადიაციული გაზომვები);
- საქართველოში წარმოებული პროდუქტის შიდა და ევროპულ ბაზარზე განთავსების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ,,საქართველოს სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“ ფარგლებში ქართველი მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში (თელავი, ფოთი, ახალციხე, ქუთაისი, ბოლნისი) ჩატარდა სემინარები სტანდარტებისა და მეტროლოგიის შესახებ, სადაც პრეზენტაციები გამართეს შესაბამისი სფეროების ევროპელმა ექსპერტებმა და სააგენტოს წარმომადგენლებმა;

- ტექნიკური დახმარების პროექტის „სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ინფრასტრუქტურის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“ ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლების ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობდა ინგლისური ენის შესწავლის კურსები;
- სააგენტოში პერმანენტულად ხორციელდებოდა ეტალონური ბაზის შენახვისათვის აუცილებელი სამუშაოები;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტში დანერგილი ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO/IEC 17025 მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდა ყოველწლიური ანალიზი;
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ქ.პარიზი გამართულ CIPM MRA ურთიერთაღიარების შეთანხმების გადახედვის პროცესთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. გარდა ამისა, სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტებმა მონაწილეობა მიიღეს ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩატარებულ სემინარშებში („ევროკავშირის კანონმდებლობის მიმოხილვა საკანონმდებლო მეტროლოგიის სფეროში“; „გაზომვის საშუალებების დირექტივა (MID)“ და „არაავტომატური საწონი საშუალებები (NAWI)“) და ISO/IEC 17025 - სტანდარტის ახალი ვერსიის პროექტის მიმოხილვაში;
- სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული გაზომვების განყოფილების წარმომადგენელმა, ტექნიკური ექსპერტის სტატუსით, მონაწილეობა მიიღო მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაციის COOMET–ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო შეფასებაში (უკრაინის მეტროლოგიის ინსტიტუტის „უკრმეტრტესტსტანდარტი“–ს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის შემოწმება);
- საქართველოში ჩატარდა მეტროლოგიის რეგიონალური ორგანიზაცია COOMET -ის ხარისხის ტექნიკური კომიტეტის სხდომა და ხარისხის ფორუმი. აღნიშნული ტექნიკური კომიტეტის საქმიანობა მნიშვნელოვანია COOMET-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ინსტიტუტების საერთაშორისო აღიარებისათვის;
- ქართველმა ექსპერტებმა, მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუციების ევრო–აზიური თანამშრომლობის (COOMET)-ის წევრი ქვეყნების მეტროლოგიის ინსტიტუტის ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს საქართველოში გამართულ COOMET-ის ტექნიკური კომიტეტის „ელექტრობა და მაგნიტიზმი“ TC 1.3 სხდომაში, ხოლო სააგენტოს მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების და რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილებების სპეციალისტებმა - ტექნიკური კომიტეტის „მასა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების“ TC 1.6 შეხვედრაში;
- სააგენტომ აღიარებულ სფეროებში მომსახურება გაუწია სომხეთის რესპუბლიკის აკრედიტებულ კერძო საგამოცდო ლაბორატორიას, საწონებისა და თერმომეტრების დაკალიბრების და აღიარებული დაკალიბრების სერტიფიკატების მიღების მიზნით;
- ევროპული ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, ევროპელი ექსპერტის მიერ, სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა ტრენინგის პირველი ეტაპი;
- მიმდინარეობდა სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონური განყოფილების აღჭურვა (შეძენილ იქნა მეტროჭოკებისა და მზომი ლენტებს მაკალიბრებელი/სამოწმებელი აღჭურვილობა და დასრულდა პროცედურები ნიველირებისა და თეოდოლიტების მაკალირებელი აღჭურვილობის შეძენისათვის). რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონური განყოფილებისათვის შეძენილ იქნა რადარების/სიჩქარმზომების საკალიბრებელი მოწყობილობა, ხოლო მეტროლოგიის ინსტიტუტის მექანიკის ეტალონურ განყოფილებაში ჩატარდა სამრეწველო მრიცხველების დასაკალიბრებელი სტენდის მოდერნიზაციის სამუშაოები;
- სააგენტოს რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის ეტალონურმა განყოფილებამ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად მოახდინა სალარო საკონტროლო აპარატების გამოცდები და მოამზადა შესაბამისი დასკვნები;
- სააგენტოს მაიონიზებელი მეტროლოგიის განყოფილების მიერ დაკალიბრდა 74 ხელსაწყო და რადიაციული კვლევა ჩაუტარდა 60 წარმოდგენილ ნიმუშს;

- სააგენტოს რადიაციული მეტროლოგიის ეტალონურმა განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო ტექნიკური რეგლამენტის „სამედიცინო დასხივების სფეროში რადიაციული უსაფრთხოების მოთხოვნები“ განხილვასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებაში;
- COOMET-ის პროექტის „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებების“ (N624/GE/-a13) ფარგლებში გაგრძელდა გაზომვითი სამუშაოები, სადაც GEOSTM-ის ელექტრობის ეტალონური განყოფილება ასრულებდა წამყვანის (პილოტის) როლს, ხოლო „პლატინის წინაღობის თერმომეტრების შედარება (-40÷420)ºC–ის დიაპაზონში“ (642/MD/14) პროექტის ფარგლებში სააგენტოს ტემპერატურული გაზომვების ლაბორატორია მონაწილეობდა საერთაშრისო შედარებებში;
- სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების ეტალონურმა განყოფილებამ ორგანიზება გაუწია საქართველოს ფარგლებში ლაბორატორიათაშორისი შედარებების ჩატარებას გეომეტრიული გაზომვების სფეროში შტანგენფარგლის მაგალითზე. სამ მონაწილე აკრედიტირებულ ლაბორატორიებს შორის პილოტი ლაბორატორიის ფუნქციას ასრულებდა სააგენტოს გეომეტრიული გაზომვების განყოფილება;
- დარეგისტრირდა დაკანონებული გაზომვის საშუალების 8 ტიპი, განხორციელდა 149 704 ერთეული გამზომი საშუალების პირველადი დამოწმების აღიარება (მათ შორის: ელექტრომრიცხველები - 327 ცალი, გაზის მრიცხველები - 104 402 ცალი, წყლის მრიცხველები - 44 975 ცალი);
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO/TBT) „ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შესახებ შეთანხმების“ მე-3 დანართის („სტანდარტების მომზადების, მიღებისა და გამოყენების კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი“) შესაბამისად სააგენტოში დამტკიცებული სტანდარტების პროგრამის მიხედვით საქართველოს სტანდარტად დარეგისტრირდდა 100 საერთაშორისო/რეგიონალური სტანდარტი;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების რეკომენდაციის საფუძველზე 2016 წელს საქართველოს სტანდარტად სულ მიღებულ იქნა 26 საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვანი ვერსიები, შემდეგ სფეროებში: „ელექტროტექნიკა“ (ტკ 1) – 1 სტანდარტი; „ხარისხის მენეჯმენტი და შესაბამისობის შეფასება“ (ტკ 2) - 3 სტანდარტი; „სასურსათო პროდუქცია“ (ტკ 3) - 13 სტანდარტი; „ტურიზმი“ (ტკ 4) - 4 სტანდარტი; „მშენებლობა და მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტები“ (ტკ 5)- 4 სტანდარტი; „ბუნებრივი გაზი“ (ტკ 6)- 1 სტანდარტი.
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სამდივნოში გაიგზავნა 6 ნოტიფიკაცია საქართველოში მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესახებ, ხოლო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მიეწოდათ საქართველოს მიერ ნოტიფიცირებული ტექნიკური რეგლამენტის, სტანდარტებისა და შესებამისობის შეფასების პროცედურების 33 სრული ტექსტი. აგრეთვე საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში, მათი კომპეტენციის შესაბამისად, ინფორმაციისათვის დაიგზავნა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და შესაბამისობის შეფასების პროცედურების პროექტების შესახებ 473 ნოტიფიკაცია;
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირდა სულ 2 196 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 409; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 1 498; სსტ ეტსი ენ (ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის სტანდარტი) - 42; სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტრო-ტექნიკური კომისიის სტანდარტი) – 247;
- სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 342 სტანდარტი, მათ შორის: სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) – 192; გოსტ (სახელმწიფოთაშორისი სტანდარტი)- 27; სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 54; სსტ (საქართველოს სტანდარტი) - 26; სსტ იეკ (საერთაშორისო ელექტრო-ტექნიკური კომისიის სტანდარტი) - 7 და სტანდარტიზაციის სხვა დოკუმენტები - 36.

5.12 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების დამუშავება და მათი გეომონაცემთა ბაზასთან მიბმა. აღწერის საბოლოო შედეგების სტრუქტურიზაცია და გამოქვეყნება. 2014 წლის სასოფლო სამეურნეო აღწერის შედეგების დამუშავება, საბოლოო შედეგების სტრუქტურიზაცია.

5.13 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს მიერ, აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა შესაბამისად, აკრედიტებულ იქნა 49 შესაბამისობის შემფასებელი პირი, მათ შორის: პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 3; ინსპექტირების ორგანო - 23 (სამშენებლო სფეროს ინპექტირების ორგანო - 13; ინპექტირების ორგანო - 4; მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირების ორგანო - 3; C ტიპის ინსპექტირების ორგანო 1; ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ინსპექტირების ორგანო - 2); საგამოცდო ლაბორატორია - 17; დაკალიბრების ლაბორატორია - 2; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 4;
- აკრედიტაციის სისტემის მოთხოვნათა დარღვევის გამო, აკრედიტაცია შეუჩერდა 1 შესაბამისობის შემფასებელ პირს, ხოლო 3 შესაბამისობის შემფასებელ პირს შეუმცირდა აკრედიტაციის სფერო;
- გეგმური მონიტორინგი გაიარა 106-მა აკრედიტირებულმა შესაბამისობის შემფასებელმა პირმა, მათ შორის: საკალიბრებელი ლაბორატორია - 5; ინსპექტირების ორგანო - 17; საგამოცდო ლაბორატორია - 73; პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანო - 5; პერსონალის სერტიფიკაციის ორგანო - 2; სამედიცინო ლაბორატორია - 4;
- EA (European Accreditation)-ს მოთხოვნების შესაბამისად აკრედიტაციის ცენტრმა დაასრულა სტანდარტების განახლებული ვერსიების (სსტ ისო/იეკ 17020 (ინსპექტირების ორგანოები); სსტ ისო/იეკ 17021 (აუდიტის და მენეჯმენტის სერტიფიკაციის ორგანოები); სსტ ისო/იეკ 17024 (პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოები); სსტ ისო/იეკ 15189 (სამედიცინო ლაბორატორიები) და სსტ ისო/იეკ 17065 (პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოები)) იმპლემენტაცია აკრედიტაციის სქემებში, რამაც განაპირობა შეფასების საქმიანობის სრულად განხორციელება აკრედიტაციის საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად;
- განხორციელდა მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტების (მათ შორის: ლიფტების, ამწე მოწყობილობების, ესკალატორების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლუატაციის, ატრაქციონების უსაფრთხოების, წნევაზე მომუშავე მარტივი ჭურჭლების) ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაცია საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად;
- დაიწყო ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაცია „ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე აირბალონიანი მოწყობილობის განთავსების, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შეფასების და უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად;
- ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური გაძლიერების (CIB) პროგრამის ფარგლებში, აკრედიტაციის ცენტრში მიმდინარე ევროკავშირის პროექტის „აკრედიტაციის სისტემის განვითარების შემდგომი მხარდაჭერა ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკასთან თანხვედრისათვის“ შესაბამისად განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ✓ აკრედიტაციის ცენტრის მოწვეული ტექნიკური შემფასებლებისათვის და დაინტერესებული მხარეებისათვის გაიმართა ტრეინინგები ახალი/განახლებული სერთაშორისო სტანდარტების (ისო/იეკ 17020; სსტ ისო 15189; ისო/იეკ 17021; ისო 22003 და EU რეგულაცია N882:2004-ის) შესაბამისად, ხოლო საბაჟოსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებისათვის - ტრენინგი კვების პროდუქტებში ნიმუშის აღების სფეროში;
- ✓ ევროკავშირის ექსპერტების მიერ განხორციელდა აკრედიტაციის სქემების შეფასება სსტ ისო 15189, სსტ ისო/იეკ 17021, სსტ ისო/იეკ 17065 და ისო/იეკ 17024 აკრედიტაციის საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობაზე;
- ✓ აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, უცხოელმა ექსპერტებმა წამყვანი შემფასებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების შეფასების სამუშაოებში;

- EA-ს მხრიდან განხორციელდა აკრედიტაციის ცენტრის კოლეგიალური შეფასება (peer-evaluation). EA-ს შემფასებლებმა მიიღეს რეკომენდაცია აკრედიტაციის ეროვნული ორგანოსათვის EA-ს (BLA) ორმხრივი ხელშეკრულების ხელმომწერის უფლების მინიჭების თაობაზე აკრედიტაციის შემდეგი სქემების მიხედვით: სსტ ისო/იეკ 17025 (საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიები); სსტ ისო/იეკ 17020 (ინსპექტირების ორგანოები); სსტ ისო/იეკ 17021 (მენეჯმენტის სისტემის აუდიტის და სერტიფიკაციის ორგანოები) და სსტ ისო/იეკ 17065 (პროდუქტის სერტიფიკაციის ორგანოები);
- საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებისა და აკრედიტაციის ცენტრის EA-ში (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) წევრობის სტატუსის თანახმად, აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ EA-ს ყოველწლიური ლაბორატორიული, ინსპექტირების სერტიფიკაციის და მრავლმხრივი შეთანხმების ტექნიკური კომიტეტების მუშაობაში.

5.14 ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) (24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

- პროექტის ფარგლებში, რომლის მიზანია ფიზიკური პირების და მეწარმეების ხელშეწყობა მათ მიერ ინოვაციური საქმიანობის განხორციელებაში და შედეგად ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების ფორმირება, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ 2016 წლის მაისში კონკურსის წესით შეირჩა პროექტის განმახორციელებელი ძირითადი გუნდი და დაიწყო პროექტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანების შესრულება, კერძოდ:
  - ✓ შემუშავდა პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტი;
  - ✓ დაინერგა მსოფლიო ბანკის მიერ მოთხოვნილი საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა;
  - ✓ GENIE პროექტის ფარგლებში პილოტურ ეტაპზე განხორციელდა მეთოდოლოგიის შემუშავება ინოვაციების ცენტრების ადგილმდებარეობის შერჩევის მიზნით. რეგიონებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე შეირჩა ინოვაციების ცენტრების და რეგიონალური ჰაბების ადგილმდებარეობა. დასრულდა არქიტექტურულ-საპროექტო სტანდარტების შემუშავება ინოვაციების ცენტრებისთვის/ჰაბებისთვის.

6. ინსტიტუციური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

6.2 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები სულ 3 702 უბანზე ჩატარდა. არჩევნების დღის პროცედურები განხორციელდა: საქართველოში - პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით 73 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის 3 634 და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ 11 საარჩევნო უბანზე, ხოლო საზღვარგარეთ - პროპორციული საარჩევნო სისტემით 43 სახელმწიფოში შექმნილ 57 საარჩევნო უბანზე, მ.შ. ავღანეთში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეებისთვის შექმნილ 2 საარჩევნო უბანზე;
- შეიქმნა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი საარჩევნო ოლქების (მათ შორის მაჟორიტარული) ინტერაქტიული რუკა, კერძოდ: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის და რეგიონების რუკები, სადაც აღნიშნულია საოლქო საარჩევნო კომისიის საზღვრები, დასახლებული პუნქტები, გზები, ქუჩები, შენობის კონტურები და ნომრები, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესების სწორად დაგეგმვას;
- განახლებული საინფორმაციო/საიმიჯო კამპანიის საფუძველზე შეიქმნა და განთავსდა: 10 სატელევიზიო და რადიო რგოლი – 13 ცენტრალურ და 25 რეგიონულ ტელევიზიაში, 14 ცენტრალურ და 11 რეგიონულ რადიოში; სარეკლამო ბანერები - 30 ცენტრალურ და 20 რეგიონულ საინფორმაციო სააგენტოს ვებგვერდზე; ბეჭდური მედია – საინფორმაციო/საიმიჯო მასალები - 9 ცენტრალურ და 24 რეგიონულ გაზეთში; 37 გარე ბანერი. საინფორმაციო ვიდეორგოლები უზრუნველყოფილი იყო სურდოთარგმანით (ჟესტური ენა), ასევე ყველა საარჩევნო მასალები ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე;
- ჩატარდა წინასაარჩევნო მოსამზადებელი სამუშაოები: ნაწილობრივ განახლდა საარჩევნო ყუთები, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის შეძენილ იქნა უნიფორმები, დამზადდა საარჩევნო უბნების აბრები, დაიბეჭდა ამომრჩევლის საინფორმაციო სტიკერი, კენჭისყრის დღისთვის შეძენილ იქნა საარჩევნო უბნებისთვის კარტრიჯები, მარკირების სითხე, საიდენტიფიკაციო ბეჯები, საბეჭდი ქაღალდი ოლქებისთვის, ბიულეტენისთვის ოფსეტური ქაღალდი და სპეციალური კონვერტები, დეტექტორები, ელემენტები, საარჩევნო სახაზავი რეგისტრატორებისთვის და სხვა. დაიბეჭდა განახლებული საარჩევნო კოდექსი ორ ენაზე, ეთიკის კოდექსი. შემოწმდა და ტექნიკურად გაიმართა საუბნო საარჩევნო კომისიებისთვის საჭირო ასლგადამღები მანქანები და სკანერები. ცესკოსა და ოლქებს შორის ინფორმაციის მიმოცვლისა და არჩევნების შედეგების შეუფერხებლად გამოქვეყნებისთვის მაქსიმალურად გაიზარდა ინტერნეტის მოწოდების სიჩქარე;
- საარჩევნო პერიოდის განმავლობაში იმართებოდა შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან ინფორმაციის გაცვლისა და ჩართული მხარეების ინფორმირების მიზნით. ეთნიკური უმცირესობების ამომრჩეველთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობისა და თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველსაყოფად მოეწყო გასვლითი ღონისძიებები რეგიონებში. ასევე, რეგიონული მედიის ჟურნალისტებმა გაიარეს ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე;

- საუბნო საარჩევნო კომისიის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი წევრებისთვის ითარგმნა საარჩევნო დოკუმენტაცია და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასწავლო ფილმი „კენჭისყრის დღის პროცედურები“ სუბტიტრებით;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის და ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველისთვის პანდუსით ადაპტირებული უბნების რაოდენობის გაზრდის მიზნით, დამუშავდა 73 საარჩევნო ოლქში შემავალი ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა მონაცემების გადამოწმება. 3 634 უბნიდან ადაპტირებულია 1 115 (30.68%) უბანი (მარტივი, დროებითი, პანდუსი). საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი იყო: მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის - ყველა საარჩევნო უბანზე გამადიდებელი ლინზა; ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლებისთვის - იდენტიფიცირებულ საარჩევნო უბნებზე სპეციალური ხმის მიცემის კაბინები; იმ შემთხვევაში, თუ ეტლით მოსარგებლე და ფიზიკური შეზღუდვის მქონე ამომრჩევლები მომართავდნენ საარჩევნო ადმინისტრაციას, ზოგიერთ უბანზე შესაძლებელი იყო პორტატული (მოძრავი) პანდუსის განთავსება; ყრუ ამომრჩევლებისთვის - არჩევნებში მონაწილეობის პროცედურის შესახებ პოსტერი, ასევე ყველა საარჩევნო ვიდეორგოლი და საინფორმაციო ბრიფინგი ცესკოდან უზრუნველყოფილი იქნება სურდოთარგმანით;
- განხორციელდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლით განსაზღვრული ინსტიტუციების მიერ გადმოცემული საქართველოს მოქალაქეების შესახებ მონაცემების დამუშავება და ამომრჩეველთა ერთიანი სიის განახლება. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობამ შეადგინა 3 513 884, მათ შორის: ქალი – 1 888 975 (53.76%) და კაცი – 1 624 909 (46.24%).
- არჩევნების პირველი ტურისთვის რეგისტრირებული 3 513 884 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 825 054 ამომრჩეველმა (51.94%). რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრირებული იყო 2 421 455 ამომრჩეველი, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 908 401 ამომრჩეველმა (37.51%). გამოქვეყნდა არჩევნების ორივე ტურზე მოსული ამომრჩევლების გენდერული სტატისტიკა. საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე, პირველ ტურში მოსულ ამომრჩეველთა შორის იყო ქალი – 932 576 (51.10%) და კაცი – 892 478 (48.90%), ხოლო არჩევნების მეორე ტურში საარჩევნო უბნებზე მოსულ ამომრჩეველთა შორის იყო ქალი – 450 851 (49.63%) და კაცი – 457 550 (50.37%).
- 2016 წლის 8 ოქტომბერს ასევე ჩატარდა: ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები - 7 ადგილობრივი საარჩევნო ოლქის 106 საარჩევნო უბანზე; ბოლნისის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გამგებლებისა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნები - 263 საარჩევნო უბანზე; გარდა ამისა, ჩატარდა ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნები 2 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის 5 საარჩევნო უბანზე. საარჩევნო პროცესი წარიმართა კანონმდებლობის სრული დაცვით და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკების შესაბამისად;
- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე საქართველოს მოსახლეობამ, ოთხი წლის ვადით, აირჩია საქართველოს პარლამენტის 150 წევრი, მათ შორის ქალი – 24 (16.00%)

და კაცი – 126 (84.00%), აქედან, პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 77 წევრი, მათ შორის ქალი – 18 (23.38%) და კაცი – 59 (76.62%). მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ იქნა 73 წევრი, მათ შორის ქალი – 6 (8.22%) და კაცი 67 (91.78%). აქედან მაჟორიტარული სისტემით პირველ ტურში სულ არჩეულ იქნა 23 წევრი, მათ შორის ქალი – 1 და კაცი – 22. მეორე ტურში კი არჩეულ იქნა სულ 50 წევრი, მათ შორის ქალი – 5 და კაცი – 45;

- საარჩევნო სისტემით საპარლამენტო მანდატები მოიპოვეს შემდეგმა საარჩევნო სუბიექტებმა: „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ – 44 მანდატი (48.68%); „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 27 მანდატი (27.11%); „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია“ – 6 მანდატი (5.01%). მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით პარლამენტის წევრებად არჩეულები არიან: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 71 წევრი; „თოფაძე–მრეწველები, ჩვენი სამშობლო“ – 1 წევრი და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი, უპარტიო – 1 წევრი;
- ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 8 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში არჩეულ იქნა საკრებულოს 7 წევრი, მათ შორის ქალი – 2 (28.57%) და კაცი – 5 (71.43%);
- ბოლნისის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჭიათურისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების გამგებლების რიგგარეშე არჩევნებში არჩეულ იქნა 5 გამგებელი, ხოლო ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში – მერი, აქედან 100% კაცი;
- ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2016 წლის 30 ოქტომბრის შუალედური არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა 2 წევრი, აქედან 100% კაცი;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიების მუდმივმოქმედი წევრებისათვის განხორციელდა სასწავლო კურსი „საარჩევნო პროცესების მართვა“ თემებზე: არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები, არჩევნების სანდოობა, საარჩევნო დავების მართვა და მოგვარების მექანიზმები - პრევენცია, საარჩევნო კონფლიქტების მართვა, საარჩევნო ოპერაციების სახელმძღვანელო პრინციპები, საარჩევნო პროცესის დაგეგმვა, დროის მართვა, გუნდის მართვა, ლიდერობა, კომუნიკაცია და ანგარიშგება. სასწავლო კურსი გაიარა 73 საოლქო საარჩევნო კომისიის მუდმივმოქმედი წევრმა და ადმინისტრაციის აპარატის თანამშრომელმა (ნაკადებად). სასწავლო კურსი „BRIDGE“-ის პროგრამის (დემოკრატიის, მმართველობის და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარების პროგრამა) მიხედვით გახორციელდა;
- ჩატარდა ტრენინგი ცესკოს საინფორმაციო/სატელეფონო ცენტრის ოპერატორებისთვის შემდეგ საკითხებზე: საქართველოს პარლამენტის არჩევნები (საარჩევნო სისტემა); საარჩევნო კოდექსის სიახლეები; საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის წესი; პარტიული სიების წარდგენა და სხვა. მონაწილეთა რაოდენობა - 28 ოპერატორი;
- განხორციელდა ტრენინგ პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და სამხარეო ადმინისტრაციების წარმომადგენლებისთვის. ჩატარდა 8 ტრენინგი, მონაწილეობა მიიღო 197 საჯარო მოხელემ;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთათვის თანაბარი საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნით, გაიმართა შეხვედრა 13 საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთან და ამომრჩევლებთან. პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (სამცხე-ჯავახეთში, კახეთში და ქვემო ქართლში);

- განხორციელდა ტრენინგ-პროგრამა ცენტრალური მედია საშუალებების წარმომადგენლებისთვის. ტრენინგი გაიარა 48 ჟურნალისტმა სხვადასხვა ტელეკომპანიებიდან, მათ შორის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „რუსთავი 2“, „იმედი“, “მაესტრო”, „იბერია“, „ტაბულა“, „ობიექტივი“, „პალიტრანიუსი“, „ჯიდიესი“ და „ტვ პირველი“;
- თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციასთან, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციასა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით განხორციელდა სასწავლო პროგრამა რეგიონული მედია საშუალებები წარმომადგენლებისთვის (რეგიონული ბეჭდური გამოცემები, ონლაინ გაზეთები და მაუწყებლები). ტრენინგი გაიარა 66 ჟურნალისტმა; ასევე, ტელეკომპანიების, პრესისა და ინტერნეტმედიის წარმომადგენლებისთვის (მაესტრო, იბერია, აჭარა, ობიექტივი, კავკასია, ჯი-დი-ესი, ტაბულა, იმედი, პალიტრანიუსი, ტვ პირველი, მეორე არხი, საზ. მაუწყებელი, რუსთავი 2, სააგენტო პირველი, სააგენტო აიპრესი, სააგენტო ექსპრესნიუსი, ინტერპრესნიუსი, პირველი რადიო, ნეტაზეთი, ახალი თაობა , საზოგადოებრივი რადიო, აფხაზეთის ხმა/ რადიო ტვ/საიტი) გაიმართა ორდღიანი ტრენინგი საარჩევნო საკითხებზე. ტრენინგი გაიარა ცენტრალური მედიის 98 და რეგიონული მედიის 66 ჟურნალისტმა;
- ჩატარდა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების დამკვირვებლების ტრენინგი, გაიარა 60 მონაწილემ, მათ შორის ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების 25 დამკვირვებელმა; ასევე, სწავლების ცენტრისა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი პენიტენციური სისტემის თანამშრომლებისათვის. ტრენინგი გაიარა 19 მონაწილემ გაიარა;
- განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა მოსამზადებელი სასწავლო კურსი. მოსამზადებელი კურსის გავლის შემდეგ ტრენერებმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებთან თანამშრომლობით უზრუნველყვეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინტენსიური სასწავლო პროგრამების ჩატარება. ტრენინგი გაიარა 16 რეგიონულმა ტრენერმა და 156 ტრენერმა, სულ ჩატარდა 7 ტრენინგი; ასევე, ჩატარდა ტრენინგი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისათვის.
- ჩატარდა 17 საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოები და მოწესრიგდა კონდიცირების სისტემები; არჩევნებისთვის განხორციელდა ცესკოს შენობის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტება და ელექტროსისტემის მონტაჟი, აღჭურვილ იქნა მაღალძაბვიანი გენერატორით, განახლდა ვიდეოსათვალთვალო სისტემა და ქსელის მოწყობილობა, ასევე, განახლდა კომპიუტერული ტექნიკა ოლქებში და აპარატში. შეძენილი იქნა მრავალფუნქციური საბეჭდი მოწყობილობა;
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 56-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტის სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები დაუფინანსდა 9 საარჩევნო სუბიექტს, ხოლო წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები აუნაზღაურდა 3 საარჩევნო სუბიექტს;
- საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 43-ე მუხლის საფუძველზე საარჩევნო ოლქებსა და უბნებზე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების უზრუნველსაყოფად სულ დაფინანსდა 9 პოლიტიკური პარტია;
- სულ საქართველოს სხვადასხვა არჩევნებზე (საქართველოს პარლამენტის; გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგებლის რიგგარეშე; თვითმმართველი ქალაქის – ახალციხის მერისა და

თვითმმართველი თემების – ბოლნისის, ხარაგაულის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტების გამგებლების რიგგარეშე; გარდაბნის, კასპის, წყალტუბოს, ქალაქ ოზურგეთის, ოზურგეთის, ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური; ქალაქ თბილისის, წალკის, ჭიათურის, აბაშისა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური; ლაგოდეხისა და სენაკის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური) მიიმართა 46.0 მლნ ლარი;

6.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი

- 2016 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა 83 აუდიტის ჩატარება. 2016 წლის მდგომარეობით დასრულდა 74 და მიმდინარეობს 9 აუდიტი. შემუშავდა შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო;
- საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა 12 ეფექტიანობის აუდიტი. მომზადდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოში შესატანი მეთოდოლოგიური ცვლილებები;
- გადამზადდა 8 თანამშრომლი ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მიმართულებით, 9 თანამშრომელი დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების აუდიტის მიმართულებით. დასრულდა 2 კომბინირებული აუდიტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის ჯგუფის ჩართულობით. მომზადდა ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტის მეთოდოლოგიის სამუშაო ვერსია;
- მოხდა 3 უწყების მიერ განხორციელებული პროექტების შეფასება (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის);
- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემის დანერგვის მიზნით, ინტეგრირებულია მონიტორინგის ელექტრონული სისტემა აუდიტის მართვის სისტემაში (AMS), განახლდა რეკომენდაციების შემუშავების მეთოდოლოგია;
- საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ფარგლებში შექმნილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი სამუშაო ჯგუფის მიერ, მოეწყო 11 აუდიტის ანგარიშების განხილვა;
- „აუდიტის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის“ მიზნით პროექტის ფარგლებში მოეწყო 9 საჯარო განხილვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებთან. გაიმართა ერთდღიანი მედია სემინარი მედიის წარმომადგენლებთან, მომზადდა პარლამენტისა და მოქალაქეთა ჩართულობის ვებპლატფორმა - ბიუჯეტის მონიტორი.
- დასრულდა პოლიტიკური ფინანსების გამჭირვალობის გაზრდის მიზნით, ელექტრონული დეკლარირების პროგრამის შემუშავებასა და საძიებო სისტემის დანერგვაზე დაწყებული ღონისძიებების პირველი ეტაპი. ახალი ვებგვერდი საშუალებას აძლევს გარე მომხმარებელს სწრაფად და მარტივად მოიძიოს ინფორმაცია შემომწირველების შესახებ;
- მიმდინარეობდა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების მიზნით მუშაობა და კონსუტლაციები სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები ასახულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

2015 წლის საქმიანობის ანგარიშში და რეკომენდაციების სახით გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს;

- TWINNING-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა თანამშრომელთა შეფასების სისტემის საბოლოო ვერსია;
- აუდიტის სისტემატიზირებული აღრიცხვის, კლასიფიცირებისა და ანგარიშგების ელექტრონულ სისტემაში აისახა ბოლო 3 წლის აუდიტები და შესაბამისი ინფორმაცია;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მომწოდებელთან გააფორმა კონტრაქტი აუდიტის მართვის სისტემასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული სემინარის ფარგლებში ლიდერობისა და მართვის მიმართულებით;
- ხელი მოეწერა კორეის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან ურთიერთგაგების მემორანდუმს.
- შვედეთის უმაღლეს აუდიტორულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშების ხარისხის უზრუნველყოფა, ასევე სას-ის თანამშრომლების უნარების გაძლიერება ლიდერობისა და მართვის მიმართულებით.
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა (სას) და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის (US Government Accountability Office) აუდიტის სასწავლო ცენტრს (Center For Audit Excellence) შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT აუდიტორების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება.

6.4 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 20 საარჩევნო სუბიექტი (პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”, პ/მ „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”, პ/გ „საქართველოს რესპუბლიკური პარტია”, პ/გ ”თავისუფალი დემოკრატები”, პ/გ „ეროვნული ფორუმი”, პ/გ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პ/გ გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა, პ/გ საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, პ/გ საქართველოს ლეიბორისტული პარტია, პ/გ "საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია", პ/გ "ევროპული საქართველო", დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო, პ/გ "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი", პ/გ "თავისუფალი საქართველო", პ/გ "თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა", პ/გ "საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა", პ/გ "ახალი ქრისტიან-დემოკრატები", პ/გ "მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის", პ/გ "სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო", პ/გ "საქართველოს კონსერვატიული პარტია") და ასევე დაფინანსდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30' მუხლის შესაბამისად - მათ მიერ კვლევების, სწავლების, კონფერენციების, მივლინებების,

რეგიონული და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელების მიზნით;

- საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 12.9 მლნ ლარამდე;
- გამოცხადებული საგრანტო კონკურსების საფუძველზე შეირჩა და დაფინანსდა სხვადასხვა საგრანტო პროექტი.

6.5 საარჩევნო გარემოს განვითარება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

- მიმდინარეობდა შეხვედრები საარჩევნო კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით;
- პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარჩევნო საკითხებზე;
- დადგინდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის (კანონით განსაზღვრული შესაბამისი ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში) 30 მაჟორიტარული ოლქის საზღვრები, რის შედეგადაც ამომრჩეველთა ხმების ძალა ადექვატურად გამოიხატება მანდატის წონაში;

6.6. სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

- განახლდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები თითქმის ყველა მიმართულებით. დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ განახლებული სტრატეგიული დოკუმენტები. დამტკიცდა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის 2015 წლის პროგრესის ანგარიში და ბრალდებულ და მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე მსჯავრდებულთა პენიტენციური დაწესებულების კონცეფცია და დიზაინის პროექტი;
- გაიმართა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რიგით 21-ე სხდომა, განხილულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტები შემდეგ თემატიკაზე: ირიბი მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა, წინასასამართლო პრობაციის სამსახურის დანერგვა, თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება და შინაპატიმრობის დანერგვა, იარაღის უკანონო ბრუნვის გამკაცრება, პირობით ვადამდე გათავისუფლების მექანიზმების დახვეწა;
- პროკურატურის სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით განხილული იქნა პროკურატურის სისტემის რეფორმის ახალი სტრატეგია, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი და პროკურორთა შეფასების სისტემის დოკუმენტი;

- მიმდინარეობდა მუშაობა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტის განახლების მიზნით. მომზადდა დასკვნები სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ მოწოდებულ კანონპროექტებზე: საპროცესო შეთანხმებისას დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით; კერძო დეტექტივის საქმიანობის შესახებ; წამების დანაშაულის შემადგენლობაში სპეციალური სუბიექტის დამატების შესახებ; განაჩენის აღსრულების გადავადების, პირადი ან ოჯახური საიდუმლოს, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფასთან დაკავშირებით; შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ და სხვა;
- მომზადდა შედარებით-სამართლებრივი კვლევა ფიზიკური შეურაცხყოფის დანაშაულთან დაკავშირებით;
- ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნომ 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2015 წლის მეორე ექვსი თვის შესრულების პროგრესისა და 2015 წლის მონიტორინგის ანგარიშები და რეკომენდაციები წარმოადგინა. სხდომაზე ანტიკორუფციულმა საბჭომ აღნიშნული დოკუმენტები დაამტკიცა. ამასთან, ანტიკორუფციულ სტრატეგიულ დოკუმენტებს დაემატა მეთოთხმეტე პრიორიტეტი „კორუფციის პრევენციის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტში“;
- ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნოს მიერ დაიგეგმა საჯარო ლექციები 10 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ლექციებში მონაწილეობა 213 სტუდენტმა მიიღო, ხოლო თემატიკა საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის და კანონმდებლობის განხილვას, საჯარო სამსახურის სფეროში მიმდინარე რეფორმებზე მსჯელობას მოიცავდა.
- ჩატარდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თანათავმჯდომარეობის არჩევნები, რომელშიც 22-დან 18 ხმით საქართველომ გაიმარჯვა. მომავალი ერთი წლის განმავლობაში საქართველო იქნება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ თანათავმჯდომარე, ხოლო 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის ოქტომბრამდე – თავმჯდომარე ქვეყანა. ჩატარდა „ღია მმართველობა საქართველოს“ ფორუმის 5 შეხვედრა. შეხვედრების ძირითადი განსახილველი საკითხი იყო 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშისა და მესამე, 2016-2017 წლების, სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპების და კონსულტაციების დაგეგმვა. მესამე გაფართოებული შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ახალი სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიის დეტალური განხილვა და სამოქმედო გეგმის საბოლოო სახეზე შეთანხმება. მომზადდა საბოლოო კომენტარები და მოსაზრებები დამოუკიდებელი შეფასების მექანიზმის (IRM) ანგარიშზე და წარედგინა „ღია მმართველობის პარტნიორობას“, რომლის შემდეგაც აღნიშნული კომენტარები გამოქვეყნდა „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ვებგვერდზე. ასევე, „ღია მმართველობა – საქართველოს“ სამდივნომ მიერ მომზადდა 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში, რომელიც სრულად აფასებს გეგმის ფარგლებში მიღწეულ პროგრესს;
- ევროკავშირის პროექტის - „საკანონმდებლო ზემოქმედების შეფასება, კანონშემოქმედებითი პროცესი და წარმომადგენლობითი უნარების გაძლიერების“ ფარგლებში ჩატარდა პროექტის პირველი საჯარო ღონისძიება, რომელსაც დაესწრნენ როგორც მთავრობის, ისე არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა პროექტის მმართველი კომიტეტის ორი შეხვედრა. ასევე, ჩატარდა ტრენინგები: სამართლებრივი ინგლისური ენის ტერმინოლოგია, წერისა და მეტყველების უნარები (English legal terminology, drafting and oral expression skills); სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ მთარგმნელობითი ცენტრის ტრენინგი – ელექტრონული მთარგმნელობითი პროგრამების გამოყენება (CAT tools); მომზადდა კანონშემოქმედებითი და პოლიტიკის შემუშავების პროცესების შესახებ სიღრმისეული ანგარიში, საკანონმდებლო პროცესში სამოქალაქო აქტორების ჩართულობის შესახებ ანგარიში; შემუშავდა რეკომენდაციები იუსტიციის სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურისა და სამუშაო პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ;
- განხორციელდა კანონშემოქმედებითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული და სხვა სახის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ასევე, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული ყველა საკანონმდებლო აქტის პროექტის, საქართველოს მთავრობისა და სხვა ცალკეული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზა;

- შემუშავდა არაერთი საკანონმდებლო ინიციატივა, კერძოდ:
  - ✓ მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ეტაპით გათვალისწინებული საკანონმდებლო პაკეტი, რომლის დროსაც უფრო მეტი აქცენტი გაკეთდა თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებსა და სასამართლოს საქმიანობაში მათ ჩართულობაზე. გარდა ამისა, საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები, მათი მახასიათებლები და სხვ.;
  - ✓ საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და სხვა თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც საკანონმდებლო დონეზე განისაზღვრა ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში მისი მშობლებისგან განცალკევების პირობები და აღნიშნულ პროცესში სოციალური მუშაკის უფლებები; განისაზღვრა „მიუსაფარი ბავშვის“ დეფინიცია და დადგინდა მათ მიმართ სამართლებრივი, სოციალური და სხვა სახის გარანტიები;
  - ✓ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს კანონები „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
  - ✓ საქართველოს კანონები: „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
  - ✓ საქართველოს ორგანული კანონები „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“;
  - ✓ საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი;
  - ✓ საქართველოს კანონები: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე";
  - ✓ საქართველოს კანონები „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, რომელიც მიწის რეფორმის სტრატეგიიდან გამომდინარეობს და აწესრიგებს სახელმწიფო პროექტის (მათ შორის, 12 დასახლებაში – საპილოტო პროექტის) ფარგლებში მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რითაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ეძლევათ, სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის გადასახდელი საფასურის გარეშე ან მნიშვნელოვანი პროცედურული შეღავათებით დაირეგისტრირონ უძრავი ქონება;
  - ✓ საქართველოს კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად;

- ✓ საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც შემუშავდა „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნითა და სხვა უზუსტობების აღმოფხვრის საჭიროებით;
- ✓ საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელთა მიზანია წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების მიმდინარეობისას ძალადობის პრევენცია;
- ✓ საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ თანმდევ საკანონმდებლო პაკეტთან ერთად, რომელთა მომზადება განაპირობა „EU acquis“-თან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებისა და თავსებადობის აუცილებლობამ. აღნიშნული პაკეტი წარედგენა საქართველოს პარლამენტს;

- მუშაობა მიმდინარეობდა:
  - ✓ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე, ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნების სრულად ასახვის მიზნით;
  - ✓ „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტზე, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღკვეთის მიზნით;
  - ✓ „მედიაციის შესახებ" საქართველოს ახალი კანონის პროექტზე, მედიაციის სფეროს განვითარებისა და მედიაციის საკანონმდებლო რეგულირების მიზნით დონორ ორგანიზაციებთან ერთად;
  - ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვისა და გაძლიერების, დამოუკიდებელი ცხოვრების, თანაბარი შესაძლებლობების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეული მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავების მიმართულებით;
- გაგრძელდა მუშაობა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სტამბულის კონვენციის რატიფიცირების საკითხზე. აღნიშნული პაკეტი წარდგენილია საქართველოს მთავრობისთვის და უახლოეს ხანში განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს და აღსრულების კოდექსის ახალ პროექტზე თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მიმართულებით;
- კერძო სამართლის ცალკეული სფეროს რეფორმის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების, რეფორმის პროცესში ჩართული მხარეების საქმიანობის კოორდინაციის, აგრეთვე, შესაბამისი წინადადებებისა და დასკვნების შემუშავების მიზნით იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით შეიქმნა კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირებას, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტი;
- მიმდინარეობდა ორმხრივი საინვესტიციო და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების შემუშავებისა და მოლაპარაკებების პროცესი, ასევე, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარდა ხელშეკრულებების პროექტებსა და საკითხებს საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის მიმართულებებით;
- სახელმწიფოთაშორისი საჩივრის – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II)“ – ფარგლებში, რომელიც ეხება 2008 წლის აგვისტოს ომისა და შემდგომი ოკუპაციის დროს რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევებს, სტრასბურგის სასამართლოში გაიგზავნა სახელმწიფოს პოზიცია და საქართველოს მთავრობის შეპასუხება რუსეთის პოზიციასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობის მიერ

წარდგენილი წერილობითი პოზიციების შესწავლის შემდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, გაემართა ქართველ მოწმეთა მოსმენა. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ მოუსმინა საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილ 15 მოწმეს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა სახელმწიფოს პოზიცია და შესაბამისი დანართები მეორე სახელმწიფოთაშორის საჩივარზე – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I)“. მითითებული დოკუმენტი ეფუძნება 2014 წლის 3 ივლისს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე – „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I)“ გამოტანილ გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც რუსეთს წარმოეშვა სამართლებრივი ვალდებულება, გადაიხადოს კომპენსაცია ქართველების უფლებების დარღვევისთვის. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაიგზავნა 2006 წლის შემოდგომაზე რუსეთიდან გამოძევებულ საქართველოს მოქალაქეთა საილუსტრაციო სია მსხვერპლთა შესახებ დეტალური მონაცემებისა და გამოძევების დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან ერთად;

- საქართველოს წინააღმდეგ არსებულ ინდივიდუალურ საჩივრებზე სტრასბურგის სასამართლოში 44 საქმეზე გაიგზავნა მთავრობის პოზიცია, 25 საქმეზე კი – მთავრობის დამატებითი მოსაზრებები, მათ შორის, კომენტარები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 15 საქმეზე სახელმწიფომ ცალმხრივად აღიარა მომჩივანთან მიმართებით დარღვევების არსებობა, ხოლო 43 საქმეზე გაიგზავნა შეთავაზება საჩივრის მორიგებით დასრულების თაობაზე.
- გაერო-ს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში გაიგზავნა აღსრულების ანგარიში კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე საქმეზე – „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“. ზემოთ მითითებული საქმის აღსრულების ფარგლებში შემუშავდა ცვლილებათა პაკეტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო, სამოქალაქო საპროცესო და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსებში;
- მომზადდა ევროკავშირის სამართალთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების სახელმძღვანელოს სამუშაო ვერსია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე;
- განხორციელდა ნორმატიული აქტების პროექტების ევროკავშირის სამართლის წყაროებთან შესაბამისობის ანალიზი. გაიცა საქართველოს კანონის პროექტებზე 18 დასკვნა; მთავრობის დადგენილების პროექტებზე – 26 დასკვნა; სხვა სახის ნორმატიული აქტის პროექტებზე – 1 დასკვნა;
- საქართველოს უნივერსიტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სამართლის მიმართულების სტუდენტებისთვის მოეწყო ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს იმიტირებული სასამართლო პროცესი;
- უზრუნველყოფილ იქნა ევროპის საბჭოს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის კონვენციის შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელ ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) მეორე შეფასების ანგარიშის პროექტზე სახელმწიფოს საპასუხო პოზიციის შემუშავება და უწყებებთან კოორდინაცია; შემუშავებული ანგარიშის საფუძველზე 2016 წლის 3 ივნისს „GRETA“-მ მეორე შეფასების რაუნდის ანგარიშით პოზიტიურად შეაფასა საქართველოს მიერ ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები;
- შემუშავდა „ბავშვის უფლებათა შესახებ“ გაერო-ს კონვენციის „შეიარაღებულ კონფლიქტში ბავშვთა ჩართულობის შესახებ“ და „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“ პირველი და მეორე დამატებითი ოქმების შესრულების ანგარიში;
- შემუშავდა ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთწლიანი ანგარიში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისათვის წარსადგენად; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის 30 ივნისის ანგარიშის თანახმად, საქართველომ პირველ კალათაში გადაინაცვლა, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს და მთავრობა სისტემატურად ახორციელებს ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებს. შემუშავდა, ასევე, ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში ეუთო-სთვის წარსადგენად;

- მომზადდა მინი-დუბლინის ჯგუფის მიერ მოთხოვნილი სახელმწიფო ანგარიში სახელმწიფო ანტინარკოტიკული პოლიტიკის შესახებ, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის 2014 წლის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში და მიმდინარეობდა ბავშვთა არამართლზომიერი გადაადგილების საერთაშორისო საქმეების წარმოება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის კონვენციის ფარგლებში;
- უწყებათაშორის საბჭოში მოქმედი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხებოდა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების სიებსა და დოზებში ცვლილებების შეტანასა და სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სასჯელის შემსუბუქებას მარიხუანისა და კანაფის დამზადებაზე, შეძენაზე, შენახვაზე, გადაზიდვაზე, გადაგზავნასა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებაზე; დამტკიცდა ნარკომანიასთან ბრძოლის 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმა; უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნომ მოამზადა 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- მომზადდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში და განისაზღვრა ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმისათვის იუსტიციის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობები, რაც წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას. ასევე, მომზადდა ადამიანის უფლებათა დაცვის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ განხორციელებული საქმიანობების შესრულების ანგარიში;
- მომზადდა 2015-2016 წლების ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშის პროექტი. ასევე, შემუშავდა და კომენტარებისთვის გაგზავნილია შესაბამის პასუხისმგებელ უწყებებში 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტი;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში შემუშავდა და პარლამენტს განსახილველად გადაეცა შემდეგი კანონპროექტები: „წითელი ჯვრის, წითელი ნახევარმთვარისა და წითელი კრისტალის ემბლემებისა და სახელწოდებების გამოყენებისა და დაცვის შესახებ“; „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“. შემუშავდა, ასევე, 2014-2015 წლების საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და ახალი, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი;
- დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ახალი, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა;
- ძალაში შევიდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშვებული ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვთა უფლებების დასაცავად საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი;
- მომზადდა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ 2015 წლის შესრულების ანგარიში. ასევე, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის 2016 წლის შესრულების ანგარიში;
- შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია და დამტკიცდა კომისიის დებულება. კომისია კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობს დიალოგს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ დაინტერესებულ პირებს შორის, უზრუნველყოფს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებული, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას და, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევებზე რეაგირებისა და პრევენციის მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ.

6.7. ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

- მიმდინარეობდა საარქივო მომსახურებისა და სერვისების შეუფერხებლად მიწოდება მოქალაქეებსა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კომერციულ ორგანიზაციებისთვის;
- გამოიცა სამეცნიერო შინაარსის წიგნები: „UNESCO-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრი, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები“, „ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები“, „ჩვენი არქივი – ჩვენი საუნჯე“, „ხელრთვები“, „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“; განხორციელდა „საქართველოს პირველი რესპუბლიკის“ რეპრინტი; დასაბეჭდად მომზადდა წიგნები: „ნიკო ბურის დღიური“, „მარო თარხნიშვილის მოგონებები“, „კონფერენციის მასალა“; დასრულდა მუშაობა სამხედრო თემატიკის ბროშურაზე – „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღება“; მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე ტიპის საცნობარო-საინფორმაციო მასალის შექმნაზე; კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან ერთად მომზადდა ალბომი „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“; იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის მეხსიერების რეესტრში შესატანად წარდგენილ იქნა 2 პროექტი: „სამფენიანი სახარება“ და „ისტორიული საბუთები“; საისტორიო და საეკლესიო თემატიკაზე ჩატარდა 3 საჯარო ლექცია. გაგრძელდა პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომლის ფარგლებშიც მცხეთის, რუსთავისა და თბილისის 32 საჯარო სკოლაში მოეწყო პრეზენტაციები;
- ახალმა საგამოფენო პავილიონმა უმასპინძლა საქართველოში პირველ საერთაშორისო კონფერენციას – „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“. კონფერენციაში 42 მომხსენებელი მონაწილეობდა; საგამოფენო პავილიონში მოეწყო გამოფენები: „ჩვენი არქივი – ჩვენი საუნჯე“, „საქართველოს ოლიმპიელები“, „ქართული ანბანის სამი სახეობა“, „არჩევნების საქართველოში“ და „ქართული დიაფილმები“; განხორციელდა ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაციის არქივის დელეგაციის ვიზიტი, მათი ქვეყნის გენოციდთან დაკავშირებით მოეწყო ფოტოგამოფენა „სერბრენიცა ინფერნო“; კაუნასის რეგიონულ არქივში მოეწყო გამოფენა „ლიტვა და საქართველო ისტორიულ წყაროებში“, სადაც წარმოდგენილი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. შედგა რამდენიმე საგანმანათლებლო ღონისძიება;
- წარმატებით შესრულდა ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების რესტავრაციისა და წვრილი რემონტის, საქმეთა ყდაში ჩასმისა და შეკერვის, კინო- და ფოტოდოკუმენტების საკონსერვაციო-პროფილაქტიკური დამუშავების, განსაკუთრებული ღირებულების მქონე წერილობითი, კინო და ფოტოდოკუმენტების გამოვლენის, მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური, კინო- და ფოტოდოკუმენტების აღწერის, ყველა სახეობის აუდიოვიზუალური დოკუმენტების ანაწერების გადამუშავების, პირადი წარმოშობისა და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების არქივებში მიღების შესაბამისი პერიოდის გეგმური დავალებები. წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (217,5%-ით) გაიზარდა მმართველობითი დოკუმენტების აღწერის მოცულობა;
- მოქალაქეთა მომსახურებისა და საარქივო დოკუმენტების დაკომპლექტების გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა 4 ადგილობრივი წარმომადგენლობა (აბაშა, ბოლნისი, გურჯაანი, სენაკი), საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით მომარაგდა არქივის ოფისები. მცირე სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები შესრულდა ბოლნისის წარმომადგენლობის ოფისში. დასრულდა შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის სარემონტო სამუშაოები ბოლნისის წარმომადგენლობის ოფისში, ფოთის ადგილობრივ, დუშეთის, ზესტაფონის, ხაშურისა და თელავის რეგიონულ არქივებში;

- განახლდა მომსახურების ელექტრონული პროგრამების პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდას და მოქალაქეთა კმაყოფილების მაღალ დონეზე შენარჩუნებას. საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში სასურველი საარქივო მასალის ელექტრონული ასლების მიწოდება ხორციელდებოდა უფასოდ;
- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხის სახით გაიგზავნა 45 748 წერილი;
- გაგრძელდა მუშაობა ეროვნული საარქივო ფონდის ციფრულ მატარებლებზე გადატანის, ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა, არ დაზიანდეს საარქივო დოკუმენტის დედანი ხშირი გამოყენებით და შენარჩუნდეს მისი პირველადი სახე; დასკანირდა ეროვნული საარქივო ფონდის 1 500 ათას გვერდზე მეტი. მიმდინარეობდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება. ელექტრონულად შენახულ იქნა 4 834 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 503 ერთეული კინოდოკუმენტი და 363 ერთეული ფონოდოკუმენტი; ასევე, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გეოლოგიური საფონდო მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 1 050 ათასი ფაილი, მათ შორის, ფართოფორმატიანი რუკები – 18 900 ერთეული;
- ეროვნული არქივის ცნობადობის გაზრდის, დაცული დოკუმენტების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში ეროვნული არქივის საგამოფენო-შემეცნებითი სივრცის მშენებლობის ფარგლებში დასრულდა სამშენებლო და საჭირო ინვენტარით მოწყობა-აღჭურვის სამუშაოები. შენობის შიდა აივანზე განთავსდა მედიათეკა და წიგნების მაღაზია. მედიათეკაში ნებისმიერი მსურველი სარგებლობს უნიკალური წიგნებით, კომპიუტერებითა და ინტერნეტით. წიგნების მაღაზიაში შესაძლებელია საარქივო დოკუმენტების გამოყენებით დამზადებული მრავალფეროვანი პროდუქციის შეძენა;
- გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონულმა არქივმა. შესაბამისად, საარქივო მომსახურება ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის მქონე შენობებში. დასრულდა ქ. თბილისში უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 17-სართულიანი კოშკსაცავის კიბის უჯრედის, დამხმარე ოთახებისა და სხვენის სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა რუსთავში ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობის სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქუთაისის ცენტრალური არქივის სამშენებლო სამუშაოები (მოსამზადებელი, საძირკვლის, სარდაფის, პირველი და მეორე მიწისზედა სართულის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სამონტაჟო); გამოცხადდა ტენდერი ქ. თბილისში ეროვნული არქივის არსებული ფოიესა და მოქალაქეთა მისაღებისა და სამკითხველო დარბაზის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და ქ. თბილისში, ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ძველი კინოდარბაზისა და მეორე სართულზე მისთვის განკუთვნილი დამხმარე ფართის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო და დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - მიწოდების მომსახურების შესყიდვის მიზნით;

6.8. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

- მიმდინარეობდა საარქივო მომსახურებისა და სერვისების შეუფერხებლად მიწოდება მოქალაქეებსა და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კომერციულ ორგანიზაციებისთვის;
- გამოიცა სამეცნიერო შინაარსის წიგნები: „UNESCO-ს მსოფლიო მეხსიერების რეესტრი, საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული ხელნაწერები“, „ქართული მოხატული ხელნაწერები და ისტორიული საბუთები“, „ჩვენი არქივი – ჩვენი საუნჯე“, „ხელრთვები“, „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“; განხორციელდა „საქართველოს პირველი რესპუბლიკის“ რეპრინტი; დასაბეჭდად მომზადდა წიგნები: „ნიკო ბურის დღიური“, „მარო თარხნიშვილის მოგონებები“, „კონფერენციის მასალა“; დასრულდა მუშაობა სამხედრო თემატიკის ბროშურაზე – „საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღება“; მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა შინაარსის რამდენიმე ტიპის საცნობარო-საინფორმაციო მასალის შექმნაზე; კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან ერთად მომზადდა ალბომი „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“; იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის მეხსიერების რეესტრში შესატანად წარდგენილ იქნა 2 პროექტი: „სამფენიანი სახარება“ და „ისტორიული საბუთები“; საისტორიო და საეკლესიო თემატიკაზე ჩატარდა 3 საჯარო ლექცია. გაგრძელდა პროექტი „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“, რომლის ფარგლებშიც მცხეთის, რუსთავისა და თბილისის 32 საჯარო სკოლაში მოეწყო პრეზენტაციები;
- ახალმა საგამოფენო პავილიონმა უმასპინძლა საქართველოში პირველ საერთაშორისო კონფერენციას – „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა, სიძველეთმცოდნეობა – ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები“. კონფერენციაში 42 მომხსენებელი მონაწილეობდა; საგამოფენო პავილიონში მოეწყო გამოფენები: „ჩვენი არქივი – ჩვენი საუნჯე“, „საქართველოს ოლიმპიელები“, „ქართული ანბანის სამი სახეობა“, „არჩევნების საქართველოში“ და „ქართული დიაფილმები“; განხორციელდა ბოსნია და ჰერცეგოვინას ფედერაციის არქივის დელეგაციის ვიზიტი, მათი ქვეყნის გენოციდთან დაკავშირებით მოეწყო ფოტოგამოფენა „სერბრენიცა ინფერნო“; კაუნასის რეგიონულ არქივში მოეწყო გამოფენა „ლიტვა და საქართველო ისტორიულ წყაროებში“, სადაც წარმოდგენილი იყო ორი ქვეყნის ურთიერთობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში. შედგა რამდენიმე საგანმანათლებლო ღონისძიება;
- წარმატებით შესრულდა ქაღალდისფუძიანი დოკუმენტების რესტავრაციისა და წვრილი რემონტის, საქმეთა ყდაში ჩასმისა და შეკერვის, კინო- და ფოტოდოკუმენტების საკონსერვაციო-პროფილაქტიკური დამუშავების, განსაკუთრებული ღირებულების მქონე წერილობითი, კინო და ფოტოდოკუმენტების გამოვლენის, მმართველობითი, სამეცნიერო-ტექნიკური, კინო- და ფოტოდოკუმენტების აღწერის, ყველა სახეობის აუდიოვიზუალური დოკუმენტების ანაწერების გადამუშავების, პირადი წარმოშობისა და პირადი შემადგენლობის დოკუმენტების არქივებში მიღების შესაბამისი პერიოდის გეგმური დავალებები. წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად (217,5%-ით) გაიზარდა მმართველობითი დოკუმენტების აღწერის მოცულობა;
- მოქალაქეთა მომსახურებისა და საარქივო დოკუმენტების დაკომპლექტების გაუმჯობესების მიზნით გაიხსნა 4 ადგილობრივი წარმომადგენლობა (აბაშა, ბოლნისი, გურჯაანი, სენაკი), საჭირო ტექნიკითა და ინვენტარით მომარაგდა არქივის ოფისები. მცირე სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები შესრულდა ბოლნისის წარმომადგენლობის ოფისში. დასრულდა შენობებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის სარემონტო სამუშაოები ბოლნისის წარმომადგენლობის ოფისში, ფოთის ადგილობრივ, დუშეთის, ზესტაფონის, ხაშურისა და თელავის რეგიონულ არქივებში;
- განახლდა მომსახურების ელექტრონული პროგრამების პარამეტრები, რაც უზრუნველყოფს მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაზრდას და მოქალაქეთა კმაყოფილების მაღალ დონეზე შენარჩუნებას. საქართველოს ეროვნული არქივის მკვლევართა დარბაზში სასურველი საარქივო მასალის ელექტრონული ასლების მიწოდება ხორციელდებოდა უფასოდ;
- „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხის სახით გაიგზავნა 45 748 წერილი;

- გაგრძელდა მუშაობა ეროვნული საარქივო ფონდის ციფრულ მატარებლებზე გადატანის, ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის მიმართულებით, რაც საშუალებას იძლევა, არ დაზიანდეს საარქივო დოკუმენტის დედანი ხშირი გამოყენებით და შენარჩუნდეს მისი პირველადი სახე; დასკანირდა ეროვნული საარქივო ფონდის 1 500 ათას გვერდზე მეტი. მიმდინარეობდა ელექტრონულად შენახული ფაილების აწყობა-დამუშავება, ტექნიკური და შინაარსობრივი შემოწმება. ელექტრონულად შენახულ იქნა 4 834 ერთეული ფოტოდოკუმენტი, 503 ერთეული კინოდოკუმენტი და 363 ერთეული ფონოდოკუმენტი; ასევე, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ გეოლოგიური საფონდო მასალის ციფრულ მატარებლებზე გადატანისათვის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ციფრულ მატარებლებზე გადატანილ იქნა 1 050 ათასი ფაილი, მათ შორის, ფართოფორმატიანი რუკები – 18 900 ერთეული;
- ეროვნული არქივის ცნობადობის გაზრდის, დაცული დოკუმენტების პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. თბილისში ეროვნული არქივის საგამოფენო-შემეცნებითი სივრცის მშენებლობის ფარგლებში დასრულდა სამშენებლო და საჭირო ინვენტარით მოწყობა-აღჭურვის სამუშაოები. შენობის შიდა აივანზე განთავსდა მედიათეკა და წიგნების მაღაზია. მედიათეკაში ნებისმიერი მსურველი სარგებლობს უნიკალური წიგნებით, კომპიუტერებითა და ინტერნეტით. წიგნების მაღაზიაში შესაძლებელია საარქივო დოკუმენტების გამოყენებით დამზადებული მრავალფეროვანი პროდუქციის შეძენა;
- გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო ზუგდიდში სამეგრელოს რეგიონულმა არქივმა. შესაბამისად, საარქივო მომსახურება ხორციელდება თანამედროვე ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის მქონე შენობებში. დასრულდა ქ. თბილისში უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის 17-სართულიანი კოშკსაცავის კიბის უჯრედის, დამხმარე ოთახებისა და სხვენის სარეკონსტრუქციო/სარემონტო სამუშაოები;
- მიმდინარეობდა რუსთავში ქვემო ქართლის რეგიონული არქივის შენობის სადრენაჟე სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქუთაისის ცენტრალური არქივის სამშენებლო სამუშაოები (მოსამზადებელი, საძირკვლის, სარდაფის, პირველი და მეორე მიწისზედა სართულის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სამონტაჟო); გამოცხადდა ტენდერი ქ. თბილისში ეროვნული არქივის არსებული ფოიესა და მოქალაქეთა მისაღებისა და სამკითხველო დარბაზის სარეაბილიტაციო/სარემონტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით და ქ. თბილისში, ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ძველი კინოდარბაზისა და მეორე სართულზე მისთვის განკუთვნილი დამხმარე ფართის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის საპროექტო და დეტალური სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - მიწოდების მომსახურების შესყიდვის მიზნით;

6.9 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 53 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამსახურმა წარმოებაში მიიღო 12 220 საქმე, მათ შორის: 9 233 სისხლის სამართლის, 2 048 სამოქალაქო და 939 ადმინისტრაციული. სამსახურს იურიდიული რჩევისათვის მიმართა 15 941 პირმა, რომელთათვისაც გაწეულ იქნა 24 501 კონსულტაცია და შედგენილ იქნა 3 159 იურიდიული დოკუმენტი.
- 2016 წლის იანვრიდან იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი გაფართოვდა, კერძოდ: სამსახურს დაევალა იმ უცხოელთა დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს თავშესაფრის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება-შეწყვეტის საკითხებს, „არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების კოდექსით“, სამსახურს დაევალა როგორც არასრულწლოვანი ბრალდებულების, ისე დაზარალებული არასრულწლოვნების (18-დან 21-წლამდე) დაცვა, ასევე - არასრულწლოვან მოწმეთა დაცვა, თუ მოწმე გადახდისუუნაროა. სამსახური სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე წარმომადგენლობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ სასამართლოში, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოებშიც. სამსახურის მანდატის გაფართოების და მოქალაქეთა მომართვიანობის ზრდის შესაბამისად, სექტემბერში სამსახურმა დამატებით აიყვანა სამოქალაქო სპეციალიზაციის 18 ადვოკატი.

- საანგარიშო პერიოდში სიღნაღში ამოქმედდა იურიდიული დახმარების ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს მოიცავს.
- UNHCR–ის და UNAG–ის მხარდაჭერით, საზოგადოებრივი ადვოკატებისთვის გაიმართა ტრენინგები ლტოლვილთა დაცვის სამართალში. სამოქალაქო სპეციალიზაციის ადვოკატების ჯგუფმა გაიარა „საქპატენტის“ ორთვიანი სასწავლო კურსი საპატენტო სამართალში. UNDP–ის და ევროკავშირის მხარდაჭერით, სამსახურის მენეჯმენტისა და ადვოკატებისათვის ჩატარდა ტრენინგები ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე. ასევე, ადვოკატთა გამოკითხვის მეშვეობით, შემუშავდა ორწლიანი სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 40 ტრენინგი.
- ჩატარდა 195 ღონისძიება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. კერძოდ: საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში ჩატარდა 32 სემინარი, მოეწყო 36 ვიზიტი დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, გაიმართა 40 საინფორმაციო შეხვედრა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ მოქალაქეებთან, განხორციელდა 59 შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის, სოციალური მომსახურების სააგენტოს და სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, გაიმართა 10 შეხვედრა ოჯახში ძალადობისა და ქალთა უფლებების საკითხებზე, ჩატარდა სხვადასხვა შინაარსის (მათ შორის, საქველმოქმედო) 15 ღონისძიება.

6.10. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

- მიმდინარეობდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;
- შემუშავებულ იქნა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციები;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტის, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის, თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტის, ბავშვის უფლებების ცენტრისა და სახალხო დამცველის აპარატში არსებული პროექტების უფლებამოსილების ფარგლებში ტარდებოდა შესაბამისი მონიტორინგები;
- განხორციელდა თავისუფლების შეზღუდვის ადგილებსა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;

- მხარდაჭერილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრებისა (ბავშვის უფლებათა ცენტრი, ტოლერანტობის ცენტრი) და საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობა;
- განხორციელდა სამოქალაქო განათლების მიზნით საჯარო დებატების ორგანიზება, საინფორმაციო ბიულეტინების, სოციალური რეკლამის დამზადება და მედიასაშუალებებში განთავსება, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა, ადამიანის უფლებათა თემებზე პუბლიკაციის გამოცემა და გავრცელება;
- მიმდინარეობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება, შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- განხილულ იქნა საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე, კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებები და საჩივრები;
- შესრულდა ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციები;
- მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს 2006 წლის კონვენციის იმპლემენტაციაზე მონიტორინგი;
- მიწოდებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
- ჩატარდა კვლევები პერსონალური მონაცემებისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართების, ტრანსექსუალიზმის (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ჭრილში) და ბავშვთა და ჩვილთა სიკვდილიანობის შესახებ.

6.11. ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

- ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემა გაეშვა რეალურ რეჟიმში და პარალელურად ვითარდება. დასრულდა სისტემის ხარვეზების აღმოფხვრისა და დამატებითი ფუნქციონალის რეალიზების პროცესი. კონტეინერების იმპორტთან ერთად მიმდინარეობდა ექსპორტის პროცესის რეალიზებაც. ჩატარდა ტრენინგი საზღვაო ხაზების, ტერმინალებისა და სატრანსპორტო კომპანიებისთვის. პროცესი მოიცავს იმპორტის დროს საკონტეინერო გადაზიდვების ავტომატიზაციას პორტიდან ტერმინალამდე;
- დასრულდა სამუშაოები კონტეინერის „რელიზის“ პროცესთან დაკავშირებით. შერჩეული კომპანიის მიერ ტარდება დამატებითი ფუნქციონალის ტრენინგები ექსპედიტორებისათვის;
- რეალურ რეჟიმში გაეშვა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩამორთმეული ქონების რეალიზაციისთვის ონლაინმაღაზიის სისტემა;
- საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის შემუშავდა წლიური სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პორტალის ფუნქციონალური მოთხოვნების დოკუმენტი. სისტემა შემუშავებულია და გაშვებულია რეალურ რეჟიმში, მიმდინარეობს დამატებითი მოთხოვნების ჩამოყალიბების პროცესი;
- დასრულდა ტექნიკური სამუშაოები სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“ სერვისის – „ნასამართლობის ცნობა“ – რეალიზებისთვის. სერვისის მოქალაქის პორტალზე განთავსების შედეგად, მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ელექტრონულად მიიღონ ცნობა ნასამართლობის შესახებ;

- გაეშვა სსიპ „იუსტიციის სახლის“ ოპერატორების საერთო სამუშაო სისტემის სერვისი. მიმდინარეობდა სამუშაოები ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ეკომიგრანტების სერვისების რეალიზებაზე, ასევე, ნასამართლეობის ცნობის სერვისის ინტეგრაცია იუსტიციის სახლის სისტემაში. დამზადდა ნასამართლობის ცნობის სერვისის ბიზნესანალიზის დოკუმენტი;
- შეიქმნა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლოკაციების აპლიკაცია ანდროიდის ოპერაციული სისტემისთვის;
- „Microsoft Datazen“-ის ბაზაზე შეიქმნა შიდა სტატისტიკის სისტემა, რომელიც აგენერირებს ღია მონაცემების პორტალის დატვირთვის, გამოყენების, რესურსების ჩამოტვირთვისა და სხვა ინფორმაციას. სისტემას დაემატა სტატისტიკური მონაცემები „my.gov.ge“-ს შესახებ;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ერთიანი ელექტრონული და მიღებული დეკლარაციების მონიტორინგის სისტემები გაეშვა რეალურ რეჟიმში;
- სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფრასტრუქტურაში დაინტეგრირდა სსიპ „საქპატენტის“ სერვისები და მიმდინარეობდა მუშაობა ამ სერვისების მოქალაქის პორტალზე გამოსატანად;
- „MY.GOV.GE“-ს ორგანიზაციის პროფილში რეალიზებულია გარემოს დაცვის ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიების, ნებართვებისა და ანგარიშგების სერვისები;
- ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტებისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დადგენის სერვისების ფუნქციონალური მოთხოვნების დაზუსტებული დოკუმენტები. მიმდინარეობდა სერვისების ტექნიკური რეალიზაციის პროცესი, შეიცვალა მოქალაქის რეგისტრაციის მისამართის ცვლილების პროცედურა;
- მოქალაქის პორტალზე ინტეგრირდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ჯანდაცვის სერვისები; დასრულდა სამუშაოები სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთვის“ ლექსიკონის სისტემის ფუნქციონალური დოკუმენტის შექმნისთვის და მოხდა მისი რეალიზაცია;
- “NATO”-ს მეცნიერებისა და მშვიდობის პროექტის ფარგლებში ქალაქ ანკარაში სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) ჩაატარა ტრენინგი 15 აზერბაიჯანელი სპეციალისტისთვის ქსელის და სისტემური ადმინისტრატორების დარგში.
- განხორციელდა შეღწევადობის ტესტირება სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის“ და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებგვერდებზე;
- კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფმა (CERT.GOV.GE) სატესტო რეჟიმში გაუშვა “HoneyPot” სისტემები ჯგუფის სერვერულ ინფრასტრუქტურაში. სისტემის მიზანია ინფორმაციულ სისტემებზე არაავტორიზებული წვდომის აღმოჩენა და შეზღუდვა;
- კიბერკლასის პროექტის ფარგლებში შეიქმნა 7-კვირიანი პროგრამა სტუდენტებისთვის, რომელიც მოიცავდა ლაბორატორიულ სამუშაოებს და პრეზენტაციებს. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა მიიღო 18-მა სტუდენტმა. კიბერკლასის გავლის შედეგად სტუდენტებმა მოახდინეს მავნე კოდის ანალიზი, ლოგფაილების ანალიზი, ქსელური ნაკადის ანალიზი, ვებაპლიკაციების შეღწევადობის ტესტირება, კომპიუტერის ექსპერტიზა, სერვერების სერვისების სკანირება და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- წარმატებით ჩატარდა „Cyber Exe 2016“, სადაც მონაწილეობა მიიიღო 19-მა გუნდმა როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორიდან. „Cyber Exe“-თვის სპეციალურად შეიქმნა 30-ზე მეტი სავარჯიშო 90-მდე კითხვით;

  სწრაფი დახმარების ჯგუფის მიერ (CERT.GOV.GE) საიტებზე მონიტორინგი ხორციელდება კომპანია “Cisco”-ს მიერ შემუშავებული პროგრამით, “Malspider”-ით. იგი ამჟამად სატესტო რეჟიმში მუშაობს და მისი დახმარებით მოხდება სამთავრობო, საბანკო და საინფორმაციო სექტორების დომენების, ასევე, სხვა პოპულარული ქართული ვებგვერდების მონიტორინგი.

6.12 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:
პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

- ინსპექტორის აპარატის მიერ განხორციელდა საჯარო და კერძო პირების კონსულტირება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. საანგარიშო პერიოდში გაიცა 3 840 კონსულტაცია;
- ინსპექტორის აპარატმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის თემაზე გამართა 37 ტრენინგი და საჯარო ლექცია 1200-ზე მეტი საჯარო და კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლის მონაწილეობით;
- ჩატარდა 87 ინსპექტირება. ინსპექტირებების შედეგად გამოვლინდა 221 სამართალდარღვევის აქედან, 63 შემთხვევაში ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა, გაფრთხილება მიეცა 35-ს, 47 შემთხვევაში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ განხორციელდა. საჯარო და კერძო ორგანიზაციებს დაევალათ მონაცემთა დაცვის უზრუნველსაყოფად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარება და ამ მიზნით გაიცა 202 მითითება და რეკომენდაცია;
- ინსპექტორმა განიხილა და რეკომენდაციები მოამზადა 21 საერთაშორისო შეთანხმების პროექტზე; განახორციელა პერსონალური მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის საკითხის შეფასება თურქეთსა და 3 საერთაშორისო ორგანიზაციაში; განიხილა 5 განცხადება სხვა სახელმწიფოში და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის მონაცემების გადაცემის შესახებ;
- განხილულ იქნა და რეაგირება განხორციელდა 216 მოქალაქის განცხადებაზე;
- ფაილურ სისტემათა კატალოგების ელექტრონულ რეესტრში შეტანილია საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ფაილური სისტემის კატალოგები, უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა;
- მოამზადა და გავრცელა რეკომენდაციები სკოლებისა და მშობლებისთვის მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის, ონლაინ შესყიდვების უსაფრთხოების, ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების და თაღლითური აპლიკაციებისგან თავდაცვის შესახებ, ასევე ვიდეორგოლები წინასაარჩევნოდ პირადი მონაცემების შეგროვებასთან და პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით. შეიქმნა ინტერაქტიური ტესტი (ინტერნეტ-უსაფრთხოების ინდექსის გამოსათვლელად) და მობილური აპლიკაცია (inspect 2) რომელიც გაუადვილებს მოქალაქეებს ინსპექტორისათვის მონაცემების არაკანონიერი გამოყენების ან სხვა დარღვევის შესახებ შეტყობინების გაგზავნას;
- საანგარიშო პერიოდში სისტემურად მიმდინარეობდა ინფორმაციის განთავსება აპარატის ვებ-გვერდზე: www.personaldata.ge და სოციალურ ქსელებში. ვებ-გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ შეადგინა 30 167 პირი;
- ინსპექტორის მიერ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წარედგინა ანგარიში 2015 წელს ქვეყანაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მდგომარეობის შესახებ;
- კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და მონაცემთა ბანკებში განხორციელებულ აქტივობებზე ზედამხედველობა;

- ინსპექტორის აპარატმა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით შეისწავლა საქართველოს კანონის პროექტები და სხვა სამართლებრივი აქტები.

6.13. მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- განისაზღვრა 12 დასახლება, რომლებშიც განხორციელდება საპილოტო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაცია: კარალეთი (გორის მუნიციპალიტეტი), ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), არბოშიკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), არხილოსკალო (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი), მანგლისი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), ზარიძეები (თიანეთის მუნიციპალიტეტი), ვედიდკარი (მარტვილის მუნიციპალიტეტი), ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი), საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მზისგული (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი);
- შემუშავდა მსოფლიო ბანკის პროცედურებით გათვალისწინებული ფინანსური სახელმძღვანელო და დაინერგა ფინანსური აღრიცხვის სისტემა. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზე, მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსების ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხების ჩარიცხვის პირობები ჩაითვალა შესრულებულად;

  მსოფლიო ბანკის პროცედურების შესაბამისად, შერჩეულ იქნა საერთაშორისო კონსულტანტი, რომელმაც მიწის ნაკვეთებზე სისტემური რეგისტრაციის მიზნით პრაქტიკული სამუშაოების განსახორციელებლად შეიმუშავა შემდეგი დოკუმენტები: „მიწის საპილოტო რეგისტრაციის სახელმძღვანელო (Guideline)“, რომელიც განსაზღვრავს საპილოტო არეალებში სისტემური რეგისტრაციის წარმოების პრინციპებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს (სახელმძღვანელო საჭიროებს მსოფლიო ბანკთან შეთანხმებას); „საველე-ტექნიკური სპეციფიკაციის სახელმძღვანელო“, რომელიც უზრუნველყოფს საველე აზომვითი/აგეგმვითი სამუშაოების საფუძველზე საკადასტრო მონაცემების მაღალი სიზუსტით შექმნის, შეგროვების, წარმოებისა და გამოქვეყნების წესს; „ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო“, რომელიც უზრუნველყოფს საველე სამუშაოებისა და რეგისტრაციის ხარისხის დონის შეფასებას და კონტროლის ეფექტური მეთოდების შემუშავებას.

6.14. იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

- გაიხსნა და სრული დატვირთვით ფუნქციონირებს იუსტიციის სახლის დამატებით 3 ფილიალი ბორჯომში, ლაგოდეხსა და ონში;
- შემუშავდა და დაიხვეწა სსიპ „იუსტიციის სახლის“ მომსახურების ხარისხის სტანდარტები:
  - ✓ განხორციელდა მომსახურების ხარისხის სტანდარტის გადახედვა/დამუშავება მისი გაუმჯობესების მიზნით; სტანდარტის ამსახველ დოკუმენტში მოცემულია როგორც იუსტიციის სახლის ფილიალების, ისე სატელეფონო ცენტრის მომსახურების სტანდარტები. შედეგად, შემუშავდა მომსახურების ხარისხის სტანდარტის განახლებული პროექტი;

- ✓ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან შეთანხმებით დამტკიცდა სსიპ „იუსტიციის სახლის“ საქმეთა ნაერთი ნომენკლატურა 2016-2017 წლებისთვის.

- დაიგეგმა იუსტიციის სახლის ფილიალებში შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს სერვისების გადმოტანა (ცნობა ნასამართლობის შესახებ და დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია – გადმოტანა);
- დაინერგა შემოსავლების სამსახურის შემდეგი სერვისები: საგადასახადო დავალიანების შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, საბანკო ანგარიშების შესახებ ცნობის გაცემის თაობაზე, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ, გადამხდელის ელ. სერვისების აქტივაციის შესახებ, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მინიჭება, ელ. სერვისების მომხმარებლის პაროლის აღდგენის შესახებ, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსში ობიექტის მისამართის ცვლილება, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსში ობიექტის რაოდენობის ცვლილება, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის შეჩერება/განახლება. მიმდინარეობდა მუშაობა შემოსავლების სამსახურის სხვა სერვისების იუსტიციის სახლში დანერგვასთან დაკავშირებით. ამ სერვისების ჩამონათვალი ჩამოყალიბდება კვლევის შედეგად, მომხმარებლების მოთხოვნების იდენტიფიცირების შემდგომ;
- დაიგეგმა იუსტიციის სახლის მომსახურების სფეროში ახალი კურსის განვითარება – „საშუამავლო მიმართულება“. კერძოდ, იუსტიციის სახლი აპირებს, მომხმარებლებს შესთავაზოს ახალი სერვისი, რომლის მეშვეობითაც, მათ აღარ მოუწევთ რამდენიმე სხვადასხვა დაწესებულებაში ამა თუ იმ დოკუმენტზე განცხადების ჩაბარება და შემდეგ მზა დოკუმენტის აღება. იუსტიციის სახლს აქვს ინიციატივა, მომხმარებლის სახელით გამოითხოვოს საქმის წარმოებისთვის აუცილებელი ყველა დოკუმენტი;
- „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან კომუნიკაციის“ ტრენინგი ჩაუტარდა სსიპ „იუსტიციის სახლის“ თანამშრომელთა 20 ჯგუფს; მომზადდა ქალაქ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის იუსტიციის სახლების უსინათლო და მცირემხედველი პირების მოთხოვნებზე ადაპტირების პროექტი. პროექტის განხორციელების მიზნით თბილისის იუსტიციის სახლში დასრულდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები;
- იუსტიციის სახლის ყველა ფილიალის 50 თანამშრომელს ჩაუტარდა პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი საჭიროების შემთხვევაში მომსახურების დარბაზში მყოფი მომხმარებლებისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევის მიზნით;
- „ჯასთდრაივის“ გამართული მუშაობისთვის დაიგეგმა და მიმდინარეობდა ბიზნესპროცესის ცვლილება;
- დაინერგა მომხმარებლის უკუკავშირზე რეაგირების წესი და პროცესი ამოქმედდა იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში (მომხმარებლის უკუკავშირის აღრიცხვა, აღწერა, საჭიროების შემთხვევაში, მომხმარებელთან დაკავშირება და მათი უკმაყოფილების აღმოფხვრაზე ზრუნვა). ჩატარდა პროგრამული უზრუნველყოფის განახლების წინამოსამზადებელი სამუშაოები;
- იუსტიციის სახლის ფილიალების თანამშრომელთა 6 ჯგუფს (90 თანამშრომელი) ჩაუტარდა „ეფექტიანი კომუნიკაციისა და მომსახურების“ ტრენინგი; განხორციელდა მისტიური მომხმარებლის პირველი ტალღის შედეგების თანამშრომლებისთვის ინდივიდუალურად გაცნობა და რეკომენდაციების გაცემა. დასრულდა მისტიური მომხმარებლის კვლევის მეორე ტალღა; ჩატარდა ტრენინგები თემებზე: „ზოგადი მენეჯმენტი“, „ტრენერთა ტრენინგი“, „მენეჯმენტი მომსახურების სფეროში“ ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების (ფილიალები) თანამშრომლების პროფესიული გადამზადების მიზნით; ფილიალებისა და სატელეფონო ცენტრის თანამშრომელთა 26 ჯგუფს (სულ 415 თანამშრომელი) ჩაუტარდა სპეციალურად იუსტიციის სახლისათვის შემუშავებული სრულიად ახალი ტრენინგპროგრამა „თვითმენეჯმენტი“;

- შემუშავდა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროექტი იუსტიციის სახლის ახალი სერვისის – „სამოგზაურო დაზღვევის“ შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა სხვადასხვა პერიოდულობით როგორც ელექტრონულ მედიაში, ისე იუსტიციის სახლის ინტერნეტრესურსებზე შესაბამისი აქტივობების განხორციელებით;
- შეიქმნა და დამუშავდა იუსტიციის სახლისათვის ბრენდირებული პროდუქციით უზრუნველყოფის პროექტი. დამზადდა იუსტიციის სახლის პროდუქტების შესახებ 19 სახის საინფორმაციო ბეჭდური მასალა, 60-ზე მეტი საინფორმაციო ბანერი ონლაინმედიისთვის;
- განხორციელდა პირადობის ელექტრონული მოწმობის გაცემაზე მიმდინარე აქციის პიარკამპანია. იუსტიციის სახლის წინა ხაზის საშუალებით მიმდინარეობდა ევროპაში უვიზო მიმოსვლის საინფორმაციო კამპანია; ჩატარდა კონფერენცია სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართულობით იუსტიციის სახლის სერვისების მიწოდების არხების გაფართოების მიზნით. სრულად განახლდა იუსტიციის სახლის საიმიჯო ბროშურა. დასრულდა და გაეშვა პროექტი „კეთილი იყოს შენი მობრძანება“;
- მომზადდა და დასრულდა ბორჯომის იუსტიციის სახლის მოწყობის მარკეტინგულ მხარეზე მუშაობა (მოდულარული კედლების, მთავარი ლოგოტიპის, სხვადასხვა აქსესუარის დიზაინის შემუშავება და განთავსება);
- თბილისის იუსტიციის სახლის 0 სართულზე შესრულდა დაზიანებული იატაკის მოსაპირკეთებელი სამუშაოები კერამოგრანიტის ფილებით; ყვარლის ფილიალის საძირკვლის მონაკვეთზე ჩატარდა ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები; შესრულდა გორის ფილიალის დანადგარების შემოსაღობად კედლის ამოშენების სამუშაოები. თბილისის ფილიალისთვის გაგრილების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის შეძენილ იქნა წყლის საქაჩი ტუმბო. ასევე, გურჯაანის ფილიალისთვის შეძენილ იქნა ჩილერის აგრეგატი. რუსთავის ფილიალში ჩატარდა სამღებრო სამუშაოები. ბათუმის ფილიალში დამონტაჟდა დაზიანებული ფანკოილის ძრავები. თბილისის, გორის, ქუთაისის, ახალციხის, მარნეულის და ოზურგეთის ფილიალებში შეიცვალა დაზიანებული მინაპაკეტები. ოზურგეთის ფილიალში ჩატარდა კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები. გურჯაანის ფილიალის „UPS“-თვის შეძენილ იქნა მართვის დაფა. თბილისის, თელავის, მარნეულის, ფილიალებში განხორციელდა ვიტრაჟების დაბურვის სამუშაოები. თელავის ფილიალში გარემონტდა მინუს სართულზე არსებული ტექდანიშნულების ოთახები. თელავის ფილიალში გარემონტდა მინუს სართულზე არსებული პარკინგი. ლაგოდეხის ფილიალისთვის შესყიდულ იქნა წყლის ავზების მოწყობის და შენობის ქსელში წყლის მიწოდების სისტემის მოწყობის სამუშაოები. ქუთაისის ფილიალში განხორციელდა სახურავის ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები.

6.15. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სმართ ლოჯიქი

- მიმდინარეობდა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა. სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით სსიპ „სმართ ლოჯიქის“ მომსახურების მიმღები ორგანიზაციების რიცხვს დაემატა 9 ახალი ორგანიზაცია;
- გაფორმდა ხელშეკრულება 36 ორგანიზაციასთან სრული IT სერვისების მიწოდების კუთხით, აქედან პირველადი დანერგვა განხორციელდა 6 გამგეობაში (ზუგდიდი, აბაშა, მარტვილი, ყაზბეგი, დუშეთი, კასპი). სერვისი გაეშვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების“ სააგენტოში და მოხდა ბორჯომის იუსტიციის სახლის ჩართვა. გაფორმდა ხელშეკრულება სრულ IT მომსახურებაზე სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების

სააგენტოსთან“ და ქსელური ჩართვის სერვისის ხელშეკრულება - სს „ლიბერთი ბანკის“ 4 რეგიონულ ფილიალზე. კონტრაქტი დაიდო სასერვერო ინფრასტრუქტურის კოლოკაციის მომსახურებაზე შპს „ჯიპორტთან“. გარდა სრული სერვისისა, გაფორმდა ხელშეკრულებები ვებგვერდების ჰოსტინგის და ელფოსტის სერვისის მიმართულებით; დასრულდა იუსტიციის მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ-ების მიგრაცია სსიპ „სმართ ლოჯიქის“ ახალ ცენტრალიზებულ დომენში;

- ახალი ტიპის ინტერნეტფილტრაციის სერვისი დაინერგა და გაეშვა შემდეგ ორგანიზაციებში: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო“, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს მთავარი პროკურატურა და სსიპ „სმართ ლოჯიქის“ სისტემაში ჩართული ყველა გამგეობა;
- ერთიანი სახელმწიფო ქლაუდის (ღრუბლოვანი ტექნოლოგიის) პროექტის ფარგლებში წარმატებით დასრულდა სისტემის ტესტირება. სისტემა ფუნქციონირებს გამართულად და მზადყოფნაშია ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის სერვისის რეალიზაციისთვის;
- სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით დაიწყო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორმხრივი ურთიერთობების პორტალის მეორე ვერსიის შექმნის პროექტი, შეთანხმდა დამკვეთთან ამოცანა, დაიწერა და ჩაბარდა პროგრამის ძირითადი ფუნქციონალი. დაიწერა ამოცანა აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმისწარმოების პროგრამის მეორე ვერსიაზე. დაიწერა და ჩაბარდა დამკვეთს პრევენციის პროგრამის მეორე ვერსია. რუსთავის მერიისთვის შეიქმნა მოსახლეობასთან დახვეწილი კომუნიკაციისთვის SMS მესიჯების გაგზავნის პროგრამა; სისხლის სამართლის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში შეიქმნა ახალი ქმედებები კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად. სისხლის სამართლის წარმოების ელექტრონულ პროგრამის V2-ის შექმნის მიზნით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, დაიწერა შესაბამისი ამოცანა.

6.16 სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (პროგრამული კოდი - 50 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო

• ბიუროს მიერ შემუშავებული ნორმატიული აქტების პროექტები ფართო საზოგადოებისათვის წარდგენილ იქნა 2016 წლის აგვისტო-სექტემბერში. საჯარო განხილვების ფარგლებში მოეწყო 8 სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, როგორც სამინისტროების იურიდიული დეპარტამენტების, ასევე ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების თანამშრომლებმა, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების წარმომადგენლებმა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოდან, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლებმა, აკადემიური სექტორის, არასამთავრობო, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების დაინტერესებულმა პირებმა.

• მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონით გათალისწინებული სერტიფიცირების პროცესის სრულყოფილად მომზადებისა და დანერგვის მიმართულებით.

• ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) მხარდაჭერით, შემუშავდა და განისაზღვრა სერტიფიცირების თემატიკა, რაც აისახა თავად „პროფესიულ საჯარო მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარების წესის, სტანდარტისა და თემატიკის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში. UNDP -ის გრანტის ფარგლებში, აღნიშნული თემატიკის შესაბამისად

მომზადდა სერტიფიცირებისათვის ტესტების ბანკი 1000 ტესტის შემადგენლობით. ტესტების შექმნის პარალელურად ბიურომ დაიწყო მუშაობა იმ ელექტრონული პროგრამის მომზადებაზე, რომელიც უზრუნველყოფს, სამომავლოდ, სასერტიფიკაციო გამოცდის გამართულად და ობიექტურად წარმართვას. შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ანალიტიკური სამსახურის მიერ განახლდა ელექტრონული პროგრამა, რომლის გამოყენებითაც ჩატარდება სერტიფიცირების ტესტირება. ელექტრონული პროგრამის კოდი, USAID-ის თანხმობით, ბიუროს გადაეცა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ. სერტიფიცირების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად UNDP-ის დახმარებით დამზადდა ორი ვიდეო რგოლი.

• ბიუროს ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT).

• საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელებისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის ამოქმედებისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით, ბიურო ახორციელებდა ცენტრალური საჯარო დაწესებულების ფუნქციურ და ინსტიტუციურ ანალიზს. ინსტიტუციური ანალიზის სამიზნე სეგმენტად, მთავრობის დადგენილების შესაბამისად განისაზღვრა ცენტრალური საჯარო დაწესებულებები - სამინისტროები, მათ სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ერთად. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა 10 სამინისტროს, მათ შორის, სახელმწიფო მინისტრის აპარატების პირველადი ანალიზი და მომზადდა შესაბამისი ანგარიშები.

• 2016 წლის იანვარსა და აპრილში, საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით ორ ეტაპად ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. ტრენინგის ფარგლებში საჯარო მოხელეთა აკადემიის (dbb Academy) ექსპერტის მიერ გადამზადნენ ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენელები, რომლებიც შემდგომ თავად ჩაატარებენ ტრენინგს საჯარო დაწესებულებების მენეჯერებისათვის შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის წარმატებით დანერგვის მიზნით.

• USAID-ის პროექტ „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის“ (GGI) მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა შეფასების სისტემის ტრენინგის მოდული საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანური რესურსების მართვის სფეროს წარმომადგენლებისა და შეფასების პროექტში ჩართული მენეჯერებისათვის.

• ბიუროს ინიციატივით ჩატარდა სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს აღწერილობების ტრენინგების ციკლი ადგილობრივი თვითმმართველობებისა და სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების წარმომადგენლებისათვის.

• საანგარიშო პერიოდში განახლდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდი www.hr.gov.ge, სადაც ხდება ყველა საჯარო დაწესებულების მიერ გამოცხადებული ვაკანსიების განაცხადების განთავსება. სისტემას ორგანიზაციის მხარეს დაემატა კონკურსის შედეგების მართვის ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც ორგანიზაციები, რომლებიც კონკურსის შედეგებს აწვდიდნენ საჯარო სამსახურის ბიუროს, წერილობითი სახით, ამ მონაცემებს უკვე www.hr.gov.ge-ზე განათავსებენ.

• საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1425-მა სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა, რომლებმაც სტაჟირება გაიარეს საჯარო უწყებებში (სამინისტროები, სსიპ-ები, თვითმმართველობები, სასამართლოები).

• საჯარო სამსახურის ბიურო საჯარო სამსახურის რეფორმის საკითხებთან ერთად აქტიურად არის ჩართული ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკის მხარდაჭერაში. ბიუროს მანდატი მოიცავს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების შეგროვებასა და მათი საჯაროობის უზრუნველყოფას, ასევე საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის, კორუფციისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებას.

• ბიუროს მიერ მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ და „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლის თანახმადაც დეკლარაციების მონიტორინგის მიზნებისათვის ბიურო შეძლებს მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულებებში დაცული შესაბამისი ელექტრონული ბაზებიდან.

• „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, 2016 წლის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად მუშაობდა დეკლარაციების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის განვითარებაზე, რომელიც დასრულდა საანგარიშო წლის დეკემბერში და ამჟამად, მიმდინარეობს შემუშავებული ელექტრონული პროგრამის ტესტირება.

• საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში, ბიუროს მიერ შემუშავდა „საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების“ შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი ეთიკის კოდექსზე მუშაობის პროცესში მოეწყო 5 საჯარო განხილვა, რომლებსაც ესწრებოდნენ საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების, შიდა აუდიტისა და იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენლები, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ასევე, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნულ საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნებისა და კომენტარების უმეტესი ნაწილი გაზიარებულ და ასახულ იქნა ეთიკის კოდექსის პროექტის საბოლოო ვერსიაში.

• 2016 წლის განმავლობაში, ეთიკისა და მამხილებელთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადამზადდა 660 საჯარო მოხელე, რომელთაგან უმეტესობას (65%) ქალები წარმოადგენდნენ. ტრენინგის თითოეულ მონაწილეს გადაეცა, ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების შესახებ სახელმძღვანელოს განახლებული ვერსია.

6.17 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

- საანგარიშო პერიოდში ლიცენზირებულია 14 სადაზღვევო კომპანია, რომელთაგან 13 სადაზღვევო კომპანია ფლობს სიცოცხლის დაზღვევის და დაზღვევის (არა სიცოცხლისა) ლიცენზიებს, ხოლო 1 სადაზღვევო კომპანია მხოლოდ დაზღვევის (არა სიცოცხლისა) სახის

ლიცენზიას. დეკემბერში სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია გაიცა სს „სადაზღვევო კომპანია კოპერგბურგზე“, რომელიც ბაზარზე ოპერიებს შეცვლილი საფირომ სახელწოდებით სს „თიბისი დაზღვევა“;

- საანგარიშო პერიოდში რეგისტირერებულია 20 სადაზღვევო ბროკერი;
- განხორციელდა 4 არასახელმწიფო საპენსიო სქემის რეგისტრაცია, რომელთაგანაც 3 სქემის დამფუძნებელს წარმოადგენს სადაზღვევო კომპანია, ხოლო ერთი სქემა დაფუძნებულია არამზღვეველი იურიდიული პირის მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის;
- განხორციელდა სადაზღვევო სფეროში მომხამრებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით კვლევა/ანალიზი (მიმართვიანობის სახეობების, წლების, დაზღვეულდა სტატუსების დასრულების შედეგებისა და სხვა მიხედვით). სადაზღვევო საქმიანობის ზედამხედველობაში ბაზრის (ბიზნეს ქცევის) მიმართულებით შემუშავდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი (სამსახურის რეკომენდაციას

6.18 საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

- მიმდინარეობდა ინტენსიური სასწავლო პროგრამა „საარჩევნო სამართლის დარგში“ 10 სასწავლო უნივერსიტეტში;
- საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, განხორციელდა სასწავლო პროგრამა „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი კურსი“. საოლქო საარჩევნო კომისიების ახალი წევრებისათვის. მონაწილეთა რაოდენობა: 63 საოლქო საარჩევნო კომისიის 144 წევრი;
- ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT), გადამზადება გაიარა 72 ტრენერმა, რომლებმაც სასწავლო კურსი ჩაუტარეს 21 მუნიციპალიტეტში განლაგებულ 73 საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეებს (კურსი გაიარა 1 235 მოსწავლემ) და ასევე, ჩატარდა „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ მაღალმთიან და ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ 22 მუნიციპალიტეტში (კურსი გაიარა 804 მონაწილემ);
- გამოცხადდა საგრანტო კონკურსი შემდეგ მიმართულებაზე - პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა 2016 წლის ოქტომბერში გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის და დაფინანსდა 9 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელებიც ქვეყნის მასშტაბით (73 საარჩევნო ოლქში) უზრუნველყოფენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შემდეგ მოდულებზე:

  ✓ არჩევნებში ჩართული მხარეები, მათი უფლებამოსილება და საარჩევნო ეთიკა;
  ✓ გუნდური მუშაობა, დროის მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება;
  ✓ კონფლიქტების მართვა, საარჩევნო დავები, სტანდარტები და საუკეთესო პრაქტიკა;
  ✓ წინასაარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები.

6.20 სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

- წლის განმავლობაში ინსტიტუტის სერტიფიცირებისა და ტრენინგების სამსახურის მიერ შემუშავდა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით განხორციელდა შემდეგი ტრენინგ - პროგრამები: სახელმწიფო შესყიდვების, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესი და მისი სამართლებრივი რეგულირების, ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შევსების, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების პროგრამული უზრუნველყოფის, შიდა და ეფექტიანობის აუდიტის შესახებ;
- ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო და გადამზადდა 200 მსმენელი, მათ შორის 48 საჯარო სექტორში დასაქმებული მოხელე;
- საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების მიმართულებით განხორციელდა 8 პროექტი, მათ შორის სამჯერ, საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების გაწევის მსურველ პირთა სერტიფიცირების პროცესი (კურსს დაესწრო 41 სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშრომელი).

7. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

7.1. განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

- ხორციელდებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახების გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად:
  - ✓ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილი იქნა საცხოვრებელი სახლები, ასევე მენაშენეებისაგან და ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ ახლადაშენებულ კორპუსებში - საცხოვრებელი ბინები;
  - ✓ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და გადაყვანილ იქნა დევნილთა ოჯახები;
  - ✓ განხორციელდა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოსყიდვა;
  - ✓ მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ფულადი დახმარება;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა;
- მიმდინარეობდა სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების ობიექტების შესწავლა/რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით - დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;
- ფულადი დახმარება გაეწია იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც ჰქონდათ იპოთეკური ვალდებულებები (ოჯახზე 20.0 ათასი ლარის ფარგლებში, ირიცხებოდა შესაბამის ბანკში).

7.2. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

- სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში შეძენილ იქნა 94 საცხოვრებელი სახლი;
- „მობილურობის ცენტრის“ მიერ გაწეული მომსახურების ფარგლებში:
  - ✓ 39 ბენეფიციარს აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოფილ იქნენ მედიკამენტებით;
  - ✓ 15 ბენეფიციარს დაუფინანსდა პროფესიული სწავლება;
  - ✓ 40 დაბრუნებულმა მიგრანტმა მიიღო მცირე ბიზნეს-გრანტი, თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით საჭირო ხელსაწყოებით უზრუნველყოფილი იქნა 44 ბენეფიციარი, ხოლო ბიზნეს-ტრენინგი გაიარა 47 ბენეფიციარმა;
  - ✓ 8 ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნა დროებითი საცხოვრებლით და 129 დაბრუნებულ მიგრანტს გაუუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები.
- „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში 6 არასამთავრობო ორგანიზაციაზე გაიცა გრანტები 14 მიმართულებით (სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების დაფინანსება, პროფესიული სწავლება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა, საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა, იურიდიულ დახმარება და საზოგადოების ინფორმირებულობის პროგრამები) ქ. თბილისსა და საქართველოს 5 რეგიონში;
- ხორციელდებოდა ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მაძიებელთა აპლიკაციების განხილვა. საანგარიშო პერიოდში აპლიკაციების განხილვის შედეგად ჰუმანიტარული სტატუსი მიენიჭა 203 პირს, ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 48 პირს, ხოლო თავშესაფრის (ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსი) მინიჭებაზე უარი განეცხადა 332 პირს. საქმის წარმოება პირადი განცხადების საფუძველზე შეწყდა 403 პირზე, ხოლო პროცედურებზე გამოუცხადებლობის გამო - 265 პირზე;

7.3. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 22 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მართავდა ინტენსიურ შეხვედრებს და მჭიდროდ თანამშრომლობდა პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან. ასევე, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის ეუთოს, ევროსაბჭოს და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან;
- ჩატარდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 34-ე რაუნდი. ჰუმანიტარული საკითხების თაობაზე ჟენევის დისკუსიების მეორე სამუშაო ჯგუფში რეგულარულად განიხილებოდა გამყოფ ხაზებზე რუსი სამხედროების მიერ ხელოვნური ბარიკადების აღმართვის შედეგად მოსახლეობისათვის წარმოქმნილი მძიმე ჰუმანიტარული და სოციალური გამოწვევები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, მათ შორის, აღდგომის დღესასწაულის განმავლობაში თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის აუცილებლობის, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ადამიანის უფლებების, მათ შორის განსაკუთრებით გალის მოსახლეობის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტები, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში უსაფრთხო, ღირსეული და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და სხვა ჰუმანიტარული საკითხები;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა ევროინტეგრაციის საკითხთა ინფორმაციისა და კომუნიკაციის შესახებ მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიითა და 2016 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებს;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და სახელმწიფო უწყებათაშორისმა კომისიამ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის“ შესრულების ანგარიში წარუდგინეს;
- ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ფორმატში განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განხორციელებული ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხები. ასევე, (IPRM) ფორმატში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების სამმხრივი ფორმატის აღდგენის თაობაზე;
- აპარატი აქტიურად იყო ჩართული რუსეთის ე.წ. სასაზღვრო ძალების მიერ მავთულხლართების გავლებისა და ღობეების აღმართვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარებისა და საერთაშორისო რეაგირების მობილიზებაში, მონაწილეობა იქნა მიღებული „კონფლიქტით დაზარალებული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების“ სტრატეგიის მომზადებაში;
- შემუშავდა ქართული მხარის ხედვები ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აფხაზური და ოსური საზოგადოებისათვის შესათავაზებელი შესაძლო სარგებლისა და შესაძლებლობების შესახებ;
- ქ. ბათუმსა და ქ. გორში გაიმართა მულტიეთნიკური ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ - კულტურა დიალოგი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებმა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა;
- გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების კომიტეტის მეორე სხდომა, რომლის ფარგლებშიც მიწოდებულ იქნა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული პრობლემების შესახებ, ყურადღება გამახვილდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების

მიმდინარეობაზე. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით გატარებულ ღონისძიებებს;

- ახალციხესა და მარნეულში გაიმართა ცნობიერების ამაღლების/საინფორმაციო შეხვედრები განათლების სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. ასევე, ქ. ახალქალაქში გაიმართა შეხვედრა ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, თემის ლიდერებთან, მედიის წარმომადგენლებთან სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ;
- ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გამართულ იქნა პრეზენტაციები, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ სამოქმედო გეგმის თაობაზე, მუნიციპალიტეტების სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად განხორციელდა: ქართველი და ოსი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების შეხვედრა ვენეციაში კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის სემინარში მონაწილეობის მისაღებად; ქართველი და აფხაზი კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტების შეხვედრა სარაევოში, სადაც მოხდა საარქივო მასალების გადაცემა და აფხაზეთის რეგიონში ვიზიტის დაგეგმვა; ქართველი და აფხაზი ახალგაზრდა ექსპერტების სასწავლო ვიზიტი სტრასბურგში კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის საკითხებზე;
- ლონდონში სახელმწიფო მინისტრის მონაწილეობით, გაიმართა შეხვედრა-დიალოგი, რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსა და სამშვიდობო პროცესს მიეძღვნა;
- გაიმართა სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის გასვლითი სხდომა დუისსა და პანკისის ხეობაში;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, საგარეჯოს რაიონის აზერბაიჯანულ მოსახლეობასთან გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ, სადაც ადგილობრივ ფერმერებს ევროინტეგრაციის პროცესში სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქვეყანაში მიმდინარე სიახლეების შესახებ მიეწოდათ ინფორმაცია;
- გაიმართა ვიზიტი ქ. ბრიუსელში ევროკავშირთან პოლიტიკურ კონსულტაციებში მონაწილეობის მიღების მიზნით.

7.4 დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

- განხორციელდა დევნილთა ჩართვა სასოფლო-სამეურნეო პროგრამებით დადგენილ ღონისძიებებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ინფორმირება მოთხოვნად პროფესიებზე, დევნილთა რეგისტრაცია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში და მიეწოდათ ინფორმაცია მათი კვალიფიკაციის შესაბამისი ვაკანტური პოზიციის შესახებ;
- დევნილთა დასაქმების მიზნით, განხორციელდა შეხვედრები საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენელ ორგანიზაციებთან;
- დამტკიცდა „დევნილთათვის საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგიის განხორციელების 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა“.
- შემუშავდა „დევნილთა საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისკენ მიმართული ინიციატივების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა“. საგრანტო კონკურსი გამოცხადდა სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებში. გამოვლინდა გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაციები და დაიწყო პროექტების განხორციელება;

- მიმდინარეობდა დევნილთა რეგისტრაცია სამუშაოს მაძიებელთა ერთიან ბაზაში. საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა 141 დევნილი, რომელთაგან 75 (53%) ქალია.
- ცხელი ხაზის, მისაღები ცენტრის და რეგიონალური სამსახურების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგები საარსებო წყაროების პროგრამების შესახებ;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ერთად განხორციელდა საველე ვიზიტები დევნილთა ჩასახლებაში.

7.5. იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- მიმდინარეობდა, როგორც 2016 წლამდე პერიოდში დაწყებული პროექტების, ასევე 2016 წლის განმავლობაში დაწყებული ახალი პროექტების განხორციელება, რაც ემსახურებოდა საქართველოს რეგიონებში დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, კომპაქტური ჩასახლების ადგილებში ინფრასტრუქტურისა და ბინების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ბინების მშენებლობა-რეაბილიტაციას და ა.შ. აღნიშნული პროექტების დაფინანსება ხორციელდებოდა გერმანიის საინვესტიციო ბანკის (KfW), აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან.

7.5.1 იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KfW) (პროგრამული კოდი - 25 05 01)

- იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შეძენილ იქნა 72 საცხოვრებელი სახლი;
- სოციალურ-ეკონომიკური კომპონენტის ფარგლებში, აღიჭურვა იძულებით გადაადგილებული პირებისაგან დაარსებული ასოციაციები (აშენებული და რეაბილიტირებული საცხოვრებელი ფართების მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ხელსაწყოები/ინსტრუმენტები და მასალები);
- გატარდა ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციისათვის.

7.5.2 ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID) (პროგრამული კოდი - 25 05 02)

- დასრულდა ქ. ქუთაისის ყოფილი საავადმყოფოს შენობის რეაბილიტაცია, იძულებით გადაადგილებული პირების ბინების მოსაწყობად და ჭყონდიდელის ქ. N5-ში იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი კორპუსის გარე ჰიდრო და თბოიზოლაციის მოწყობა;
- დასრულდა ზუგდიდის, სენაკის, ხონის, ქუთაისის, წყალტუბოს, ახალსოფლისა და ვერხვების დევნილთა დასახლებებში ბავშვთა სათამაშო მოედნებისა და ხონის, ფოთისა და წყალტუბოს დევნილთა დასახლებებში სპორტული მოედნების მშენებლობა;

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

8.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
- ✓ ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

- სპორტის სხვადასხვა სახეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, საქართველოში ჩატარდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო სპორტული ღონისძიებები (ღონისძიებების ფარგლებში საქართველოში ჩამოვიდა 10 ათასამდე სპორტსმენი და 2 ათასამდე ოფიციალური პირი), კერძოდ:
  - ✓ დევისის თასი ჩოგბურთში, ევრო/აფრიკული ზონის II ჯგუფის მატჩები;
  - ✓ ევროპის ქალთა თასი ხელბურთში, 19 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის (საქართველოს ქალთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მოიპოვა მეორე ადგილი).
  - ✓ ევროპის შესარჩევი ელიტ-რაუნდი ფეხბურთში, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
  - ✓ რაგბი ევროპის“ მატჩი რუმინეთის წინააღმდეგ;
  - ✓ ძიუდოს „თბილისის გრან-პრი“ (ქართველმა ძიუდოისტებმა მოიპოვეს 2 ოქროს, 1 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს მედალი);
  - ✓ ევროპის ვაჟთა ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ხელბურთში, 20 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
  - ✓ მსოფლიო თასის გათამაშება ქალთა ხელბურთში;
  - ✓ კონტაქტური კარატეს ევროპის ჩემპიონატი;
  - ✓ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ძალოსნობაში;
  - ✓ ევროპის თასი ჯომარდობაში;
  - ✓ ქალთა ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში, 18 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
  - ✓ ევროპის შესარჩევი ელიტ რაუნდი ფეხბურთში, 17 წლამდელთა ნაკრებ გუნდებს შორის;
  - ✓ მძლეოსნობის ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი;
  - ✓ ევროპის შესარჩევი მატჩები კალათბურთში;
  - ✓ 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრა ფეხბურთში საქართველო-ავსტრია;
  - ✓ მსოფლიო ჩემპიონატი კადეტთა შორის ჭადრაკში;
  - ✓ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი ფეხბურთში საქართველო-მოლდოვა;
  - ✓ ევროპის ჩემპიონატი ხელბურთში 18 წლამდელ ვაჟებს შორის;
  - ✓ ევროპის 2017 წლის შესარჩევი ტურნირის მატჩი კალათბურთში საქართველო - ალბანეთი;
  - ✓ ქ. თბილისის მერიის თასი კალათბურთში;
  - ✓ ევრო 2020 კაცები, პირველი შესარჩევი ეტაპი ხელბურთში;
  - ✓ რაგბი, ტესტ-მატჩი საქართველო - იაპონია;
  - ✓ ევროპის ჩემპიონატი 64 უჯრიან შაშში;

- ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს რიოს ოლიმპიური თამაშების (რიო-2016) 40 ლიცენზია სპორტის 13 სახეობაში. ოლიმპიადაზე აიღეს 7 ოლიმპიური ჯილდო (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 4 ბრინჯარო) და მსოფლიოს 207 ქვეყანას შორის დაიკავეს 38-ე ადგილი, ხოლო პარაოლიმპიელებმა მოიპოვეს ერთი ოლიმპიური ოქრო;
- სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში კახეთში, ლოპოტას ხეობაში ჩატარდა საქველმოქმედო საერთაშორისო მსოფლიო რბენა ზურგის ტვინის დაზიანების კვლევების მხარდასაჭერად (Wings for Life World Run);
- სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინფრასტრუქტურის განახლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს რეგიონებში დამონტაჟდა გარე სავარჯიშო მოწყობილობების კომპლექტი. გარდა ამისა, ეროვნულ სპორტულ ფედერაციებს და ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცა სპორტული ობიექტებისათვის შეძენილი სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი;
- განხორციელდა სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრში“ რიცხული 150 სპორტსმენის, მათ შორის საქართველოს ნაკრები გუნდების წევრებისა და კანდიდატების უზრუნველყოფის პროგრამა საცხოვრებლით, კვებით და სპორტული დარბაზებით;
- საანგარიშო პერიოდში სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმმა“ უმასპინძლა 3 558 ქართველ და უცხოელ ვიზიტორს, მოეწყო სპეციალური გამოფენები საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით (რუსთაველის თეატრი) ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოსა და ქართული სპორტის მუზეუმის თანამშრომლობის ფარგლებში. თბილისის „დინამოს“ მიერ თასების მფლობელთა თასის მოპოვების 35 წლის იუბილესათან დაკავშირებით გამოიცა სარეკლამო-საპრეზენტაციო ბუკლეტი. მუზეუმს შეემატა 800-მდე ახალი ექსპონატი და საარქივო მასალა;
- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებს (მასწავლებლის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის და მწვრთნელთა) მიენიჭა აკრედიტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში ბაკალავრის სამივე პროგრამაზე მისაღები გამოცდებისთვის სულ დარეგისტრირდა 720 აბიტურიენტი (ამჟამად უნივერსიტეტში ირიცხება 325 სტუდენტი);
- სსიპ საქართველლოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივმა კოლეჯმა გაიარა ავტორიზაცია. დაემატა ახალი სასწავლო ფართი ქალაქ ქუთაისში, სადაც განხორციელდა „მწვრთნელისა“ და „მასაჟის“ სასწავლო პროგრამები. შეიქმნა ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაინერგა „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის“ ახალი მოდულური პროგრამის განხორციელება. ახალი „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით შეძენილ იქნა შესაბამისი ინვენტარი;
- „საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2020 წწ) სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის სხვადასხვა ლიგაში მონაწილე გუნდების (სახელმწიფო და კერძო კლუბები, სამოყვარულო ლიგა, სულ 75 სუბიექტი) საბაზისო, მასობრივი და სხვადასხვა სახის საფეხბურთო ღონისძიებებები.

8.2 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლების გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანამბლები

- მონაწილეობა იქნა მიღებული შემდეგ ღონისძიებებში: „ლაიბციგის საერთაშორისო წიგნის ბაზრობა“; კერამიკის საერთაშორისო აკადემიის 47-ე გენერალურ ასამბლეაში (ესპანეთი); „International A Cappelle Festival Graz“-ში (ავსტრია); „10th Bucharest International Jazz Festival“ (რუმინეთი); „International Folklore Festival Baltica“ საერთაშორისო ფესტივალში (ესტონეთი); ლიტვის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში; საავტორო თოჯინების საერთაშორისო ფესტივალზე „NUKUKUNST“ (ესტონეთი); Vienna Photo Book Festival-ში; საერთაშორისო კონკურსში „Accademia Belcanto” (ავსტრია); საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალში; საერთაშორისო ფესტივალში „ლორეტ დე მარი 2016“ (ესპანეთი); 23-ე ბიზანტიური საერთაშორისო კვლევების კონგრესში „ბიზანტია - ცვლილებათა სამყარო“; „სახვითი ხელოვნების და დოკუმენტური ფოტოგრაფიის მე-4 ბიენალე“-ში; მსოფლიო არქიტექტურის ფესტივალში (გერმანია); საერთაშორისო ფესტივალში „Золотой Лев 2016“ (უკრაინა); მრავალტომეულის „ქრისტიანობის ისტორია პირველ ათასწლეულში“ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებაში (იტალია და ინგლისი); ქორეოგრაფიულ ფესტივალში (აზერბაიჯანი); საერთაშორისო ფესტივალ-შეჯიბრში "Grand Fiesta".

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინიტროსა და სხვადასხვა ქვეყნებეს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების მიზნით, მონაწილეობა იქნა მიღებული ოფიაციალურ შეხვედრებსა და სხვადასხცა კომიისიისა და კომიტეტების სხდომებში;

- „შემოქმედებითი ევროპა“ პროგრამის ფარგლებში, პირველი წარმატება მოიპოვა საქართველოს შვიდმა ორგანიზაციამ:

  - ✓ European Theatre Lab: Drama goes digital - პარტნიორი - კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ლიდერი ქვეყანა საფრანგეთი);
  - ✓ CineDoc-თბილისის საერთაშორისო დოკუმენტური კინოს ფესტივალი 2016 – Nosfera Foundation NNLE;
  - ✓ “European Film Clubs school licensing” - პარტნიორი - სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (ლიდერი ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი);
  - ✓ “The Short Lessons in Cinema” - პარტნიორი - ჯადოსნური ლამპარი (ლიდერი ქვეყანა საფრანგეთი);
  - ✓ School of Film Agents - დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტი
  - ✓ Mosaïque de la littérature Européenne - გამომცემლობა აგორა;
  - ✓ First time in Georgia: 10 EU Literature Prize winners - ელფის გამომცემლობა.

- ჩატარდა: ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშთა და მოზარდთა თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი; თბილისის კამერული მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალი; თბილისის ჯაზ-ფესტივალი; თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი - თბილისი 2016; თანამედროვე მუსიკის საღამოები; თბილისის საგუნდო მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალი; თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მეოთხე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი; I საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი გორში; „აკადემია ბელკანტოს საზაფხულო ფესტივალი“; საქართველო-ირლანდიის დიპლომატიური ურთიერთობების იუბილის აღსანიშვნავად ირლანდიელი მომღერლის ჯეკ ლუკმანის და ბენდის კონცერტი; ესტონეთის კაცთა ნაციონალური გუნდის კონცერტი; ანსამბლის

„ქართული ხმები“ კონცერტები საფრანგეთში, ლიტვასა და ირლანდიაში; საქართველოში აკრედიტებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეების სამეგრელოში ვიზიტის ფარგლებში მუსიკალური ღონისძიებები; აფრიკელი მომღერლის NNEKA კონცერტი თბილისში; ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენციის თანმხლები კულტურული ღონისძიებები; ფესტივალი „ერთიანი კავკასია“; საბავშვო ფილმების ფესტივალი „ოქროს პეპელა"; პროექტი „უკრაინული კინოს დღეები“; თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბორის ეიფმანის სანკტ-პეტერბურგის საბალეტო აკადემიური თეატრის სპექტაკლს „ანა კარენინა“; ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „დიოსკურია“ კონცერტი ესპანეთში; ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალი; ფოტოკვირეული „ქოლგა თბილისი ფოტო“; თბილისის საერთაშორისო ფოტო ფესტივალი; თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეული შემოდგომა/ზამთარი 2016; თბილისის მოდის კვირეული/Tbilisi Fashion Week 2016 წლის I ეტაპი გაზაფხული; წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი; ესტონეთში, ხელოვნების მუზეუმში პროექტი „Aesthetics of repair in contemporary Georgia“, რომელიც მოიცავს თანამედროვე ხელოვანთა გამოფენასა და პერფორმანსს; პროექტი „ევროპელი ვირტუოზები“; თბილისის ტრიენალეს პრეზენტაცია საერთაშორისო ბიენალეების ასოციაციის მესამე ასამბლეაზე; პროექტი „ქართული ღვინო და მრავალხმიანობა“ ესპანეთში; საქართველოში, ქ. ბათუმში ჩინეთის კულტურის დღის აღსანიშნავად ჩინელ აკრობატთა დასის „Tianjin Beauty Arts Troupe“ წარმოდგენა; ტრადიციული რეწვის და დიზაინის თბილისის I საერთაშორისო სამიტი; ქართველი და შვედი არტისტების მონაწილეობით პერფორმანსი „რა უნდა ქალს“ (What Women Want); კავკასიის თანამედროვე მუსიკის დაჯილდოება „ფენიქსი“; საქართველოს ეროვნული ინტერნეტ-ჩემპიონატი „ეტალონი“; საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“; კავკაზ-ჯაზ-ფესტივალი; ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალი ახალციხეში; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა რეგიონალური კონკურსი; თანამედროვე ცეკვის სამხრეთ-კავკასიური ფესტივალი; პროექტი „ინოვაციური პოპკულტურის დაჯილდოების ცერემონიალი ელექტრონავტი 2015“; პროექტი „ხატე საქართველოსთვის“; ლეო ანთაძის საიუბილეო ტურნე; პროექტი „ახალგაზრდა მუსიკოსთა მომზადება კამერული და სიმფონიური ორკესტრებისათვის“; კომედიის ფესტივალი; პროექტი „ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ქარავანსარაი ქუთაისი 2016“; ფოთის რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი; ფესტივალი „ღამის სერენადები“; ბათუმის მუსიკალური ფესტივალი; რკინის თეატრის სპექტაკლი „ჩიტები“; პროექტი „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“; ფესტივალი „არტ-გენი“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“; საავტორი კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი BIAFF; „სუხიშვილების“ კონცერტი ბათუმში; ვახტანგ კიკაბიძის საიუბილეო კონცერტი ბათუმში; ნანი ბრეგვაძის საიუბილეო საღამო ბათუმში; პროექტ „შემოქმედებითი ქალაქი“; დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „CineDoc"; მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრიას ჯვარი“; თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი; 4 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი (ჯ. კახიძის სახ. მუსიკალურ ფესტივალი, ბაროკოს მუსიკის ფესტივალი, საახალწლო შეხვედრების და თელავის მუსიკალური ფესტივალი); ჯ. კახიძის სახ. მუსიკალური ფესტივალი, ფესტივალი „ახალი სივრცე კულუტურული დიალოგისთვის, თბილისის სცენოგარფიის ბიენალე, თბილისში თოჯინების საერთაშორისო ფესტივალი; წიგნის 2 ფესტივალი (თბილისის მე-18 წ/ფ და ქართული წიგნის ფესტივალი); ფესტივალი „თბილისის წიგნის დღეები“; საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი; საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“; თანამედროვე ცეკვის სამხრეთ-კავკასიური ფესტივალი; კინო და ტელეოპერატორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“; ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი „Fest I Nova“;

- გაიმართა: ანსამბლის „ბასიანი“ საკონცერტო ტურნეები აშშ-ში და საქართველოს რეგიონებში; პროექტი „საქართველოს თანამედროვე მხატვართა გამოფენა თურქეთში „არტ ანკარა“; ბესო უზნაძის ნამუშევრების გამოფენა საერთაშორისო ხელოვნების ბაზრობაზე START 2016 ლონდონში Saatchi

Gallery-ში; ფინელი დიზაინერების რუდი მერცისა და პიტერ შმიდის ვორკშოფის გამოფენა; ფრანგი გადამღები ჯგუფის ვიზიტი, საქართველოს შესახებ 52 წუთიანი დოკუმენტური ფილმის გადასაღებად; უკრაინაში, გამოფენა „ქართული სოფელი ოდესა ბათუმის ფოტოდღეების ფარგლებში“; საქართველოს მხატვართა კავშირის პროექტი „მხატვრის თვალით დანახული საქართველო“; თანამედროვე ქართველი მხატვრების წარდგინება Sothby-ის სააუქციონო სახლში გამართულ აუქციონზე; პროექტები „იმპულსი რიგას“, „ცოცხალი წიგნები ემიგრანტებისათვის“; კონფერენცია სახელწოდებით „თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად"; ფართომასშტაბიანი ფორუმი „კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის"; 5 საიუბილეო ღონისძიება (ჯ. და გ. ბაღაშვილების, რ. ბეიბუთოვის, მ. ტარივერდიევის, ვ. აზარაშვილის, თ. ჭოხონელიძის); კონცერტი „საჩუქარი ქართველ მსმენელს“, „სიმებიანი კვარტეტის“ საიუბილეო საღამო ლიზა ბათიაშვილისა და ფრანსუა ლელუს მონაწილეობით; ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის კონცერტი; ფესტივალი „ახალი სივრცე კულუტურული დიალოგისთვის“; ანსამბლების „რუსთავი“, „ერისიონი“ და „სუხიშვილები“ საგასტროლო ტურნე რეგიონებში; თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტები დასავლეთ საქართველოში;

- განხორციელდა პროექტები: „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“, რომლის ფარგლბეში შეიქნმა სივრცე და გაიმართა გამოფენები: „დაიცავი მემკვიდრეობა“, „შავფაროსნები სლოვენიაში“, „გარიყულას სკოლა“, „ნატურალური ავეჯი“, „შავი და თეთრი“, „ალტერნატიული კედლები“, „EAVE PRODUCERS WORKSHOP WITH PROJECT“, „იმპერიის საპასუხო დარტყმა“; ტრადიციული რეწვის და დიზაინის თბილისის I საერთაშორისო სამიტი; გამოფენა „60 Years of Made in Italy - History of the Italian Style“; კავკასიის თანამედროვე მუსიკის დაჯილდოება „ფენიქსი“; გულიკო ჭანტურიას შემოქმდებითი საღამო; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა რეგიონალური კონკურსი; „ინოვაციური პოპკულტურის დაჯილდოების ცერემონიალი ელექტრონავტი 2015“; „ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლა“; „ტრადიციული მუსიკის შემოქმედებით-საგანმანათლებლო ტურები საქართველოს რეგიონებში; პროექტი „ცოცხალი წიგნები“;

- ხელი შეეწყო: 4 ლიტერატურულ კონკურსს (გ. ჩოხელის, ვ. კოტეტიშვილის სახელობის, „წერო“ და კონკურსი -ლიტერატურული პრემია); საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-2 ეროვნულ კონკურსს; ახალგაზრდა პიანისტთა მე-7 ს/კ მომზადებას, პიანისტთა მე-6 საერთაშორისო კონკურსის მომზადებას და პროექტს „ჭაბუა ამირეჯიბი - 95“; წიგნის ხელოვნების ცენტრის საქმიანობას; 26 სახელმწიფო თეატრის 38 ახალი სპეკტაკლის დადგმას; ბაროკოს მუსიკის, საახალწლო შეხვედრების და თელავის ანსამბლის „სულიკო“ გასტროლებს პარიზში; ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარებას; მუსიკალური ორგანიზაციების (ჯ. კახიძის ცენტრი, ანსამბლი „რუსთავი“, საბალეტო დასი, სუხიშვილები, კამერული ორკესტრი) გასტროლებს უცხოეთში; ი. გოგოლაურის ხსოვნის საღამოს; თ. გვერდწითელის საქველმოქმედო კონცერტს; პროექტებს „კინო სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც 167 სკოლაში გაიმართა კინოჩვენებები, საბავშვო ს/კ „ჯიფონი - საქართველო“; ელდარ შენგელაიას ფილმის „სავარძელი“ გადაღებას; კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილ საღამოს; პროექტს „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების წარმოების ტრადიციის შენარჩუნება“; პანკისის ხეობისთვის გამართულ 11 ღონისძიებას - „მრავალფეროვანი საქართველო“; საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტური ცენტრის საქმიანობას; საქართველოს ყრუთა კავშირის საქმიანობას; პროექტებს „სუვენირები საქართველოდან“; „ჯაზის საერთაშორისო დღე“; კრიტიკოს ჯანსუღ ღვინჯილიას საიუბილეო საღამოს; პროექტს „ერთჯერადი ვაუჩერი ბიბლიოთეკებს“, რომლის ფარგლებშიც 66 მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი გამოცემებით; აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტს;

- გამოიცა: ლიტერატურული ჟურნალების „დილა“, „არილი“, „საუნჯე“ 12-12 ნომერი; ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ 6 ნომერი; ჟურნალის „მუსიკა“ 4 ნომერი; წიგნი-ალბომები (თამარ ციციშვილი,

მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, უცნობი სერგო ქობულაძე, რუსუდან ფეტვიაშვილი, ზურაბ სამხარაძე, ჟანი მეძმარიაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი, ანდრო კანდელაკი, რუსუდან გაჩეჩილაძე, სერგო ფარაჯანოვი, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ქეთი ქავთარაძე, ჯოვანი სკუდიერი); კატალოგი „დიზაინთბილისი“; წიგნი „განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში“) და საერთაშორისო ფორუმს „არტისტერიუმი - 2016“; ოსი მწერლის გიორგი ბესთაუთის პოეტური კრებული, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“-ს კლავირი.

- გამოსაცემად მომზადდა: წიგნი „ოთარ მეღვინეთუხუცესი“, ალბომები „ქართული ქსოვილი“, გოგი შხვაცაბაია „შოთა ყავლაშვილი“;

- საპროექტო/სარემონტო/საექსპერო სამშენებლო სამუშაოები ჩაუტარდა შემდეგ შენობებს: სსიპ - ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს; სსიპ - ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმს; სსიპ – ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრს; სსიპ – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრს; სსიპ – საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს; სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმს; სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს; სსიპ – თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრს; სსიპ – ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს; სსიპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ევგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლს; სსიპ – მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრს; სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლს; სსიპ- დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმს; სსიპ - ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრს; სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიას; სსიპ – მწერალთა სახლს;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილი იქნა და გაძლიერდა შემდეგი თეატრები: სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრი; სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი; სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრი;
- მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები კულტურის სფეროში შეთანხმებების, მემორანდუმის პროექტების, სხვადასხვა პროგრამებისა და თანამშრომლობის თაობაზე;
- კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის რედაქტირებული ვერსიის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით, ელექტრონული რესურსების საშუალებით განხორციელდა მისი გასაჯაროება. მიმდინარეობდა საჯარო კონსულტაციები საქართველოს რეგიონებში (სულ 11 შეხვედრა). სამინისტროს მიერ მომზადდა დოკუმენტის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის კულტურის, განათლებისა და სპორტის კომიტეტთან, გაიმართა შეხვედრები და საჯარო კონსულტაციების სერია კულტურის სფეროს სხვადასხვა მიზნობრივ და გავლენის ჯგუფებთან (13 შეხვედრა). კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცება მოხდა საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს. კულტურის სტრატეგიის საბოლოო ვერსია ითარგმნა ინგლისურ და აფხაზურ ენებზე;
- ქართულ და ინგლისურ ენებზე შემუშავდა „შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევი“;
- „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით შემუშავდა „საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევი“;
- საანგარიშო პერიოდში სამინისტრო გაწევრიანდა საერთაშორისო ორგანიზაციებში Encatc (ევროპის კავშირი კულტურული მენეჯმენტი და კულტურის პოლიტიკა); Europe Nostra –(ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ორგანიზაციას); Enlarged Partial Agreement on Cultural

Routes of the Council of Europe (EPA) - ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმება; International Federation of Arts Councils and Culture Agencies - IFACCA (ხელოვნების საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაციაში)

- ხელი მოეწერა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ორგანიზაციის „მშვიდობის კორპუსის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.
- ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის მმართველ სააგენტოში გაიგზავნა ანგარიში - 2015 წლის საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის საქმიანობის შესახებ. ასევე, დაიბეჭდა სარეკლამო მასალა „შემოქმედებითი ევროპის“ პოპულარიზაციის მიზნით;
- „შემოქმედებითი ევროპის“ ფარგლებში: ჩატარდა გამოცხადებული ლიტერატურული თარგმანების კონკურსის პრეზენტაცია, „ლტოლვილთა ინტეგრაციის“ კონკურსის პრეზენტაცია და ღია საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებული პირებისთვის; გაფორმება შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს შორის
- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის „კულტურა და კრეატიულობა“ფარგლებში იუნესკოს „Culture for Development Indicators” (CDIS) კვლევაზე მუშაობა. გაიმართა შეხვედრები უწყებებთან და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდის „კავკასია“ (SCF) წარმომადგენლობამ მოამზადა ანგარიშის პირველადი ვერსია;
- რეაბილიტირებულ იქნა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობა და განხორციელდა სასწავლო თეატრის ტექნიკური აღჭურვა;
- მოეწყო 7 გამოფენა („აბრეშუმის შარფები“, მანანა მენაბდის ფოტოგამოფენა, ნუგზარ მეძმარიაშვილის რეტროსპექტიული გამოფენა, ლადო გუდიაშვილის საიუბილეო, ლ. ზამბახიძის და სხვა.);
- ხელი შეეწყო დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირებას;

8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს მუზეუმები
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;
- საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება;
- სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

- UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

- განხორციელდა: საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის (eGMCIS) შექმნის II ეტაპი; სამუზეუმო ფასეულობათა რესტავრაცია-კონსერვაცია; თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ქართული ისტორიული კოსტიუმის გამოფენის მოწყობა; სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები; სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია; სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).

8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

- განხორციელდა: საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის (eGMCIS) შექმნის II ეტაპი; სამუზეუმო ფასეულობათა რესტავრაცია-კონსერვაცია; თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ქართული ისტორიული კოსტიუმის გამოფენის მოწყობა; სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები; სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია; სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).
- „კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ შემუშავების პროცესში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ერთიანი კოდიფიცირებული დოკუმენტი. სამუშაო შეხვედრებზე განხილულ, შეჯერებულ და დასრულებულ იქნა დოკუმეტის რამოდენიმე შემადგენელ თავზე მუშაობა.
- მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია: ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი; გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმი; მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. თაზაქენდი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; ხარების ტაძრის მცირე რეაბილიტაციის პროექტი; მარნეულის მუნიციპალიტეტი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესია; სოფ. მამკოდა წმ. გიორგის ეკლესიის გარშემოსავლელის მოწყობის პროექტი; ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსის გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის პროექტი; სოფ. თრიალეთი, ლუთერანული ეკლესიის მცირე რეაბილიტაციის პროექტი; სვანური კოშკების (7 კოშკი); მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი; სოფ. ერთაწმინდა, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; შორაპნის ციხე-სიმაგრე; ყვარლის ციხის დაზიანებული გოდოლის რეაბილიტაცია; სოფ. ქვათახევი, მამათა მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი; კავთისხევი, თავკავთას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დროებითი გადახურვის მოწყობა; გორის მუნიციპალიტეტი, წეროსხევის სამონასტრო კომპლექსში შემავალი, ღვთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის ძალოვანი ხარაჩოს მოწყობა; სოფ. ხახალაჯვარი, დარბაზული ეკლესია;

მწვანეყვავილას მთავარანგელოზის ეკლესიის რესტავრაცია; სოფ. ჩიხარიში, ოქონის წმ. გიორგის ეკლესიის პროექტის კორექტირება; სოფ. ჩუკული, მთავარანგელოზის ეკლესიის პროექტის კორექტირება; სოფ. თისელი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დამცავი გადახურვის მოწყობის პროექტი; სოფ. ოძისი, ერისთავების სასახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაობის პროექტი; სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის კონსერვაციისა და გადახურვის მოწყობის პროექტი; ტოლაანთსოფელი (სოფ. ტოლა), სკოლის რეაბილიტაცია; მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი; ილია ჭავჭავაძის კოშკის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი; რუსთაველის გამზ. N16-მიმდებარე შენობის („ოფიცერთა სახლის“) სარდაფში არსებული კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; ალავერდის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთი მკლავის XV-XVII საუკუნეების კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია; ავრანლოსა და სამშვილდის ნაქალაქარის კომპლექსური ძეგლების კვლევის პირველი ეტაპი; სათხეს ეკლესიის რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევა; სოფ. ჭაჭკარის აზომვითი სამუშაოები; ვარძიის კომპლექსის ინკლუზიური ტურიზმისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ადაპტირებული გარემოს მისაწვდომობის აუდიტი/კვლევა; უჯარმის კომპლექსის ტერიტორია, კაფის პროექტი; სოფ. წინამძღვრიანთკარი, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტი; სოფ. ბრეძა, ზღუდერის ეკლესიის გადახურვის რეკონსტრუქციის პროექტი; გუდარეხტყა-ციხიაგორას ნამოსახლარზე საპრეზენტაციო სივრცის მოწყობის პროექტი; ქ.თელავი, აბანოს ქ. №1, საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი; ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ახლადგამოვლენილი გამოქვაბულების 3D ლაზერული აზომვითი სამუშაოები; ატენის სიონის კედლის მხატვრობის მდგომარეობის წინასწარული შეფასება და კვლევა;

- მომზადდა სარეაბილიტაციო ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევების საპროექტო დოკუმენტაცია: გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმი; აჭის ტაძარი და გალავანი; მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა ეკლესია; თხინვალას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია; არმაზისხევის საექსპოზიციო დარბაზი; სოფ. კავთისხევის ხვედრელიანთ უბანი, გიორგი შატბერაშვილის საცხოვრებელი სახლი;
- დასრულდა შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კოსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა: მცირე ჯვრის ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები(I ეტაპი); მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები (II ეტაპი); დოლოჭოპის არქეოლოგია (II ეტაპი); არმაზისხევის პიტიახშების რეზიდენციის არქეოლოგია; ნოქალაქევის ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგია; ზემო სვანეთში მდებარე კოშკისა და მაჩუბების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ბებრისციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების IV ეტაპი; გეგუთის კომპლექსის არქეოლოგია, გამოვლენილი ნაშთების კონსერვაცია და საიტის მოწყობა; სოფ. ჩარგალი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები; ,,დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგია; სოფელი ლენჯერი, კახაბერ გულედანის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ატენის სიონის ქვის კონსერვაცია; სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ნაეკლესიარის არქეოლოგია; სოფელ ხუნწში მდებარე ქუქითის გორაზე არსებული ციხის ტერიტორიის არქეოლოგია; სოფ. ზემო მსხალგორი. წმ. გიორგის სახელობის კომპლექსი და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნაქალაქარის არქეოლოგია; ხვამლის მთის არქეოლოგია; სოფ. ურბნისში მდებარე სამაროვანის არქეოლოგია; სოფელი გურიანთა, ვაშნარის ნაქალაქარის არქეოლოგია. მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის (სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი); ქ.მცხეთა, ბაგინეთის არგეოლოგია; გრაკლიანი გორის არქეოლოგია; თისელის გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები; უჯარმის

ჯვარპატიოსანის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი); სოფ. თხილნარის, სარფის და სკურდიდის არქეოლოგია; სოფ. ზიარის (ადგილი "ქოდალო") ტერიტორიის არქეოლოგია; გუდაბერტყას ნამოსახლარის ტერიტორიის არქეოლოგია; სოფელ თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები; მერაბ ხერგიანის მაჩუბის რეკონსტრუქციის (I ეტაპი) სამუშაოები; სოფელ საბუეს (ფიქალები)იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკის გაწმენდითი სამუშაოები; სოფელ თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დროებითი გადახურვის მოწყობის სამუშაოები; სოფელი ოძისი, დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები; პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ -არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი); სოფელ ცხუმარში მდებარე ერეკლე საღლიანის მაჩუბის ნანგრევების გაწმენდითი სამუშაოები; ვარძიის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოს ქვედა უბანზე გამოვლენილი გამოქვაბულების არქეოლოგია; აწყურის ახლად აღმოჩენილი ეკლესიის არქეოლოგია; ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძრის კედლის მოხატულობის პირველადი გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოები; შორაპნის ციხის არქეოლოგია; მამკოდას წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები; სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის კონსერვაციისა და გადახურვის სამუშაოები; გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ობიექტის დამცავი გადახურვის განათების მოწყობის სამუშაოები; გუდაბერტყა - ციხიაგორას ნამოსახლარზე საპრეზენტაციო სივრცის მოწყობის სამუშაოები;

- UNESCO - ს კონვენციების ინპლემენტაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ფარგლებში:
    - ✓ მომზადდა და გამოიცა საინფორმაციო ილუსტრირებული ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გზამკვლევი", საილუსტრაციო ბროშურა - „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა", ყოველწლიური ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი";
    - ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განაგრძობდა სამუშაო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს, რომელიც ეხება საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" განხორციელების საკითხებს.
    - ✓ ჩატარდა უფროსკლასელთა კონკურსი სახელწოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი", კონკურსში 89 საჯარო და კერძო სკოლის 400-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, გამოვლინდა 28 გამარჯვებული.
    - ✓ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა" იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანეს.
    - ✓ სტარტი აიღო პროექტმა „ვასურათებთ ქართულ ზღაპრებს". მოსწავლეების მიერ დასურათებული ქართული ზღაპრების კრებული საჩუქრად გადაეცემა პროექტის მონაწილე სკოლებსა და სოციალურად დაუცველ ბავშვებს.
    - ✓ მსოფლიო მემკვიდრეობის 39–ე კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად მომზადდა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს გაუგზავნა მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების (მცხეთის ისტორიული ძეგლები, ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი) საკონსერვაციო მდგომარეობა და მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ქმდებების შესახებ ამსახველი ანგარიშები.
    - ✓ საქართველოში სამუშაო მისიით იმყოფებოდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის წარმომადგენლობითი ექსპერტთა ჯგუფი. მისიის მიზანი იყო მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გამოსასწორებლად

ამჟამად მიმდინარე ქ. მცხეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის გაცნობა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

- ✓ საქართველოს წარმომადგენლობითმა დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის საიუბილეო მე-40 სესიის მუშაობაში. შედეგად მცხეთის ისტორიული ძეგლები დაბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში. თუმცა, გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანას დაევალა მთელი რიგი ღონისძიბების განხორციელება, მცხეთის მსოლფიო მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობის გასამყარებლად. ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა მცხეთის საკონსერვაციო გეგმის მოსამზადებლად შესაბამისი კვლევა და მოამზადა ამ დოკუმენტის მოსამზადებლად განსახორციელებელი ქმედებების ნუსხა; მოამზადა მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების ანალიტიკური და სამართლებრივი რეტროსპექტიული კვლევა, და ამ კვლევის საფუძველზე შეადგინა შესაბამისი რუკები.
- ✓ მსოლფიო მემკვიდრეობის კომიტეტის წინა წლების გადაწყვეტილებების შესაბამისად, შემუშავდა და დამტკიცდა მსოლფიო მემკვიდრეობის ძეგლების - ჯვრის, სამთავროსა და სვეტიცხოვლის ერთიანი ბუფერული ზონა, რაც მნიშვნელოვან ნაბიჯად იქნა მიჩნეული კომიტეტის მიერ.
- ✓ გრძელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“ (COMUS)-ის რეგიონალური პროგრამა (2015-2017). მონაწილე ქვეყნებიდან პროექტში წარდგენილია 9 საპილოტე ისტორიული ქალაქი, მათ შორის საქართველოდან - დუშეთი და ჭიათურა. საქართველოში პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა სამშენებლო ქიმიის გერმანული კომპანიის “MC Bauchemie”-ის პრეზენტაცია/ვორქშოფი, რომელიც ეხებოდა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის და გამაგრების ახალ მეთოდებს, კონსტრუქციის ჰიდროიზოლაციის აღდგენას ჰორიზონტალური ბარიერების მეშვეობით.
- ✓ დარგში წამყვანი ესტონელ ექსპერტების ჩართულობით დაიწყო ენგურჰესის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის (ეროვნული კატეგოორის ძეგლი) მიმდებარედ ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის მომზადება.
- ✓ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გრძელდება ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მესამე ეტაპის - მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელება. საანგარიშო პერიდოში განხორციელდა: ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მდგომარეობის მონიტორინგის სისტემის სრულყოფისათვის, ადგილზე დამონტაჟებული რადარის სისტემის გაძლიერება გარე ინსტალაციის მაღალი რეზოლუციის კამერითა და მონაცემთა დაგროვების მოდულით, მიკროკლიმატის ქსელის მონიტორინგი, სეისმური ქსელის, გეორადარის და მეტეოსადგურის ქსელის ელექტრო კვების და მონაცემთა გადმოცემის შიდა ქსელის ტექნიკური მომსახურება. დაიწყო ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადაუდებელი არეალების საკონსერვაციო გეგმის მომზადება საკონსერვაციოდ, შესაბამისი მოწყვლადი არეალების იდენტიფიცირება. შედეგად, 2016 წლის განამვლობაში გამაგრდა განსაკუთრებით საშიში 3 მოცულობითი არეალი და განისაზღვრა შემდეგ წლებში განსახორცილებელი სამუშაოების მოცულობა.

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ოქსფორდის ბიზანტიური კვლევების ცენტრს შორის თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტში, რომელიც მიეძღვნა ტაოკლარჯეთის კულტურულ მემკვიდრეობას. კონფერენციაზე ქართველი და ბრიტანელ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ თურქი მეცნიერები, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას და ხელს უწყობს საერთო მემკვიდრეობის სათანადო მოვლა-პატრონობას.
- საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განათლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით, მულტიდისციპლინარული პლატფორმის დასანერგად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსა „კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის კვლევის საერთაშორისო ცენტრს“ (ICCROM)“ შორის მრავალწლიანი ხელშეკრულების ფარგლებში, იანვარში განხორციელდა ICCROM–ის ექპსერტის, სამუშაო ვიზიტი საქართველოში, რომლის მიზანიც იყო საქართველოში კედლის მხატვრობის საკონსერვაციო მეთოდოლოგიის და მიდგომების შეფასება, რაც საფუძვლად დაედო დარგის გაუმჯობესებისათვის იკრომის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს. განოხრციელდა საველე შეხვედრები სააგენტოს მიერ შერჩეულ საკვლევ ძეგლებზე ადგილორბივი ექპსერტთა ჯგუფის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივლისში ქ.სტამბულში ICCROM-ს წარმომადგენლებთან გამართული სამუშაო შეხვედრებისას მიღწეული მოლაპარაკებების შესაბამისად და შემდგომ გადაიგეგმა პროექტის 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, რის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი ეროვნულ სააგენტოსა და ICCROM-ს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
- ქ. პესტუმში (იტალია) გამართულ არქეოლოგიური ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე წარადგენილ იქნა ერთერთი ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი - გრაკლიანის გორა, რომლის შესახებაც საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ქართული ძეგლებისგან განსხვავებით ჯერ კიდევ ნაკლები ინფორმაცია არსებობს.
- მცხეთის ისტორიულ ძეგლებს ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის თანახმად, გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭათ. დღეისათვის, გაძლიერებული დაცვის სტატუსი მსოფლიოში მხოლოდ 10 ობიექტს აქვს მინიჭებული. ამ სტატუსის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან საომამრი მოქმედებების დროს უზრუნველყონ იმ კულტურული მემკვდრეობის ობიექტების დაცვა, რომელთაც მინიჭებული აქვთ გაძლიერებული დაცვის რეჟიმი; თავი შეიკავონ მათზე საომარი შეტევების განხორციელებისა და საომარ ოპერაციებში ამ ობიექტების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენებისაგან.
- გრძელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მემკვიდრეობის მრავალფეროვანი მემკვიდრეობის, კერძოდ, გერმანული კოლონიების ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაციის მეორე ეტაპი. საანგარიშო პერიოდში მომზადდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია–კვლევის საველე და სააღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი რუქებით (სულ 102 ობიექტი), რომელიც მოიცავს თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულის, დმანისის მუნიციპალიტეტებში და ქ.თბილისის დიდუბის არეალში არსებული გერმანული კულტურის არქიტექტურულ ძეგლებს;
- საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობის ფარგლებში დაწყებულ პროექტებზე - „ქალები ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში“ და „მოციქულთა სწორი წმინდა ნინო“ ფარგლებში, განხორციელდა ფოტოფიქსაცია შემდეგ ძეგლებზე: არმაზი, არმაზციხე-ბაგინეთი, ახატანი, ბოდბე, გარეჯა, ზედაზენი, კალუბნის წმ. გიორგი, მუხრანი, მცხეთა, ნინოწმინდა, ნიჩბისი - აკაკების ნიში, ნიჩბისი - სასხორის კვირაცხოველი, სამთავრო, სვეტიცხოველი, სხალტბა; შიომღვიმე, წილკანი, თბილისის სიონში წმ. ნინოს ჯვარის ფოტოფიქსაცია. პროექტის ფარგლებში გროვდება მასალა წიგნის გამოცემისთვის.

- განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია/რეინვენტარიზაცია ზესტაფონისა და ჭიათურის, ხარაგაულის, ბორჯომის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე;
- აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ ციხისძირი, ჩაქვი, მწვანე კონცხი, მახინჯაური – კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაციის მიზნით შესწავლილ იქნა 36 ობიექტი. ასევე, მცხეთა–მთიანეთის არეალში არსებული ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტთა ადგილზე შესწავლის–ფოტოფიქსაციისა და ინვენტარიზაციის მიზნით აღნუსხულ იქნა 40 უძრავი ძეგლი და 12 არქეოლოგიური ობიექტი.
- მცირე და საშუალო ისტორიული ქალაქებისთვის ვებგვერდის დიზაინის შემუშავების და გეო ინფორმაციული სისტემის მონაცემთა ბაზის და მისი პორტალის დიზაინის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობდა ისტორიული ქალაქების ვებგვერდის დიზაინის შემუშავება და გის პორტალის დიზაინის შექმნა. ერთიანი სივრცითი მონაცემთა ბაზა და გის პორტალი დასრულებულია, რაც ინფორმაციის სისტემატიზაციის, მართვისა და გაზიარების კუთხით სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის მომხმარებლისთვის. ამასთან, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მონაცემთა წარმოების უნიფიცირებული სტანდარტის ჩამოყალიბება შესაძლებელს გახდის უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, რაც მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დარგის მართვის შემდგომი განვითარებისათვის.
- ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შემდეგ რეგიონებში: გურია, შიდა ქართლი და კახეთის რეგიონში, აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-პატრონობასა და პოპულარიზაციაში ერთობლივ მონაწილეობას. ასევე, აღნიშნულ შეხვედრებზე მოეწყო პრეზენტაციები, სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის მიერ შექმნილ გის პორტალთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით.
- სანგარიშო პერიოდში შესრულდა სააგენტოში არსებული მონაცემების გეო ინფორმაციული სისიტემის (გის) ბაზაში შეყვანა, რედაქტირება, არქივის ბაზასთან დაკავშირება. ერთიან მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა "suntni" -ის მასალებიდან აღმოსავლეთ საქართველოს რელიგიური 132 ძეგლი/ობიექტი.
- მომზადდა ახალი, განახლებული, საინფორმაციო ფლაერი სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებზე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, განახლებული ტექსტებითა და ფოტომასალით;
- მიმდინარეობდა დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ძვირფასი ლითონების კოლექციის დროებითი გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართება;
- საკონფერენციო კრებულისათვის „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა III“, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციების კატალოგისათვის და ბორჯომისა და ლიკანის საიმპერატორო კოლექციის ალბომისათვის მიმდინარეობდა პუბლიკაციებზე მასალების მოძიება, კლასიფიკაცია და მოსამზადებელი სამუშაოები;
- დასრულდა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სამუზეუმო შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები და გრემის მუზეუმის სამუზეუმო შენობის მცირე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- 2016 წლის მაისში ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ინიცირებული და ორგანიზებული, რიგით III სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“;

- აქციით ,,ღამე მუზეუმში" დასრულდა მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;
- ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო პრეზენტაცია ფიროსმანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და პატარა სტუმრებისთვის გაიმართა შემეცნებით-გასართობი პროგრამა ,,იპოვე შენი ფიროსმანი''.
- გრემის მუზეუმში საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები ,,აბრეშუმის გზა და გრემ-ქალაქი'', ,,კახეთის მეფეები''. მოეწყო ვიქტორინა-კონკურსი. გაიმართა პოეზიის საღამო.
- ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალში ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის დ. ნაზარიშვილის სახლში, XIX საუკუნის სალონური ცხოვრება გაცოცხლდა.
- ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში - ტრადიციული ოდა-სახლის გარემოში XIX საუკუნის გურული ყოფა - გურიის მხარისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობით, გურული კრიმანჭულის ფონზე გაცოცხლდა. ასევე, მოეწყო კოლეჯი ,,ჰორიზონტის" შშმ მოსწავლეების მიერ გაკეთებული თექისა და მინანქრის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა ,,ვახტანგურმა''.
- სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმში მუზეუმის თანამშრომლებისა და სკოლის მოსწავლეების თანამონაწილეობით გაცოცხლდა ხევის ყოფისთვის დამახასიათებელი ყოფა: ,,ქორწილის'', ,,კერიაზე შემოტარების'', ,,ძმად გაფიცვის'', ,,მეჯვარის მიერ პატარძლის წყაროზე წაყვანისა''. ვიზიტორებისთვის მოეწყო მოხეური სამზარეულო. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მოსწავლეთა სახლის ანსამბლმა.
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალში გორის თეატრის მსახიობებმა უფლისციხეზე ლეგენდები და თქმულებები თეატრალიზებული ფორმით გააცოცხლეს. მოეწყო კოსტუმირებული პერფორმანსი ,,ანტიკურ თეატრონში'', ღამის ტური ჩირაღდნებით, გამოიფინა მოქანდაკე ქეთი მელქაძის და თვითნასწავლი მხატვრის რეზო მექვაბიშვილის ნამუშევრები, მუზეუმის ახალგაზრდა მეგობრების მონაწილეობით გაიმართა პოეზიის საღამო, რომელიც მუსუკალურად გააფორმეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა.
- პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში მიმდინარეობდა საბავშვო არქეოლოგიის პრეზენტაცია. საჯარო სკოლების მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგიურ გათხრებში. მოხდა სამარხთა პრეპარაცია. მოსწავლეებმა იმსჯელეს მოპოვებული ნივთების დანიშნულებაზე, შეავსეს საველე დღიურები. დასასრულს გათხრების მონაწილეებს გადაეცათ ,,ნორჩი არქეოლოგის'' სერთიფიკატი.
- ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გორის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ბორჯომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემებზე: „ავალიშვილები და ბორჯომი", „ბორჯომის წყლის ისტორია". მოეწყო დოკუმენტური ფილმების ,,ლიხს იქით და ლიხს აქეთ'' და „ძველი ბორჯომის გაცოცხლება" ჩვენება.
- დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში შეკრებილ საზოგადოებას ღია ცის ქვეშ, დიდ ეკრანზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ყოფაცხოვრების ამსახველი ფოტო-კადრები წარუდგინეს. მოწვეულ სტუმრებს სამსჯელო თემად შიდა ქართლში თავდაცვითი ნაგებობები ლიახვის ხეობაში არსებული ძეგლების მაგალითზე წარუდგინეს. მუსიკალური სკოლის მოსწავლებმა და მუზეუმ-ნაკრძალთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ვერხვები" საღამო მუსიკალურად გააფორმეს.
- ნოქლაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში გაიხსნა საგანმანათლებლო პროგრამა „საბავშვო არქეოლოგია";

- გაგრძელდა პროექტი „კახეთის მხარის მოსწავლეები - კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“. პროექტის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა ყვარლის, ლაგოდეხის, ახმეტის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების, პანკისის ხეობის საჯარო სკოლებში;
- უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის აუდიო-გიდისათვის შემუშავდა ტექსტი, რომელიც ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე და ჩაიწერა შესაბამის აპარატურაზე.
- კულტურის სფეროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, ანალიზისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, მიმდინარეობდა მედია-მონიტორინგი, რის ტექნიკურ შესაძლებლობასაც იძლევა საზოგადოებრივი აზრისა და კვლევის მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM) სპეციალური პროგრამა.
- საანგარიშო პერიოდში სააგენტომ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის შეიძინა კვადროკოპტერი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა სქურის, კუმურდოს და აწყურის ციხის ვიდეო რგოლების მომზადება, იგეგმება ასევე სხვა ძეგლებისათვის ამავე ფორმატის ვიდეო რგოლების მომზადება.
- გამოიცა ან/და გამოსაცემად მომზადდა: საანგარიშო კრებული „კულტურული მემკვიდრეობა 2014-2015“; ჟურნალის „ძველი ხელოვნება დღეს” 1 ნომერი; წიგნი „ღალია“; წიგნი - ,,ქართული წიგნის ხელოვნება. ილუსტრაცია’’; წიგნი ,,პეიზაჟი ქართულ მხატვრობაში’’ ; წიგნი „ირაკლი ციციშვილი”; მომზადდა გამოსაცემად ალბომი „ჯავახეთი“; მომზადდა მარი-კლოდ ბერდუკუს რედაქტორობით გამოცემული ნაშრომის „კონსერვაცია არქეოლოგიაში (არქეოლოგიური ნიმუშების კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდები და პრაქტიკული გამოცდილება)“ ქართული ვერსია; წიგნი ,,აჭარის არქეოლოგიური ძეგლები’’; წიგნი,,ჭავჭავაძეები – კულტურა და ღირებულებები’’;

8.6 ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზდრობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

- ,,ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობდა „საერთაშორისო თანამშრომლობის“ (საერთაშორისო კონკურსი - „ალიანტე“), „მზრუნველობამოკლებული და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის“, „მოხალისეობის განვითარების“, „რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ახალგაზრდებთან ურთიერთობის განვითარებისა და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების ხელშეწყობის“, „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის“, არასრულწლოვან და ახალგაზრდა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის“ პროგრამების განხორციელება;
- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა „სტუდენტური დღეები - 2016“, სადაც მონაწილეობა მიიღო 50 - მდე უმაღლესი სასწავლებლის 7 000-მდე სტუდენტმა. ასევე, ჩატარდა სპორტული, კულტურულ-შემოქმედებითი და სხვა ინტელექტუალური შეჯიბრებები;
- განსაზღვრული პრიორიტეტების საფუძველზე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით ჩაატარა პირველი საგრანტო კონკურსი და დააფინანსა 51 პროექტი;
- საანგარიშო პერიოდში პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ანაკლიის მომავლის ბანაკმა 8 ნაკადის ფარგლებში უმასპინძლა 2 205 მოსწავლეს და უზრუნველყო მოზარდების აქტიური დასვენება,

ხოლო შაორის მომავლის ბანაკმა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასათან ერთობლივი საპილოტე პროექტის ფარგლებში უმასპინძლა 923 წარჩინებულ სტუდენტს.

- საგანგებო სიტუაციებში ქცევის და სახანძრო უსაფრთხოების წესების პროპაგანდის, კატასტროფის რისკის შემცირების, ასევე ზოგადი ფიზიკური განვითარების მიზნით, საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე (14-18 წლის მოზარდებისთვის) განხორციელდა პროექტი „მაშველთა კლუბი“ – 30 ბენეფიციარი.
- პროგრამა ახალგაზრდული ფესტივალი 2016-ის ფარგლებში ბავშვთა და ახალგაზრდული ეროვნული ცენტრის მიერ ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის და სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები: „ფანARTი“ (პირველი მრავალჟანრობრივი ფესტივალი, რომელიც აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა დარგებს), „იცხოვრე სპორტით“, „მინიკალათბურთის ფესტივალი“, „ქუჩის კალათბურთი“, „ქუჩის ფეხბურთი“, „სასკოლო დემოკრატია“, „მოხალისეთა კლუბი“, „გაძლიერდი და შეცვალე“ (შშმპ პირთა უფლებები და დაცვის მექანიზმები - სამიზნე ჯგუფი შშმპ ბავშვთა მშობლები), „ცვლილებები თანასწორობისთვის“, „ახალგაზრდული კვირეული“, „ჩვენი თავგადასავალი“ (კონკურსი დამწყები პროზაიკოსებისათვის), CYNC ბრეიქდანსის ახალგაზრდული ფესტივალი“, მრავალჟანრობრივი მუსიკალური ფესტივალი Soundcheck და სხვა.

8.7 სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია დანიშნული აქვს სახელოვან სპორტსმენებს თითოეულს 1000 ლარის ოდენობით. მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები ღებულობენ დახმარებას;
- საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენთათვის სტიპენდიების ფარგლებში სტიპენდია გაიცა 762 სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე.
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაცემულ იქნა დანამატი.

8.8 კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს აპარატი

- ხელი შეეწყო:

  - ✓ მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრირება-კონსერვირებას;
  - ✓ პროექტს „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“ ფარგლებში საგამოფენო სივრცის შექმნას;
  - ✓ სსიპ - უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების 9 სტუდენტის პროფესიულ პროგრამებზე, 7 სტუდენტის სამაგისტრო და 7 სტუდენტის უცხოეთის წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში სწავლის დაფინანსებას;
  - ✓ სსიპ - უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლების 183 სტუდენტისა და მოსწავლის მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და მასტერკლასებში, კონცერტებში.
  - ✓ საზღვარგარეთ 50-მდე პროექტის განხორციელებას,
  - ✓ საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში ახალი თეატრალური დადგმებს, გასტროლებს, ფესტივალებს, გამოფენებს, კინოჩვენებებს, პროექტებსა და კონცერტებს;
  - ✓ საქართველოსა და უცხოეთში, დრამატურგიულ, ლიტერატურულ და მუსიკალურ კონკურსებს, საერთაშორისო წიგნის, ლიტერატურული, მუსიკალური, კინო და თეატრალურ ფესტივალებს;
  - ✓ ახალ გამოცემებს (თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, თეატრალური, კინო და სახვითი ხელოვნების ლიტერატურა)
  - ✓ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ 16 სსიპ-ის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
  - ✓ 3 სსიპ-ში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას;
  - ✓ 30-მდე ქვეყანასთან კულტურული ურთიერთობის განვითარებას და გაღრმავებას.

8.9 სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (პროგრამული კოდი 55 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა, რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

8.10. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- სამინისტროსთან არსებულმა „სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭომ“ (საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, ეროვნული ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით), შესაბამის კრიტერიუმებზე დაყრდნობით განიხილა სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი, რის საფუძველზეც 56 სპორტულ ორგანიზაციას განესაზღვრა დაფინანსება;
- სამინისტრომ შეიმუშავა სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები, რომელიც დაკავშირებულია სპორტსმენების კვების, განთავსებისა და სავარჯიშო პირობების გაუმჯობესებასთან. სტანდარტები გათვლილია ინდივიდუალურად ყველა სპორტის სახეობისთვის და წარმოადგენს სპორტსმენების მზადების ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ წინაპირობას;
- დაინერგა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა, რაც გულისხმობს სამინისტროს მიერ აღიარებულ სპორტულ ორგანიზაციებთან ოფიციალური დოკუმენტგაცვლის მოქნილ გამარტივებულ ფორმას. ელექტრონული სისტემა მინიმუმამდე ამცირებს პროგრამის ბენეფიციართა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებულ რისკებს;
- სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა ა(ა)იპ „ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი“, რომელიც უზრუნველყოფს საფეხბურთო ლიგებისა და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გრძელვადიანი პროგრამის ამოქმედებას. პროგრამის ფარგლებში მომდევნო 5 წლის განმავლობაში მიზნობრივად დაიხარჯება დაახლოებით 260,0 მლნ ლარი, რაც ამ სპორტის სახეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან ინვესტიციას წარმოადგენს;
- შეიმუშავებულ იქნა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, რომელიც დაეგზავნა სპორტულ ორგანიზაციებს და სახელმწიფო უწყებებს შენიშვნებისა და წინადადებების წარმოსადგენად. ამჟამად მიმდინარეობს მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა;

9. საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

9.1. საგარეო პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 28 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ✓ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებები (წარმომადგენლობები);
- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების თარგმნის ბიურო.

- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, მათ შორის ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების კუთხით;
- გაიმართა რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მათ შორის მაღალი დონის ვიზიტები და ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები;
- გაფართოვდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების გადაფარვის ქვეყნების არეალი.

9.1.1. საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან ყოველწლიური შეხვედრა - ამბასადორიალი;
- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა არაერთი მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი მუდმივად იდგა დღის წესრიგში;
- შედგა ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეების ვიზიტები საქართველოში და გაიმართა მოლაპარაკებების 4 რაუნდი. ოთხწლიანი წყვეტის შემდეგ მოხერხდა გალის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის აღდგენა;
- გრძელდებოდა კონსულტაციები ევროკავშირსა და მის წევრ-სახელმწიფოებთან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის სრულად განხორციელების მიზნით;
- მნიშვნელოვანი დიპლომატიური ძალისხმევა იქნა მიმართული რუსეთის უკანონო ქმედებების, მათ შორის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების გავლების აღკვეთის, სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმებთან ე.წ. „ხელშეკრულების“ გაფორმების საერთაშორისო დაგმობის, აფხაზეთის საოკუპაციო ზოლზე ე.წ. გადასასვლელების დაკეტვის, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების აკრძალვის და სხვა უკანონო პროცესების მიმართ საერთაშორისო მხარდაჭერის და გამოხმაურების უზრუნველყოფის მიზნით. გრძელდებოდა მუშაობა პარტნიორ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონფლიქტთან დაკავშირებული მხარდამჭერი განცხადებების და რეზოლუციების მიღების მიმართულებით;
- აქტიურად მიმდინარეობდა არაღიარების პოლიტიკის გატარება და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების მიერ საზღვარგარეთ უკანონო კონტაქტების დამყარების პრევენცია;
- გაიმართა კონსულტაციები პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ჩართულობისა და ნდობის აღდგენის პროცესების ხელშეწყობის მიზნით გააქტიურების თვალსაზრისით;
- მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით, კერძოდ ასოცირების შეთანხმების, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ და NATO-ში ინტეგრაციის მიმართულებით. გაიმართა მაღალი დონის შეხვედრები და ვიზიტები როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;
- სამინისტრო აგრძელებდა თანამშრომლობას გაერო-ს, ეუთო-ს და ევროპის საბჭოსთან და მათ სტრუქტურებთან საქართველოსათვის პრიორიტეტულ საკითხებზე და აქტიურად მონაწილეობდა მათი ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში;
- განხორციელდა საგარეო საქმეთა მინისტრის, მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს წარმომადგენლების არაერთი მნიშვნელოვანი ვიზიტი პარტნიორ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე, სამინისტრო და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უწყების ვიზიტების ორგანიზებაში;
- გრძელდებოდა მუშაობა სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. სამინისტრო, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობდა ბიზნეს-ფორუმებისა და ცალკეული დაინტერესებული უცხოური კომპანიების წარმომადგენლების შეხვედრების ორგანიზებას, ასევე, ქართული კომპანიების ინტერესების რეალიზებას საზღვარგარეთ, მათ შორის, მათი პროდუქციის ახალ ბაზრებზე გატანის მიმართულებით;

- მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნის განვითარების დიპლომატური მხარდაჭერის მიზნით; სატრანსპორტო დერეფნის ფარგლებში საქართველოს, როგორც სატრანსპორტო ცენტრის ფუნქციის უკეთ წარმოჩენის ხელშეწყობის, ასევე, ახალი აბრეშუმის გზის და ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) კონკურენტუნარიანობის ამაღლების კუთხით; მიმდინარეობდა მუშაობა საოკუპაციო რეჟიმის მიერ საზღვარგარეთ სავაჭრო-ეკონომიკური საქმიანობის პრევენციის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში სამინისტრო მონაწილეობას იღებდა შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC), ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ორგანიზაციის (EFTA)-ს და სხვა ეკონომიკური სახის ორგანიზაციების ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში;
- სამინისტრო მუშაობდა საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობის მიმართულებით; საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, მათი რესტავრაცია/კონსერვაციის მიზნით ერთობლივი პროექტების შემუშავების მიმართულებით; დიასპორებთან ურთიერთობის მიმართულებით; ასევე, მიმდინარეობდა აქტიური თანამშრომლობა გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO);
- ჩატარებული სამუშაოების შედეგად განხორციელდა ისტორიული პროექტი, ლევილის მამული გადაეცა საქართველოს;
- მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიმართულებით, საზღვარგარეთ საქართველოს საპატიო კონსულების დანიშვნის კუთხით;
- გაიმართა მრავალი ღონისძიება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, რომელიც მიმართული იყო ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის;
- გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები;
- ჩატარდა მრავალი კულტურული ღონისძიება და განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები;
- განახლდა 2015 წელს შექმნილი საკონსულო ვებ-გვერდი: www.geoconsul.gov.ge;
- სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ქოლ-ცენტრი გადავიდა 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე.
- დახმარება გაეწია ქართველ მეზღვაურებს.
- შესაბამისი ღონისძიებები გატარდა საზღვარგარეთ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების გადმოსვენებასთან დაკავშირებით;

9.1.2. საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე, საეთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

9.1.3. საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

- საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვა სამინისტროებისა და ორგანიზაციების დაკვეთით შესრულდა საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმება, ასევე - სინქრონული თარგმანი.

9.2. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 20 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- სახელმწიფო მინისტრის აპარატის კოორდინაციით შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა. მიმდინარეობდა ამ გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებდა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხთა საერთო კოორდინაციას;
- ქ. ბრიუსელში გაიმართა „პარტნიორობა მობილურობისთვის“ რიგით მე-2 მაღალი დონის შეხვედრა, რომელშიც საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული დელეგაცია მონაწილეობდა. ქართულმა მხარემ, ევროკავშირის ინსტიტუტების (DG HOME, EEAS) წარმომადგენლებს, წევრი ქვეყნების ექსპერტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების (ICMPD, IOM) წარმომადგენლებს გააცნო საქართველოში „პარტნიორობა მობილურობისთვის“ ფარგლებში მიღწეული პროგრესი და მიმდინარე საქმიანობა;
- მომზადდა 2014-2017 წლების ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2016 წლის სამოქმედო გეგმა;
- რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპაციის პირობებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლების სხვა სტრუქტურებთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;
- გამოიცა საინფორმაციო ანალიტიკური ჟურნალის „საქართველოს ევროპული გზა“ მე-8, მე-9 და მე-10 ნომერი;
- გაიმართა ნატოს კვირეული, რომელიც ნატო-საქართველოს დიპლომატიის ფორუმით დაიწყო. კვირეული სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან კოორდინაციით, თავდაცვის სამინისტროს, საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისისა და რუმინეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა;
- გაიმართა ევროპის კვირეული, რომელიც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს აპარატის, ფრიდრიხ ებერტის ფონდისა და ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით და სსიპ „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ ორგანიზებით განხორციელდა;
- გაიმართა აპარატის მხარდაჭერით გადაღებული დოკუმენტური ფილმის „ევროპა საქართველოში - დიუმას ნაკვალევზე“ ჩვენება, რომელსაც დაესწრო საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების 80-მდე წარმომადგენელი.

- ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტთან დაკავშირებულ სიკეთეებსა და ამ მხრივ, ქვეყნის მიერ მიღებული სარგებლის შესახებ შემუშავდა საინფორმაციო გზავნილები, რომლის მიხედვით მომზადდა სოციალური ვიდეო რგოლები ევროინტეგრაციის პროცესზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის. რგოლები განთავსდა წამყვან ცენტრალურ და რეგიონულ მედია სივრცეში;
- მიმდინარეობდა საქართველო-ევროკავშირის მომავალ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული კამპანიის მეორე ფაზის განხორციელება. უწყებებთან კოორდინაციით მომზადდა და გავრცელდა უვიზო მიმოსვლის წესებისა და პირობების შესახებ საინფორმაციო ბროშურები, მათ შორის საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ენებზე (სომხური, აზერბაიჯანული, აფხაზური, ოსური, რუსული). სულ 70 000 ბროშურა;
- საანგარიშო პერიოდში წარიმართა აქტიური მოლაპარაკებები საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის ხელმოწერილი 2014-2016 წლების ევროკავშირის ერთიანი დახმარების ჩარჩო პროგრამით (Single Support Framework - SSF) გათვალისწინებული დახმარების განსახორციელებლად, კერძოდ ხელი მოეწერა შესაბამის ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში გათვალისწინებული სამოქმედო გეგმების საფინანსო შეთანხმებებს სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების (ENPARD), საჯარო სამსახურის რეფორმის, ევროკავშირის საექსპერტო დახმარების მობილიზების და სხვა საფინანსო შეთანხმებებს
- ჩატარდა კონსულტაციები ევროკომისიასთან და შესაბამის დარგობრივ უწყებებთან 2017-2020 წლების პრიორიტეტულ მიმართულებებთან დაკავშირებით, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყვნენ საქართველოს სტრატეგიული განვითარების 4 პუნქტიან გეგმასთან და ასოცირების შეთანხმებასთან;
- გაიმართა მოლაპარაკებები, როგორც ევროკომისიასთან, ასევე, საქართველოს შესაბამის დარგობრივ უწყებებთან ევროკავშირის ახალი თაობის პროგრამებში ჩართვისა და ევროკავშირის სააგენტოებთან თანამშრობლობის ხელშესაწყობად. ამ მხრივ საქართველო უკვე წარმატებით ჩაერთო პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ და ასევე ხელი მოაწერა პროგრამა „ჰორიზონტ-2020“-ში ასოცირებული სტატუსით მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო მინისტრის აპარატი განაგრძობს ნატო-საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაციას. ჩატარდა კომისიის 15 სხდომა, მათ შორის: პარტნიორობებისა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების კომიტეტის დონეზე - შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა, პროფესიული განვითარების პროგრამის იმპლემენტაცია და საჯარო სამსახური რეფორმა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის იმპლემენტაცია; ელჩების მოადგილეების დონეზე - 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამის წარდგენა; მუდმივი წარმომადგენლების დონეზე - ჩრდილოატლანტიკური საბჭოს საქართველოში ვიზიტის ფარგლებში;
- გაიმართა ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის სხდომა, სადაც დამტკიცდა საქართველოს 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამა. ნატო-ს შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა მუდმივი წარმომადგენლების მოადგილეების დონეზე, სადაც ქართულმა მხარემ 2016 წლის წლიური ეროვნული პროგრამა წარადგინა. ალიანსის 28 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა საქართველოს მიერ წლიური ეროვნული პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეფორმათა გეგმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტი ყოვლისმომცველი და რეალისტურია. ასევე, ხაზი გაესვა რეფორმების განხორციელების საქმეში საქართველოს მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს;
- ნატო-ს ვარშავის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად საქართველოს მეოთხედ ესტუმრა ჩრდილოატლანტიკური საბჭო. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა. ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ორმხრივი შეხვედრები გამართა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებთან. ამასთან, შედგა სამუშაო სადილი საგარეო საქმეთა მინისტრთან და გაიმართა ვიზიტი ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრში.

ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, ასევე, გამართა შეხვედრა საქართველოს პარლამენტის წევრებთან. ნატო-ს წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები შეხვდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს;

- სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა ერთობლივად შეიმუშავეს ნატოს შესახებ საზოგადოების ინფორმირების 2016 წლის სამოქმედო გეგმა. საანგარიშო პერიოდში, საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით და მონაწილეობით სულ გაიმართა 550-მდე შეხვედრა/ღონისძიება.

9.3 დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (პროგრამული კოდი 21 00)

**შენიშვნა: დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წლიური ანგარიშის ნაცვლად, წარმოდგენილია 9 თვის ანგარიში, ვინაიდან 2016 წლის მე-4 კვარტალში განხორციელდა აპარატის ლიკვიდაცია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ნოემბრის N511 განკარგულების შესაბამისად.*

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციულ, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის რესპუბლიკებში. ვიზიტების ფარგლებში სახელმწიფო მინისტრი დაესწრო ქართულ საღამოს პარიზში, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის 25 წლის იუბილეს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო მინისტრი დაესწრო გერმანიის ქართული სათვისტომოს დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას და ასევე, გამართა შეხვედრები ქართულ დიასპორასთან. ლატვიის და ლიტვის რესპუბლიკაში სახელმწიფო მინისტრი შეხვდა მის უცხოელ კოლეგებს, სადაც განხილული იყო დიასპორის თემატიკა, ასევე, შედგა შეხვედრა ზემოხსენებულ ქვეყნებში მოქმედი დიასპორულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს და დიასპორის წარმომადგენლებთან;
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და პარტნიორი უწყებების პატრონაჟით გაიმართა საქართველოს ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი, რომელსაც ესწრებოდა მსოფლიოს რვა სხვადასხვა ქვეყანაში დანიშნული, საქართველოს ახალგაზრდა ელჩი, რომლებმაც წარმოადგინეს ინფორმაცია ადგილსამყოფელ ქვეყნებში, ახალგაზრდობის სფეროში მიმდინარე პროექტებისა და იქ მცხოვრები ქართველი ახალგაზრდების საქმიანობის შესახებ, მათ მიერ განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, საკუთარი ინიციატივები და ერთი წლის სამოქმედო გეგმები;
- თურქეთის რესპუბლიკის ქ. ინეგოლში, ინეგოლის კავკასიური ფოლკლორისა და კულტურის ასოციაციის ორგანიზებით, ჩატარდა ქართული ფოლკლორისა და კულტურის საღამო დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანადგომით;
- დედაენის დღესთან დაკავშირებით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სტუდია „ტელევეზირთან“ ერთად შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიების ფარგლებში მოაწყო ნახატების გამოფენა, სადაც უმასპინძლა ბავშვებს, ეთნიკურ ქართველებს ირანის ისლამური სახელმწიფოდან, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებიდან.
- დიასპორის დღეების ფარგლებში გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის მეორე დიასპორული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. აღნიშნულ კონფერენციაზე უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება საქართველოში

მცხოვრებ თანამემამულეებს სხვადასხვა სფეროში. მოწვეული სტუმრებისთვის გაიმართა ლექციები დიასპორის როლსა და დიასპორასთან მუშაობის საკითხებზე;

- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელშეწყობით, ანაკლიაში არსებულ „მომავლის ბანაკში" თურქეთში, რუსეთში, ირანში, აზერბაიჯანსა და გერმანიაში მცხოვრებმა 133-მა მოზარდმა თანამემამულემ დაისვენა;
- სახელმწიფო მინისტრი ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკაში ლევილის შატოს მამულისა და ქონების საქართველოსთვის გადმოცემისა და მისი შემდგომი ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შექმნილი პარიტეტული კომისიის დასკვნით სხდომაზე. აღნიშნული კომისიის სხდომაზე ხელი მოეწერა ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემის დოკუმენტს.

10. სოფლის მეურნეობა

10.1. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო"
- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო"
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია"

- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის მიზნით, შპს „საქართველოს მელიორაციის" კაპიტალის გასაზრდელად სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექპლუატაციის, მექანიკური სატუმბი სადგურებისა და სხვა ჰიდროკვანძების ფუნქციონირებისთვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა 38 ობიექტზე (საირიგაციო სისტემების 30 ობიექტზე და დამშრობ სისტემების 8 ობიექტზე), ხოლო 77 ობიექტზე მიმდინარეობდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების მოწყობილობები, საირიგაციო დანიშნულების მოძრავი სატუმბი სადგურის კომპლექტაცია (მილები, მილების გადასაბმელი ნაწილები, ძრავები, ტუმბოები და მათი მაკომპლექტებელი დეტალები);
- მონაწილეობა იქნა მიღებული: ქ. ბერლინში სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაში „მწვანე კვირეული 2016" (Gruene Woche 2016), ქ. ბაქოში აგროსამრეწველო სექტორის საერთაშორისო გამოფენაში „World Food Azerbaijan/Caspian Agro 2016", ქ. რიგაში აგროსამრეწველო სექტორის საერთაშორისო გამოფენაში „Riga Food 2016", ქ. ასტანაში გამოფენა „Kazagro/Kafarm 2016"-ში, ქ. მინსკში გამოფენა „Prodexpo 2016"-ში. ამასთან, ქ. სტამბოლში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის და ქ. ვენაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის ფარგლებში ჩატარდა ქართულ აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაციები.
- 487 კოოპერატივს მიენიჭა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მონაწილეობა მიიღეს 5 გამოფენა-გაყიდვაში.
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში პროექტის დაწყებიდან საანგარიშო პერიოდის ბოლომდე სულ გადაიარაღდა 700-მდე საწარმო და დაფინანსებულია 138 ახალი საწარმო;

- მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში სარგებელი მიიღო 656,7 ათასმა ბენეფიციარმა. პროექტის ფარგლებში დამუშავდა 222,8 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.
- აგროდაზღვევის პროექტის ფარგლებში 2016 წელს გაიცა 18.8 ათასი პოლისი, დაზღვეულია 133 მლნ ლარის ღირებულების მოსავალი და 15.5 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი.
- მანდარინის (არასტანდარტული) რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში მოსახლეობისგან არასტანდარტული მანდარინი.
- „დანერგე მომავალი“ პროექტის ფარგლებში 2016 წელს დამტკიცდა 274 პროექტი, გასაშენებელი ბაღების ფართობი შეადგენს 1 764 ჰექტარს, მოწყობილია ერთი სანერგე მეურნეობა.
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამაუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში 2016 წელს საბოლოო ხელშეკრულება გაფორმდა გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში 13 ბენეფიციართან, ჯამური ღირებულებით 7,8 მლნ აშშ დოლარი, საიდანაც თანადაფინანსება შეადგენს 2,6 მლნ აშშ დოლარს. პროდუქციის შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტში დამტკიცებულია 3 განაცხადი - ჯამური ღირებულებით 1,8 მლნ აშშ დოლარის ოდენობით, თანადაფინანსება შეადგენს - 0,7 მლნ აშშ დოლარს. სულ 2014-2016 წლებში ექსპლუატაციაში შესულია 16 ახალი საწარმო.
- „ქართული ჩაის“- ს პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 9 განაცხადი, ჯამური ფართობი შეადგენს 284 ჰექტარს.
- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტის ფარგლებში შეირჩა მიწის აღდგენითი სამუშაოების 4 ობიექტი (ნაპირსამაგრი სამუშაოები შიდა ქართლში - 2 ობიექტი და კახეთში - 2 ობიექტი). მომზადდა მიწის აღდგენის გეგმები. საგრანტო კომპონენტის მიმართულებით: განხილული იქნა 19 განაცხადი დამტკიცდა გრანტის გაცემა 6 განმცხადებლისთვის მომზადდა ოთხი სადემონსტრაციო ნაკვეთი (კახეთი - ატამი, შიდა ქართლი - ვაშლი, სამეგრელო - ხურმა , ქობულეთი - კივი).
- 2016 წლის რთველის ღონისძიებების ფარგლებში სს „აკურა“-ს მიერ შესყიდულია დაახლოებით 31.0 ათასი ტონა ყურძენი.

10.1.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;
- მელიორაციის სფეროს განვითარების, მიწის რაციონალურად გამოყენების, ნიადაგის კონსერვაციის, ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების სტრატეგიისა და დარგობრივი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- სოფლის მეურნეობის დარგის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველყოფა;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;
- საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო გადასახადის გადახდა;

10.1.2 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 37 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების ერთიანი პოლიტიკის გატარებაში სამინისტროს ხელშეწყობა, სამინისტროს პროგრამების შესახებ მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირება, დაინტერესებული პირებისათვის დარგის შესაბამის საკითხებზე კონსულტაციების გაცემა, ტრენინგებისა და სწავლებების ორგანიზება.

10.1.3. სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- ✓ შპს „საქართველოს სამელიორაცია“

- შეძენილია სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკა, კერძოდ: მილები და მილების გადასაბმელი ნაწილები; ძრავები, ტუმბოები, მთი მაკომპლექტებელი დეტალები და მარაგნაწილები; ელექტრო შედუღების აპარატი (6ცალი); გალვანური კვების გარდამქმნელი, საწვავის მობილური ავზი, წყლის ტუმბო; ჭაბურღილის ტუმბო და ძრავი; ძაბვის ტრანსფორმატორი; ჩაძირული საკანალიზაციო ტუმბო; კერხერი (ბენზინის მაღალი წნევის აპარატი); პოლიეთილენის მილების შესადუღებელი აპარატი; ტუმბო აგრეგატები; ჰიდრავლიკური დამაქუცმაცებელი და სხვა ამასთან, შეძენილია 2 ცალი საცხოვრებელი კონტეინერი, მოტოსკუტერები, ენერგო მონიტორინგის სისტემები, დენის ტრანსფორმატორები, ელექტრო შედუღების აპარატი, ფარის ორხრახნიანი ამწე მექანიზმები; გალვანიზებული მილი, მუხლი, უკუსარქველი, ფიტინგები და ბეტონ შემრევი.

- 2016 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები დასრულლდა შემდეგ ობიექტებზე:
  - კავთისხევის სარწყავი სისტემის, მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი და III ეტაპი);
  - ✓ ტირიფონის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ183+37 - პკ186+67,3 მონაკვეთზე ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები;
  - ✓ სოფელ ზემო შაქშაქეთის ტერიტორიაზე ტაშისკარის მაგისტრალური სარწყავი არხის ფილტრაციის საწინააღმდეგო სამუშაოები (I ეტაპი);
  - ✓ რიონი-ხობის მდინარეთა შორის მასივზე, ჭალადიდის დამშრობი სისტემის მ-1 მაგისტრალურ არხზე დაზიანებული სატრანსპორტო გადასასვლელი ხიდების აღდგენის და ახალი ხიდების მოწყობის (I რიგის II ეტაპი) სამუშაოები;
  - ✓ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე, სოფელ აკურაში მდებარე დიუკერის აღდგენა-რეაბილიტაციის (II ეტაპი) სამუშაოები;

- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ზემო მაჩხაანი-არბოშიკი-მირზაანი-ოზაანის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგების სამუშაოები;
- ✓ სოფ. ძველი ანაგის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგების სამუშაოები;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში მდებარე შპს ,,საქართველოს მელიორაციის" კუთვნილი ხვითის სატუმბი სადგურის გარე ელექტრო მომარაგების სამუშაოები;
- ✓ ნარეკვავის წყალსაცავის კაშხლის და კატასტროფული წყალსაგდების აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ✓ თიანეთის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალსოფლის, სოფელ გოჯიაანების, სოფელ დულუზაურების და სოფელ ჩაბანოს სავარგულების მოსარწყავად სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები (I ეტაპი);
- ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის მეორე რიგის გამანაწილებელ გ-8 -ის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ლოჭინის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური არხის დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაცია, ზ/სამგორის ს/ს ქვემო მაგისტრალური არხის წყლით უზრუნველყოფის გასაუმჯობესებლად;
- ✓ სოფელ დიდი ირაგას მიმდებარედ (163 ჰა მიწის ფართობის მოსარწყავად) სატუმბი სადგურის და სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ მდინარე ინაბოტის დამშრობი კოლექტორის გაწმენდა და ორმაგი დანიშნულებით (დაშრობა/მორწყვა) გამოყენების გათვალისწინებით;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში დახურული მილსადენების მოწყობა (მობილური მელიორაცია);
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ზონაში დახურული მილსადენების მოწყობა (მობილური მელიორაცია);
- ✓ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ პალდოში სათავე ნაგებობის გარე ელ.მომარაგების და რეაბილიტაციის (I და II ეტაპის) სამუშაოები;
- ✓ სოფელ ვაქირში პკ 419+12-ზე გ-24 გამანაწილებელზე არსებული კოლექტორის აღდგენა;
- ✓ ალმალოს სატუმბი სადგურის გარე ელ. მომარაგების სამუშაოები;
- ✓ სოფელ ციხესულორის სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქ. წნორის კომპლექსის ტერიტორიაზე პკ 493+80-ზე არსებული გ-29 კოლექტორის აღდგენა;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია გურჯაანის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე I რიგი;
- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია I რიგი;
- ✓ მთის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ მაშველის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-1-8 (პკ0+00-დან პკ32+00-მდე), გ-1-9, გ-1-10, გ-1-10-1 და გ-1-11 გამანაწილებლების, გეგუთის არხის (გ-2-7 გამანაწილებლიდან ბოლომდე), გ-2-2, გ-2-3, გ-2-5, გ-2-6, გ-2-7 და მათი მეორე და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდა სამეურნეო სარწყავი ქსელის (4750 ჰა ბრუტო II რიგი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში სოფელ კავთისხევის I და II აწევის სატუმბი სადგურის შიდა და გარე ელექტრომომარაგების და მექანიკური ნაწილის რეაბილიტაცია;
- ✓ თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე, სოფელ აკურაში მდებარე დიუკერის აღდგენა-რეაბილიტაცია (Iეტაპი)";
- ✓ ქ.მარნეულში მდებარე სახმელეთო ჯარების საავიაციო ბრიგადის, აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლის მიმდებარე ტერიტორიის გამჭოლად გადამკვეთი ხრამ- არხის პკ93+00-ზე მდებარე გ-4 -ე II გამანაწილებლის რს/ბეტონის რგოლებით მოწყობილი გალერეის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფლების ონანურის და ჭაბუკიანის დამშრობი კოლექტორის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ დიდი ირაგას სატუმბი სადგურის გარე ელმომარაგების სამუშაოები;

- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის არსებული სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის (I ეტაპი) სამუშაოები;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ340+19-ზე არსებული ღვარსაშვის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ თეძამის N6 სატუმბი სადგურის მკვებავი მილის (პკ38+00-დან პკ 50+00-მდე) რეაბილიტაცია;
- ✓ თეზი-ოკამის სარწყავი სისტემის იგოეთის ქვემო მაგისტრალური არხის N11 გამშვების დაბოლოების აღდგენა;
- ✓ სიონის წყალსაცავის საექსპლოატაციო კოშკში არსებული სამგზავრო-საექსპლუატაციო ლიფტის აღდგენა;
- ✓ ლანჩხუთის მუნიცპალიტეტის სოფ.წყალწმინდაში სუფსისა და სეფა-ჩირეს დამშრობი მასივის რეაბილიტაცია II ეტაპი; (38)
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი სოფ. ანაკლიაში თიქორი-ენგურის დამშრობი მასივის ე-1 კოლექტორის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ფერსას და მუგარეთის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის აღდგენა-რეაბილიტაციის (I ეტაპი) სამუშაოები.

- 2016 წელს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ობიექტებზე სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ ობექტებზე:
  - ✓ კასპის მუნიციპალიტეტში ნიაბის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის და მდ. თეძამზე უკაშხლო, გვერდითი წყალაღების სათავე ნაგებობების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ დოესის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბლიტაცია;
  - ✓ ლამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთებზე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების (უბანი-1) სამუშაოები;
  - ✓ გორის მუნიციპალიტეტში ცხინვალის რეგიონის გამყოფ ხაზთან მდებარე მერეთის თემის სოფლების: მერეთის, გუგუთიაანთკარის, ზარდიაანთკარის და კოშკას სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის წყლის თვითდინებით და სტაციონალური სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ გორის მუნიციპალიტეტში საოკუპაციო ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე სოფელ ნიქოზთან სალთვისის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის და ზემო ნიქოზის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ სკრა-ქარელის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე პკ 236+40-დან პკ 243+80-მდე ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და აკვედუკის მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ სიონის წყალსაცავის საექსპლოატაციო კოშკის და გვირაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ კასპის მუნიციპალიტეტში ქვემო ხანდაკი-ნიჩბისის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის რეაბილიტაციის (I ეტაპი) სამუშაოები;
  - ✓ ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის მეორე რიგის გამანაწილებელ გ-6 -ის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
  - ✓ საჩხერის მუნიციპალიტეტში, ხოდაბუნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის (პკ 52+53 - პკ 59+00; პკ 60+30 - პკ 72+40 მდე) ღარებით მოპირკეთების, ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებების და II რიგის გამანაწილებლებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობის სამუშაოები;
  - ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში ხრამ-არხის სარწყავი სისტემის დაზიანებული მაგისტრალური არხის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები;
  - ✓ იაკუბლოს წყალსაცავის კაშხლის კონსტრუქციული მდგრადობის და ფილტრაციის საწინააღმდეგო ღონისძიებები;

- ✓ წალკის მუნიციპალიტეტში სოფელ ავრანლო-გუმბათის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ნოღელა-ცხენისწყლის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ ტყვირის დამშრობი სისტების რეაბილიტაცია (ნაწილი);
- ✓ ძველი აბაშის საკრებულოში დამშრობი მასივის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ხუნწაში მარტვილის მაგისტრალური კოლექტორის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ სოფელ პირველი მაისის საკრებულოში გაუწყინარის თემში არსებული დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის თვითდინებითი მორწყვის გ-40-ის და მისი II და სხვა რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია და წყალმიმღები ჯიმითის კოლექტორის მცენარეებისაგან გაწმენდის (I რიგი) სამუშაოები;
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან, სოფელ ძველი ანაგის სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ზემო მაჩხაანი-არბოშიკი-მირზაანი-ოზაანის მექანიკური აწევის სატუმბი სადგურის სამშენებლო და წვეთოვანი სისტემით მორწყვის მილსადენის მოწყობის სამუშაოები (I ეტაპი);
- ✓ სოფ.შილდის შუა არხის N3 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის პირველი რიგის გ-2 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფელ კლდეწნისის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის აღდგენა-რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ ბაკურციხის მექანიკური მორწყვის სისტემის I რიგის გამანაწილებლების მოწყობა, წვეთური სარწყავი სისტემის მოწყობის გათვალისწინებით (II ეტაპი);
- ✓ სოფელ ვაქირის მექანიკური მორწყვის სისტემის I რიგის გამანაწილებლების მოწყობა, წვეთური სარწყავი სისტემის მოწყობა (II ეტაპი);
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში ალაზნისპირა მიწების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია მდინარე ალაზანსა და ქვემო ალაზნის მაგისტრალურ არხს შორის ტერიტორიაზე III რიგი;
- ✓ სარო-ხიზაბავრას სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხისა და I და II აწევის სატუმბი სადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ აჯამეთის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, წყალმიმღების, სალექარის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხისა და ტობანიერის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხების, I რიგის გამანაწილებლების, დამშრობი ღია სადრენაჟო-საკოლექტორო ქსელის და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ბაღდათის მუნიციპალიტეტში აფხანაურის სარწყავი სისტემის (250 ჰა), მაგისტრალური არხის და I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ მდ.ფიჩორის გასწორხაზოვნებული მონაკვეთების(წყალმიმღები და წყალგამყვანი) საპროექტო პროფილის (გამტარიანობის გაზრდა) და მასზე მოწყობილი ნაგებობების აღდგენა-რეაბილიტაცია პკ49+50 დან პკ 166+20-მდე II რიგი;
- ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე, რიონის მარცხენა სანაპირო მასივზე, ნიგოეთის თემის სოფელ ჭყონაგორის და სოფელ ნიგოეთის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია (I, II და IIIეტაპი);
- ✓ რიონი-ჩოლოქის მდინარეთაშორისო მასივზე სოფ. ნატანების დამშრობი სისტემის (სისტემის გარეთ დამშრობი მასივი) რეაბილიტაცია (I რიგი);

- ✓ მერეკრძელა-კაპროვანის (შეკვეთილის) მასივის დამშრობის სისტემის მაგისტრალური წყალგამყვანი არხების და მათზე არსებული ჰიდროტექნიკური ნაგებობის აღდგენა-რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ ანჯელის მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (II რიგი);
- ✓ წეროვანის დევნილთა დასახლების საკარმიდამო ნაკვეთების მოსარწყავად წყალმიმყვანი მაგისტრალისა და გამანაწილებელი ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ სენაკის მუნიციპალიტეტში, ცივა-ტეხურას მდინარეთაშორის მასივზე ახალსოფლის დამშრობი სისტემის (ნაწილი) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ვარდისუბნის N70 გამანაწილებლის რეაბილიტაცია
- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ I მაისის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;
- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფელ ხამისკურის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია;
- ✓ ხობი-ენგურის მდინარეთაშორის მასივზე სოფ.დარჩელის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია (I რიგის პირველი და მეორე ეტაპი);
- ✓ ქობულეთის დამშრობი სისტემის საუბნო სახლის გარე კომუნიკაციების მოწყობა (წყალმომარაგება, ელმომარაგება, გაზმომარაგება და სხვა);
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ბებერას არხის რეაბილიტაცია;
- ✓ იმირასანის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის, მაგისტრალური არხის, I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები (II ეტაპი);
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ბაკურციხის და სოფელ ვაქირის სატუმბი სადგურების აღდგენა-რებილიტაცია მიწათმოსარგებლეების მიერ, თანამედროვე ტექნოლოგიებით ვენახების მოსარწყავად (I ეტაპი);
- ✓ სოფლების ციხე-სულორის და ამაღლების დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;
- ✓ სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სარწყავი სისტემის წყალმიმღებისა და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ანჯელის მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ სამარღანოში (III რიგი);
- ✓ ძევერა-შერთულას მაგისტრალური არხის გ-8 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის სოფელ ოჟიოს N38 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ მეღვრეკისის სატუმბი სადგურის სადაწნეო მილსადენის მაგისტრალურ არხზე დაერთების კვანძების, მეღვრეკისის სათავე ნაგებობასთან სასაწყობე შენობისა და გარე განათების მოწყობა;
- ✓ მთისძირის წყალასაცავის მიმყვანი მილსადენისა და არხის სათავე ნაგებობის (ტიროლი-1), წყალსაცავის წყალმიმღები კოშკის და სარეგულაციო კვანძის აღდეგნა-რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხიდან (პკ319+00) გამომავალი ვეჯინის („წიწილა“) გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის კაჭრეთის ფილტრაციული მონაკვეთის რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის პირველი რიგის გ-22 და გ-26 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ429+98-ზე არსებული ვაქირის წყალსაგდები არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ✓ ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის გ-55 გამანაწილებლის რეაბილიტაცია;
- ✓ ასპინძის რაიონში მდებარე, სარო-ხიზაბავრას I და II აწევის სატუმბი სადგურების გარე ელმომარაგების სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ ნატანები-ჩოლოქის მდინარეთაშორის მასივზე მიწათმოსარგებლეთა შიდასამეურნეო კვლების ორნატების გაწმენდის და დაზიანებული მილხიდების აღდგენის ღონისძიებები;

- ✓ ერწოს მასივის დამშრობის სისტემის მდ.აძიძის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ნატანი გრუნტისაგან (II ეტაპი) პკ 0+00-დან პკ 60+00-მდე;
- ✓ მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის აღდგენა -რეაბილიტაციის (II რიგი) სამუშაოები;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში სოფლების ხანდაკის, სასირეთის და მეტეხის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტში კავთისხევის III აწევის სატუმბი სადგურის და სარწყავი ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქვემო ალაზნის მაგისტრალური არხიდან, სოფ. ძველი ანაგის სატუმბო სადგურის, სადაწნეო და მეორე გამანაწილებელი მილსადენის და წვეთოვანის დაერთების კვანძების მოწყობის (მე-3 ეტაპი) სამუშაოები;
- ✓ სოფ. შაუმიანის მექანიკური სარწყავი სისტემის და იმირასანის მაგისტრალური არხის პკ11+580-დან პკ17+130-მდე რეაბილიტაცია (I ეტაპი);
- ✓ ზემო არხზე სოფ. სავანეთის I და II რიგის განანაწილებლების რეაბილიტაცია;
- ✓ გარდაბნის სარწყავი სისტემის გ-9 და გ-14 გამანაწილებლების რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. ფიროსმანის მექანიკური მორწყვის სისტემების რეაბილიტაცია, წყალმიმღები კვანძისა და სატუმბი სადგურის მოწყობის სამუშაოები;
- ✓ ურბნისის სატუმბი სადგურის სარწყავი ქსელის მოდერნიზაცია-რეაბილიტაცია (I ეტაპი)
- ✓ ლაგოდეხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთის რეაბილიტაცია პკ0+00-დან პკ5+15-მდე;
- ✓ „ანჯელის“ მასივის დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ კეთილარში (III რიგი);
- ✓ ხანდაკი-სასირეთის-მეტეხის სატუმბი სადგურის გარე ელ.მომარაგების სამუშაოები;
- ✓ ერწოს მასივის დამშრობის სისტემის მდ.აძიძის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები ნატანი გრუნტისაგან (III და IV ეტაპი) პკ 60+00-დან პკ 78+10-მდე;
- ✓ ხვითის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია;

- მიმდინარე პროექტების დასრულებით მიღწეულ იქნება: პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 11 071 ჰექტრამდე მიწის ფართობი; ახალი სარწყავი მიწების ათვისება 948 ჰექტარზე; არსებულ რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება სავარაუდოდ 10 174 ჰექტარზე; რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი სავარაუდოდ 5 074 ჰექტარი; მიწის ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 7 040 ჰექტარზე.

10.1.4. ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ქ. ბერლინში ჩატარდა სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული 2016“, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, ქართულ სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული კომპანიების პროდუქცია - ღვინო, ჭაჭა, ლუდი, ლიმონათი, წვენი, ჩაი, ჩურჩხელა, გოზინაყი, ტყლაპი, ტყემალი, ჯემი, თხილი. გამოფენაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ქართული სამზარეულო ტრადიციული კერძებით (ხაჭაპური, ჭვიშტარი, ფხალი და ა.შ.) სადაც მონაწილეობა მიიღო 12-მდე ქართულმა კომპანიამ, მათ შორის: „ქიმერიონი“, „ჩელთი“,

„ტიბანელი“, „ბადაგონი“, „მილდიანი“,„კორპორაცია ქინძმარაული“, „შუხმან ვაინსი“, „კახური“, „კულა“, „ლივო“, „გეოჰაუსი“, „მაკოვსკი რუსა“. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ და ტურისტულმა კომპანიებმა;

- ქ. ვენაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიის ფარგლებში, გაიმართა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია. წარდგენილი იყო ექვსი ქართული კომპანიის კერძოდ: სს „მარუსიას“, შპს „ბებუკას“, შპს „ლივოს“, „ქართული ყველის სახლის“, შპს „გეოპლანტის“, შპს „მარნეულის სასურსათო ქარხანის“ პროდუქცია;
- ქ. ბაქოში გაიმართა აგროსამრეწველო სექტორის საერთაშორისო გამოფენა, სადაც მოეწყო ქართული კუთხე და წარმოდგენილ იქნა რვა სხვადასხვა კომპანიის, კერძოდ: „კულას“, „ლივოს“, „თელავის ღვინის მარანის“, „Lili Wine-ს“, „ზედაზენის“, „კახური ღვინის მარანის“, „ჰერეთის ღვინის მარანის“ და „შალოშვილის ღვინის მარანის“პროდუქცია;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, მიძღვნილ ღონისძიებაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტენდზე წარმოდგენილი იყო სახელმწიფო პროექტების ფარგლებში შექმნილი აგრარული მიმართულების საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცია.
- ქ. თბილისში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის ფარგლებში, გაიმართა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/გაყიდვა. წარდგენილი იყო თერთმეტი ქართული კომპანიის, კერძოდ: შპს „ლივოს“, „ქართული ყველის გილდიას“, „ბადაგის“, „შალოშვილის მარანის“, შპს „შუხმან ვაინ ჯორჯიას“, შპს „ყვარლის სარდაფის“, „თბილღვინოს“, „ბადაგონის“, „ქიმერიონის“, „თაფლიკაცის“, „მაწვნის სახლი ალავერდთან“ პროდუქცია;
- ქ. რიგაში „გაიმართა აგროსამრეწველო სექტორის საერთაშორისო გამოფენა“ Riga Food 2016“. აღნიშნულ გამოფენაში მონაწილეობა მიიღო ცხრა კომპანიამ, („კულა“, „არეანვეზა“, „Wine Products & Spirits (Tolibashi)“, „ვაზიანი“, „ზედაზენი“, „Healthy Water (ნაბეღლავი)“, „შალოშვილის მარანი“, „კახური“, „Fredericus Secundus“). ქართულ სტენდს გადაეცა სერტიფიკატი გამოფენაში წარმატებით მონაწილეობასთან დაკავშირებით;
- ქ. ასტანაში გაიმართა გამოფენა „Kazagro/Kafarm 2016“. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ცხრა ქართული კომპანიის („კულა“, „ლივო“, „შატო თელავი“, „ქიმერიონი“, „ზედაზენი“, შპს „ქინძმარაული“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „წინანდლის ძველი მარანი“, „არეანი“) პროდუქცია. ქართულმა სტენდმა ორგანიზატორებისაგან მიიღო დიპლომები „საუკეთესო სტენდისათვის“ და „აქტიური მონაწილეობისათვის“. გარდა ამისა, ქართული კუთხე დაჯილდოვდა ოქროს მედლით;
- გაიმართა ტრადიციად ქცეული ყველის ფესტივალი. ყველის ფესტივალი ქართული ყველის პოპულარიზაციას და საუკუნეების მანძილზე დაკარგული სახეობების აღორძინებას ემსახურება. მნიშვნელოვანია, რომ ყოველწლიურად იზრდება როგორც ფესტივალში მონაწილე ფერმერთა რაოდენობა, ასევე წარმოებული ყველის სახეობები. ფესტივალზე საკუთარი პროდუქცია ყველის მწარმოებელმა 45 კომპანიამ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა (საქართველოს ყველა რეგიონიდან) წარმოადგინა. ღონისძიების ფარგლებში, საკუთარი პროდუქცია წარმოადგინეს ქართული ღვინისა და თაფლის მწარმოებელმა კომპანიებმაც;
- ქ. მინსკში გამოფენა „Prodexpo 2016“ მოეწყო. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობით აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თოთხმეტი ქართული კომპანიის („ლივო“, „თელავის ღვინის მარანი“, „ქიმერიონი“, „ვაზიანი“, „Legends of Georgia“, „დუგლაძეების ღვინის კომპანია“, „გიორგობა“, „არეანი“, „კახური ღვინის მარანი“, „კულა“, „Wines Products and Spirits“, „შალოშვილის მარანი“, „შალვინო“, „ჰერეთის ღვინის მარანი“) პროდუქცია. ქართულმა სტენდმა ორგანიზატორებისაგან მიიღო დიპლომი „აქტიური მონაწილეობისათვის“;
- ქ. სტამბოლში გაიმართა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში გაიმართა ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა/დეგუსტაცია.

10.1.5. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

- საანგარიშო პერიოდში სტატუსი მიენიჭა 487 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულია 1 509 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. მონიტორინგი ჩაუტარდა 390 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს, რომელთაგან სტატუსი შეუწყდა 179 კოპერატივს.
- მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 91 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 6 348 სკა. 28 კოოპერატივმა პროგრამის ფარგლებში მიიღო 28 თაფლის საწური (ციბრუტი) და 27- ს გადაეცა 713 თაფლის შესანახი ავზები - სულ 61 400 ლიტრი ტევადობის.
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 15 კოოპერატივთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს, სააგენტოს მხრიდან კაპიტალური ინვესტირების განხორციელებამდე კოოპერატივის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს. 31 დეკემბრის მდგომარეობით 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რაც გულისხმობდა რძის საწარმოსათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობის აშენებას და სურსათის ეროვნული სააგენტოს დასკვნის შესაბამისად აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულ კოოპერატივებს გადაეცათ რძის საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობები.
- კოოპერატივში „დარჩელის თხილი“ (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩელი) გაიმართა ღონისძიება „თანამედროვე სოფლის განვითარება ერთი საწარმოს მაგალითზე“. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოფენა, რომელშიც 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა.
- გაიმართა ქართული ღვინის კვირეული. კვირეულის ფარგლებში მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში თელავში მონაწილეობა მიიღო 10-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა, ხოლო მარნეულში 7-მა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა.
- თბილისობის დღესასწაულზე, რიყეზე მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში 24 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო მონაწილეობა.
- გაიმართა სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე–16 საერთაშორისო გამოფენა, რომლის ფარგლებშიც 40-მდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა (საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან) საკუთარი პროდუქცია (თაფლი და მეფუტკრეობის პროდუქტები, ჩაი, თხილი, ჩირი, ჩურჩხელა, ყველი, მწვანილი, ბოსტნეული, ხილი) წარმოადგინა.

10.1.7. შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 01 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

- პროექტი მოიცავს საბრუნავი საშუალებების კომპონენტს, ძირითადი საშუალებების კომპონენტს,შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტი, სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. აღნიშნული კომპონენტების ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას შემდეგი განაკვეთებით:
    - ✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 8%;
    - ✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 11%;
    - ✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 12%;
    - ✓ აწარმოე საქართველოში - 10% (სესხის გაცემიდან 24 თვის მანძილზე);
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 2013-2016 წლებში სულ გაცემულია 25 314 სესხი 759.4 მლნ ლარის და 2 258 სესხი 238.9 მლნ აშშ დოლარის ოდენობით;
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის მიმდინარე პორტფელი შეადგენს 155.5 მლნ ლარს და 124.6 მლნ აშშ დოლარს.

10.1.8. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის ფარგლებში ბენეფიციარები სარგებელს იღებენ სასოფლო–სამეურნეო (ხვნის) ბარათის ან „აგრო ბარათზე“ დარიცხული ქულების სახით, რომლის მეშვეობით მოსარგებლეს შეუძლია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების საქონლის (სასუქი, სათესლე მასალა, სანერგე მასალა და მცენარეთა მოვლის საშუალებები) შეძენა მომწოდებლებისგან, ხოლო ხვნის ბარათი გამოიყენება ერთწლიანი კულტურებისთვის განკუთვნილ მიწის ნაკვეთზე ხვნის სამუშაოების სერვისის მისაღებად.
- მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის სია განისაზღვრა 772.6 ათასი ბენეფიციარით, სარგებელი მიიღო 656.6 ათასმა ბენეფიციარმა, მათ შორის 472.9 ათასმა ბენეფიციარმა მიიღო 36 073.1 ათასი ლარის სარგებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახით.

10.1.9 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 01 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- „იაპონური გრანტის პროგრამა 2KR ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეპონირებული თანხების გამოყენების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულებების თანახმად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2016 წლის ვალდებულების დასაფარად შპს „მექანიზატორს“ გადაერიცხა 22.0 მლნ ლარი, რომელიც შპს „მექანიზატორის“ მიერ იფარება გრაფიკის შესაბამისად. შპს „მექანიზატორმა“ სრულად დაფარა 2016 წლის ვალდებულებები. შესყიდული ტექნიკით შპს „მექანიზატორის“ მიერ 2016 წელს დამუშავებულია 150 660 ჰექტრამდე მიწის ფართობი.

10.1.10. აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 01 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 15 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. პროგრამით გათვალისწინებული მიწის ფართობის ოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე;
- 2016 წელს გაიცა 18 795 პოლისი, დაზღვეულია 133,5 მლნ ლარის ღირებულების მოსავალი და 15 472 ჰექტარი მიწის ნაკვეთი;
- სულ 2014 - 2016 წლებში გაცემულია 47 485 პოლისი. დაზღვეული მოსავლის ღირებულება შეადგენს 326,8 მლნ ლარს, ხოლო ამავე პერიოდში დაზღვეული ფართობია 39 139 ჰექტარი.

10.1.11 მანდარინის (არასტანდარტულის) მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძებები (პროგრამული კოდი 37 01 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- მანდარინის (არასტანდარტული) რეალიზაციის ხელშეწყობის პროექტის განხორციელება დაიწყო 2015 წლის ნოემბერში და დასრულდა 2016 წლის 1 თებერვალს. პროექტში ჩართული იყო ხილის გადამამუშავებელი 4 კომპანია. პროექტის ფარგლებში, არასტანდარტული მანდარინის გადამამუშავებელ კომპანიებზე, რომლებიც სამრეწველო გადამუშავების მიზნით, ფიზიკური პირებისგან 1 კგ არასტანდარტული მანდარინი არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდეს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 1 კგ არასტანდარტულ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდია გასცა.
- 2016 წელს ხილის გადამამუშავებელი კომპანიების მიერ შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 9,252 ტონა. სულ პროექტის ფარგლებში შეისყიდული იქნა 19 610 ტონა.

10.1.12. დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 01 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტის მიზანია საქართველოში არსებული სასოფლო სამეურნეო მიწების ეფექტური გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც განხორციელდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა, გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობა და ადგილობრივი მაღალხარისხიანი ფიტოსანიტარულად

სუფთა სარგავი მასალების (ნერგების) წარმოების მხარდაჭერა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება თანამედროვე ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების შეთავაზება. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას.

- პროექტი ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას თანადაფინანსების სახით, რომლებსაც აქვთ სურვილი გააშენონ თანამედროვე ტიპის მრავალწლიანი კულტურების ბაღი ან მოაწყონ სანერგე მეურნეობა.
- პროექტი მოიცავს 2 კომპონენტს:
  - ✓ მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს მრავალწლიანი კულტურების ახალი ბაღების გასაშენებლად პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების (პრაქტიკული და თეორიული სწავლება) გაწევას, კერძოდ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 70 %, როგორც ნერგების ადგილობრივ ბაზარზე შეძენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში და წვეთოვანი სარწყავი სისტემის შეძენა-მონტაჟის ღირებულების 50% (დღგ - ს ჩათვლით), არაუმეტეს 100 000 ლარის ერთ ბენეფიციარზე;
  - ✓ სანერგე მეურნეობების თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს სანერგე მეურნეობის შექმნის მსურველი პოტენციური ბენეფიციარებისათვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას (პრაქტიკული და თეორიული სწავლება). სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება სანერგე მეურნეობის მოწყობისათვის განსახორციელებელი პროექტის ჯამური ღირებულების 50%-ს, არაუმეტეს 150 000 ლარისა ერთ ბენეფიციარზე.

10.1.13 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 37 01 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ აიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- პროექტი ითვალისწინებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსებას. ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება 60%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების შემთხვევაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების 80%-ის ოდენობით.
- იჯარის უფლებით მიღებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციის სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება გათვალისწინებულია ღირებულების 70%-ის ოდენობით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში 90%-ის ოდენობით.
- პროგრამით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცემა ჩაის პირველადი დამუშავების მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები და ინვენტარი.
- საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამტკიცებულია 9 განაცხადი, ჯამური ფართობი შეადგენს 284 ჰექტარს. პროექტების ჯამური ღირებულება განისაზღვრა 707,7 ათასი ლარით, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსებაა 506,6 ათასი ლარი.

10.1.14. აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (პროგრამული კოდი 37 01 14)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტის ფარგლებში შეირჩა მიწის აღდგენითი სამუშაოების 4 ობიექტი (ნაპირსამაგრი სამუშაოები შიდა ქართლში - 2 ობიექტი და კახეთში - 2 ობიექტი). მომზადდა მიწის აღდგენის გეგმები. საგრანტო კომპონენტის მიმართულებით: განხილული იქნა 19 განაცხადი (16 პირველადი წარმოების ხოლო 3 გადამამუშავებელი წარმოების კომპონენტში). დამტკიცდა გრანტის გაცემა 6 განმცხადებლისთვის: ოთხი პირველადი წარმოების, ხოლო ორი გადამამუშავებელი წარმოების კომპონენტში. მომზადდა ოთხი სადემონსტრაციო ნაკვეთი (კახეთი-ატამი, შიდა ქართლი-ვაშლი, სამეგრელო-ხურმა, ქობულეთი-კივი), პროექტის ფარგლებში განხორციელდა ლაბორატორიული დანადგარებისა და ხელსაწყოების შესყიდვა.
- მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულებები და მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები 3 საირიგაციო სისტემების (ზედა რუ, ქვემო სამგორის და ტბისი-კუმისის საირიგაციო სისტემები) რეაბილიტაციაზე;
- ხელშკრულება გაფორმდა საერთაშორისო აუდიტორული კომპანიასთან „Price Water House Coopers“, შპს „საქართველოს მელიორაციისათვის“ სამწლიანი აუდიტორულ-ფინანსური მომსახურების თაობაზე, საერთაშორისო ფინანსური სტანდარტების IFRS დანერგვაში. ხელშკრულება გაფორმდა შპს PKW Georgia-თან, კომპანია ჩაუტარებს შპს „საქართველოს მელიორაციას“ ინფრასტრუქტურული აქტივების სრულ ინვენტარიზაციასა და ფინანსურ შეფასებას.
- მომზადდა ირიგაციის სექტორის განვითარების სტრატეგია, მუშაობა მიმდინარეობდა მელიორაციისა და წყალმომხმარებელთა ასოციაციების საკანონმდებლო ბაზაზე.
- პროექტის ფარგლებში შესყიდულ იქნა 6 ცალი მაღალი სიზუსტის ე.წ. GPS მოწყობილობები, რაც შპს „საქართველოს მელიორაციას“ მისცემს შესაძლებლობას ყველა ინფრასტრუქტურული ნაგებობები დაიტანოს ინტერაქტიულ რუქებზე. გარდა ამისა, შესყიდულ იქნა 2 ერთეული ტრაქტორზე მისაბმელი დამაქუცმაცებელი აგრეგატი.

10.1.17 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 37 01 17)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

- სულ 2014-2016 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 31 პროექტი. აღნიშნული საწარმოებიდან 16 უკვე ფუნქციონირებს, ხოლო დანარჩენებში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.
- პროდუქციის შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტში დამტკიცებულია 3 განაცხადი;
- 2016 წელს საბოლოო ხელშეკრულება გაფორმდა გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში 13 ბენეფიციართან;

10.2. მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

- ლაბორატორიული კვლევები ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად.

- გამოფენა-დეგუსტაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქართულმა ღვინის კომპანიამ. ჩატარდა მედია ტურები, ქართული ღვინის დღეები, მედია-კამპანიების, სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები.
- საკადასტრო აქტივობები თელავის მუნიციპალიტეტში, მევენახეთა შესახებ ალფანუმერული (საანკეტო) ინფორმაციის შეკრება და მათი აღრიცხვა საპასპორტო, საკონტაქტო და ვენახების საკუთრებითი დოკუმენტების მიხედვით, ვენახების ფართობების და სხვა ატრიბუტების (ჯიშები, საძირეები, რწყვის არსებობა, ვენახების აგრონომიული მდგომარეობა და ა.შ.) აღრიცხვა;
- მევენახეობის სფეროში დასაქმებულ ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელი მეწარმე სუბიექტებისათვის (ღვინის კომპანიებისათვის) ჩაბარებული 1 კგ ყურძნისათვის ყურძნის ჩამბარებელ ფიზიკურ პირებზე კახეთის რეგიონში გაიცა სუბსიდია რქაწითელზე და კახური მწვანეზე - 1 კგ-ზე - 0,45 ლარი; საფერავზე 1კგ-ზე - 0,20 ლარი; რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო-სვანეთის რეგიონში მუჯურეთული/ალექსანდროულზე - 1 კგ-ზე - 2 ლარი.
- ველური ვაზის 58 ნიმუში შეგროვდა ქართლისა და კახეთის რაიონებში და დაფესვიანებული მცენარის მიღების მიზნით დაირგო ვაზის სანერგეში.

10.3. სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“
- ✓ სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“

- სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის - სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ სათანადო წესით ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა;
- სურსათის/ცხოველის საკვების ბიზნეს ოპერატორთა ინსპექტირება და მათი მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება;
- ვადაგასული ან/და გამოსაყენებლად უვარგისად მიჩნეული სურსათის განადგურებაზე ზედამხედველობა;
- თურქულის, ჯილეხის, ცოფის, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ნოდულარული დერმატიტის, ცხვრისა და თხის ყვავილის, ყირიმ კონგოს ჰემორეგიული ცხელების და სხვა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძებების განხორციელება.
- მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის განხორციელება.
- მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის ინსპექტირება.
- ახალი ბიოუსაფრთხოების პუნქტის მშენებლობა.
- არსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტზე გადასარეკი ცხოველების დამუშავება ინსექტოაკაროციდული საშუალებებით.
- ცხოველთა დაცემის ადგილებში და ინფექციის კერებში დაავადების აღმძვრელის მოსპობის მიზნით დეზინფექციების ჩატარება.
- ფიტოსანიტარული მონიტორინგი საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების დადგენის მიზნით.
- საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.
- სარეალიზაციო ქსელში პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი.
- ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო კონტროლი და მონიტორინგი.

- ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა.

10.4. სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

- შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზების და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით შეივსო სანაშენე ბირთვები ახალი ინდივიდებით, მიმდინარეობს კვლევითი სამუშაოები.
- განხორციელდა კვლევითი სამუშაოები მრავალწლოვანი კულტურების მიმართულებით. საქართველოს 5 რეგიონში გაშენდა ხეხილის ახალი ჯიშების კოლექციები. წარმოებულია ხეხილის ახალი ჯიშების ნამყენი ნერგები. პატარა შირაქში დაიწყო ქარსაფარი ზოლის მოწყობა. გაფართოვდა ჯიღაურას საკოლექციო ნარგაობა.
- მიმდინარეობდა კვლევები ერთწლოვანი კულტურების მიმართულებით, საკვლევად დაითესა და მიღებულ იქნა ერთწლოვანი კულტურების სხვადასხვა კულტურები. გამოირჩა სარეკომენდაციო ბოსტნეულის 5 ახალი ჯიში. დამუშავდა ბოსტნეული კულტურების მყნობის ინოვაციური ტექნოლოგია.
- აგროსაინჟინრო კვლევის ფარგლებში დამუშავდა თანამედროვე სამანქანო ტექნოლოგიები. შეიქმნა ხეხილოვანი კულტურების საკრეფი მინი მანქანის მოდელი.
- თესლის და სარგავი მასალების სტანდარტებისა და სერთიფიცირების კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდა სერთიფიცირების სისტემა მარცველული კულტურებისთვის.
- მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის კვლევის ფარგლებში შეიქმნა მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის ახალი სქემები.
- ბიოაგროწარმოების კვლევის ფარგლებში გამოიცადა ახალი ბიობრეპარატები და დაიწყო მუშაობა ბიოთევზის მოშენებაზე.
- ნიადაგის ნაყოფიერების მიზნით შესწავლილ იქნა გამოკვლეულ იქნა ნიადაგის ნიმუშები 20 მუნიციპალიტეტში.
- სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შენახვა-გადამუშავების მეთოდების სამეცნიერო კვლევის ფარგლებში კვლევა ჩატარდა ვაზის 5 ახალ ადგილობრივ ჯიშზე.
- რისკების შფასების მიმართულებით განხორციელდა სურსათში არსებული პოტენციური საფრთხეების რისკის შეფასება;
- დაინტერესებულ პირებს ჩუტარდა ტრენინგები. გამოიცა საინფორმაციო ბროშურები. გამოქვეყნდა სტატიები.

11. სასამართლო სისტემა

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00–10 00)
პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო,

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

- დასრულდა გურჯაანის რაიონული და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. გარემონტდა და ახალი ინვენტარით/ ტექნიკით აღიჭურვა თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობა. ასევე, თბილისის და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის საქალაქო, ახალციხის, ცაგერის, სენაკის, ხელვაჩაურისა და თეთრიწყაროს რაიონული და ქობულეთისა და წყალტუბოს მაგისტრატი სასამართლო შენობების სარემონტო სამუშაოები. ჩატარდა ფოთის საქალაქო და ხობის მაგისტრატი სასამართლოს შენობის გაზიფიკაციის სამუშაოები;
- თბილისის საქალაქოს რვა, ბათუმის საქალაქოს ორ, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ორ და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს ერთ სხდომის დარბაზში დამონტაჟდა აუდიო გახმოვანების აპარატურა; საერთო სასამართლოების არქივში დამონტაჟდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა;
- 53 ნაფიცი მსაჯული უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;
- ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით გასამართი პროცესების ჩატარებისათვის რუსთავის საქალაქო, გორისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში მოეწყო საჭირო ინფრასტრუქტურა;
- საანფარიშო პერიოდში სწავლება დაასრულა ცხრა იუსტიციის მსმენელმა, ხოლო ჩაერიცხა 20 იუსტიციის მსმენელი;
- გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ტრეინინგები როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე სასამართლოს სხვა მოსამსახურეთათვის;
- ჩატარდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი;
- საბჭოს მიერ შეფასდა 3 წლის ვადით დანიშნული 56 მოსამართლე.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშავდა მართლმსაჯულების სამოქმედო გეგმა, რომელიც გათვლილია 2016-2020 წლებზე. აღნიშნულ დოკუმენტში შესულია სასამართლო რეფორმის მთელი რიგი სახელმძღვანელო პრინციპები და სტრატეგიულ მიმართულებები. დოკუმენტის საფუძველზე მიმდინარეობდა მუშაობა მართლმსაჯულების ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების და დამტკიცების მიზნით;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით და GIZ-ისა და PROLOG-ის დახმარებით შეიქმნა „მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კომიტეტი“, რომლის მიზანია მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის (სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეების, მართლმსაჯულების სფეროში ჩართული სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების) ჩართვა. კომიტეტმა სტრატეგიის მიზნის და ამოცანების განსაზღვრისთვის სამუშაო ჯგუფის 20-ზე მეტი შეხვედრა და 50-მდე ინდივიდუალური ინტერვიუ ჩაატარა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს ჯგუფის მომხსენებლებთან ერთად მოდერაციასა და ფასილიტაციას უწევდა სინერჯი ჯგუფი, რომელიც შეხვედრებისთვის ამზადებდა მასალებს, სამსამართლოში მომუშავე პირების და გარე დაინტერესებული პირების მოსაზრებებზე დაყრდობით. ამჟამად, მართლმსაჯულების სტრატეგიული ამოცანების და მათი

განხორციელების მექანიზმებზე, სტრატეგიის დოკუმენტის პირველადი ვერსია მომზადებულია და კომენტარებისთის გაეგზავნათ კომიტეტის მონაწილეებს.

- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოამზადა სასამართლოს მომხმარებელთა (ადვოკატები და არაპროფესიონალი მომხმარებლები) კითხვარი, CEPEJ-ის 2010 წლის სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად. აღნიშნული კითხვარის საფუძველზე დაიგეგმა კვლევების ჩატარება.
- სასამართლო სისტემაში ხარისხის განმსაზღვრელი სტანდარტების დანერგვისა და მათი კონტროლის მექანიზმების დახვეწის მიზნით გაიმართა სასამართლოს მენეჯერების პირველი სამუშაო შეხვედრა (ფორუმი). შედეგად, განისაზღვრა ის 15 საკითხი, რამელთა შეფასება/კონტროლი აუცილებელია სასამართლოს საქმიანობის ხარისხისა და ეფექტიანობის განსაზღვრის თვალსაზრისით, განსაზღვრული საკითხები დაიყო პრიორიტეტების მიხედვით, რომელთაგან პირველ სამ საკითხზე სასამართლოს მენეჯერების ჩართვით დაიწყო სტანდარტის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება. აღნიშნული საკითხებიდან პრიორიტეტულად მიჩნეულ იქნა სასამართლო შინაგანაწესის ერთიანი სტანდარტის შემუშავება. მომზადდა შინაგანაწესის ერთიანი სტანდარტის განმსაზღვრელი დოკუმენტის პროექტი.

11.2 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო(პროგრამული კოდი 46 00)

- საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა სხვადასხვა სახის ექსპერტიზა, კერძოდ: დოკუმენტების ტექნიკური და ხელწერის ექსპერტიზა, ბალისტიკური ექსპერტიზა, ტრასოლოგიური ექსპერტიზა, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, ავტო-ტექნიკური, სატრანსპორტო ტექნიკური, ავტო-სასაქონლო, საავიაციო და სარკინიგზო-ტექნიკური ექსპერტიზა,კომპიუტერული, ვიდეო და ფონოსკოპიური ექსპერტიზა, სახანძრო-ტექნიკური ექსპერტიზა, ფინანსური ექსპერტიზა, სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, სასაქონლო ექსპერტიზა, ზოგადი ქიმიური ექსპერტიზა, ნარკოტიკული, მომწამვლელი ნივთიერებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზა, კვების (მათ შორის ბავშვთა) პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზა, ნავთობპროდუქტების ექსპერტიზა,რადიაციული ექსპერტიზა, სამედიცინო ექსპერტიზა, ფსიქიატრიული და ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, ნარკოლოგიური ექსპერეტიზა, ბიოლოგიური ექსპერტიზა (დნმ, სეროლოგია, ფარმაკოგენეტიკა, ვენური თრომბოზი, მემკვიდრული ძუძუს კიბო და სხვა.

ეროვნული ბიუროს სხვა მომსახურება

- საანგარიშო პერიოდში გაცემულ იქნა სულ 76 987 ექსპერტიზის დასკვნა. მათ შორის უფასო მოსახურებაზე 32 389, ხოლო ფასიან მომსახურებაზე - 44 598. ასევე, გაცემულ იქნა ნარკოლოგირი ექსპერტიზის 35 148 ცნობა.

12. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

12.1 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

- შეიქმნა და ფუნქციონირებს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების და მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციები;
- განახლდა კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი (კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის სახრებით) და ვიზიტორთა ცენტრი ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე; ოკაცეს კანიონისა და მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლებზე მოეწყო ინფრასტრუქტურა; აშენდა მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრი; რის შედეგადაც გაუმჯობესდა ვიზიტორთა მომსახურების ხარისხი;
- მედიის წარმომადგენლებისთვის მოეწყო ინფო-ტური მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე.
- 12 დაცული ტერიტორიისთვის დამზადდა 565 ერთეული საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები;
- კოლხეთის, მაჭახელას და მტირალას ეროვნულ პარკებში, კინტრიშის დაცულ ტერიტორიასა და სათაფლიას აღკვეთილის ტერიტორიაზე ჩატარდა კოლხური ბზის შეწამვლის სამუშაოები, ასევე შეძენილ იქნა ფერომონები 3 სახეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის განსახორციელებლად, რომლებიც განთავსდა ყაზბეგისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ტერიტორიებზე;
- მედიის და სოციალური ქსელების მეშვეობით ხორციელდებოდა ეკოტურიზმის პოპულარიზაცია დაცულ ტერიტორიებზე, 2015 წელთან შედარებით 2016 წელს გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა (734 900-მდე ვიზიტორი) 42 %-ით;
- სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისთვის შესყიდულ იქნა ავეჯი, ავტომანქანები, აშენდა კოტეჯი (ჯავახეთის ეროვნული პარკი), განხორციელდა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-მოწყობა და ჰიგიენური კვანძების სამშენებლო სამუშაოები (ვაშლოვანის ეროვნული პარკი), მოეწყო სანათები სანაოსნო მონაკვეთში (პრომეთეს მღვიმე), დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა (მტირალას ეროვნული პარკი);
- დაიწყო საძოვრების მდგომარეობის შეფასება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში. განხორციელდა ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასება (USAID-ის და ევროკავშირის პროექტების დაფინანსების ფარგლებში);
- მომზადდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ანგარიშის სამუშაო ვერსია; ჩატარდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების მონაცემების საბაზისო კვლევა ინდიკატორების შესარჩევად;
- მომზადდა ტურიზმის სტრატეგიის სამუშაო ვერსიები ჯავახეთისა და ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიებისათვის;
- ჩატარდა დაცული ტერიტორიების საბაზისო კვლევები და დაიწყო ტურიზმის სტრატეგიების და სამოქმედო გეგმების შემუშავება (ალგეთი, კინტრიში, ყაზბეგი, ფშავ-ხევსურეთი), ასევე დაცული ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია (ალგეთი, კინტრიში);
- მოეწყო ტრენინგები და გაცნობითი ვიზიტები დაცული ტერიტორიების რეგიონულ მრჩეველთა საბჭოებისათვის და ჩატარდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- განხორციელდა განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური პროექტები ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების მახლობლად მცხოვრები მოსახლეობისათვის (ხიდების შეკეთება, სასტუმრო სახლების მოწყობა, ტრადიციული ხელსაქმის განვითარება).

12.2 გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

- განხორციელდა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 3 206 ინსპექტირება (გეგმიური, არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა). მათ შორის:
  - ✓ 201 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2016 წლის შემოწმებათა გეგმის შესაბამისად;
  - ✓ საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 274 გემის ინსპექტირება ნარჩენების აღრიცხვის, შეფასების, უტილიზაციისა და სხვა გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვის მიზნით;
  - ✓ 106 რეგულირების ობიექტის რეგულირების ობიექტის არაგეგმიური შემოწმება მოქალაქეთა საჩივრების, დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაციების, ასევე წინა შემოწმების საფუძველზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გადამოწმების მიზნით. მათგან, 62 - არაგეგმიური შემოწმება განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღების მიზნით, მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირებისთვის.
- სულ ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად, გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 10 216 ფაქტი, მათ შორის: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის - 9 846 ფაქტი, სისხლის სამართლის - 370 ფაქტი, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს. სამართალდამრღვევებზე დაკისრებულმა ჯარიმამ შეადგინა 3.9 მლნ ლარზე მეტი; გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად, გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა დაახლოებით 6.5 მლნ ლარი;
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის „ცხელ ხაზზე“ შემოვიდა 9 310 ზარი, მათ შორის, დაფიქსირდა 2 753 შეტყობინება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის თაობაზე, რაზეც დეპარტამენტის მიერ ხორციელდებოდა რეაგირება;
- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების ელექტრონულ ჟურნალში ტესტურ რეჟიმში ამოქმედდა „პროდუქტის“ და „ნარჩენის“ მოდულები, რომლის მეშვეობით, ონლაინ რეჟიმში (ვებ-პორტალი emoe.gov.ge) განხორციელდება გადამუშავებული მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტისა და ნარჩენის აღრიცხვისა და გატანის პროცესები. ამასთან დაკავშირებით, სახერხი საამქროების მფლობელთათვის, დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა შეხვედრები და სასწავლო სემინარები.
- განხორციელდა ქ. თბილისში არსებული ავტოგასამართი სადგურების რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტების სათანადო სინჯების აღება/შემოწმება. რის შედეგადაც დადგინდა, რომ ბენზინისა და დიზელის ყველა ნიმუშში გოგირდისა და ტყვიის შემცველობა, ასევე ოქტანური და ცეტანური რიცხვების მაჩვენებლები აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს;
- გარემოსდაცვით ინსპექტორ-თანამშრომლებს კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: სატყეო და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით, მერქნული რესურსების ელექტონული მართვის სისტემის საკითხებზე, გარემოსდაცვითი კონტროლისა და სატყეო სექტორის პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის საკითხებზე, ნარჩენების კლასიფიკაციის საკითხებზე, დიდი ავარიების პრევენციისათვის ლაბორატორიული სინჯების

აღებაზე, სასწავლო კურსი ცეცხლსასროლი იარაღის, ფიზიკური იძულებისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებაში, მცურავი საშუალების დამოუკიდებლად მართვის სასწავლო კურსი. სულ გადამზადდა 160 თანამშრომელი.

- შეძენილ იქნა: 14 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტოსატრანსპორტი; 3 ერთეული კატერი და 6 ერთეული ნავი; ღამის ხედვის თერმული დურბინდები, ხმაურის საზომი ხელსაწყოები, მაგნიტური ველის ენერგიის ნაკადის საზომი ხელსაწყოები, GNSS ქსელური მიმღებები GPS/GNSS საველე კონტროლერით; საზომი ხელსაწყოები ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურისთვის; სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიული სახარჯი მასალები გარემოს ინტეგრირებული კონტროლის სამსახურისთვის.
- განხორციელდა არსებული გამზომი ხელსაწყოების დაკალიბრება-დამოწმების პროცედურები; ავტოსატრანსპორტო საშუალებებში დამონტაჟდა ვიდეორეგისტრატორები, რომელთა ჩანაწერების შენახვის მიზნით შეძენილ იქნა მეხსიერების ე.წ. „სტორიჯის“ სასერვერო სისტემები.
- დასრულდა და კეთილმოეწყო გორსა და ოზურგეთში გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების განყოფილებების საოფისე შენობები; გარემონტდა სასაწყობე და ნივთმტკიცების შესანახი ფართები.
- ქ. ამბროლაურში, ქ. ბათუმსა და ქ. ახალციხეში დაიწყო და მიმდინარეობდა ახალი ადმინისტრაციული შენობის (რეგიონული ოფისები) სამშენებლო სამუშაოები.

12.3 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

- მიმდინარეობდა სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა, მუშაობა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა-განვითარებისათვის;
- ტყის მოვლა-აღდგენის მიმართულებით გრძელდებოდა მავნებელთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთში;
- ბზის კორომების გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით განხორციელდა შეწამვლის სამი ეტაპი მავნებლის „ბზის ალურას“ განადგურების მიზნით გურიის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში; განხორციელდა ტყის დროებითი სანერგეების მოწყობისა და მოვლის სამუშაოები. მომზადდა ტყის აღდგენის 12 პროექტი გურიაში, იმერეთში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში, შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში.
- შეძენილ იქნა 1 ერთეული სპეციალური მძიმე ტექნიკა-ბულდოზერი სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის; მოეწყო 7,9 კმ სატყეო-სამეურნეო გზა, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 47,8 კმ გზას;
- სპეციალური ჭრისა და სანიტარული ჭრების ფარგლებში დამზადდა 12,5 ათასი კუბური მეტრი მერქნული რესურსი, საიდანაც ელექტრონული აუქციონის წესით რეალიზებული იქნა 7,4 ათასი კბმ მერქნული რესურსი.
- განხორციელდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სატყეო უბნების ფართობებისა და საზღვრების დაზუსტება, მერქნული რესურსის მარაგების დადგენა-დაზუსტება; მოინიშნა სპეციალური ჭრის ტყეკაფები; დასრულდა ასპინძა-ახალქალაქისა და ახალციხის სატყეო უბნების ინვენტარიზაცია და შედგენილი იქნა ტყის მართვის გეგმები. რეგიონალური სამსახურები აღიჭურვა თანამედროვე საზომი აღრიცხვის საშუალებებით;
- განხორციელდა საველე და კამერალური შესწავალა სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის მიზნით (208.42 ჰა ფართობზე), სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით ტყითსარგებლობის (იჯარა) მიზნით (434.45 ჰა), ტყის ფონდის

ტერიტორიაზე წიაღითსარგებლობის მიზნით (680.99 ჰა), ტყის ფონდიდან ამოსარიცხი ფართობების შესწავლა-დამუშვების მიზნით (992.54 ჰა), სამონადირეო მეურნეობის ლიცენზიის გაცემის მიზნით (102 456,3 ჰა); სამონადირეო მეურნეობისათვის შერჩეული ფართობების კონტურების დადგენა განხორციელდა 7 570 ჰა ფართობზე.

- მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო ტყეკაფები 583 369,57 კბმ ოდენობით. (მ.შ. I ხარისხის 49 580,83 კბმ, ხოლო II ხარისხის 533 788,74 კბმ მერქანი).
- ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემულია 517 483,38 კბმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 45 884,76 კბმ, II ხარისხი 471 598,62 კბმ).
- საბიუჯეტო ორგანიზაციების, სსიპ-ების, თვითმმართველი ერთეულების მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებისათვის II ხარისხის ხე-ტყის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყო 51 082.89 კბმ II ხარისხის ხე-ტყე, საიდანაც ათვისებულ იქნა 29 158,74 კბმ, ხოლო სამასალე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილ იქნა 1 545.24 კბმ I ხარისხის ხე-ტყე, საიდანაც ათვისებულ იქნა 411,31 კბმ. აღნიშნული ორგანიზაციებზე დასაწყობებული მერქნული რესუსიდან გაცემულ იქნა 4 610.869 კბმ ხე-ტყე, მათ შორის II ხარისხი - 4 153.391 და I ხარისხი - 457.478 კბმ.
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის შუამდგომლობების საფუძველზე მოსახლეობის I ხარისხის მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გაიცა 43 062.54 კბმ ხე-ტყე;
- გადაუდებელი აუცილებლობით (ხანძრით, სტიქიური უბედურებით ან/და სხვა ფორსმაჟორული გარემოებით) გამოწვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით მოსახლეობაზე გაიცა 1 429 კბმ I ხარისხის მერქნული რესურსი;
- ფართობზე, გაფორმდა ტყითსარგებლობის შესახებ ხელშეკრულება საკომუნიკაციო ანძების განთავსებაზე შპს "მაგთიკომთან" 65 საკომუნიკაციო ანძაზე, შპს "მობიტელ"-თან - 52, შპს "ჯეოსელთან“ – 85, შ.პ.ს „კურორტი საირმე“ – 1 და შ.პ.ს „კავკასუს ონლაინთან“ - 2;
- გაიცა თანხმობა სპეციალური დანიშნულებით ტყითსრაგებლობის მიზნით 33 ობიექტზე;
- გრძელვადიანი ტყითსარგებლობის უფლებით აუქციონის წესით გაიცა 5 ობიექტი;
- სპეციალური ჭრის შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (მრგვალი ხე-ტყე (მორი-შეშა)) საკუთრებაში გაცემის მიზნით შედგა 67 ელექტრონული აუქციონი. გაყიდულ იქნა 7 411,4 კბმ მერქანი (1,5 მლნ ლარზე მეტი);
- დონორი ორგანიზაციების დახმარებით 400-მდე ტყის მცველს ჩაუტარდა ,,ტყის მდგრადი მართვის“ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგ-კურსი.

12.4 გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

- შემუშავდა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ საბოლოო ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ, რის შედეგადაც გაფართოვდება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების მაღალი რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი;
- ევროკავშირის დახმარებით, ქართველი და ევროპელი ექსპერტების მიერ მომზადდა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების გარემოსდაცვითი ნაწილის განხორციელების განახლებული საგზაო რუკა და განხორციელების 1 წლის ანგარიში. საგზაო რუკა წარმოადგენს ევროკავშირთან გარემოს დაცვის

კუთხით ჰარმონიზაციის პროცესის მთავარ სახელმძღვანელო დოკუმენტს;

- 2016 წლის 8-10 ივნისს ქ. ბათუმში ჩატარდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეგიონის რიგით მე-8 გარემოსდაცვითი მინისტერიალი „გარემო ევროპისათვის“;
- მომზადდა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) გარემოსდაცვითი თავების განხორციელების 2017 წლის სამოქმედო გეგმა;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 2016 წლის 18 ოქტომბერს ბრიუსელში გამართულ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის პირველ მინისტერიალში, რომელზეც მიღებულ იქნა მომდევნო ორი წლის მანძილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისა და ევროკავშირის მიერ ერთობლივად განსახორციელებელი ქმედებების შესახებ დეკლარაცია. მსგავსი შეხვედრები ჩატარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ;
- გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მხარდაჭერით 2016 წელს გამოიცა „გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვის“ (Environmental Performance Review) დოკუმენტი;
- მომზადდა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა „2010-2013 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება“, ასევე მიმდინარეობდა მუშაობა გარემოს დაცვის სფეროში სხვადასხვა ნორმატიული აქტების, პროექტებისა, სამოქმედო გეგმებისა და დოკუმენტების შემუშავებაზე;
- საზღვაო მმართველობის სფეროში ინტეგრირებული პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა საზღვაო მმართველობის საკითხთა კოორდინაციის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი;
- საქართველო შეუერთდა კლიმატის ცვლილების შსახებ პარიზის შეთანხმებას. დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და ნარჩენების სექტორებისთვის მომზადდა საბაზისო სცენარი და დადგიდა კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებები;
- ევროკომისიის მიერ დამტკიცდა Twinning-ის პროექტი „ტყის მდგრადი მართვის გაძლიერება საქართველოში“. მიმდინარეობს კონტრაქტის გაფორმება ლიტვა-უნგრეთის კონსორციუმთან. შემუშავდა სატყეო მონიტორინგის სისტემის სატესტო ვერსია. ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა თემატური საკითხების განხილვის მიზნით გაიმართა 80 სამუშაო შეხვედრა;
- CITES-ის დანართებში შეტანის კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელდა შერჩეულ მცენარეთა სახეობების შეფასება და მომზადდა შეფასების ანგარიში. CITES-ის მხარეთა 17-ე შეხვედრაზე წარდგენილ იქნა ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივი შეთავაზება კავკასიური ჯიხვის კონვენციის მეორე დანართში შეტანის მიზნით;
- გაიცა 67 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მათ შორის 8 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- გარემისდაცვით თარიღებთან („დედამიწის საათი", მსოფლიო მეტეოროლოგიის დღე, დედამიწის დღე, ტყის საერთაშორისო დღე, გარემოს დაცვის მსოფლიო დღე, ხის დარგვის საერთაშორისო დღე, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე, „დღე ავტომობილის გარეშე“) დაკავშირებით ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები.ორგანიზებულ იქნა გამწვანების, დასუფთავების და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქციები. განხორციელდა კამპანია ,,ნუ მოჭრი, მორთე'', ასევე ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში გაიმართა ველოტური;
- 8-10 ივნისს, ქ. ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია (მინისტერიალი) - „გარემო ევროპისათვის“ (EfE 2016), რომლის ფარგლებშიც ელექტრონული და ბეჭდური მედიის წარმომადგენლებისთვის გარემოსდაცვით თემებზე გაიმართა მედია-სემინარი, ასევე დამზადდა საინფორმაციო სარეკლამო ვიდეო-რგოლი და დოკუმენტური ფილმი ,,გარემო ევროპისათვის'' - მინისტრთა მე-8 კონფერენცია. ფილმი იძლევა ინფორმაციას მინისტერიალის მნიშვნელობის, მისი მიმდინარეობისა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.

12.5 ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:
სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

- რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი უზრუნველყოფილ იქნა ფიზიკური დაცვითა და სათვალთვალო სისტემებით. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში განხორციელდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში (სოფ. სააკაძე) მდებარე რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის რეაბილიტაცია, რითაც მკვეთრად შემცირდა გამოსხივების დოზის სიმძლავრე სამარხის ზედაპირზე;
- რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი უზრუნველყოფილ იქნა ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და სათვალთვალო სისტემებით, ასევე, განხორციელდა საცავის სეისმომედეგობის შეფასება. აშშ-ს ბირთვული მარეგულირებელი კომისიის მხარდაჭერით განხორციელდა საცავში განთავსებული რადიოაქტიური ნარჩენებისა და რადიოაქტიური წყაროების სრული ინვენტარიზაცია და თითოეულ კონტეინერში განთავსებული რადიოაქტიური წყაროს მახასითებლების შედარება უწყებრივ რეესტრში არსებულ მონაცემებთან;
- შეიქმნა და გაშვებულია სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს უახლესი სტანდარტების ვებ-გვერდი;
- მობილური ლაბორატორიის მეშვეობით განხორციელდა საქართველოს რამოდენიმე რეგიონის (ანასეული, სოფ. სააკაძესთან არსებული სამარხის მიმდებარე ტერიტორია, გონიოს დასახლება და რიკოთის უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორია) რადიაციული ფონის გაზომვები და რადიონუკლიდების განსაზღვრა ნიადაგში;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან ერთად შემუშავდა ელექტრონული ლიცენზირების სერვისის პროგრამა (ბიზნეს პორტალი), რომლის საშუალებითაც ლიცენზიის მაძიებლებს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან ონლაინ რეჟიმში შეეძლებათ ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მიღება, გაუქმება და მასში ცვლილების შეტანა ელექტრონული განცხადების საფუძველზე, თანდართულ სალიცენზიო დოკუმენტებთან ერთად.
- საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული და მიღებული იქნა სხვადასხვა ნორმატიული აქტები და პროექტები;
- დამტკიცდა რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა;
- ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაიცა 80 ლიცენზია, გაუქმდა - 21 ლიცენზია. ლიცენზიის მფლობელ 101 ობიექტს მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება. ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 35 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე;
- განხორციელდა 107 ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისობის დადგენის მიზნით. განხორციელდა რეაგირება 52 რადიაციულ ინცინდენტზე.

12.6 გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

- სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში, 5-6 წლის ბავშვებთან სამუშაოდ შემუშავდა დამხმარე სახელმძღვანელო - „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“. ჩატარდა სახელმძღვანელოს

პილოტირება და 2016 წლის სექტემბრიდან სახელმძღვანელო სასწავლო პროგრამებში ოფიციალურად დაინერგა თბილისის ბაგა-ბაღებში. ამ მიზნით გადამზადდა საბავშვო ბაგა-ბაღის 159 მეთოდისტი და აღმზრდელი;

- შემუშავდა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მიღებული იქნა დოკუმენტი - „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის - გამჭოლი სტანდარტი", რომელიც განსაზღვრავს, რა ცოდნა, უნარ-ჩვევები, დამოკიდებულებები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს მოსწავლეს განათლების კონკრეტული საფეხურის ბოლოს;
- განხორციელდა გასართობ-შემეცნებითი პროექტი - ,,გაიცანით პატარა გარემოსდამცველები";
- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) და გერმანიის საერთაშორისო განვითარების საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით, შემუშავდა ახალი სამაგისტრო პროგრამა - „გარემოსდაცვითი მენეჯმენტი და პოლიტიკა", რომელიც წარმატებით ხორციელდება;
- გარემოსდაცვითი თემატიკით ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ლექცია/სემინარები, რომელიც მოისმინა 984 მოსწავლემ, სხვადასხვა უნივერსიტეტის 570 სტუდენტმა, 159 - პედაგოგმა/ლექტორმა;
- „ნარჩენების მართვის კოდექსით" დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამის - ,,გარემოსდაცვითი მმართველი" ფარგლებში ნარჩენების მართვის სფეროში გადამზადდა 176 ადამიანი;
- შემუშავდა ახალი პროექტი - ,,ეკოლიდერთა სკოლა", რომლის ფარგლებში ტრენინგები გაიარა 62 დაინტერესებულმა მონაწილემ;
- შემუშავდა სასწავლო მოდული „ეკოპროექტების მენეჯმენტი", რომლის ფარგლებში ტრენინგი გაიარა ეკოპროექტების წერისა და მართვის უნარების შეძენის 9 მსურველმა;
- პროექტის - „მედიის როლის გაძლიერება ბუნების კონსერვაციის სფეროში" - ფარგლებში შემუშავდა ტრენინგმოდული ჟურნალიტებისთვის „მედია გარემოსთვის", რომელის მიხედვით გადამზადდა 26 ჟურნალისტი და ბლოგერი;
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში შექმნილ საჯარო სივრცე "ეკოჰაბში" შედგა 14 შეხვედრა სხვადასხვა გარემოსდაცვით თემაზე;
- ინიციატივა - „მწვანე ჩაი მინისტრთან ერთად" ფარგლებში, გარემოსდაცვითი თემებით დაინტერესებულ პირთათვის მინისტრის მონაწილეობით ჩატარდა ექვსი შეხვედრა;
- დაიწყო ახალი პროექტი - „მოხალისე ლექტორი", რომლის ფარგლებში სამინისტროს თანამშრომლები სხვადასხვა რეგიონის სკოლის მოსწავლეებს ხვდებიან და გარემოსდაცვითი თემების შესახებ ლექციებს მართავენ. სულ მოხალისე ლექტორების მიერ ჩატარდა 65 სემინარი;
- ცენტრის მიერ ორგანიზებულ გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 3 228 ადამიანმა.
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, რის საფუძველზეც მოეწყობა საჯარო ლექციები, დისკუსიები და შეხვედრები გარემოსდაცვით თემებზე, ასევე ეროვნული ბიბლიოთეკა თავის ფონდში დაცულ გარემოსდაცვით ლიტერატურასა და საერთაშორისო კონვენციებს გადაიტანს ციფრულ ფორმატში;
- რადიო „კომერსანტის" არხზე, ინოვაციური პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, რუბრიკით- „მწვანე ბიზნესი" ეთერში გავიდა 31 გადაცემა;
- შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა;
- გაკეთდა გარემოს დაცვის სფეროში, პროექტების ფარგლებში არსებული ექსპერტების რეესტრი. მიმდინარეობდა რეესტრების ფორმების უნიფიცირება და შევსება შესაბამისი მონაცემებით. შექმნილია გარემოსდაცვითი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც განთავსებულია გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე.
- ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, ტყის მცველების გადამზადებისთვის შემუშავდა მოდული „ტყის დაგეგმვისა და მართვის ძირითადი პრინციპები". აღნიშნული

მოდულით სწავლება საქართველოს 9 რეგიონში, 353 ტყის მცველმა გაიარა;

- UNDP/GEF მხარდაჭერითა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით, აჭარის დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, რეინჯერების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით გადამზადდა 30 რეინჯერი;
- UNDP-ის პროექტის ფარგლებში შემუშავდა ტრენინგმოდული ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის - ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფების რისკების მართვა. ტრენინგების შედეგად გადამზადდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების 128 წარმომადგენელი.
- საერთაშორისო კონფერენციის (მინისტერიალი) - „გარემო ევროპისთვის" (EfE 2016) ფარგლებში, შეიქმნა და ადმინისტრირება გაუკეთდა მე-8 მინისტერიალის ვებ გვერდს, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) გარემოსდაცვითი პოლიტიკის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებს და იწარმოება ინგლისურ ენაზე;

12.7 ეროვნული სანაშენე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული საშენი მეურნეობა

- განხორციელდა გამოყვანილი ხემცენარეების მოვლა. კონტეინერებსა და ღია გრუნტში დაითესა დაახლოებით 149 000 ნერგი;
- დამზადებულ იქნა 450 კგ ნუშის თესლი (დაითესა 0,3 ჰა. ფართობზე) და შესყიდულ იქნა 406,5 კგ. კაკლის თესლი,რომელსაც ჩაუტარდა სტრატიფიკაცია და დაითესება 2017 წელს, საიდანაც გამოყვანილი იქნება დაახლოებით 20 000 კაკლის საძირე.
- დამზადებული იქნა თესლები: აკაცია - 5 კგ, ჭადარი - 0,5 კგ, იფანი მახვილნაყოფა - 10 კგ. დამზადებული იქნა გირჩები: ფიჭვი კავკასიური - 1200 კგ, კვიპაროსი პირამიდული -200 კგ, კვიპაროსი ვერცხლისფერი -20 კგ, ფიჭვი ელდარის - 800 კგ და შავი ფიჭვი - 200 კგ;
- აშენდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 160 კვ.მ სიდიდის ათკამერიანი საწიწილე, სადაც მოხდება ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნის წარმომადგენელთა (კაკაბი, კოლხური ხოხობი, გნოლი, დურაჯი) გამრავლება შედგომში მათი ბუნებაში გაშვების მიზნით.
- რეალიზებული იქნა დაახლოებით 135 900 ლარის ღირებულების 44 000-ზე მეტი ნერგი. საჯარო მიზნებისათვის მუნიციპალიტეტებზე და სხვადასხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გაიცა - 78 613 ნერგი.
- სოფელ უდაბნოსაკენ მიმავალი გზის მიმდებარედ ერთ კილომეტრიან მონაკვეთზე აღდგა ქარსაფარი ზოლი. დედოფლისწყაროს რაიონში გერმანიის საერთაშორისო თამაშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით (GIZ) გაშენდა ქარსაფარი ზოლი და დაირგო 10 555 სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარე;
- ეროვნულმა საშენმა მეურნეობამ გაიმარჯვა თბილისის მერიის გამწვანების ტენდერებში (ხელშეკრულების ჯამურმა თანხამ შეადგინა 530,0 ათას ლარზე მეტი);
- ნაკადულის კალმახის საშენში მოსაწყობად მოწესრიგდა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ჩატარდა სამიზნე წყლის ობიექტების დეტალური გამოკვლევა, ტექნიკით გაიწმინდა მიმდებარე ტერიტორია და მოწესრიგდა ბუნებრივი ტბორი.
- დაჭერილია და გადაყვანილია 130-მდე ერთეული სადედე კალმახი, რომელიც განთავსდა ბუნებრივ ტბორში. მიღებულია 13 000-მდე ქვირითი, რომელიც განაყოფიერდა და განთავსებულია საინკუბაციო მოწყობილობაში.

12.8 გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (პროგრამული კოდი 38 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

- რეგულარულად ტარდებოდა დაკვირვებები საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურებსა და საგუშაგოებზე; ოპერატიულად წარმოებდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების მონაცემების კოდირება, მათი შეკრება და ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე გავრცელება; ოპერატიულად წარმოებდა ამინდის პროგნოზის მსოფლიო ცენტრებიდან (საფრანგეთი-ტულუზა, ინგლისი-რედინგი) გლობალური სინოპტიკური პროდუქციის მიღება და ანალიზი; ყოველდღიურად დგებოდა და ვრცელდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის და ჰიდროლოგიური მოკლე და საშუალოვადიანი საერთო და სპეციალიზირებული (მომხმარებელთა მოთხოვნის შესაბამისად) დანიშნულების პროგნოზები;
- საქართველოს სამხედრო საავტომობილო გზისთვის რეგულარულად მზადდებოდა და მომხმარებელს მიეწოდებოდა სპეციალიზირებული პროგნოზები და გაფრთხილებები ამ გზის გასწვრივ, ან მის ცალკეულ მონაკვეთებზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ; მზადდებოდა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მასმედიის საშუალებებს მიეწოდებოდა გაფრთხილებები საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენების შესახებ. საანგარიშო პერიოდში გაიცა 105 გაფრთხილება;
- რეგულარულად ტარდებოდა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელის მეთოდური ზედამხედველობის სამუშაოები. კონტროლდებოდა და სტატისტიკურად მუშავდებოდა დაკვირვებების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და ფასდებოდა შესაბამის მონაცემთა ხარისხი;
- სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი და სხვა) შეფასების მიზნით დასრულდა ყოველწლიური მონიტორინგი (გაზაფხული-შემოდგომა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შეფასებულ იქნა 934 დასახლებული პუნქტი;
- საქართველოს ძირითადი მდინარეების: ენგურის, აჭარისწყალის, რიონის, სუფსის, მტკვრის, არაგვის, ქციას, ალაზნის, ხანისწყალს და მათი შენაკადების აუზების ზემო წელში და ქვეყნის 8 უღელტეხილის მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარდა თოვლის საფარის აგეგმვის ექსპედიციური სამუშაოები, რის საფუძველზეც მომზადდა და მომხმარებელს მიეწოდა გაზაფხულის წყალდიდობის პროგნოზი.
- მდ. დევდორაკ-ამალის მდ. თერგთან შეერთების მონაკვეთში არსებული რისკების თავიდან ასაცილებლად გაფრთხილების სისტემის ორგანიზების მიზნით დაწესდა გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების დღე-ღამურ რეჟიმში მორიგეობა. 23 ივნისს დევდორაკის ხეობაში განვითარებული ღვარცოფული პროცესები დროულად იქნა პროგნოზირებული და შესაბამისი გაფრთხილება მიეწოდა გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, რამაც პრაქტიკულად გამორიცხა ადამიანთა მსხვერპლი;
- მდ. დევდორაკ-ამალის ხეობაში (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი) დამონტაჟდა სტიქიური მოვლენების შესახებ ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემა. მდ. ვერეს აუზში დამონტაჟდა 5 ერთეული ნალექმზომი და 3 ერთეული წყლის დონის მზომი ხელსაწყო-დანადგარი, ხოლო მდ. გლდანულაზე 1 ერთეული ნალექმზომი ხელსაწყო. შეძენილ იქნა და დამონტაჟდა დიდი დიამეტრის სატელიტური მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიმღები ანტენა/თეფში, რამაც შექმნა ნალექიანი ამინდის პირობებში ინფორმაციის შეუფერხებლად მიღების შესაძლებლობა. ექსპლუატაციაში შეყვანილ იქნა იაპონიის გრანტის ფარგლებში გადმოცემული 4 ერთეული წყლის ხარჯის მზომი ხელსაწყო;

- მონიტორინგული ქსელის მოწყობის მიზნით დასრულდა სამუშაოები თბილისის ტერიტორიაზე ცალკეულ უკიდურესად დაძაბულ მეწყრულ უბნებზე (3 უბანი), სადაც ყოველ 10 დღეში განხორციელდება ინსტრუმენტალური გაზომვები მეწყრების დინამიკის დასადგენად;
- შეძენილ იქნა საწარმოო გაერთიანება "დელტა"-ს კუთვნილი მეტეოროლოგიური რადარის მონაცემებთან წვდომის ლიცენზია და დაინერგა რადარიდან მიღებული ინფორმაციის მიმღები ტექნოლოგია. დასრულდა სწავლება რადარიდან მიღებული მონაცემების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
- მომზადდა ნაპირსამაგრი ნაგებობების პროექტები: მდ. რიონზე სოფ. ბუგეულსა და საჯავახოში, მდ. ცხენისწყალზე სოფ. ჭალისთავში და ლენტეხში და მდ. ალაზანზე სოფელ ქვემო ალვანში.
- ჰაერის ხარისხის მონიტორინგი წარმოებდა ექვს ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ჭიათურაში, ზესტაფონსა და ბათუმში განთავსებულ ათ სადამკვირვებლო პუნქტზე. მათ შორის ქ.თბილისში იაპონიის გრანტის ფარგლებში ამოქმედდა სამი თანამედროვე ავტომატური სადგური;
- ატმოსფერული ჰაერის ინდიკატორული გაზომვები ჩატარდა საქართველოს 16 დასახლებულ პუნქტში აპრილში, ივნისსა და სექტემბერში;
- რეგულარულად წარმოებდა საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურების მონიტორინგი, რისთვისაც ხდებოდა წყლის სინჯების აღება დადგენილ წერტილებში და ტარდებოდა ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები;
- განხორციელდა 15 ჭაბურღილზე (5 ჭაბურღილი ალაზნისა და იორის არტეზიული აუზების, 5 - ქართლის არტეზიული აუზისა და 5 - კოლხეთისა და წყალტუბოს არტეზიული აუზების ფარგლებში) აპარატურის ინსტალაცია და განახლებულ ჰიდრომონიტორინგულ ქსელში მათი ჩართვა. დასაკვირვებელი ჭაბურღილების საერთო რაოდენობა შეადგენს 34 ერთეულს;
- წარმოებდა მიწისქვეშა წყლების დასაკვირვებელი პუნქტებიდან ავტომატურ უწყვეტ რეჟიმში მომდინარე ჰიდრომონიტორინგული მაჩვენებლების სისტემატიური კონტროლი. მონიტორინგის ფარგლებში მონაცემების მიღება ხორციელდება უკვე 34 ჭაბურღილიდან (კახეთის, შიდა ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონებიდან);
- დასრულდა საქართველოს ჰიდროგეოლოგიური ოლქების, რაიონების და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების (რეგიონების), მუნიციპალიტეტების მიხედვით მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საექსპლუატაციო რესურსების გავრცელების რუკის (მ 1:500 000) შედგენა;
- აბასთუმნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვების სადგურზე მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერისა და ნალექების სინჯების აღება;
- ყოველდღიურად ხდებოდა 15 მეტეოროლოგიური სადგურიდან რადიაციული ფონის შესახებ შემოსული ინფორმაციის შეფასება და საინფორმაციო ბიულეტენში განთავსება;
- მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე ტარდებოდა ელექტრო-მაგნიტური ველის ნაკადის სიმკვრივისა და ხმაურის მონაცემების გაზომვები;
- შეძენილი იქნა ახალი იონ-ქრომატოგრაფი, რომელიც დამონტაჟდა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში;
- მომზადდა 2016 წლის იანვრისა და თებერვლის სხვადასხვა საინფორმაციო ბიულეტენები, ასევე მომზადდა მდ. გლდანის ხევის წყალშემკრები აუზის გეოლოგიური ანგარიში, თბილისის ფურცლის (K-38-XXI) გეოლოგიური ანგარიში, 1:200000 მასშტაბის გეოლოგიური, ტექტონიკური და სასარგებლო ნამარხების რუკები;
- სხვადასხვა რეგიონების მუნიციპალიტეტებიდან და ცალკეული მოქალაქეებისგან შემოსული წერილების საფუძველზე, სტიქიური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებით, შედგენილი იქნა 152 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;
- განხორციელდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშების (112), საინჟინრო ობიექტების საპროექტო დოკუმენტაციის და გარემოსდაცვით სფეროში კანონმდებლობის ხაზით მიღებული დოკუმენტების გეოლოგიური ნაწილის რეცენზირება, რის საფუძველზეც შენიშვნების, საექსპერტო დასკვნების, კომენტარების და სხვა სახით შედგენილი იქნა 143 დოკუმენტი;

- დასრულდა სასარგებლო წიაღისეულის სახელმწიფო ბალანსის შედგენა 2015 წლის 1 იანვრის მდომარეობით და მიმდინარეობს ბალანსის შედგენა 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;
- წიაღით სარგებლობისათვის სალიცენზიოდ წარმოდგენილ 1 181 ობიექტზე და 164 ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების მიზნით, მომზადდა გეოსაინფორმაციო პაკეტები და ა4 ფორმატის ტოპოგრაფიული რუკები;
- დასრულდა სტატისტიკური დაკვირვების ფორმების - 31 ერთეული ლიცენზიის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ბაზებში დაფიქსირება;
- მომხმარებლებისთვის მომზადდა 605 ცალი ტოპოგრაფიული რუკა, ლიცენზიის არსებობა/არ არსებობის შესახებ ინფორმაცია - 43; გეოლოგიურ ფონდებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე მასალები - 69;
- მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზების რეგულარული განახლება; გაგრძელდა სახელმწიფო გეოლოგიურ ფონდებში დაცული მასალების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა;
- ჩეხეთის განვითარების სააგენტოს დაფინანსებული პროექტის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში 3 მეწყრულ-ღვარცოფულ უბნებზე დაინსტალირდა მონიტორინგული აპარატურა;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს „ცხელი ხაზით“ და 112-ით დაფიქსირდა 97 შეტყობინება, რომელზედაც გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგები ახდენდნენ შესაბამის რეაგირებას;
- განხორციელდა ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები და მომზადდა 72 დასკვნა, სადაც შეფასებულია ინფრასტრუქტურული ობიექტების და დაძაბული უბნების გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური მდგომარეობა;
- მიწის ნაკვეთების წიაღზე დამაგრება/არ დამაგრების შესახებ მომზადდა ინფორმაცია 2 618 განაცხადისთვის;
- სეზონური დაკვირვების 6 სადგურზე განხორციელდა საზღვაო ექსპედიციის ზამთრის ეტაპი და აღებულ იქნა ჰიდრობიოლოგიური სინჯები;
- შემუშავდა თევზების მარაგების შეფასების და თევზჭერის კვოტების განსაზღვრის მოქმედებათა გეგმა და მისი მეთოდური საფუძვლები, მომზადდა ანგარიში და კონკრეტული რეკომენდაციები თევზჭერის შესახებ, ასევე მომზადდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს თევზჭერის მონაცემთა ბაზა, რომელშიც ასახულია თევზჭერის ისტორიული, ასევე, მიმდინარე სტატისტიკა და მისი შესაბამისი ანალიზი;
- მომზადდა ბიოლოგიური მონიტორინგის მონაცემთა ბაზების ფორმები, 2016 წლიდან ბიოლოგიური მონიტორინგის შედეგები აისახება აღნიშნულ მონაცემთა ბაზებში, ასევე მიმდინარეობს მათში ისტორიული მონაცემების შეყვანა;
- მომზადდა საქართველოში კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით ახალი სამშენებლო-კლიმატური ნორმები.